ეროვნული ბიბლიოთეკა

დიტერატურა და ხელოვნება

N2
2/2011

1522
2011

სტრიქონისთვის
ირაკლი გამრეკელი

ლექსი
კვაჭი კვაჭანტირაძე

ლექსი
გოდერძი ჩოხელი

ლექსი
მიხეილ ქურდიანი
ავთანდილ ადეიშვილი

ლექსი
ო'ჰენრი

ლექსი
ანი მაისურაძე

ლექსი
ვაჟა ჩორდელი

ᲘᲝᲡᲔᲑᲘ ᲕᲔᲠᲫᲐᲕᲔᲚᲘ

ლიტერატურა და ხელოვნება

N2(62)

2/2011

ყოველთვიური ჟურნალი

Founder and Head editor
Vaja Otarashvili

Literature And Art

ISSN 1512-3189

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფუძნებელი,
და მთავარი რედაქტორი:

ვაჟა ოთარაშვილი

პასუხიმგებელი რედაქტორი:
ვერიკო ზამთარაძე

კორექტორი:
მაია მიქაია

დიზაინერი:
ლექსო ოთარაშვილი

გარეკანის მხატვრობა:
ირაკლი გამრეკელი

რედაქციის მისამართი:
დიღმის მას: 5კვ. 14კორ, ბ.80
ტელ.: (+995 32) 52 60 14;
(+995 99) 25 60 14;
E-mail: litandart@live.com
litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთავაზობთ რეკლამის განთავსებას ჟურნალის ფურცლებზე. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: მობ: 899 25 60 14;

გამომცემელი
ააიპ ლიტერატურა და ხელოვნება

სარჩევი

ლირიკა, ლიტანია

3. ვაჟა ჩოხელი - სიჯვდილი ზეცაშიც მოიცდის
10. მაია მიქაია - ლექსები
13. მეხაბ შათირი - ლელა + ლევანი (ხომანი)
22. ანი მაისურაძე - ლექსები
24. ლეილა მესხი - ჯიში – საჯილმახე (მოთხრობა)
32. მეხად ნებიერიძე - ლექსები

ოსტატობანი

35. ო' ჰენრი - ჰარგრეივსის ოჰპირობა (თარგმნა მაია ცერცვაძემ)

წერილები

42. გიორგი ჯალაღანია - თეიქული ღლიური
48. მაია ნიჯარაური - გოდერძი ჩოხელი
შემოქმედება საზღვრების გარეშე

ხანგრძლივი

54. მიხეილ ქერდიანი - 30 თებერვალი (პიესა)
ავთანდილ ადეიშვილი

ოფლური

62. ლელა ნიფეური - „ჯვარი ჯვარქანარიძის“
70-იანი წლების ინტერპრეტაცია

ფოტოგალერეა

68. ხათუნა ჯიჯვაძე - ირაჯლი გამრეკელი
76. ფოტოარქივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რიგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედ!"

რაფიელ ერისთავი

ხეკორძულელის ანსარება

„არ უნდა ჩანდე ოსტატზე მეტი,
ბრძენი იყავ და ჩაგთვალონ შლეგად..."
მე უფლის ნებით ჩუქურთმას ვკვეთდი,
ხეკორძულას წყალს მასმევდა დედა...
„მოეკვეთება ყველას მარჯვენა,
მეფეზე მეტად ვინც იარწივებს!"
მაცხოვრის კვართის გადასარჩენად,
ფარისეველთა ვძლიე ქარ-წვიმებს...
მადლობა ღმერთო, ჩემი მარჯვენა,
ღირსი გახადე ტაძრის კედლისა...
ივერთა რწმენის გადასარჩენად,
ხუროთმოძღვრობა რომ დამეკისრა...
დაე, მომკვეთონ მეორე მკლავიც,
ოღონდ ერთობა იყოს ქართველთა...
ვერც წიწამურთან ვეღარ მომკლავენ
თუ საქართველოს სული გამთელდა...

ვაჟა ოთარაშვილი

ჰოეფის ახალი წიგნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ჩოხელი

სიჯვღილი ზეცაშის მოისღის...

(ერთი თავი რომანიდან — „გამოქვეყნდეს ცოლის გარდაცვალების შემდეგ")

27872

ხუხუნა გაგნიძის სახლის კარი მონადირეებმა ადრიანზე ადრე, რიჟრაჟის შემოღვიძებამდე გაიხურეს. როგორც თვითონ თქვეს, ექსპედიციის სხვა წევრების მოსვლამდე, იმ ადგილებში იტრიალებდნენ და ინადირებდნენ ძაღლიან-კაციანა, სადაც ერლომის წინასწარი რუკა-გეგმა და მონახაზი ითვალისწინებდა მოქმედების დაწყებას...

...წუხანდელ დანამწუხრს ფეხი რომ დაუცდა და დღემ აქეთ მოიხედა, სწორედ მაშინ აიშალა და აფუსფუსდა ექსპედიციის დანარჩენი წევრობა.

— მოწესრიგდით და წავედით! ამინდი შესაშურია! საუზმეც იქ მივირთვათ! — ბრძანა მასპინძელმა და ბოლთის ცემას ერთი-ორად უმატა.

საშამ ცაზე გათენებას შერჩენილი მთვარე მოიძია და ლექსიც მიაყოლა: „ჯერ არასდროს არ შობილა, მთვარე ასე ნაზი"...

...აშკარად ჩანდა, ერლომი რომ ნერვიულობდა. თითებს აწვალებდა და უჩვეულოდ იფშვნეტდა... ხან იყო, ამომავალ მზეს გასცქეროდა, ხანაც მსუბუქ, შეუმჩნეველ ქვენა ნიავს უშვერდა პირ-სახეს და თან ისე ღრმად სუნთქავდა, ფილტვებს „ჭრაჭაჭრუჭი" გაჰქონდა.

— ათეულო, სწორდით! — საფეთქელთან ხელი მიიდო ერლომმა.

— არის, ვსწორდით! — პასუხი გასცა დიმამ და მხედრულად აიშოტა.

...„საბრძოლოდ" გამოწყობილ მამაკაცებს, ასევე „საბრძოლოდ" „გაპიწკინებული" დედაკაცებიც შეუერთდნენ...

ექსპედიცია დაიძრა...

— მთელი გზა ვფიქრობდი და ვერ გითხარი, — ნოდარმა მხარი იბრუნა ერლომისკენ, — ალბათ, გათვლილი გაქვს ყველაფერი, წინასწარ იცი სად, რა და როდის და როგორ!.. ეს მესმის, კი ბატონო, მაგრამ დირიჟაბლის მართლა გაგეგება რამე?.. კი, თქვი, ვივარჯიშე თბილისის ზღვის შემოგარენშიო, დიდუბეში მშვილდისრებს ვისროდიო, ესაო, ისაო... მართალი ხომ არის, ბიჭო, ეგ ყველაფერი, ცაში არ გამოვეკიდოთ ანგელოზებივით! არ დაგავიწყდეს, მარტო ინსტრუქციის ცოდნა არანაირი ბედენა არაა!.. მაგ ბუშტს მიხვევა უნდა, მოხვევა უნდა, აწევა, დაწევაა საჭირო... ასე რომ, ალია-ბალია, შორს ვერ გავფრინდებით! — ნოდარმა ეჭვის ქვეშ დააყენა დირიჟაბლის გამოყენების ალბათობა.

— იმდენად კი ვიცი, ამ საქმეს რომ ეყოს! ისიც იცით, წეღან ხომ გითხარით, პარაშუტით ვარ ბევრჯერ დაშვებული-მეთქი! სიმაღლის, სივრცისა და საერთოდ ზევიდან ქვემოთ ხედვის შიში არ გამაჩნია! ასე, რომ, მშვიდად იყავით! — თქვა ნოდარის საპასუხოდ ერლომმა, გაიღიმა და მწერალს, მოფერების ნიშნად, ეჭვადქცეულ მოჭუჭკულ ტუჩებზე საჩვენებელი თითი დაუცაცუნა.

— არა, პარაშუტით მეც ვარ გადმომხტარი! დირიჟაბლისა კი რა მოგახსენოთ, ჩემთვის ახალი ხილია მაგი, მაგრამ მერწმუნეთ, იმდენად ვარ დამუხტული და იმდენად ვარ შემართული, პირველი მე ჩავჯდები „კალათაში!" — ნოდარმა ისე მაღლა აიქნია ხელი ემოციების გამოსახატავად, „უაზის" ჭერის სანიავე ურდულიც კი გაიხსნა...

— პრობლემა არ იქნება, თუ, რა თქმა უნდა, დარი არ შეიცვალა! კეთილი ნების დამთხვევაა და, ამ ხანობისთვის „კუკლა" ამინდია! მზე ჩვენი მეგობარიაო და აგერ, აა, სადაცაა თავზე წამოგვადგება!.. ქარი და ნიავი კიდევ ისეა მიმალული ტყე-ბუჩქნარში, გეგონება თბილისელი სტუმრებისა სცხვენიაო...

— ეე, ჯეილებო! მარტო თქვენი ხომ არ გგონიათ ცა და მიწა?.. მეც უშიშარი ვიყავი, ვარ და ვიქნები! არ დაგავიწყდეთ, ბატუტზე მხტომელი ვიყავი ომამდე, ცირკშიც კი წავიჯამბაზე და წარმატებულადაც! — ნანამ ხელები გაშალა და ისევ გააგრძელა, — აქ მე ერლომს იმის ხათრით წამოვყევი, რომ დირიჟაბლის „სკალა-

---

დასასრული. დასაწყისი N 1

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

თაში" ჩავჯდებოდი და იქედან გადავხედავდი ქვეყანას! ეს სურვილი და ნდომა უფრო გამორკეცდა, ნოდარი რომ გამობრწყინდა ჩვენს ექსპედიციაში! იმასაც გეტყვით, წლების უკან ნოდარზე შეყვარებულიც კი ვიყავი და ახლა, ამ მომენტს, ხელიდან ნამდვილად არ გავუშვებ! არაფერი შეგეშალოთ! — ნანამ ისევ შემართა ხელი და ნოდარს გამომწვევად გახედა.

— ქალბატონო ნანა, ეს ხომ უკვე გადაწყვეტილია! რაზეა ბაზარი! კალათაში მე, ნოდარი დე ფუ, თქვენ და ოპერატორი ჩავსხდებით! ერთი კი უნდა იცოდეთ, უჩემოდ ვერც აფრინდებით და ვერც დაფრინდებით! თქვენი ბედი ჩემზეა დამოკიდებული! მე ხომ დირიჟაბლის "შოფერიც" ვარ, შტურმანიც და გნებავთ, მასპინძელიც! თამარის სასახლეში პირველი სადღეგრძელოც ჩვენ უნდა დავლიოთ!.. — ისე თქვა ერლომმა, უმალ გაიფიქრებდა კაცი, დამთავრდა "ოპერაცია", მაღარიჩზეა მიმდგარი საქმეო.

— ვთქვათ და მართლა ვიპოვეთ თამარი ოქროს სასვენებელში, თაფლში დავანებული მეფეთ-მეფე! ირგვლივ ძვირფასი განძეულობები, ხატების ორიგინალები! დაცვის მუმიები და კიდევ ბევრი რაღაცები, რა ვშვრებით მერე? რა უნდა ვქნათ? — მთელი სერიოზულობით იკითხა ნოდარმა.

— ჯერ ვიპოვოთ და მერე როგორ უნდა მოვიქცეთ, მე დაგაყენებთ გზაზე! უფრო სწორად, მე და ჟუჟუნა! — ღიმილნარევი იერით ჟუჟუნას გახედა ნანამ.

ერლომმა გულის ჯიბიდან ოთხად გაკეცილი, ღია ყვითელი, "გახრიგინებული" ქაღალდი ამოიღო, გაშალა, ნოდარს თვალწინ დაუდო და უთხრა:

— აა, ნახე, ეს რუკაა, სამოქმედო ადგილის გეგმა-რუკა! სულ მისხალ-მისხალ არის ნაანგარიშები, საიდან, როგორ, რანაირად!.. ამ საქმესთან დაკავშირებით, იმდენ სპეციალისტს შევხვდი, იმდენ ჭკვიანსა თუ გიჟსა და გადარეულს, მგონი მეტიც კი გამომივიდა ამ "განხრითი" განათლება... ნახე, დაათვალიერე!

ნოდარმა ჟურნალისტს ქაღალდი გამოართვა, დახედა, აქეთ-იქეთ შეატრიალ-შემოატრიალა, მერე თავი მაღლა ასწია და ირონიული ღიმილით თქვა:

— ძვირფასო ერლომ, ეს რუკა ჩემთვის მთლად ჩინური არ არის, მაგრამ კორეულს კი ჩამოგავს! — ირონია სიცილში გადაეზარდა მწერალს, მერე ტუჩებს თავი რომ მოუყარა, გააგრძელა, — მაგრამ არ ვნერვიულობ, იმიტომ, რომ აქ შენ ხარ, ამიტომაცაა, ერთი სული მაქვს, "კალათაში" როდის ჩავჯდებით! — ნოდარმა ხელები მოიფშვნიტა და ღრმად ჩაისუნთქ-ამოისუნთქა — ფილტვები გაახელა, მერე სიმღერადქცეული ლექსის ერთი სტრიქონიც წარმოთქვა: "მე მაინც უნდა ავფრინდე, ავფრინდები და ფრიი"...

...წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ბატონო ერლომ, რუკა-გეგმის მიხედვით, თუ არ მეშლება, აქ უნდა გავჩერდეთ! აი, მანქანის კილომეტრაჟის "შკალაც" ასე გვიჩვენებს! — თქვა შოფერმა და მანქანა გააჩერა.

ერლომი "უაზიდან" ჩავიდა, აქეთ-იქეთ მიმოიხედა, მერე რუკას დახედა, ისევ დაბრუნდა სალონში, წავიდეთო, ხელით ანიშნა შოფერს და სიტყვაც მიაყოლა:

— ეტყობა ეგ კილომეტრაჟი სხვა წერტილიდან არის ათვლილი! იქ რომ მივალთ, იმის ახლოს, გზიდან უნდა გადავუხვიოთ, მინდორ-მინდორ უნდა ავყვეთ და ზედ ქედის დასასრულს უნდა წავადგეთ თავზე! აი, იმ ადგილს, საიდანაც მტრის ურდო ჩაიჩეხა და ამოწყდა!.. იქ ნიშანი მაქვს ჩასმული, ორმეტრიან სარზე მწვანე ხალათი მივანასკვე, დროშის "პონტში", რა! აპა, რავა გგონიათ თქვენ! — ჩამოამთავრა ერლომმა სათქმელი, სიგარეტი ამოიღო, შირიშ-მირიშ მოიყვანა თითებში, მაგრამ არ გაუბოლებია.

მანქანა ათუხთუხდა და ნელი-ნელ დაიძრა...

ისევ ჩამოვარდა სიჩუმე...

გზას გადევნებულ მანქანას ნოდარის ფიქრმაც გასდია...

"ორი აზრი არ არის! ნამდვილად ვიცი, რომ ავფრინდებით!.. მარა, კაცო, რომ შეგვეშალოს რაიმე და იმ უშველებელ ხევში ჩავებერტყოთ შოშია ჩიტის ბუდემოშლილ ბარტყებივით, ეშმაკიც კი ვერ ამოგვკრეფს იქედან! ცოცხალი თუ არა, მკვდრები ხომ მაინც უნდა "დავბრუნდეთ" ოჯახებში!.. სასწაულია, ნანაც როგორ იქაჩება, ხედავ? მამალი ქალი ყოფილა!.. ყოჩაღ შენ, ქალბატონო ნანა!.. მე რა... მე კიდევ... არა, ისა... რო რამე მოხდეს მართლა, ცუდი, კაცო, სასაცილო არ იქნება ჩემი ამბავი? არ იტყვიან, მაგხელა კაცს ჭკუა სად ქონდაო? სად მიეხეტებოდა, ვერ იჯდა შემოქმედთა სახლში ბატონივითო?.. მარა... აგრეც არ არის... ჰო, რაც არის, ეგ არის, სადაც წვრილია, იქ გაწყდეს... მარა... ჰო... ისა... მართლა რომ ჩავინთქათ და ჩავილეწოთ, ჩემს "კეთილ" კოლეგებს იმ წამსვე ენაზე მოუცურდებათ — მამა ყავდა ხაბაზი და ნალბანდობას რა რჯიდაო... შენ გამოლევ უკულმართ მოლაპარაკეს ამ დუნიაზე?.. ვერ გამოლევ, ვერა... იტყვიან და მართლებიც იქნებიან... მამა ყავდა ხაბაზიო"...

ერლომმა "უაზის" "სალონს" თვალი ჩამოატარა... ყველა რაღაცას ფიქრობსო, გაიფიქრა და თვითონაც იქეთ, მღვიმისკენ დაიჭირა გუმანი...

ნოდარმა, თითქოს და მხარი იცვალაო, აქეთ-იქეთ მომიოხარა, მერე ისევ გზად მიმავალ ფიქრს გასდია, წამოეწია, კუდით დაიჭირა და სახე ისევ მოუღიმილდა...

...ქალებიც მდუმარედ ისხდნენ, ალბათ, ისინიც ფიქრობდნენ, მაგრამ რას, კაცმა არ უწყიდა.

"თეამ რომ ვიღაც ქალთან მნახოს, ცაში, კაცო! ცაში! დირიჟაბლის კალათაში, ქალზე ხელგადახვეული!.. ცაში, კაცო, უფლის გვერდით, შოკში ჩავარდება! არადა, მნახავს! თეა კი არა, ქვეყანა გვნახავს!.. ჩვენი ამბავი, ვიპოვით თუ არ ვიპოვით თამარის აკლდამას მღვიმეში, ის მაინც გავა და გადაიცემა ტელევიზიით, დიმა კვერენჩხილაძე იქედან აღებული ჰონორარით აპირებს დარჩენილი სიცოცხლის სიამტკბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობას... რა თქმა უნდა, პრესაც ახმიანდება... ااუ, ამ ყველაფერზე არც კი მიფიქრია!.. მნახავს თეა, რა თქმა უნდა, მნახავს!.. პირიქით უნდა მოვიქცე, იქეთ უნდა დავასწრო, არ გამოგრჩეს, აუცილებლად უნდა ნახო ჩვენი ისტორიული მოგზაურობა-თქო!.. არადა, ღმერთმა ხომ იცის, ნანასთან სულაც არ მქონდა დაგეგმილი „დირიჟაბლობანას" თამაში!.. ესეც „იღბალი" იყო, რა!.. ჰო, ჰოო!.. წარმომიდგენია, როგორ ყელმოღერებით მეტყვის, დედამიწაზე ხომ ვერ დაეტიე და დაკავდი, ახლა ცაში აფრინდი საყვარლებთან ერთადო!.. უკიდეგანო სივრცეში ნავარდიღა გაკლდაო... არ ჩამოგეღნიოს მაქედანო... თუმცა არა, არა, თეა არაა ასეთი ბოროტი, ამ ბოლო სიტყვებს არ იტყვის, უბრალოდ, ვერ გამიმეტებს... მწერლის ცოლობა პატივიც რომ არის და ზვარაკსაც რომ თხოულობს, კარგა ხანია ირწმუნა ესეც... რამდენჯერ უთქვამს თვითონაც მურმან ლებანიძის ლექსიდან ცნობილი ფრაზები: „გიჟის ხალათი გერჩიოს, თოლიგე, მწერლის და მხატვრის ხალათსო"... მარა... მარა, მთლად ასეც რომ არ არის საქმე?.. თეა, თეა, დამიჯერე, დღეს მაინც ვარ მართალი, თანაც ცამდე კი არა, ცის იქეთაც... არ იეჭვიანო რა, ძალიან გთხოვ!..

...თუმცა რაღაცნაირმა შიშმა, დაუნახავმა შიშმა, ნოდარი მაინც მიაყენა კედელთან და გვერდებში გვარიანად უჩქმიტა და უჩქმიტა...

— მოვედით, მოვედით! აი, ეს სარი, ნიშნული, ჩემი დასმულია! აი, „დროშაც" აქ არის! აქ უნდა გავჩერდეთ და აქ უნდა გავმართოთ ცადმფრენი! ამაზე მთელი საალპინისტო და სამაშველო სამსახურები მყავდა დასაქმებული, რომ აღარაფერი ვთქვა დირიჟაბლების ცნობილ სააგენტოებსა და მათ მესვეურებზე!.. ჩავედით, ჩავედით! — მაშინ შემართა ხელი ერლომმა, როცა მანქანამ თუხთუხი მიატოვა.

...ხუთიოდ წუთში მთელი ექსპედიცია დასაქმდა.

...ერლომი განკარგულებებს იძლეოდა.

...დირიჟაბლი მინდორზე „დაასვენეს".

— მონადირეები არ ჩანან! რაშია ნეტა საქმე? — თქვა ჟუჟუნამ და სივრცეს გახედა.

— არაა გამორიცხული, ერთმანეთი ამოხოცეს! — თქვა ერთ-ერთმა შოფერმა ღიმილით.

— ღმერთმა დაგვიფაროს! — პირჯვარი გამოისახა ნანამ.

— ეჭვები ხევში რომ მოვისროლო, ერთხელ კიდევ მინდა გადავამოწმო, — ერლომს მკლავში გამოსდო ხელი ნოდარმა და გვერდით გაიხმო, — რაც ხდება ახლა და რაც უნდა მოხდეს, ყველაფერი მართლა გავლილი გაქვს? ცოტათი მაინც ხარ მართლა ნავარჯიშები?.. ჩემი თავი ჯანდაბას, შენი ზვარაკი ვარ!.. მარა, ეს ქალი, ოპერატორი კიდევ და შენ, ძმაო!.. არ ჩამეხოცოთ ხეობაში!.. ეშმაკს მართლა რომ არ ძინავს, ეს ნამდვილად ვიცი! ჩემი თვალით მაქვს ნანახი!..

— მწერალო, რა დროს ეშმაკები და ჭინკებია, აქეთ მოიმართე, სასწაულები წინ გველოდება!.. თუ ღმერთი გაგვიწყრა, საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანეთ, ისევ ღმერთის ბრალი იქნება და არა ჩვენი!.. ერთხელ ხომ უნდა მოკვდეკაცი!.. ჰოდა, რაღა ლოგინს მიჯაჭვული, ნაწამები და ნაწამლები უნდა აღესრულო! აგერ არაა ფრანგული დირიჟაბლი და ქართველი ჟურნალისტის იდეები?.. ზევით მოწმენდილი ცა და სივრცე, ქვემოთ კიდევ მწვანე ბალახი და მშვენიერი ტყე? რაღა გინდა უკეთესი!.. ჰოდა, ეშმაკიც აგერ არაა წამოწოლილი მხართეძოზე? მღიმარე ეშმაკი! მისი ერთი ხელის დაბანაა — ჩაშლილი ფრენა, ჩაფუშული დირიჟაბლი და ბოლო „სიკეთე" — მიწაზე ტყაპანი! სულ ეს არის, მორჩა და გათავდა! — ხელები დაიფერთხა ერლომმა და გადაიხარხარა.

— ახლა კი იცინი, მარა, კლდეს რომ მიეთხლეპები გალაყებული კვერცხივით, მერეა საქმე! — თქვა ნოდარმა იჭვნეულად და თვითონაც გაიცინა.

— ბატონო ნოდარ, ხომ არ დაგავიწყდათ, მეც რომ აქ ვარ, ბატუტზე მხტომელი და ცირკის ყოფილი ჯამბაზი! თქვენი „ჰოდას" თქმის არ იყოს, ჩვენი აქ შეყრა მეტი რას უნდა მივაწეროთ, თუ არა სასწაულს?.. ჰოდა, მე კიდევ, მთელი ჩემი ცხოვრება, სასწაულების ყოველთვის მჯეროდა და ახლა, ახალი სასწაულის მოხდენის მოახლოებისას, რა დაუდგება ჩემს დაჯერებას წინ! ეჭვვიც არ მეპარება, მღვიმეს ნამდვილად დავიპყრობთ! — ნანამ ისეთი „შემართებით" წარმოთქვა ბოლო ფრაზა, ვინმე ყიამყრალს პირზე რომ ჰქონოდა მომდგარი — ეგ სიბრიყვე ძვირად არ დაგიჯდეთო, უმალ ენაზე შეახმებოდა სათქმელი.

— ხომ ხედავ, ცოტათი შეშინებულო ჩემო მწერალო, რა შემართებაა გუნდში! რაო, არა? არ გეშინია? კი, ბატონო, ბოდიშს გიხდით, მაგაზე იოლი რაა!.. მაშ ასე და ერთი სიტყვით, სანამ დირიჟაბლის გაბერვას დავიწყებდეთ, მფრინავი ბურთი სამი მხრიდან უნდა დაებას თოკებით! ეს თოკები „ლებიოტკებში" იქნება დახვეული — აუშვებ — დაგრძელდება, უკან დაახვევ — დამოკლდება! „ლებიოტკების" მართვა მანქანის აკუმულატორების ხარჯზე მოხდება!..

— ბატონო ერლომ, „ლებიოტკები" თუ არ დავამაგრეთ მიწაზე, ეს ბურთი, რომ გაიბერება, ჰაერში აიტანს ყველაფერს! — შეწუხებული იერით თქვა ვასო სანდალმა.

— ბატონო ვასო, ეგ ცოტათი კი არა, ისე უნდა დამაგრდეს, ისე მდგინედ უნდა „დასაფლავდეს", ძვრა ვერაფერმა ვერ უნდა უქნას! მაგისთვის მთელი „რკინა-კავეული" მაქვს წამოღებული! ჰო, კიდევ, გეოლოგიურ-ალპინისტური გათვლები რომ დავიცვათ, ნახაზის მიხედვით, ამ ნიშნულზე ცენტრალური თოკი დამაგრდება, აქეთ-იქეთ, ოცდაათი მეტრის მოშორებით — გვერდითა თოკები! ეს ყველაფერი იმიტომაა საჭირო, ბურთმა თავის „ნებაზე" არ „ისეირნოს"... ყველაფერი ხუთიანზე იქნება თუ ერთმანეთს „სინქრონულად" მივეხმარებით!.. დირიჟაბლს ორივე მხარე ვმართავთ! ჩვენ ქვემოდან რაციით ვკარნახობთ, აქეთ, ან იქეთ მიგვიწ-მოგვიწიონ ბურთი! რაც შეეხება ვერტიკალურ მდგომარეობას, მის ადგილზე „დამოქლონებას", ეს ჩვენს პრეროგატივაში შედის!.. ძრავების ჩართვა, „ფარსონკით" ცხელი ჰაერის შეშვება, გამოშვება, ტემპერატუ-

რის დაგდება, მომატება, ამას ყველაფერს მე გავაკეთებ... და, აი, როცა „დირიჟაბლი" იქამდე ჩავა, კლდეში ჩაშენებულ კედელს რომ გაუტოლდება, ანუ დაუპარალელურდება, მერე იწყება ჩვენი დედალ-მამლობა, გასაგებ ენაზე რომ ვთქვა — ჩვენი ვაჟკაცობა!

— კაი, ჩავედით იქამდე! დავესწორეთ მღვიმეს! მერე? მერე რა ვშვრებით! შენ არ თქვი და ნახაზშიც ასე არაა, ათ მეტრზე მეტია მღვიმემდე მისასვლელი მანძილი? როგორ მივალთ იქამდე? რაიმე სასწაული უნდა მოხდეს? — ხელები მოიფშვნიტა ნოდარმა და სიგარეტი ისე ღრმად დაანაფაზა, ორი კი არა, ოთხი ფილტვიც რომ ჰქონოდა, იმასაც კი „შეავსებდა" მყრალი ბოლი.

— ხომ ვთქვი, დედალ-მამლობა მაშინ დაიწყება, იქამდე რომ დავეშვებით-მეთქი! მარა... შენ, კაცო, რავა ისე მეამიტები, ვითომ ბავშვობაში არც ერთი სათავგადასავლო წიგნი არ გქონდეს წაკითხული! იქ ყველაფერი მწერლის „ფანტაზია" და მისი „გამონაგონი" „ოსტატობა" და მოხერხებულობა გვხიბლავდა, აქ კი, ნახავ, რა მათემატიკური სიზუსტით ვმოქმედებთ!

— მაინც! მაინც როგორ? — არ მოუთმინა ნოდარს გულმა.

— მთელი გზა ამის შესახებ ვყვებოდი და ნუთუ შენ ერთი ფრაზაც კი არ დაგრჩა ყურში! — ეწყინა ერლომს, — არაა ძნელი საქმე, გავიმეორებ კიდევ!

— ძალიან კარგი! აბა, მიდი! კოლეგებო, თქვენც მოუსმინეთ, გამეორება ცოდნის დედაა! — ნოდარმა ფუსფუსი მაიტოვებინა და ნარჩენ „ექსპედიციალისტებს".

— მშვილდ-ისარი ხომ გჭერია ხელში! აი, ისეთი, ქართული წარმოშობის იარაღად რომ მოიაზრება! მაგას მშვილდი შინდის ხისა აქვს! რაც უფრო მსხვილია და როკებდასხმული ტარი და რაც უფრო ღონიერ მკლავსა და მაჯას უჭირავს, მით უფრო შორს ისვრის ისარს! მაგასაც ხმარობდნენ ჩვენი წინაპრები ლაზოების სასროლად! აი, მებადურებიც მაგეთი სისტემისას ხმარობდნენ დიდი თევზების დასაჭერად! აგერ მაქვს მანქანაში! ეს თითქმის თოფივითაა, სასხლეტზეა! ამ საქმისათვის მისწრებაა! ამის ისარი ჩაკეცილი სამკაპია! გაისვრი, თოკი გასრიალდება ჰაერში, ისრის წვერი მოხვდება თუ არა წინაღობას, გაიხსნება და ბორჯღალად იქცევა! მერე მიდი და მოქაჩე აქეთ, რაღაცას ხომ გამოედება რკინის მოხრილი წვეტი, კარის ზღურბლს, ფანჯრის ჩარჩოს... სულაც სხვას ისეთს, ერთი კაცის წონა რომ დაიჭიროს! მერე მე იმ თოკზე გავალ, სამკაპს საგულდაგულოდ დავაბამ და მერე თუ გინდა უთვალავ ჯარსა და დესანტს გადავსხამ მეფის საუფლოში...

— კი, მარა, ოპერატორზე რომ არაფერი ვთქვა, ნანა როგორ გამოვა თოკზე? არ გადამრიო! შენ, ბიჭო, მართალი ხომ არ გეგონა მაგის ხუმრობა, ცირკშიც კი ვიჯამბაზე ბავშვობაშიო? რა ცირკი, რის ცირკი და ვინ ოხრობის ჯამბაზი...

— ჰო, თვარა, შენ ერთი ფეხი არ დაგიცდება თოკზე, აი! შემოქმედთა სახლის კიბეზე ისე ვერ ასულ-ჩამოსულხარ, კოჭი რომ არ წაიფორხილო, — გაიცინა ჟურნალისტმა და გააგრძელა, — ჩელტი ხომ გინახავს, გაგიგონია, წაგიკითხავს წიგნებში, მდინარეებზე რომ არის გაბმულ-გადებული! კიი? გაიხსენე? კაია! ჰოდა, იმას ვამბობდი, ქვემოთ, რიონზე, ორგან თუ სამგანაა გაჭიმული, საცალფეხო ხიდი, ბიჭო, ჰოდა, აი, სწორედ ისეთი, იმას მიმსგავსებული, მაქვს წამოღებული, სულ გვირისტითაა შეკერილი, ბამბუკისაა, ქარივით მსუბუქია... აგერ დევს „კალათაში"... ჰოდა, ჩემო ძვირფასო, რომ გავჯამბაზდები ნასროლ ლაზოზე და იქედან რომ გამოგძახებ, გამოუშვი ხიდი-თქო, მერე შენი თვალით ნახავ, დირიჟაბლიდან კლდეში ჩაშენებულ სასახლემდე რა ფიანდაზის გზა გაიშლება... მერე გაგიხარია, ფანტაზია დამთავრდა, გადი და გამოდი რამდენიც გინდა!.. ესიც იცოდეთ, დირიჟაბლი არსად არ წავა, თუ მაინცა და მაინც რხევა დაიწყო, ტვირთს ქვემოთაც ჩავკიდებთ და ისე დავამოქლონებთ! — ჩამოაყალიბა ყველანაირი „ვითარება" ერლომმა და სიგარეტიც გააბოლა.

...ამასობაში მონადირეებიც მოვიდნენ.

— სად ხართ ამდენ ხანს, თითქმის მოვრჩით „შავ" საქმეს! — წყრომა გამოხატა ერლომმა.

— ბატონო ჟურნალისტო, რვა საუკუნეა გველოდება ქალბატონი თამარი და ერთი საათიც რომ დაუმატოს იმოდენა წლებს, არაფერიც არა უშავს! ანდა, სად წავა, ჩვენს იქეთ გზა მაინც არა აქვს! — ზურამ ხუმრობით სცადა ერლომის დამშვიდება.

— რა მაგის პასუხია და ოთხი როჭო მოვინადირეთ! მხოლოდ მამლები! დედლების მოკვლა ამ ეტაპზე არ შეიძლება, ბარტყობენ!.. აქეთ შველიც უთვლელად ყოფილა... ბევრი დია ჯიმამ, მაგარი ძაღლია, ახლაც დასდევს, აი, მიაყურადეთ, აქამდე აღწევს ყეფის ხმა...

— სამი გენომ მოკლა, თოფის სროლა არ მაცალა, კაცო! მეოთხე მე მოვკალი, მაგრამ ბოლომდე ესეც არა მჯერა, მანაც კი ესროლა და... — დაიმორცხვა საშამ.

— საქმე, საქმე! — ერლომმა ერთხელ კიდევ შეამოწმა თოკების ჩაბმა-დაბმა, პალოების სიღრმე და სიმაგრე, მერე ძრავები გასინჯა, მუშაობს თუ არაო... ჰაერის გამაცხელებელი „სფარსონკაც" ჩართო... ყველაფერი რიგზეაო, თქვა და "აბჯარის" ასხმა დაიწყო... რაცია, თოკები, ქამანდები, ხელთათმანები... ისეთი „რაღაცებიც" კი გაირჭო ქამარში, მოიგდო მხრებზე, ნოდარი აზრზეც რომ არ იყო...

პატივცემული ოპერატორი, დიმა კვერენჩხილაძე, ისე „დაწვრილებით", დეტალურად იღებდა ყველასა და ყველაფერს, ისე რუდუნებით მუშაობდა, ინგლისური ჯიშის ფუტკრის რა მოგახსენოთ, შრომისმოყვარეობით განთქმულ რაჭულ ფუტკარსაც კი შეშურდებოდა.

...საბერველმა ისეთი ქარი "გამოუშვა", ერთ დირიჟაბლს კი არა, მთელ რაჭას ეყოფოდა ცაში ასაფრენად.

ნელი-ნელ „ფეხზე" წამოიმართა დირიჟაბლი...

ვებერთელა მფრინავი ბურთი ისე ლამაზად იყო ნაკეთები, ისეთი ფერად-ფერადი ნაჭ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით იყო შეკერილი, ერთი წუთხანობა, მის დასათვალიერებლად, მზემაც კი მოიკეცა მუხლი ტატნობის პირას...

...ცოტაც და „კალათაში" აპარატურით მოკალათებული ბატონი დიმა უკვე "ზეციდან" იღებდა ისტორიულ კადრებს.

...დირიჟაბლი მართვაში მოიყვანეს ბიჭებმა.

...ერლომი რაციით იძლეოდა განკარგულებებს.

...დრო-წამი იყო თუ დრო-წუთი, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, კაცი იფიქრებდა, ცამაც და მიწამაც ენა გადაყლაპაო.

— „მე მაინც უნდა ავფრინდე, ავფრინდები და ფრიიი!" — სიჩუმე დაარღვია ნოდარმა და ზეციდან ისე გადახედა ხევში ჩავარდნილ რიონს, ჩემი შენსას ჯობიაო, ამის თქმაც კი დააპირა მწერალმა, მაგრამ მედიდური რიონის მოერიდა და სიტყვა ენაზე მიიჭრა...

...დირიჟაბლი ისე „ემორჩილებოდა" ერლომს, კაცი იმასაც კი იფიქრებდა, ეს მამაძაღლი ამ კალათაში ხომ არ არის დაბადებულიო...

...„მფრინავი ხალიჩა" კარგა მანძილით დაშორდა ხასხასა ბალახოვან ქათიბს.

— კარგია, კარგი, ბიჭებო! თოკებს უყურეთ! ახლა ხეობისკენ დავიწყებ გადახრას! აი, დავიწყე! ხომ ხედავთ, ბურთიც მომყვება! საშა, ჩემიდან მარჯვნივ, თოკი შენსკენ გადაახვიე! კი არ გაითიშო, აკუმულატორზე ჩართულ პულტს დააჭირე თითი და "რულეტი" თვითონ გადაახვევს! შენ მაგი არ გესწავლება! — ერლომის რაციიდან ისე მკვეთრად ისმოდა ხმა, ყრუსაც კი გაუხელდებოდა სასმენელი.

— არის, უფროსო! ვახვევ უკან!

—„სტოპ!" „სტოპ!" — ერლომმა ხმითაც და ხელის მოძრაობითაც აჩვენა საშას, კარგიაო!

ნოდარმა წუთით რაცია გამოართვა ერლომს და წაუმღერა:

ზევით ნოდარ ხატისკაცი,
ქვემოთ ვასო სანდააალიიი,
იქვე ბუღა ჯიბუტი და... —
ადანდალი, დანდალიიიი...

დირიჟაბლის „გამცილებლებმა" ნოდარის წაღიღინებაზე მქუხარე ტაში დაჰკრეს...

— საშა!.. გენო!.. ყურადღება არ მოადუნოთ, პალოებს არ მოცილდეთ, საშიშია, არ ამოძვრეს!.. მაგით ქვეყანა არ დაიქცევა, მარა, დირიჟაბლი კი გაიქცევა... ჩემს გარდა ყური არავის და არაფერს ათხოვოთ!.. აი, ჩავდივართ!.. ძვირფასად არის გათვლილი!.. ჯერჯერობით ხუთიანზეა ყველაფერი!..

— ნოდარ, გადახედე რიონს, მგონი გაჩერდა და ისე გვიყურებს! — ნანამ ხეობისკენ გაიშვირა ხელი.

— ფრენამ პოეტობა იცის! — გაიცინა ნოდარმა და ქალს ხელი გადახვია.

— კარგია, გადავიღე, ბუნებრივობა მიყვარს კადრებში! — თქვა დიმამ და ობიექტივი ახლა ერლომს დააფოკუსა.

— რა დროს ეს არის, მარა ბიჭობაში ცხენები თუ დაგიჭერია, აი, იალაღზე გაშვებული, გასივსივებული ცხენები... — ნოდარმა ირიბად გახედა ერლომს.

— ვისაც არ უნახავს, ის არც დამიჯერებს! ისე ვისროდი ქამანდს, ისეთი ქამანდარი ვიყავი, მეჯინიბეები გულზე სკდებოდნენ! — გულიანად დაიფიცა ჟურნალისტმა.

— აპა, მოგვწყობია ხელი! აა — ბურთი, ამხელა ბურთი და აა — მოედანი, ამხელა პიტალო კლდე! მიდი, მოვდივარ! — ნოდარმა ჯერ კლდესა და ზედ ჩაშენებულ კედელს შეავლო თვალი, მერე კი ნანა ჩამოათვალიერა რატომღაც.

— საშა! საშა! გენო! გენო! ჯერ შუა თოკი გადაახვიეთ თქვენსკენ, მანძილი შემცირდება ბურთსა და მღვიმეს შორის! მერე საბორტე თოკებიც ჩაამოკლეთ! მე დირიჟაბლის ძრავს გამოვრთავ და ადგილზე „გავყინავ" მფრინავ ხალიჩას! — ერლომის ხმა ისე მკაფიოდ ისმოდა გაღმა-გამოღმეთში, კაცი კი არა, ჩიტი რომ ჩიტია, ისიც კი იქეთ მიაქცევდა სასმენელს, რა ამბავია, რა ხდება ზეცაშიო...

...ერლომმა პირჯვარი გამოისახა, მერე მშვილდისარქამანდი გამართა და ლაზო სარკმელს „ესროლა".

— დაგიცდა, ბაჩუკი! — ღიმილით უთხრა მწერალმა ერლომს მაშინ, როცა სამკაპადქცეული ქამანდი ძირს ჩამოვარდა.

— შენ ახლა ეგ თოკი ამოახვიე, მე მეორეს გავმართავ!.. განა ერთი და ორი მაქვს წამოღებული!.. ისე, ამ საქმეს მარტო ის არ შველის, კარგი ჩუბინი იყო, იღბალიც უნდა, უცხოელები ფორტუნას რომ ეძახიან, აი, ის, ამხანაგო მწერალო! — დამოძღვრა ერლომმა ნოდარი.

— კაი, ბატონო, ერთი მიპატიებია!..

— კამერა ჩართულია, ვიღებ, ისროლე! — გაისმა კვერენჩხილაძის ხმა.

...ისევ დაუცდა ერლომს.

...ამასობაში „კალათამ" ძირს დაიწია. ერლომმა უმალ „ცეცხლს" შეუნთო, „გული" გაუცხელა დირიჟაბლს.

...ნანა შეწუხებული სახით გასცქეროდა პიტალოზე თეთრად ჩაშენებულ მღვიმის კედელს და, რატომღაც, ფრჩხილებს ძირის-ძირობამდე იკვნეტდა.

— ვაშა! ვაშაა! — ყოჩაღ, ერლომ! ქამანდი თავის ზედკაპით ფანჯარაშია! — ისე გაეხარდა მწერალს ჟურნალისტის „ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა", ამის აღსანიშნავად ნანას გადაეხვია და ისე გულიგულ აკოცა, საქორწინო მოგზაურობის დაწყების რიტუალს მოაგონებდა კაცს...

— ესეც გადაღებულია! დიდებულია! მიყვარს ნაღდი კადრები! — თქვა გამარჯვებულის იერით ოპერატორმა და აპარატი ისევ გააჩხაკუნა.

— შენ, ბიჭო, ღმერთი არ გაგიწყრეს და ეს, ფოტოებია თუ ცოცხალი დინამიკა, ეთერში არ მოახვედრო, ეკრანზე არ გაუშვა, თორემ ჩათვალე, მეორე დღეს ცოლი აღარ მეყოლება, უმალ გამეყრება!.. აზრზე მოდი, იმან რომ ეს ნახოს, ცაში, კაცო, ზეცაში, ცაკრიალზე, ღმერთის საუფლოში ლამაზ ქალს ვეხვევი და ვკოცნი, დირიჟაბლის თანხლებით, რას მელაპარაკები, არ მითხრა მეორედ, ჩემს პატიოსნებას

ოდესმე დაიჯერებს? არანაირ და არავითარ შემთხვევაში!.. ამ კადრების ნახვა, თანაც ახლო „პლანით"?.. ეგ არის და გორის ციხე — წვალებით აშენებულმა ოჯახმა მოგჭამა ჭირი! — შეწუხებული იერი დაედო მწერალს.

— კაი, ბატონო, კაი!.. ინტიმისნაირებს ამოვჭრი, მარა, იცოდე, არქივში „ამეებ-იმეებს" მაინც შევინახავ!.. რა ვიცი, როდის დამჭირდება! — ამასობაში კვერენჩხილაძემ ბატარია გამოუცვალა აპარატს და ობიექტივი ახლა ერლომს მიუშვირა.

— ბიჭებოოო!.. საშა, გენო, ვასოოო!.. ქალბატონო ჟუჟუნაა!.. გაიხარეთ და გაიხარეთ, თოკი გაბმულია, ვიწყებ ჯამბაზობას, ჯამბაზობაააას!.. ჩემი გესმით? — ჩაჰყვიროდა რაციას ერლომი, — ჰოო, ძალიან კარგი, ძალიან კარგი!.. მაქეთ არ შეგეშინდეთ! აქეთ კიდე ნანას ვერ ვაკავებ, ქამანდზე გასვლას უჯოხოდ აპირებს!.. ყურში ჩამძახის, ფეხის გულები მექავებაო, თავი ცირკის არენაზე მგონიაო!.. რომ იცოდეთ, მწერალმა ფერი დაკარგა! მაგარი ბიჭი ვარო, რომ ამბობდა, აგერ გამოჩნდა ცაში!.. აპა, ჰე, აპა, ჰო!.. ვიწყებ სივრცის დალაშქვრას, წავედი! — „კაცობრიობის" გასაგონად ჩასძახა რაციას ერლომმა, მერე ქამანდს ჩამოეკიდა, მოქაჩა და მოქაჩა — „წაეჭიდავა" თოკს, მერე კი ხელების გრძელი „ნაბიჯებით" მღვიმისკენ გაემართა.

„მიზანი, როცა სიცოცხლეზე მეტია, მიუღწეველი არასდროს იქნება," — უთხრა თავის თავს მწერალმა და გულზე ხელი დაიდო.

...ცა და მიწა, დღემოსწრება ერთმანეთს თვალებში რომ შესცინინებენ, ახლა აქეთ მოექცნენ და ჟურნალისტს გულიგულადად მიაყურადეს.

— ნანიკო, გზა დამილოცე, გზა!.. თუმცა გზა რა შუაშია, თოკი დამილოცე, თოკი! — ენა იბრუნა აქეთ ერლომმა.

ნანამ პირჯვარი გამოისახა, მერე ნოდარს მიუბრუნდა, მკლავზე ხელი მოუჭირა და ჩურჩულით უთხრა:

— ხომ შეიძლება, ქამანდი ასხლტეს? მერე... მერე რა გვეშველება?

— მიწამდე და ტყემდე იმხელა მანძილია, მინდვრად რომ იქცეს, ქალაქს ააშენებს კაცი!.. ბევრი-ბევრი, ძალიან შეეშინდება... თუმცა მაგას ისეთი მაგარი გული აქვს, შიში ვერაფერს დააკლებს... შენ არ ინერვიულო, გავა გაღმა, ეჭვიც არ შეგეპაროს... ხომ ხედავ, რა დაჯერებულად „მიაბიჯებს"... — ნოდარმა საკუთარ სიტყვებს თავისი შიშიც ამოაფარა.

— ღმერთო, გვიშველე! ღმერთო, დაიფარე ერლომი! — ხმამაღლა თქვა ნანამ და მერე კი, რაღაც ლოცვა, თავისთვის ჩაილაპარაკა.

ერლომი „მიაბიჯებდა"...

— მე მგონია, ჟურნალისტები მწერლებზე მაგრები არიან!.. ნახე, კაცო, ლამისაა, ნახევარს გაცდა! — ზეცის გასაგონად თქვა ნოდარმა და ნიკაპი მოისრისა.

— ოპერატორები ყველაზე მაგრები ვართ! — ნოდარის სიტყვებს თავისი დააწია დიმამ, მერე კი აპარატს ობიექტივი გამოუცვალა და ისევ ნოდარს მიუშვირა.

ერლომის მოძრაობაზე დირიჟაბლი მსუბუქად, მაგრამ მაინც უსიამოდ ირხეოდა...

დიმა ისეთი რუდუნებით იღებდა, ლამის „ჩაძვრა" აპარატში...

— გამოგვივიდა, გამოგვივიდა! ეს ეტაპიც გამოგვივიდა! ორი მოძრაობა კიდევ და ერლომი სარკმელს მიადგება! — სიხარულით თქვა ნანამ და ამის დასამტკიცებლად, საჩვენებელ თითს ცოტაზე შემორჩენილი ფრჩხილი ბოლომდე მოაკვნიტა.

— ერთი... ორი... ერლომი უკვე სარკმელთანაა!.. ყოჩაღ, ძმაო, ყოჩაღ! — ნოდარმა ისეთი ხმით დასძახა ხეობას ზეციდან, მართლა რაღაც ხდებაო, ამის დასანახავად, რიონის წყალმა ერთხელ კიდევ იბრუნა თვალი ფოცხვრების ქედისკენ.

— ბიჭებოო, ბიჭებოოო... გავედი, გავედიიი... მღვიმეში ვარ, მღვიმეშიიი!.. ჟუჟუნ, ისტორიული მომენტია, დრო აღნიშნე, დროოო! — ჩასძახა ერლომმა რაციას და გამარჯვების ტაშიც შემოჰკრა.

— საშა, დაასხი, ბიჭო, ეგ არაყი, ვის უნახავ!.. ნერვებს მოფხანა ხომ უნდა! ჟურნალისტის გამარჯვების გადავკრათ!.. მაგარია, რა!.. ამხელა ცაში გამოეკიდო, რას ამბობ შენ!.. მართლა მაგარია!.. სიმართლე რომ გითხრათ, არც მეგონა და კიდეც მეგონა ამ საქმის რაღაცები!.. უფრო მეტად ცუდის შიში მქონდა... მაგრამ როგორც ვხედავთ, ამ ეტაპმა კარგად ჩაიარა, ღმერთი გვიდგას გვერდით! — თქვა გენომ და, არყის მოლოდინში, ხელები ისე მოიფშვნიტა, სახსრებში მიმალულ მარილებს ყოფა უტირა...

...თითო ჭიქამ გაირაწკუნა.

— ნოდარ, ახლა ეგ „ჩელტი" გამოშალე, გამოვაჩოჩებ, ჩემამდე გავიტან, დავაბამ, დავაიმასქნებ და მერე გინდა გამოდი და გინდა გადი! იარე რამდენიც გინდა! მთავარი ერთი კაცის გასვლა იყო!.. აპა, ჰე, გამოშალე, ნელ-ნელა გამოშალე, შენ გადაღება არ შეწყვიტო, ბატონო დიმა! თქვენ კი დირიჟაბლს დააკვირდით ქალბატონო ნანა, აპა, ჰე! — ერლომი ახალ დავალებებს ახლა უკვე გაღმიდან იძლეოდა.

— ჟურნალისტ-ალპინისტ-მღვიმისტო, ნანამ თქვა, დირიჟაბლმა ძირს დაიწიაო, რა ვქნა, „ცეცხლი" შევუნთო? — გაჰყვირა მწერალმა ერლომს.

— ხუთი ქშენა ჩააყლაპე! კაი, შვიდი იყოს! — გამოსძახა მწერალს ერლომმა.

— არის ხუთი-შვიდი ქშენა! — თავი დააკანტურა ნოდარმა და „ცეცხლი" გახსნა.

„ღმერთო, დიდო ღმერთო! ქვეყნის გამგებელო, ქვეყნიერების გამრიგევ, აჩუქე დღევანდელი დღე ჩემს ქვეყანას!.. ჩვენს ბიჭებს!" — თავისთვის ჩაილაპარაკა ნანამ და პირჯვარი სამჯერ გამოისახა.

— ჩელტი დაბმულია!.. სახელურებიც გაბმულია! დიმა, ხომ ხედავ, რა ხიდი და ფიანდაზი გაგიშალე, წამოდი, გამოდი, ჯერი შენია! — ერლომმა დიმას „გადაყვანის" ბრძანება გასცა.

დიმამ ჩელტის საფეხურს ფეხი დააბიჯა, მისინჯ-მოსინჯა თოკ-ხიდის სიმაგრე...

წამით ცამ და მიწამ ერთმანეთს შეხედეს...

მოფერების ნიავმაც ამოიარა ქვემოდან ზემოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნოდარ, ნახე, ბიჭო, ისეთი ლამაზი ხიდი გამოვიდა, ავ თვალს არ ენახვება!.. თავი რაღაცნაირ, გრძელ სიზმარში მგონია! — ნანამ მაშინ უთხრა მწერალს, როცა დიმამ შუა „გზა" გაიარა.

— უშიშრად მიდის! ისე მიდის, გეგონება, ერთი წყვილი ქალამანი ამ ჩელტზე სიარულში აქვს გაცვეთილიო!.. ეგეც მაგარი კაცი ყოფილა! — ნოდარმა დიმას სიჩაუქე მოიწონა და, ოპერატორის ყურებაში, ნანას ცოტაოდენ მოეფერა კიდეც.

...კვერენჩხილაძე მთელი სიფრთხილით „მიაბიჯებდა" და მიითვლიდა გაშლილ საფეხურებს, მაგრამ ჩელტი მაინც ისე ქანაობდა, თითქოს უკიდეგანო ზღვაში პატარა ნავს ტალღები ეარშიყებიანო.

— ისტორიული მომენტია!.. რომელი გამოვა თქვენიდან პირველი?.. ნანა? თუ შენ, უკვდავო მწერალო!.. კენჭი ყარეთ, კენჭი! — გამოიძახა ერლომმა დირიჟაბლისკენ, მერე კი გააგრძელა, — უპრიანია და თანაც ზრდილობაში ჩაგეთვლება, პირველობა ქალბატონს დაუთმე, ჯერ ნანა გამობრძანდეს! — უფროსობას არ იშლიდა ერლომი.

— კარგი, უფროსო!.. არის, უფროსო!.. ნანა მოემზადე! გული ხელში დაიკავე!.. აპა, ჰე!..

ნანამ პირჯვარი გამოისახა...

ნოდარი ქალს ჩაეხუტა — მოეფერა და მოეფერა... მერე აკოცა და აკოცა...

ცამ და მიწამ კიდევ შეხედეს ერთმანეთს...

...ის იყო, ნანამ „კალათიდან" ფეხის გადადგმა დააპირა, რომ თოფი გავარდა.

...სროლის ხმამ და აქეთ-იქეთ შეხლილ-შემოხლილმა ექომ ტანხორკლი დააყარა ხეობას, რიონსაც კი გააჟრჟოლა უსიამოდ.

...თოფის გასროლა იყო და დირიჟაბლიც შექან-შემოქანდა, უდროო დროის გაზმორებას გავდა ცათმფრენის შეტორტმანება.

ნოდარი ხელების მოძრაობით „დაელაპარაკა" ერლომს, რა მოხდა, რა უნდა მომხდარიყოო... რისი ხმა იყოო... რა გვჭირსო...

ჟურნალისტმა რაციით ანუგეშა ნოდარი — მე მგონი ხეობაში მონადირეები ისვრიანო...

...კიდევ გაისმა სროლის ხმა... უფრო ძალუმად შეირხა დირიჟაბლი...

...ნანას სუნთქვა გადაეკეტა.

...თოფის ხმამ რიონის ჩაყოლება, ხევი-ხუვ ჩაიარა, შიშველ გორა-ფერდებს მიელახ-მოელახა და ექო-ექოდ ჩამოიშალა ხეობაში.

— ერლომ, ბიჭო, ერლომ, მგონი ჩვენ გვესვრიან! დირიჟაბლი ყოველ სროლაზე ირხევა და ძირს იწევს, დაბლა ვეშვებით! — ნოდარს თავზე წამოადგა ნამდვილი შიში.

— „ცეცხლი" შეუნთე! ბოლომდე შეუნთე! ცეცხლი, ცეცხლი! — ერლომი მაშინ აყვირდა გაოგნებით, როცა მიხვდა, რომ მონადირეები ნარდის კი არ ესროდნენ, დირიჟაბლს ცხრილავდნენ...

...მწერალი საგონებელში ჩავარდა.

„ქმარყოფილი გვესვრის... ჩემი ყოფილი ქმარი, ნაძირალა ვაჟბატონი ასრულებს მუქარას... ჩიტებივით ჩამოგყრითო, ხომ დამემუქრა იმ დღეს და, აი, ასრულებს კიდეც"... — გაიფიქრა ნანამ და ღაწვებზე ჩამოგორებულ მწარე ცრემლებს ხელი ჩამოაყოლა.

...წამით თითქოს ყველაფერი გაჩერდაო, მაგრამ აგრეც არ იყო საქმე — შიში ისე შიშნარევად გადი-გამოდიოდა დირიჟაბლიდან მღვიმემდე, თვალის დახამხამების ხმას გაიგონებდა კაცი.

— ნანიკო, ნაღდად ჩვენ გვესვრიან!.. შეიძლება მფრინავი თეფში გონიათ და იმიტომ ისვრიან!.. არ შეგეშინდეს, ჩვენ უკვდავები ვართ! ჩვენ არ დავიხოცებით!.. სიკვდილი ზეცაშიც მოიცდის!.. — ქალის გამხნევება სცადა ნოდარმა.

შეშინებული და ატირებული ქალი ნოდარს ჩაეკრა... ჩაეკრა და...

...ხეობაში ორჯერ კიდევ დაიქუხა თოფმა.

...თითქოს „დევს" გულში ახლა მოარტყესო — ნაოჭ-ნაოჭა დაიხრიგლა დირიჟაბლი... მერე კი ისეთი ძალით ამოიქნიშა „ბურთის ფილტვებიდან" ჰაერმა, კაცი იფიქრებდა, ეს არის, დევს სული ახლა ამოხდაო.

...ეს იყო და ნახევრად ჩაფუშული დირიჟაბლი ქარაფისკენ მთელი სიმძიმითა და სიჩქარით „დაეშვა".

— ნოდაარ! — ილრიალა ერლომმა.

— ნანაა! — ყვიროდა დიმა.

...ხევ-ხუვისკენ დაქანებული „მფრინავი ბურთი" მიწამდე არ დაშვებულა, თავისკენ მიითრია მღვიმის კარზე გამობმულმა „ჩელტის" ხიდის თოკებმა და დირიჟაბლი ისე ძალუმად ჩამოეფხრიწა პიტალო კლდეს, მის ხმასა და ხმაურს რიონის გაღმაც კი გაიგონებდა გზად მიმავალი მგზავრი.

...ერლომისა და დიმას ყვირილზე ცამ სიბრალულით ჩამოიხედა ძირს, მიწამ კიდევ დაიმორცხვა და გვერდი იბრუნა...

...მარტო იმას, ხეობაში ჩასაფრებულ თოფიან კაცს არ დაუმორცხვებია... შურისძიებით მოგვრილი დორბლი და დუჟი სახელოთი მოიწმინდა, იარაღი ბეჭზე გადაიდო და ტყეში ქუცა თავი...

მარა მიქარა

მზეო

მათბობდე, მზეო, იქნებ დღეს
ცაშიც და გულშიც სუფევდე,
სითბო მოგქონდეს სიკეთეს
ნატრული ქალის უბემდე,
შინ მქონდეს შენი სინათლე,
გარეთ მწვავდე და მრუჯავდე,
ქვიშის მარცვლებში ბზინავდე,
მქონდე მუჭიდან ბღუჯამდე.
დილის სასწაულს დამპირდე,
თვალგასახელად მჭირდები,
ა იმ შორეულ ნაპირზე
გამიყვანს შენი იმედი!
მათბობდე, მზეო, ნეტავ დღეს
ცაშიც და გულშიც ითმენდე,
სხივებს ფარდაგზე ხვეტავდე
და გვირილებში მიფენდე!
მათბობდე, მზეო, მათბობდე,
მწველი ალერსით მხიბლავდე,
ნეტავ, დღედაღამ მნათობდე,
ნეტავ, დღედაღამ გიყვარდე!
ნეტავ, მოგწყინდეს თარეში
სამყაროს პირით პირამდე,
ანდა ნანატრის მკლავებში
გადაგივიწყო დილამდე,
ან უვარსკვლავო ღამეში
ნაკოცნ თვალებში ბრწყინავდე!

ივრისპირზე ვიჩურჩულებ

ალიონზე წივწივები გაგიჟებით
ესევიან ალუბლების ტოტებს ცვრიანს.
ასე რატომ წივწივებენ წივწივები,
წელიწადში ერთხელ რატომ გიჟდებიან?
მე კი ვნატრობ,
მე კი ვნატრობ მოლაღურებს...
რას გაიგებ, ნეტავ, ასე რატომ ხდება —
ფშავის ცივი მდინარე რომ გილამუნებს
და ლურჯი ზღვის
თბილი ტალღა გენატრება?!
საფიხვნოზე გამოფენილ დედაკაცებს
საჭორაო აეშლებათ საღერღელი,
ვინ რა იცის, ბედი საით გაგიტაცებს, —
ბედისწერა, მუხთალი და საკვირველი.
არ იციან იმათ, ჩემი გულის ფეთქვა
ცხრა მთას იქით
ზურმუხტისფერ ტალღებს ერთვის...
ივრისპირზე ვიჩურჩულებ
გვირილებთან —
როგორ ძლიერ მენატრება აფხაზეთი.

* * *

მდინარის პირას კოცონს ვაჩაღებთ,
თითქოს ფითრდება მთვარის ნათელი.
სული მაქვს დილის შუქივით ლაღი,
ლექსით თრობაში ღამენათევი.
არ მიმატოვებ არამც და არამც,
გამიფერადებ ამ სიმარტოვეს,
ღამენათევი ლექსივით ალალს,
წამიკითხავ და შენში დამტოვებ.
გიკოცნი თვალებს და ვვედრი უფალს
ჩემი ცხოვრებაც იყოს ლექსივით.
მადლობა, ღმერთო,
რომ ვგრძნობ და ვსუნთქავ...
რომ ვსუნთქავ პო-თი და პოეზიით!

ლაშარისკენ

ლაშარისკენ ლურჯი ველი მიმაცილებს,
საფლავებთან სევდიანი ფიჭვნარია,
მთები იორს დაშტერებით ჩააცივდნენ,
გზები მთებთან შესახვედრად იჩქარიან.
კლდეზე ცერად კაკალია შემართული,
(ვერ გავიგე, ლოდი ხეს თუ ხე ლოდს ება),
დგას ამაყად ქვის უბეში ფესვგადგმული
და სახლთავთან მზის ამოსვლას ელოდება.
ახლა, ალბათ, ასკილები აბრდღვიალდნენ,
დილის მზეც და ღამის მთვარეც იქ არიან.
ვერ ჩამოვალ, ვერ ჩამოვალ ზაფხულამდე,
ზაფხულამდე ჩემი შვება სიზმარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა წლები გადიან...

როცა შეძლებ გაექცე
გრძნობის მელანქოლიას,
მიხვდები, რომ მას ეძებ,
ვინც სულ გვერდით გყოლია.
თუ მიხვდები გვიან, რომ
ძველი სენით ხარ ავად
და გაბედავ იარო
გრძნობადაუფარავად —
შეეშვები ოცნების
მიუწვდომელ მირაჟებს
და წუწუნს არ მოჰყვები
შენი ბედის წინაშე...
ჰო, სიდინჯის საათია
ბედისწერის დაფაზე —
როცა წლები გადიან,
წუთებს უფრო აფასებ!

სხვა რა მოგიძღვნა

მეც შენთან ერთად ვსერავ ამ გზას —
ძნელს და ეკლიანს,
თან ამიყოლე,
ასაფრენად როცა ფრთებს გაშლი.
სხვა რა მოგიძღვნა —
ჩემი სული მიბოძებია, —
შენი ჩემდამი სიყვარულის
იყოს ფეშქაში!

სიზმრის ელეგია

ასე დაწყებულა ამბავი ამ ღამით —
ფარფატა წამწამი ლოყას შეხებია.
ფარფატა წამწამის ნარნარი ხამხამით
აბობოქრებულა სიზმრის ელეგია.
მბორგავი მკლავები ცამდე აზიდულა,
ვნება დაბინდულა მზერით უცისფრესით,
მარადისობაში წამი გახიდულა,
ნამში გარინდულა წვეთი უმცირესი.
ვნება სუნთქვის ტალღას
მკერდით შელეწვია,
სიბნელეს ებრძვიან ჩუმად ვარსკვლავები.
მხოლოდ შედეგია სიზმრის ელეგია...
მხრებზე გაბნეული დუმან ნაწნავები.

მე ვცხოვრობ

მე ვცხოვრობ —
და ამ ცივ უდაბნოში
ქვიშის უხილავ მარცვალს ვდებ.
მე ვცხოვრობ
და ვნატრობ, ნეტავი,
სულ ცოტაც,
სულ ცოტაც დამცალდეს...
მე ვხატავ
თვალებში სინათლეს
და თრთოლვით მოგიტან ამ ტილოს.
მე ვხატავ,
მინდა ამ ნახატით
უჩემოდ დარჩენა გატკინო.
გიპოვე დანისლულ ფერებში...
პოულობს ზოგჯერ —
ვინც არ ეძებს.
ნეტავ,
არ ვინანო ოდესმე,
რომ შენთან ვიყოფდი სარეცელს!..

უსაზღვრო სივრცე

ალბათ, სიტყვებით
ვერასდროს გეტყვი —
მიყვარხარ ისე!
უგონოდ ვეტრფი შენი თვალების
უსაზღვრო სივრცეს.
რასაც ვგრძნობ შენთან,
ალბათ, მხოლოდ მე თვითონ ვიცი
და მიყვარს ფეთქვა
შენი გულის
უსაზღვრო სივრცის.
ერთმანეთს ვავსებთ,
ვცხოვრობთ, ვფიქრობთ,
ვაზროვნებთ, ვიბრძვით...
და მეც ვარ სავსე
შენი სულის
უსაზღვრო სივრცით.

ქალი-ფიფქები

თვალები-ტბები,
ლივლივები უცხო მხარეში,
ჩვენ ვორთქლდებოდით
შეხებების სიმხურვალეში,
ღრუბლად ქცეულნი,
დასაღვრელნი ნოემბრის წვიმად,
გადასაქცევნი სიცივეში
რაცა ვართ, იმად...
მერე ზეციდან ვეშვებოდით
ჩუმად, ტაატით,
სულ პირველ კოცნას ჰგავდა
ჩვენი თეთრი ფარფატი.
და, ღმერთო ჩემო,
რა ლამაზი იყო ზეციდან
თვალები-ტბები.
მაგრამ ცაში ისე შეგვცივდა,
თბილი და ნაზი
ვერასოდეს
ვეღარ ვიქნებით —
ლოყაზე ცივად დაგადნებით
ქალი-ფიფქები.

***

ბრუნავს დედამიწა
ბრუნვით ღვთისმიერით,
ნისლში გაწოლილა
გზა ამქვეყნიური.
ცად ბიწიერია
მხოლოდ მიწიერი,
მხოლოდ ციურია
მიწაზე — ღვთიური...
ბრუნავს დედამიწა!..

ლექსი

ლექსი წყარო უნდა იყოს,
წყარო სუფთა და კამკამა,
ცისარტყელად ესხას ტილოს
საოცარი ფერთა გამა.
ლექსი წვიმა უნდა იყოს,
დაელვაროს სიტყვის კალოს,
ზოგჯერ გრძნობით დაგამშვიდოს,
ზოგჯერ გრძნობით გადაგღალოს.
ლაღად უნდა მოდიოდეს
შენამდეც და შენგან სხვამდეც,
ზოგჯერ როგორც ქარი ქროდეს,
ზოგჯერ ქარიშხალსაც ჰგავდეს.
ლექსი არის აღსარება
და პოეტის წრფელი სიტყვა.
ის სხვებისთვის იწერება —
მთქმელის სულის წასაკითხად.

პეპელა

დაგეძებ ბნელში ხელის ცეცებით
და რომ გპოულობ, გკარგავ მაშინვე.
სამყარო შხამით და საცეცებით
მშხამავს, მგესლავს და ასე მაშინებს.
ვგავარ პეპელას, ფოთოლზე აკრულს,
ხვალ მზიან დილის რომ აქვს ოცნება,
მზისკენ ფარფატით თავის აღსასრულს
იახლოებს და უახლოვდება.
ისე ნაზი და ისე მშვიდია,
სამყაროს კიდეს თითქოს გამოსცდა...
როდესაც გზები შენსკენ მიდიან,
წყდება კავშირი მთელ სამყაროსთან.

ყავის ნალექი

შენ არ ჩამაცვი თეთრი კაბა,
ასე რომ მსურდა,
თითქოს გიყვარდი
და მეგონა ჩემი ცა და მზე.
ხელი ჩამკიდე,
მე ვიყავი წრფელი და სუფთა,
მაგრამ ჩვენი გზა არ მივიდა
მაშინ ტაძრამდე...
ცა ჩამობნელდა, მზე კი ისე
აღარ კაშკაშებს,
შენ გახსენდება,
რომ ვიყავი ოდესღაც მშვიდი...
დიდი ხანია მივხვდი — დარჩი
მხოლოდ ქაღალდზე,
მაშ, სამუდამო ერთგულებას
რატომ დაგპირდი?!
მოვდიოდი და ვივიწყებდი
ქვეყნიურ წუხილს...
ეს სიხარული,
ვეღარც მიხვდი, ისე წალეკე
და მოგონება დამრჩა მხოლოდ
ისეთი მუქი,
როგორც ბოღმაზე დალეული
ყავის ნალექი.

სად მიხვალთ!?

სად მიხვალთ, მიემატებით
ვის სათიბსა და იალაღს?
აქ ჩვენი მამა-პაპები
ვისთვის ისხამდნენ იარაღს?!
სანთლის შუქს ნატრობს საყდარი —
მლოცველმა დაიგვიანა.
სხვა სიხარულიც სად არი,
სხვა საქართველო კი არა?!
ახლა რომ ციდან გვლოცავენ,
გახდნენ ღვთის თანაზიარად,
ასი ათასი მოწამის
კვლავ ღიად დაგვრჩა იარა,
რადგან ისინი მომრავლდნენ,
ვინც... ხატზე გადაიარა.

Via dolorosa

შენ, როგორც როდენი —
მძერწავდი თავიდან,
ხან ისე უხეშად, ხან ისე ფაქიზად.
სიტყვით ამიყვანე
დუმილის კვარცხლბეკზე...
ახლა მეშინია სულით არ დავეცე.
გზაა უსასრულო, დრო — განუზომელი,
დავქანცე სული და ნაკვთი ყოველი,
გრძნობის სამსხვერპლოსთან
დაღლილი მივედი
და მხოლოდ ესაა, რაც ქვეყნად მეღირსა —
ჩემი სიყვარული — საუფლო იმედის
და მთელი ცხოვრება — გზა მწუხარებისა.



მერაბ ჯალიტი

ლელა + ლევანი

(თბილისური რომანი)

XV

ქუჩიდან ხმაური შემომესმა, ფანჯარა გამოვაღე, სახეში გრილი ნიავი შემომეფეთა, „სამებისკენ“ გავიხედე და რამდენიმე ახალგაზრდა კაცს შორის ლევანის სილუეტი დავლანდე — თითქოს რაღაცას ედავებოდნენ, გვერდზე გაჩერებულ მანქანაში ჩაჯდომას აიძულებდნენ.

— ნუ მეძალავებით, სად უნდა წამოგყვეთ?! — წინააღმდეგობდა იგი.

— ყველაფერს იქ გავარკვევთ! — ჯიუტად უმეორებდა ვიღაც.

— რა გაქვთ ჩემთან გასარკვევი, არ გადამრიოთ! — მოთმინებას კარგავდა ლევანი.

დანარჩენები ყურს არ უგდებდნენ, დამშვიდდი და გამოგვყევიო, მუქარანარევი გამოწვევით ურჩევდნენ.

სწრაფად გადავიცვი და ქუჩაში გავედი, მანქანას მივუახლოვდი, თითქოს უცნობები გონს მოეგენ და ლევანს ხმადაბლა გაუმეორეს: „ტყუილუბრალოდ ნუ ხმაურობ, რასაც გეუნებით, ის გააკეთე!“ მაგას რა მიხვედრა უნდოდა, პოლიციაში წაყვანას უპირებდნენ და, ამ გადაწყვეტილებას ცოცხალი თავით არ შეცვლიდნენ; ჯერ ყურადღება არ მომაქციეს, როცა ჩემი ვინაობა დავასახელე და, რაშია საქმე-მეთქი, სერიოზულად დავინტერესდი, მომიბრუნდნენ და ზრდილობიანად მითხრეს: „პოლიციის განყოფილებაში წავიყვანთ, ყველაფერს გავარკვევთ და მაშინვე გამოვუშვებთ“; ერთი ზორბა და მსუქანი იყო, მეორე — გამხდარი, ნაყვავილარი სახით, მესამე, რატომღაც მანქანის საჭეს მიუჯდა, მაგრამ მაინც მოვასწარი თვალის შევლება, მოჭიდავეს ჰგავდა, ყურებიც დაჭმუჭნული ჰქონდა; მსუქანმა გვერდზე გამიხმო, მისი აზრით, ჩემი გამოყენება განიზრახა, საქმეს უმტკივნეულოდ მოვაგვარებო. „თქვენ, ამ ბიჭის ვინ ბრძანდებით?“ კეთილმოსურნესავით დაინტერესდა; „უფროსი მეგობარი ვარ!“ მშვიდად მივუგე და ისიც ვანიშნე, ადვილად არავის დავაჩაგვრინებდი. „თუ მაგისთვის კარგი გნებავთ, გამოგვყვეს!“ ხმაში მუქარა გაერია, ქვეშ-ქვეშ გამომხედა, ისე აქოშინდა, თითქოს ეს-ესაა აღმართი ამოირბინა; „არ მეტყვით, რა მოხდა?!“ აუღელვებლად ვიკითხე. „იქ გაირკვევა!“ პრინციპულად მომიგო მან და ლევანისკენ შებრუნდა; „კეთილი, წავიდეთ!“ ლევანისთვის არაფერი მიკითხავს, გადაჭრით წარმოვთქვი, მანქანას მივუახლოვდი და შიგ პირველი ჩავჯექი; ლევანი თითქოს ჩემს ნებას დაჰყვა, უკმაყოფილოდ გაიქნია თავი და გვერდით მომიჯდა; ამ დროს მანქანას ნარიმანი მოუახლოვდა, სარკმელთან დაიხარა და ნამძინარევი თვალებით მოგვათვალიერა, ჩემს დანახვაზე ოდნავ დამშვიდდა, „ეს ბიჭი არაფერს დააშავებდა!“ ხმამაღლა თქვა და ლევანს გამამხნევებლად გაუღიმა; „ძია კაცო, ყველაფერს გავარკვევთ!“ დაფარული გაღიზიანებით მიუგო მძღოლმა და მანქანა დაძრა.

— რას გემართლებიან? — ხმადაბლა ვკითხე ლევანს, პოლიციელებს არ მოვრიდებივარ.

— ქვაშვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიღაც გოგონას ხელჩანთა გასტაცეს და დამნაშავე აღწერილობით შენ გგავსო!.. — უკმაყოფილოდ ამიხსნა.

— მერედა ის ქალბატონი სად ბრძანდება? — გამომწვევად დავინტერესდი.

მაძებრები ქვასავით დუმდნენ, თითქოს არაფერი ესმოდათ.

— ალბათ, პოლიციის განყოფილებაშია... — თვითონ ლევანმა გამცა პასუხი.

„სად იყავი?“ თვალებით ვკითხე. „ის გავაცილე!“ გადმომჩურჩულა და თავი ზედა უბნისკენ გაიქნია.

მანქანა მთაწმინდის რაიონის პოლიციის ეზოში გაჩერდა; ვიდრე შენობაში შევიდოდით, მაძებრების ყურადღება მივიქციე და მომთხოვნი კატეგორიულობით ვიკითხე: „თქვენ რა, ამოცნობას მოქალაქეების გარეშე ატარებთ?“ აშკარად ვაგრძნობინე, უსამართლობას არავის ვაპატიებდი; „ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც წესი და კანონი ითხოვს!“ დაზეპირებულივით მომიგო სახენაყვავილარმა; ლევანი ვიღაცის კაბინეტში შეიყვანეს, მე კი მომიბოდიშეს, ცოტა ხანს სამორიგეოსთან დაგველოდეთო; ორი წუთიც რომ დაგვიანებოდათ, განგაშს ავტეხდი, პოლიციის უფროსთან შეხვედრას მოვითხოვდი და საქმეში სხვა ინსტანციებსაც ჩავრევდი, მაგრამ ზორბა მალე მობრუნდა, მხარზე ხელი დამადო, სამორიგეოს გამომარიდა, „წამობრძანდით!“ მასპინძელივით მითხრა და კაბინეტისკენ წამიძღვა; „დაზარალებულს შემოვიყვანთ... თუ ბიჭი ამოიცნო, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ!“ მარტო ჩემს გასაგონად დასძინა და ოთახის კარი გააღო. „რა თქმა უნდა, ამოიცნობს, თუკი მისი აღწერილობა წინდაწინ

გაგრძელება. დასაწყისი N 11, 12, 1

ამცნეთ!" — მოურიდებლად ვთქვი და კაბინეტისკენ შევბრუნდი; ზორბამ ზღურბლთან შემაყოვნა, მოჩვენებითი სინანულით ამიხსნა: „როგორ გეკადრებათ, ასეთი რამ ჩვენთან არ ხდება... სხვათა შორის, იმ გოგონას დამნაშავის დაჭერა სულაც არ აინტერესებს, მას დაკარგული საბუთების დაბრუნება უნდა... ხელჩანთაში პასპორტი და ამერიკის ვიზა ედო..."

ოდნავ დავმშვიდდი.

კაბინეტში ლევანი და ვიღაც საშუალო ასაკის გამომძიებელი დაგვხვდა; მალე ორ მაძებართან ერთად ნამტირალევი გოგონა გამოჩნდა; ლევანი არ განძრეულა, არც დაძაბულობა დატყობია; გოგონამ სათითაოდ მოგვათვალიერა და სკამზე ღონემიხდილი დაეშვა — მერე ლევანს გახედა, დააკვირდა და სახეზე გაურკვეველი სიმშვიდე დაეუფლა, ალბათ, იფიქრა, დამნაშავე დაიჭირეს და საბუთებსაც დამიბრუნებენო; „ეგ ბიჭი იყო?" სიჩუმე დაარღვია მაგიდის თავში მოკალათებულმა კაცმა და დაზარალებულს თვალი მოუწკურა; დანარჩენები ქალიშვილს პირში მიაჩერდნენ, რომელიც ტუჩებს კურდღელივით აცმაცუნებდა და, რა ეთქვა, აღარ იცოდა, ბოლოს ისევ ლევანს შეხედა და მის გულგრილ, არაფრისმთქმელ გამომეტყველებას რომ წააწყდა, ყოყმანი დაეტყო, როგორც ჩანდა, ამოცნობაც უჭირდა და უარის თქმაც — ამერიკაზე ოცნებასაც ვერ ელეოდა, ბოლოს გაჩუმება არჩია. „ეს არის?" ისევ იკითხა გამომძიებელმა; გოგონა შეცბა, „არც სახეზე ვიცნობ და ვერც მისი ჩაცმულობა დავიმახსოვრე!" თავი იმართლა მან და ლევანს შეწუხებული თვალებით მიაჩერდა; „ეჭვმიტანილს" მოთმინების ფიალა აევსო, ფეხზე წამოდგა, კედელზე ჩამოკიდებული, „სამი მონადირის" ფერებგახუნებულ რეპროდუქციას თავი აარტყა და კინაღამ ძირს ჩამოაგდო, ახლა უფრო გამწარდა, გოგონას აგდებით მიმართა: „შენ, იქნებ არაფერიც დაგკარგვია!" დაზარალებული შეურაცხყოფისგან წამოწითლდა, ლევანს დამნაშავესავით ახედ-დახედა, თავი დაღუნა და უიმედოდ ჩაილაპარაკა: „გამტაცებელი როცა გარბოდა, კარგად დავიმახსოვრე, დაბალი იყო..." ზორბა პოლიციელი უხერხულად შეიშმუშნა, „იქნებ წაკუზული გარბოდა, გოგო?" უადგილოდ იხუმრა; ქალიშვილმა იძულებით წამოწია თავი, კედელთან აწოწილ ბიჭს ისევ დააკვირდა, ხელჩაქნეულივით გამოცრა: „არა, ეს ის გამტაცებელი ნამდვილად არ არის!" და შვებით ამოისუნთქა.

ვიდრე პოლიციის შენობას დავტოვებდით, ზორბამ ჯერ მე შემომხედა, მერე ლევანს და თავის კანტურით უთხრა: „დღეს ამ კაცს უმადლოდე, აწი კი ჭკუით იყავი, იცოდე, ხელში არ ჩამივარდე... გხედავენ, ძველ ბიჭებთან დაიარები!" ხმაში მუქარა გაერია. „არაფერს ვაშავებ და ვისთანაც მინდა, იმასთან ვივლი!" აღარ დაუთმო ბიჭმა, არც დამშვიდობებია, ისე დავტოვეთ იქაურობა.

„სამებამდე" უხმოდ ვიარეთ; „ხვალ მთელი უბნის სალაპარაკო გავხდები!" ჭმუნვიანი სახით თქვა; „გეშინია, ეს ამბავი ლელამ არ გაიგოს?" განგებ გამოვიწვიე; ღიმილით შემომხედა, თავი სინანულით გაიქნია; დავამშვიდე, ყველაფერი აუხსენი და გაგიგებს-მეთქი; ხელი ჩაიქნია, მადლიერებით შემომხედა, შეწუხებისთვის მომიბოდიშა და სახლისკენ გაუყვა.

ოთახის კარი გვიან შევაღე, დათოს ნამძინარევი ხმა შემომესმა: „ხომ მშვიდობაა?" და კედლისკენ გადაბრუნდა; „არაფერია!" ჩავილაპარაკე და სანოლზე ჩამოვჯექი.

დიდხანს არ დამეძინა, ლუიზას ძაღლი გველნაკბენივით ყეფდა.

მეორე დღეს გამომცემლობიდან ვბრუნდებოდი; ქვაშვეთის ტაძარს როცა გამოვცდი, ბაღის შესასვლელთან ლელას და ლევანს მოვკარი თვალი; გაცხარებით კამათობდნენ და მივხვდი, რაშიც იყო საქმე, შევყოვნდი, ხომ არ ჩავერიო-მეთქი; ამ დროს ლევანის მორიდებული ხმა მომესმა, ჩემკენ წამოვიდა, ხელით ვანიშნე, თვითონ მოვალ-მეთქი და, წყვილს მივუახლოვდი; ლელა ზრდილობიანად მომესალმა, ხელი გამომიწოდა და ნდობით გამიღიმა — საოცრად მეტყველი თვალები შემომანათა.

— არაფრით ჯერავს, გუშინ, შეცდომით რომ დამაკავეს და უდანაშაულო ვიყავი!.. — შეწუხებული სახით შემომჩივლა ბიჭმა.

ლელა თითქოს დაიბნა, მორცხვად შემომხედა და ლევანს გაეპასუხა:

— მსგავს სისულელეს რომ არ ჩაიდენდი, ნამდვილად მჯერა, მაგრამ, როდემდე უნდა ამტკიცო, უდანაშაულო ვარო!.. — თვალები აუწყლიანდა, თითქოს შემემუდარა, იქნებ გააგებინოთ, რასაც ვეუბნებიო.

— ცხოვრება, ჩემო კარგებო, ხიფათითა და მოულოდნელობებითაა სავსე... ამან არ უნდა დაგაფრთხოთ! — დამამშვიდებლად წარმოვთქვი და ლელას მამაშვილურად გავუღიმე.

ლევანი ოდნავ განზე გადგა, თითქოს შეყვარებულთან გასაუბრების საშუალება მომცა.

— მე რატომ არ მიხდება რაიმეს მტკიცება, ან თუნდაც თქვენ? — მოკრძალებული გამონვევით მკითხა გოგონამ და ლევანს უკმაყოფილოდ გახედა.

— ეს ბედისწერაა, ლელა, კაცმა არ იცის, თითოეულის თავზე როდის რა დატრიალდება... ლევანის ხნის რომ ვიყავი, კაცის მკვლელობას მედავებოდნენ, ორი წელი უდანაშაულოდ მაწამეს ციხეში... მას შემდეგ უნივერსიტეტი დავამთავრე და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ვეწევი, სულ ფეხის წვერებზე დავდივარ, ვცდილობ, ყოველ ნაბიჯზე სიკეთე ვთესო და ასე, მთელი ცხოვრება უნდა ვარწმუნო ადამიანები, მკვლელი კი არა, ერთი პატიოსანი კაცი ვარ-მეთქი!.. — ლელა გაოცებული მომჩერებოდა, ლევანსაც პირი დაეღო, ეს კაცი მართალს ამბობს თუ, მწერლურ ფანტაზიას იშველიებსო; — ასე რომ, ამქვეყნად ყველაფერს უნდა მოელოდე და ისიც უნდა ამტკიცო, ბოროტებისთვის არ გაჩენილხარ, სიცოცხლე გიყვარს და მხოლოდ სიყვარულისთვის არსებობ...

— როგორ, ერთმანეთი რომ გვიყვარს, ამასაც დამტკიცება უნდა? — ვეღარ მოითმინა ლელამ და ლევანს მრავლისმეტყველად მიაჩერდა.

— დამტკიცება რომ არ უნდოდეს, არ იკამათებდით, არც ინერვიულებდით და არც ის შეგაწუხებდათ, რას იფიქრებდა თქვენს შესახებ ხალხი, შეძლებდით თუ არა პიროვნებებად ჩამოყალიბებას!.. — ვიგრძენი, დაუსრულებლად შემეძლო მათთან საუბარი, არც დავიღლებოდი და არც დროს დავინანებდი, თუმცა შეყვარებულებს თავს ვერ მოვაბეზრებდი.

წასასვლელად მოვემზადე, წყვილს მოვუბოდიშე, თვითნებურად ჩაგერიეთ-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულწრფელად შეწუხდნენ, ჩემს შეყოვნებას შეეცადნენ; ლელა შემრიგებლურად შესცქეროდა ლევანს, აშკარად სიამოვნებდა, ასეთი გულშემატკივარი რომ გამოვუჩნდი.

წყვილი „ალექსანდრეს" ბაღში დავტოვე, ვიდრე ქვაშვეთის ტაძარს გვერდს ავუვლიდი, პირჯვარი გადავიწერე და ღმერთს მათი ბედნიერება შევთხოვე.

XVI

დღეს თემოს სასამართლოა; ჩავიცვი და ვიდრე სახლიდან გავიდოდი, მერიკომ შემაჩერა, ხელში ოცლარიანი ჩამჩურთა, გამიღიმა, პატიმართან ხელცარიელი ხომ არ წახვალო და, თემოსთან მოკითხვა დამაბარა; „შენ, ბებია კი არა, ძმა ხარ ჩემი!" გულწრფელად შევაქე და თოვლივით თეთრ თავზე ვაკოცე, ამას წინათ ფიჭური აპარატი მიყიდა და, ამისთვისაც მოვემადლიერე.

ქუჩაში გავედი, დათოს შევძახე, სახლში არ დამხვდა და უსტოს შევუარე; წვერს იპარსავდა, ნეტავ რამდენს მიუსჯიანო, თემოზე წუხდა.

სასამართლო დარბაზი ხალხით გადაჭედილიყო; ბაჩო, ნიაზი, ჯიმშერი და იზო დეიდა ბოლო რიგში ისხდნენ, ნოდარი გარეთ არის, ვერ შემოდის, ბიჭის ამბავზე ნერვიულობსო, სინანულით გვითხრეს; პატიმარი ბადრაგის თანხლებით შემოიყვანეს, მალე მოსამართლეც გამოჩნდა და პროცესიც დაიწყო; თემომ თავი ნაწილობრივ დამნაშავედ სცნო და ყველაფერი გულწრფელად აღიარა, გარდაცვლილს ცუდად არ ახსენებდა, ბედისწერას ვერსად გავექეცი, თავი მომაკვლევინაო, სინანულით ამბობდა; დარბაზში ვიღაცები აყაყანდნენ, მოკლულის ახლობლებმა უკმაყოფილება გამოხატეს, ვითარება დაძაბეს, განსასჯელი მკაცრად უნდა დაისაჯოსო; შიგადაშიგ ვიღაც შავებიანი ქალი გულის მომწვლელად ამოიკვნესებდა: „ვაი, შენს დედას, შვილო!"

პროკურორმა ათი წლით პატიმრობა მოითხოვა; ადვოკატებმაც იმსჯელეს და ბოლოს მოსამართლემ განაჩენი გამოიტანა: დამნაშავეს რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

თემოს დავაკვირდი, მღელვარება ვერ შევატყვე, პირიქით, ისე მშვიდად გამოიყურებოდა, თითქოს სინდისის ქენჯნისგან გათავისუფლდა და ჯოჯოხეთურ წამებას თავი დააღწია; გალიამ პატარა ვაჟიშვილი ახლოს მიუყვანა, „ნახე, როგორ ggavs!" გამამხნევებლად უთხრა; თემო გაიბადრა, ბავშვს ლოყაზე აკოცა და გულუბრყვილო თვალებში იმედიანად ჩახედა, ყველას გამოგვემშვიდობა და ბადრაგს მხნედ გაჰყვა.

ვაჩნაძის ქუჩიდან ამოვდიოდი და „სამების" წინ ლელას დედას შევეფეთე; ქალმა გამჭოლი მზერა მესროლა და პირდაპირ მკითხა:

— ჩემი ქალიშვილისგან რა გინდა?

— მიყვარს! — არ დავიბენი.

— გიყვარს თორემ, შენც რომეო არ მყავდე!.. — სახეზე ფარული ღიმილი გაუკრთა, გამომცდელად მომაჩერდა.

— რომეო რა, ადამიანი არ იყო? — იქით შევუბრუნე კითხვა და ახლა მე მივაჩერდი გამომცდელად.

— რომეომ სიყვარულს სიცოცხლე ანაცვალა... არა მგონია, ლელა ამად გიღირდეს!.. — ისევ დამაკვირდა.

— ლელას გამო სიცოცხლესაც თავისუფლად დავთმობ! — სერიოზულად მივუგე და ჩემი პასუხით შეფიქრიანებულს უჩვეულო ინტერესით დავაკვირდი, მასში ლელას მსავსებას წავაწყდი და მთელი არსებით ვიგრძენი, სიყვარულიცა და სიკვდილიც ამ ადამიანისგან მისაღები გამოწვევა იყო.

ქალი მანამ იდგა და მიყურებდა, ვიდრე ეკლესიას მოვეფარებოდი.

ბებიაჩემი პერანგს მიუთოებდა, შემომხედა, თემოს ამბავი მკითხა და დამნაშავესავით დასძინა:

— სენაკიდან შეტყობინება მივიღეთ, მამაშენი ავტოკატასტროფაში დაღუპულა, ზეგ ასაფლავებენ... გაემგზავრე, საკუთარი თავისა და ღმერთის წინაშე ვალი მოიხადე.

ხმა არ გამიღია, სახლის კარი მოვიხურე და ნარიმანთან ნარდის სათამაშოდ წავედი.

დილით ბებიაჩემმა სამგზავრო ფული მომცა, მომეფუსფუსა, თავისებურად მომანესრიგა და, მშვიდობით იარეო, გზა დამილოცა; ვიდრე სენაკისკენ მიმავალ მიკროავტობუსში ადგილს დავიკავებდი, ლელას დავურეკე და ჩემი მოულოდნელი გამგზავრების მიზეზი ვაუწყე; ხმაში წუხილთან ერთად გაკვირვება შევატყვე, სხვა ვერაფერი მითხრა, მეგობრულად გამამხნევა და კეთილი მგზავრობა მისურვა.

სენაკში ნაშუადღევს ჩავედი, მამაჩემის ოჯახს კითხვა-კითხვით მივაგენი; ორსართულიანი ოდა-სახლი ჭიშკრიდან მოშორებით იდგა, ეზოში ქელეხის სამზადისი იგრძნობოდა, ვიღაც წინსაფრიანი ქალი ონკანთან წახრილიყო და ჭურჭელს რეცხდა, ხის ფარდულიდან კვამლი ამოდიოდა, მკლავებდაკაპიწებული მამაკაცი ხის ტოტზე ჩამოკიდებულ ცხვარს ქნიდა; პარმაღში მოფუსფუსე დედაკაცებმა ალმაცერად შემომხედეს და ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს; აივანზე რამდენიმე კაცი გადმომდგარიყო და ხმადაბლა მუსაიფობდა — ისე შემათვალიერეს, იძულებული გავხდი, მივსალმებოდი, პასუხად თავი დამიკრეს და მიცვალებულის ოთახისკენ მოწიწებით გამატარეს; თეთრი მაქმანით შემოსალტულ კუბოში დასვენებულ ცხედარს მალულად გავხედე და გარშემო ისე შემოვუარე, აქვითინებული ჭირისუფლისკენ არ გავწეულვარ; დაძაბული ვიყავი, თავს ზედმეტად ვგრძნობდი და, ერთი სული მქონდა, იქაურობას როდის გავეცლებოდი — მერი თვალავას ვუსაყვედურე, სამგლოვიარო მისია რად დამაკისრე-მეთქი; მოღიავებულ კართან დავდექი და მიცვალებულს, რომელიც მხოლოდ სურათში მყავდა ნანახი, თამამად შევხედე, გაქვავებულ სახეში ჩემი მსგავსება დავძებნე, საკუთარ მშობელს პირველად ვუმზერდი და ისიც — გარდაცვლილს; ამ დროს მოხუცი ქალის ქვითინი მომესმა, „შვილი გესტუმრა, შე უბედურ დღეზე გაჩენილო!" დაატირა მკვდარს და კუთვა-კუთვით მომიახლოვდა, „მოდი, ბებია, შენს და-ძმას მიუსამძიმრე, ერთად იგლოვეთ მამა!" ისეთი ახლობლური წუხილით მითხრა, კუთხეში მდგარ, შავებით მოსილ გოგოსა და ბიჭს დამნაშავესავით გავხედე, უნებლიეთ გული ამიჩუყდა და თვალები ამიწყლიანდა; ისინი ჩემკენ ნელი, თავშეკავებული ნაბიჯით გამოემართნენ, მეც

შევეგებე და ერთმანეთს უხერხულად გადავეხვიეთ; მოხუცი ქალი მამაჩემის დედა აღმოჩნდა, „მაშინვე გიცანი, ჩემი შვილიშვილი რომ იყავი!“ ფლუკუნით მომეალერსა; ოჯახის ახლობელნათესავები გარს შემომეხვივნენ, მთლად მამამისის ალიკვალიაო, სინანულით გაიძახოდნენ; ბოლოს მამაჩემის ცოლიც გავიცანი და დაძმასთან ერთად ცალკე ვივახშმე; ძმა გარეგნულად მართლაც მგავდა, ბუნებით კი განვსხვავდებოდით — გულჩათხრობილი ჩანდა; დაიკო შედარებით პატარა იყო და მწუხარებას ვერ იშნოვებდა, ცელქობას ვერ იშლიდა, ჩემს გამხიარულებას ცდილობდა.

თითქოს ყველაზე ახლობელი ადამიანების გარემოცვაში აღმოვჩნდი, მაგრამ ბედისწერას ჩვენ შორის იმხელა უფსკრული გაეთხარა, მამაჩემის სიკვდილი ვერაფრით ამოავსებდა — ამას უკვე არაფერი ეშველებოდა და უფსკრულის არსებობას ჩვენც კარგად ვგრძნობდით; დედმამიშვილური ურთიერთობა უმსგავსო მოვალეობას წააგავდა, ვერაფრით ვითავისებდი ჩემი ნათესავების დარდსა და ვარამს, თავს უხერხულად ვგრძნობდი და ვატყობდი, ისინიც უხერხულობდნენ — თითქოს მამაჩემს წარსულის ცოდვას არავინ ვპატიობდით.

ღამით მე და ჩემი ახალგაცნობილი ძმა ცალკე ოთახში მოგვასვენეს და, ერთმანეთი არ უნდა დაკარგოთო, დაწოლის წინ დაგვმოძღვრეს.

მეორე დღეს მამაჩემის დაკრძალვის ცერემონია შედგა; დამწუხრებული ჭირისუფლის გვერდით ვიდექი და მოტირალთა სამძიმარს მოთმინებით ვიღებდი, ზოგჯერ აივანზე გავდიოდი, ფიჭურ ტელეფონს ჩუმად დავცქეროდი, ლელას ხომ არ დაურეკავს-მეთქი.

ბოლოს მიცვალებულის ოთახიდან ქალები მორიდებით დაითხოვეს, კარი მოიხურეს და შიგნით მხოლოდ ოჯახის ახლობელი მამაკაცები დაგვტოვეს; ცხედარს თავსა და ბოლოში ამოვუდექით, კუბო სამგზის დავატრიალეთ, ტახტი ამოვაყირავეთ, კარი მოვაღიავეთ და მიცვალებული ეზოში გამოვასვენეთ; ქალებმა ვიშვიში და მოთქმა ატეხეს, ლოყები დაიხოკეს, „სად მიდიხარ?!“ საყვედურობდნენ გარდაცვლილს; შეჯგუფებული ხალხი მოთმინებით ისმენდა გამოსათხოვარ სიტყვებს; ამ დროს ჯიბეში ტელეფონის ზრიალი ვიგრძენი, სწრაფად გავნაპირდი და მიმღებ ღილაკს თითი გულისფანცქალით დავაჭირე — ლელას ხმა მომესმა, „როგორ ხარ?“ თანაგრძნობით მკითხა და მამის გარდაცვალება მომისამძიმრა; მოულოდნელად სულში ღრმა წუხილი ვიგრძენი, ტანში უსიამოდ გამაჟრჟოლა, გული ამიჩუყდა და ბავშვივით ავტირდი — შეყვარებულის ხმამ მარტოობიდან გამომიყვანა, მოჩვენებითი გლოვის საბურველი შემომაცალა, სისხლის ყივილი მაგრძნობინა და მშობლისადმი პატივისცემით განმაწყო — თითქოს შურისძიებისგან გამათავისუფლა და მამა-შვილობის ვალდებულებით გამსჭვალა.

სენაკიდან გამომგზავრება იმ ღამესვე გადავწყვიტე, ბევრი მემუდარეს, ერთი-ორი დღე დარჩიო, მაგრამ ვერაფრით დამიყოლიეს და ბოლოს მატარებლის სადგურამდე გამაცილეს.

გზაში თვალი არ მომიხუჭავს, რატომღაც დედაჩემზე ვფიქრობდი, ქმრის სიკვდილს როცა შეიტყობს, თუ ინერვიულებს-მეთქი; ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი, შვილი ვიყავი და ვინც გამაჩინა, მათი ცხოვრების განსჯისა და გასამართლების უფლება არ მქონდა; ვინ იცის, დედაჩემის გულში რა ცეცხლი ენთო, იქნებ დღედაღამ ჩემზე ფიქრობდა და წარსულს ვერ ინელებდა; შეცდომამ — რამაც ჩვენი დაშორება გამოიწვია, ერთს ცხოვრება მძიმე ტვირთად უქცია, ხოლო მეორეს მგლის ბოკვერის ბედი არგუნა — ცოდვილივით გარიყა, მშობლის სითბოსა და ალერსს დაანატრა; ბოლოს ახალგაცნობილი და-ძმის შემშურდა: „იმათ მზრუნველი დედა მაინც დარჩათ და მამის სითბოც ემახსოვრებათ!“

დილით ლელას დავუკავშირდი, ისე მენატრებოდა, თითქოს საუკუნე არ მენახა; სახლში შევედი, ბებიაჩემი გულში ჩავიკარი, „ჩემი დედაც და მამაც შენა ხარ!“ ჩავძახე ყურში და მკლავები მოვუჭირე; „თავი დამანებე, შე არანორმალურო!“ ჰაერში სასაცილოდ აასავსავა ფეხები.

იმ დღეს დედაჩემის სურათი ალბომიდან ჩუმად გამოვაძვრინე და კარგა ხანს ვუცქირე, მის ლამაზ თვალებში სიყვარულის გარდა ვერაფერი ამოვიკითხე, ბოლოს გავუღიმე და იმ იმედით შევინახე, ერთმანეთს ოდესღაც შევხვდებოდით და ყველაფრისთვის პატიებას ვთხოვდით, გულში დაგუბებულ სინანულს დედა-შვილურ სიყვარულად ვაქცევდით.

მამაჩემის სიკვდილმა დამაფიქრა, ჯერ მისი სიცოცხლე რაღა იყო და მერე — სიკვდილი; ამქვეყნად ისე უნდა მეცხოვრა, ჩემს ყოფნასაც აზრი ჰქონოდა და სიკვდილსაც; ცრუ ვალდებულებებით ვერ ვიარსებებდი, მოჩვენებითად, სხვათა თვალის ასახვევად ვერ დავიხარჯებოდი.

აგერ, მაგალითად, სოფრომაძეებმა, პირველი რძალი თავიდან რომ მოიშორეს, დაფაცურდნენ, მეზობლებმა არ იფიქრონ, ეს რა გაუტანელი ხალხი ყოფილაო და, ვიღაც თელაველი საპატარძლო გამონახეს, საქმეში გავლენიანი პირები ჩარიეს და ბოლოს მათ რძლობაზე დაითანხმეს; კარინა კი ხელიდან წავიდა — გაბოზდა და წამლის ბარიგა გახდა, ვიდრე სოფრომაძეების ოჯახი ვაჟიშვილის გაბედნიერებას ზეიმობდა, რძალყოფილს მოულოდნელად მაძებრები ესტუმრნენ, გაჩხრიკეს, ორმოცი „ჩეკი“ გეროინი უპოვეს და საპყრობილეში გააქანეს, მალევე გაასამართლეს და შვიდი წლით პატიმრობა მიუსაჯეს; ცოლ-ქმარი სოფრომაძეები წელიწად-ნახევარში ერთმანეთის მიყოლებით გარდაიცვალნენ — თელაველ პატარძალს ბიჭი შეეძინა, გაბო კი ველოსიპედის ნაცვლად მოტოციკლს გადააჯდა და შარა-შარა დაგრუხუნებს; ბოლო დროს იმდენი იტრიხინა, ვიღაც გლდანელ გოგონას გადაეკიდა და მასთან საერთო გამონახა, ზოგჯერ ღამე შინ არ ბრუნდება; კახელმა პატარძალმა ჭკუას მოუხმო, იფიქრა, გაბო თუ ალთასაა, მე რატომ არ უნდა ვიყო ბალთასო და, საყვარელი მამაკაცი გაიჩინა — არც ქმარს ავიწროებს, გამოსწორდიო და, ბედსაც აღარ უჩივის; ახლა გაბო მართლა ალთასაა, ის კიდე ბალთას, მაგრამ ამით არაფერი შავდება, ვაჟიშვილი იზრდება, დედმამით ამაყობს; გაბო პირდაღებული დადის, კაი ცოლ-შვილი მყავსო, გაიძახის და საყვარლის კალთასაც ებღაუჭება; ერთხელ, ჩვენმა უბნელმა ლოთმა, უშანგი ბელურაძემ, მის მეწყვილე ლოთს საიდუმლო გაუმხილა და გაბოს ცოლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბავი გულისტკივილით წამოროშა — აქ რომ თმაგაბურძგნული ბიჭი დადის, მაგის საყვარელიაო; იმ ლოთმა თავი გამოიდო, გაბოსთან ჭიქა ამიწევია, რას კადრულობ, მაგას დამტკიცება უნდაო — ადგა და ყველაფერი გაბოს ჩაუყაჭა, შენზე თქვა, რქოსანიაო; სოფრომაძემ იმხელაზე დააღო პირი, საწყალ უშანგის გადაყლაპავდა, შეგჭამ იცოდე, თუ არ დაამტკიცე, რაც ჩემს ცოლს დასწამეო; უშანგიმ თავბედი იწყევლა, მე მაგ ამბავს ვინ დამასწრებდაო, ბევრი რომ გაუხურეს, ვეღარ მოითმინა და გაბოს ალალად უთხრა: „თუ ასე ძალიან გინდა, ადექი და თვითონ დაამტკიცე, შე მამაცხონებულო!“ გაბომ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, მოტოციკლს გადააჯდა და გულის მოსაოხებლად გლდანისკენ წაგრუხუნდა.

როცა ასეთ ამბავს შეიტყობ, უნებლიეთ იფიქრებ: „როგორ გინდა ამქვეყნად იარსებო და პატიოსნება შეინარჩუნო?!“ საგონებელში აღმოჩნდები, სხვებივით თავის მოტყუება მოგინდება, ნეტავ როგორ ახერხებენო; ასეთების გაკეთილშობილებაზე ფიქრს აზრი არ აქვს, კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს; თუ იმ ცნობილ გამონათქვამს დავენდობით: „ცხოვრება სცენაა, ჩვენ კი მსახიობები“, მერწმუნეთ, უთავმოყვარო მსახიობის როლს ნამდვილად ვერ დავჯერდები.

ლელას თითქმის ყველაფერში ვამართლებ, სიყვარულის შესანარჩუნებლად სერიოზული ნაბიჯი უნდა გადავდგა; პირველი, რაც გავიფიქრე, ბებიაჩემი უნდა დავიყოლიო, ბინა გავყიდოთ და სხვა უბანში გადავიდეთ; რა თქმა უნდა, ასეთი გადაწყვეტილება დიდ გონიერებად არ ჩაითვლება — ამით არაფერი შეიცვლება, უბნის ინსპექტორი იქაც მომაკითხავს და კირკიტს დამიწყებს — მაგრამ, ზოგჯერ ადამიანმა რაღაც უნდა მოიმოქმედო, დამყაყებას რომ გადაურჩე, ძველ ყოფას უნდა გაერიდო და ახლის გაუმჯობესებას შეეცადო.

ბებიაჩემი ჩემს წინადადებას შეგნებით მიუდგა, ჩემთვის სულერთია, მზესუმზირას აქაც გავყიდი და იქაცო, დამამშვიდებლად მითხრა; მოვიწყინე, გონების თვალით აგურისფერ კედელს გადავწვდი და ბავშვობისდროინდელი წარწერა სინანულით ამოვიკითხე: ლელა+ლევანი, და წარსულმა თავი შემახსენა: თანატოლი ბიჭების მუდამ მეხარბებოდა, თითქოს ყოველთვის რაღაც მაკლდა, თავს დაჩაგრულად, არასრულფასოვნად ვგრძნობდი, მხოლოდ ლელას სიყვარული მავსებდა და მაამაყებდა.

ერთ თვეში ჩვენი პატარა ბინა მართლაც გავყიდეთ და ვერის უბანში, ბელინსკის აღმართზე გადავბარგდით; შედარებით კეთილმოწყობილ ოთახში რომ აღმოვჩნდი, სავარძელში მოვკალათდი და ბებიაჩემს კითხვის თვალით მივაჩერდი, „ლევან, ამ ბინაში გირაოთი შემოვედით, დანარჩენი ფული შენთვის გადავინახე, ცოლს რომ შეირთავ, ხომ დაგჭირდება?..“ ამიხსნა და გამამხნევებლად გამიღიმა; გამეცინა, „კვაჭი ქალი ხარ, მერიკო!“ კმაყოფილებით ჩავილაპარაკე და უნებლიეთ მომავალზე დავფიქრდი. „ნუ გეშინია, შვილო, მუხლებში ძალა ჯერ კიდევ მერჩის, ბოლოს და ბოლოს, დეიდაშვილთან წავალ რუსეთში, სამუშაოს გამომიძებნის და იქიდან დაგეხმარები!..“ ბებია თითქოს ჩემი გულის კარნახს ისმენდა და მომავლის იმედით მკვებავდა, ბოლოს მომიახლოვდა და თავზე მაკოცა.

საერთო ეზოში ჩვენ გარდა ორი ოჯახი ცხოვრობდა; მოხუც ცოლ-ქმარს კვირაში ერთხელ ვაჟიშვილი აკითხავდა და საკვები მოჰქონდა — გარეთ გამოსვლა ეზარებოდათ და ამიტომაც იშვიათად ვხედავდი; ხოლო დედა-შვილს, გვანცას და ქალბატონ მანანას, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი, მალე დავმეგობრდით კიდეც; გვანცა ტანსრული, მიმზიდველი გოგონაა, სკოლას ამთავრებს და სამსახიობოზე უნდა ჩავაბაროო, წაკეკლუცებით ამბობს; ლელასავით სანდომიანი თვალები აქვს, თითქოს გარეგნულადაც ჰგავს; მასში ხალასი, შეურყვნელი ბუნება აღმოვაჩინე და მის მიმართ გულწრფელი სურვილებით განვეწყვე; ამას ისიც გრძნობს და თანდათან ისე მომეჩვია, ჩემს პატარა ძმაკაცს ვეძახი.

— შეყვარებული გყავს?! — ერთხელ ჩემი პირადი ცხოვრებით დაინტერესდა.

— მყავს! — დაუფარავად ვუთხარი და ისე გავუწოდე საღეჭი რეზინი, როგორც ბაგა-ბაღში მიმავალ პატარას გაუწვდიან საწუნწ კანფეტს.

— ჩემზე ლამაზია? — ყელი მოიღერა გვანცამ და თვალებში გამაფრთხილებელი წყენა ჩაუდგა, იცოდე, რამე არ შეგეშალოსო.

სიცილით მოვკვდი.

— შენსავით ლამაზია! — გულწრფელად ვახარე და წყენა მხიარულებად ვუქციე.

მასაც გაეცინა.

— მეც მყავს შეყვარებული!.. — ტოლი არ დამიდო.

— რა დროს შენი შეყვარებულია, შე ცხვირმოუხოცაო!.. — დაცინვით ვუთხარი და ლოყაზე საჩქმეტად წავეტანე, — ცრუობ! — გადაჭრით დავძინე.

— მართალს გეუბნები!.. — სიცილი არ შეუწყვეტია.

— რა ჰქვია?..

დაიბნა, სატრფოს სახელი ვერ მოიგონა და ბოლოს, „ბაჭია“-ო, კისკისით მითხრა, კინაღამ სუნთქვა შეეკრა.

— მე შენ სტაფილოს მოგიტან და ბაჭიას აჭამე... — ვინმეს რომ ყური დაეგდო, გიჟებიაო იფიქრებდა, ისე უაზროდ ვიცინოდით.

— შენს შეყვარებულს რა ჰქვია... ნიფნიფა? — ისევ გადაბჟირდა გვანცა.

— ჩემს შეყვარებულს ლელა ჰქვია და, თუ გინდა, მალე გაგაცნობ! — მთელი სერიოზულობით შევპირდი.

— მართლა? — ისიც დასერიოზულდა, თითქოს ამხელა პატივს არ მოელოდა.

— დიახ... შენ ხომ ჩემი პატარა მეგობარი ხარ, მინდა, ერთმანეთს იცნობდეთ!

— პატარა კი არა, ციცქნა! — გამომაჯავრა.

გვანცას შესახებ ლელას ვუამბე და უნდა გაგაცნო-მეთქი, გულწრფელად შევთავაზე; „ესეც შენი ახალი ცხოვრების პირველი წარმატება!“ ხუმრობით მომიგო და მოჩვენებითი დაეჭვებით გამომხედა, „ფრთხილად იყავი, ბავშვებმა შეყვარება იციან!“ სიცილით გამომიწვია; „აკი, ბავშვობისას რომ მიყვარდი, არ იჯერებდი!..“ მშვიდად ჩავილაპარაკე და დავდუმდი, თვალებში ჩავხედე, დიდხანს ვუცქირე: — შენი ცოლად შერთვა მინდა, უშენოდ ვეღარ ვძლებ!.. — მთვრალივით ამოვილუღლუღე და შვებით ამოვისუნთქე.

27872

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელად შეცბა, თითქოს დაიბნა, მერე ყოყმანს თავი დააღწია და თრთოლვით მითხრა:

— ნაადრევი გადაწყვეტილება ხომ არ მიგიღია?.. შევძლებთ?.. მზად ვართ ცხოვრებას გავუმკლავდეთ?.. ამხელა პასუხისმგებლობა ვიტვირთოთ?.. — პირი უშრებოდა, სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა, თითქოს პასუხებს თავის თავშივე ეძებდა.

თავგზა ამებნა, ერთხანს ხმა არ გავეცი, იმიტომ კი არა, მის შეკითხვაზე პასუხი არ მქონდა, არამედ, მწყინდა, ჩემი რომ არ ესმოდა და ჩემს შესაძლებლობებს ეჭვით უყურებდა.

— მე არაფრის მეშინია... მიყვარხარ... სიყვარულს კი მერყეობა არ ახასიათებს!.. ხმამაღლა, უჩვეულო აღგზნებით ვამბობდი და ქვეცნობიერად უნდობლობისთვის ვკიცხავდი.

— არ ვმერყეობ... ჩვენი სიყვარული ჩემს პირადულზე მაღლა დგას... შენგან არაფერს ვითხოვ, ისეთივე მიყვარხარ, როგორიც ხარ... მაგრამ, რაღაცის მეშინია, მეტი დაფიქრება გვმართებს... — თითქოს ხმაში ცრემლი გაერია.

შეკამათება არ ღირდა, მისიც კარგად მესმოდა, კაცი ვიყავი და პასუხისმგებლობა მე უნდა მეტვირთა.

— პარლამენტარი რომ ვიყო, გამომყვებოდი ცოლად? — ხუმრობით ვკითხე.

— აბა, რა!.. — ხუმრობითვე მომიგო და სიცილი აუტყდა. — შენი წინადადება ღირს დაფიქრებად!.. — დასძინა ბოლოს და თვალებში სიანცე გაუქრა.

იმ საღამოს ამიკოს ვესტუმრე — ბედნიერი დამთხვევა მოხდა — წინა დღით ბიჭი შესძენია, „შენ უნდა მოგანათლინო!" გულწრფელად მახარა და ახალშობილის სახელზე მცირეკალიბრიანი „ბერეტა" მაჩუქა.

შამპანურები დავლიეთ, გათენებამდე ვიქეიფეთ, სიყვარულის სადღეგრძელო რამდენჯერმე წარმოვთქვით.

XVII

ლევანმა ცოლობა შემომთავაზა!..

რა თქმა უნდა, ჩემთვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ მისმა წინადადებამ ისე დამაფიქრა, ლამის სიყვარულზე ხელი ავიღე, მასში კი არა, ჩემში შემეპარა ეჭვი, ალბათ, გამიჭირდებოდა ერთდროულად მოსიყვარულე ცოლიც ვყოფილიყავი და სამაგალითო დედაც, ლევანი ჩემს შიშს ვერასოდეს გაიგებდა, ჩემს ყოყმანს ვერ ჩასწვდებოდა; აკი იხუმრა და გამოავლინა კიდეც, პარლამენტარი რომ ვიყო, მაშინ ხომ გამომყვებოდი ცოლადო; ყველაფერს ადვილად საზღვრავს, მომავლის იმედად მარტო სიყვარულს მიიჩნევს და ცხოვრების წინაღობებს ახალგაზრდული თავდაჯერებით უყურებს, სწორედ ეს მაშფოთებს; იმასაც კარგად ვხვდები, მის სიყვარულს წინ ვერასოდეს აღვუდგები, ვიდრე თავისად არ დამიგულებს, ვერაფერს დავაჯერებ და ვერც ვერაფერს შევაცვლევინებ — გულის სიღრმეში იმედს ვიტოვებ, ცხოვრებისეულ ცდუნებებს არ ავყვებით, თავს არ დავზოგავთ და საზოგადოების წინაშე არ შევრცხვებით.

არ ვიცი... არ ვიცი... კი მიყვარს, მაგრამ წინ რა მელის, ნამდვილად არ ვიცი...

დედასთან კვლავ დაძაბული საუბარი მქონდა.

— კიდევ არ გეშვება? — ცხადია, ლევანს გულისხმობდა.

— სხვა უბანში გადავიდა საცხოვრებლად და სამსახურსაც ეძებს!.. — ვიფიქრე, დავამშვიდებდი.

— გასაგებია, ჩემო კარგო, მაგრამ საცხოვრებლის გამოცვლით ადამიანი როდი იცვლება!.. — ნიშნის მოგებით მითხრა.

— რატომღაც ცუდად გყავს ამოჩემებული!.. — მორიდებით ვუსაყვედურე.

— არა და არა... თითქოს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მასეთები გამოსწორებულან?.. მაგრამ გული სხვა რამეს მკარნახობს... — მკერდზე ხელი მიიდო და თითქოს იდუმალ კარნახს ყური მიუგდო, შთამბეჭდავი სინანულით მომაჩერდა. — მისი სიყვარული ზღვას ჰგავს, ხან აბობოქრდება, ხანაც დაწყნარდება, ამ გავლენას შენშივე ვატყობ და, შენ ამას ვერ გაუძლებ, დაიქანცები, გამოიფიტები და დარდში ჩაიძირები... შენ, დალაგებული, მშვიდი ცხოვრებისთვის ხარ გაჩენილი! — აღელვებით დასძინა.

— გავუძლებ, მის სიყვარულს მოლივლივე ტბად ვაქცევ და მასთან ერთად გულუშიშრად გავცურავ... — ეს მხატვრული შედარება თითქოს საკუთარი თავის დასამშვიდებლად წარმოვთქვი.

ფერი დაკარგა, შუბლზე სიმწრის ოფლმა დაასხა, სავარძლის საზურგეს გადააწვა და უღონოდ მკითხა:

— მართლა გიყვარს?.. — თვალები განწირულივით მილულა.

— ხო, მიყვარს... მაგრამ შენს ნებას მაინც არ გადავალ, გეფიცები, ვიდრე თანახმა არ იქნები, მისი არასოდეს გავხდები!.. — თანაგრძნობით მივაჩერდი, რამე არ მოუვიდეს-მეთქი.

ხმა არ გაუღია, არც განძრეულა, მხოლოდ მისი ნერვიული სუნთქვა მესმოდა.

— ღმერთის წინაშე დაიფიცე!.. — გამოცრა ბოლოს და გამომცდელად მომაჩერდა.

ფანჯარას მივუახლოვდი, მამა-დავითის ეკლესიას მოკრძალებით გავხედე, მუხლებზე დავეშვი და მლოცველის შთაგონებით წარმოვთქვი: „ღმერთის წინაშე ვფიცავ, ლევანის ცოლი არასოდეს გავხდები დედაჩემის თანხმობის გარეშე!" ყელში რაღაც ბურთივით მომაწვა, ხმა ამიკანკალდა, თვალზე ცრემლი მომადგა.

დედამ შვებით ამოისუნთქა.

ამ დროს დარწმუნებული ვიყავი, მართლა ასე მოვიქცეოდი, მაგრამ, როცა საძინებელ ოთახში განვმარტოვდი, მაშინვე ვიგრძენი, მწარედ ვიცრუე, ღმერთის წინაშეც შევცოდე და მშობლისაც; ამის გააზრებამ უჩვეულო შიში მომგვარა, პირჯვარი გადავიწერე, უფალს პატიება ვთხოვე, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში მისვლა და მოძღვრის აყვანა გადავწყვიტე.

დილით, ვიდრე სახლიდან გავიდოდი, დედამ შემაყოვნა და მშვიდად მითხრა:

— წუხელ აღარ გაგაღვიძე, ვიღაც კალემ დაგირეკა, სკოლის მეგობარი ვარო... — შებრუნდა და სამზარეულოში ფუსფუსი განაგრძო.

— მერე დარეკვის დრო არ უნდა იცოდეს! — დამრეკავს ხმამაღლა ვუსაყვედურე და კარი გამოვიხურე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაჩემმა თავი მოიკატუნა, თორემ მშვენივრად იცის, ვინ არის და ვისი შვილია კალე ლაშხია; მამამისი ბათუმის მერის პირველი მოადგილეა, დედა კი ერთ-ერთი პრესტიჟული სასტუმროს მფლობელია; კალე ჩემს პარალელურ კლასში სწავლობდა — მის თაყვანისცემას სერიოზულად არასოდეს ვეკიდებოდი, მეცინებოდა, ყველაფერს ხუმრობაში ვუტარებდი; სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე ჩაერიცხა, საბურთალოზე ახალი ბინა შეიძინა, არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის აქტიური წევრი გახდა და გაწკრიალებული „ბმვ"-თი დადის; გოგონებს გარეგნულადაც ხიბლავს და სოციალური მდგომარეობითაც; თითქოს ყველაფერში მოწესრიგებული ჩანს, ბეჯითად სწავლობს, რომანებს კითხულობს, სპექტაკლს არ აცდენს და სამხატვრო გალერეაშიც დადის — არ სვამს, არ ეწევა, დილაუთენია ვვარჯიშობო, იკვეხნის, კაზინოსა და ტოტალიზატორში ცხვირს ვერ შეაყოფინებ, სამომავლო გეგმებიც აქვს, სწავლის გაგრძელებას საზღვარგარეთ აპირებს და დიპლომატიურ სამსახურზე ოცნებობს, ისეთი ცოლის შერთვა სურს, ყველაფერს რომ გაუგებს და ნერვებს არ მოუშლის; ერთი სიტყვით, ყოველმხრივ დადებითი, საზოგადოებისთვის მისაღები ახალგაზრდაა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთები სულაც არ მომწონს, კალესნაირებს ვერ ვენდობი, მათ გვერდით ჩემი ადგილი ვერაფრით წარმომიდგენია, ის ამ ცხოვრებას მარტოც კარგად გაართმევს თავს და, საინტერესოა, გვერდში მდგომი რისთვის სჭირდება!.. ცოლი მხოლოდ ოჯახური წარმატებისთვის უნდა და არა წმინდა გრძნობისთვის — უზრუნველ ცხოვრებას გთავაზობს და არა სიყვარულს, მისი პირობა, ყოფითის დაკმაყოფილებაა და არა ჭეშმარიტი ურთიერთობის უზრუნველყოფა; რაც მას გააჩნია, ის ლევანს არ აქვს, ხოლო რა სულითაც ლევანი ღმერთმა დააჯილდოვა, ის მას ვერასოდეს შეიძენს; ლევანი სიმდიდრეს არაფრად აგდებს და მთელ მის შესაძლებლობებს სიყვარულისთვის ზოგავს, კალე კი ქონებრივი უპირატესობისთვის მთელ მის გონებრივ რესურსებს დახარჯავს — შეყვარებულისთვის ბექობზე ამოსულ ყვავილს არ წაეპოტინება, ფეხი არ დამიცურდესო.

ჩემთან ხშირად რეკავს, თავს ტყუილუბრალოდ იწუხებს, ალბათ, სწორედ ჩემი გულგრილობა უღვივებს ინტერესს, უკვირს, სხვასავით ფეხქვეშ რომ არ ვეგები; დარწმუნებული ვარ, მასეთები როცა თავისას მიაღწევენ, მერე გამკაცრდებიან და მეუღლის სამზარეულოში მიჯაჭვას ცდილობენ.

დილით ლოცვას დავესწარი, მერე მამა გიორგი გავიცანი და ჩემი გადაწყვეტილება გავუნდე; მომიწონა, მირჩია, ჯერ საეკლესიო ლიტერატურიდან რამდენიმე ლოცვანს გავცნობოდი და ნელ-ნელა აღსარებისთვის მოვმზადებულიყავი.

მეორე სემესტრს მოვრჩი, ბოლო გამოცდა ჩავაბარე, შინ დავბრუნდი, დედა სამსახურში წასული დამხვდა, ამ დროს ტელეფონმა დარეკა.

— ლელას სთხოვეთ! — გაისმა ყურმილში, კალეს ხმა ვიცანი.

— გისმენ! — ისე სასხვათაშორისოდ ვუპასუხე, თითქოს მხოლოდ ის გავიკვირვე, ვის გავახსენდი-მეთქი.

— კალე ვარ, ლელა... როგორ ხარ, რას მოღვაწეობ?..

— არა მიშავს... შენ, როგორ გიკითხო, კალე?..

— არაფერი მაწუხებს, შენგან დავიწყების გარდა! — გაეცინა.

— სკოლის მეგობრები არ მავიწყდება...

ერთხანს ხმა არ გაიღო.

— ხომ არ გაგვესეირნა, ან რომელიმე გასართობ კლუბს ვწვეოდით!.. — გულწრფელად შემომთავაზა.

— მაგას რა ჯობს, მაგრამ, ჩემს შეყვარებულს რომ ეწყინოს?..

— ოო... — ცოტა არ იყოს, დაცინვასავით ამოთქვა და უკმაყოფილება რომ დაეფარა, მოჩვენებითი კეთილმოსურნეობით დასძინა: — შეყვარებულიც წამოიყვანე, გამაცანი!..

— რომ არ ისურვოს?

— რატომ?!

— ამ ცხოვრებაზე შენგან განსხვავებული წარმოდგენა აქვს!..

— შენ, რომლის წარმოდგენას აფასებ!

— მისას!

— ძველი ბიჭია? — თითქოს იხუმრა, კვლავ გაიცინა.

— ძველი კი არა, ახალი ბიჭია!.. — გამომწვევად დავდუმდი.

— მაპატიე, ლელა, ჩემი საქმე როდია, მაგრამ, მერწმუნე, შენთვის მხოლოდ სიკეთე მინდა!..

— ეჭვი არ მეპარება, კალე!.. — აღარ გავაგრძელებინე, მოვუბოდიშე, სხვა დროს დარეკე-მეთქი.

დამემშვიდობა, ბედნიერება მისურვა, ამ დღეებში შემოგეხმიანებიო, შემპირდა.

ცოტა ხნის შემდეგ ლევანს ველაპარაკე, ბევრი მაცინა, ბებიაჩემს ტროლეიბუსში ჩაძინებიაო, ვიღაც ბიჭს მისთვის მოუხალავი მზესუმზირით სავსე თოფრაკი აუწაპნავს და ვიდრე იქაურობას გაეცლებოდა, გონს მოსული ქალი ქეჩოში წატანებიაო, შვილო, უმი მზესუმზირაა, კუჭს აგიშლისო, სიბრალულით უთქვამს და, თოფრაკი მშვიდობიანად დაუბრუნებია.

ჩუი გაკვირვებული მომჩერებოდა, სულელივით რა აცინებსო, თითქოს მასაც უნდოდა ემხიარულა, მაგრამ არ იცოდა — როგორ და, ვერც ამის საფუძველს ხედავდა.

ნაშუადღევს დედაჩემს ფეხდაფეხ შემოყვნენ ინეზა, ნონა და ხათუნა; ჩუი ყველას ფეხებში ებლანდებოდა, ალერსს ითხოვდა, თითოეულ მათგანს ყნოსავდა, ვიღაცებში ხომ არ მეშლებიანო; მალე ყავა ადუღდებოდა, თბილისურ ჭორებს გუდა მოეხსნებოდა და ქვეყანაში არსებული პოლიტიკაც შეფასდებოდა; „აბა, მეტი რა საქმე გვაქვს, შეყვარებულები ჩვენ არ ვართ და, არც პერსპექტივაში ჩანს ვინმე!" გაიხუმრა ინეზამ და თვალი ჩამიკრა; „ერთი ხომ გაისტუმრე უკვე იმქვეყნად, ვეღარ ისვენებ, კიდევ მსხვერპლს ეძებ?" დაგესლა დედაჩემმა და სამზარეულოში გავიდა; „ენა გაგიხმეს!" დაადევნა ინეზამ და სავარძელში მოკალათდა.

ჟურნალის მაგიდას ვუსხედით და ლაპარაკით თავს ვირთობდით; ზოგჯერ დედაჩემი მრავლისმეტყველად გამომხედავდა, ვფიქრობ-

დი, ეს ქალი ასეთი კმაყოფილი კარგა ხანია არ მინახავს, აშკარად რაღაცას მიმალავს-მეთქი.

— ხათუნა, შანსი რომ იყოს, საზღვარგარეთ წახვიდოდი? — მოულოდნელად იკითხა მან და რატომღაც გამომცდელად მე მომაჩერდა.

— რატომაც არა! — გამოცოცხლდა ხათუნა.

— შენ, ლელა? — თვალი არ მოუშორებია ჩემთვის.

მხრები ავიჩეჩე, ბათუმში მირჩევნია-მეთქი, ხუმრობით ჩავილაპარაკე.

დედამ თვალები მოწკურა, „ჰოლანდიას აჭარა გირჩევნია?“ ისეთი გაოცებით მკითხა, არ მირჩევნია-მეთქი, ვერაფრით ვეტყოდი.

— ჰოდა, ხვალ დილით შენ და ხათუნა ამსტერდამში მიემგზავრებით!.. — საზეიმო ტონით გამოაცხადა, მაგიდაზე საზღვარგარეთის პასპორტები და საგზურები დადო, ნონას შეთქმულივით გაუღიმა.

გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, ისე ჩამაბეს გამგზავრების ფაციფუცში, ჩუი აქეთ-იქით დაწრიალებდა, უაზროდ მოგვჩერებოდა.

დილაუთენია აეროპორტის გზაზე მივქროდით, ერთი საათის შემდეგ კი უკიდეგანო სივრცეს მივაპობდით.

როცა თვითმფრინავი ღრუბლებს მოეფარა, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს დედამიწაზე აღარასოდეს დავბრუნდებოდი — ყველაფერი მომბეზრდა და მარტო ცაში ფრენა მინდოდა, მიწაზე რაც დავტოვე, ჩემს თვალში ყველაფერი დაპატარავდა, ფასი დაკარგა, უსასრულობის ფონზე სასაცილო გახდა — გრძნობა, სიყვარული და დედაშვილური ურთიერთობა გასართობ თავშესაქცევად მეჩვენა — მხოლოდ უფლის სიახლოვეს განვიცდიდი.

როცა ამსტერდამის აეროპორტში დავდგი ფეხი, მაშინ მივხვდი, ლევანი მიყვარდა და, გამახსენდა, დღეს ვერის ბაღში ხუთ საათზე უნდა შევხვედროდი, წარმოვიდგინე, როგორ ინერვიულებდა, დიდხანს დამიცდიდა, მთელ კოლოფ სიგარეტს მოწევდა და წარა-მარა დამირეკავდა — „ამაღამ თვალს არ მოხუჭავს, დილიდან იმის შეტყობინებას შეეცდება, ლელა მოულოდნელად სად გაუჩინარდა“-ო.

ამსტერდამის გაღაჟღაჟებულ და ფერადი რეკლამებით აჭრელებულ ქუჩებს თავს და ბოლოს ვერ გაუგებდი, ირგვლივ უჩვეულო სიცოცხლე ჩქეფდა, მე კი ფიქრებით თბილისში ვიყავი და, როცა ტაქსი სასტუმროს წინ გაჩერდა, ხათუნამ მაშინ მომაფხიზლა, მოვედითო.

დავბინავდით, უკვე გადაწყვეტილი მქონდა, ვიდრე ჰოლანდიაში დავყოფდი, ლევანს არ დავურეკავდი, თავის მართლებას ვერ დავიწყებდი; თითქოს ტაიმ-აუტი ავიღე, საკუთარ თავს განმუხტვისა და დაფიქრების საშუალება მივეცი — ქვეცნობიერად ვგრძნობდი, ყველაფერი მშვიდად, აუღელვებლად უნდა შემეფასებინა, ამეწონ-დამეწონა და ისეთი გადაწყვეტილება მიმეღო, რაც სანანებლად არ გამიხდებოდა.

დედაჩემის გახსენებამ უჩვეულო სინანული მომგვარა, მისი თბილი, ალერსიანი თვალები წარმოვიდგინე და უსაზღვრო მადლიერებით ავივსე.

იმ საღამოს კაფეში ვივახშმეთ, ნამდვილ ჰოლანდიურ ყველს გემო გავუსინჯეთ, იქაურ „ჰიტებს“ მოვუსმინეთ, უცხო ატმოსფეროთი გავლაღდით და სასტუმროს ნომერში მშვიდად მოვისვენეთ.

მეორე დღეს ამსტერდამის ღირსშესანიშნავი ადგილები დავათვალიერეთ, სისადავითა და დახვეწილი გემოვნებით ნაგებ შენობებში ჰოლანდიელი ხალხის კულტურასა და ტრადიციას ამოიკითხავდი; ადამიანებს მშვიდი, უზრუნველი გამომეტყველება ჰქონდათ, მათი ბუნებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება მათ ჩაცმულობაში შეიმჩნეოდა; ქუჩაში თითქმის არავინ ლაპარაკობდა, იფიქრებდით, განგებას ამ ხალხისთვის ხმის ამოღების უფლება წაურთმევიაო.

ყოველ ნაბიჯზე თავისუფლება ბატონობდა, ადამიანებს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ბოროტებასა და სიკეთეზე წარმოდგენა არ ჰქონდათ, ზნეობასა და უზნეობას ერთმანეთისგან არავინ ანსხვავებდა, დღევანდელობით არსებობდნენ და მომავალს აუღელვებლად უყურებდნენ; ღამით, როცა ქალაქის ქუჩები რეკლამებით აჭრელდებოდა და განათებული შადრევნებით აშხუილდებოდა, ეს აუღელვებლობა ყველაზე მეტად იგრძნობოდა: კაფეებსა თუ გასართობ კლუბებში თავისუფლად ეწეოდნენ ჰაშიშს, სკვერებსა და ბაღებში შეყუჟული წყვილები ურცხვად მრუშობდნენ, აქა-იქ დაწყვილებულ გოგონებსაც ნახავდით, ერთმანეთს მონატრებულებივით რომ ეხვეოდნენ — თითქოს ვერავის ამჩნევდნენ, რასაც მოისურვებდნენ, იმას აკეთებდნენ, ვიდრე ცოცხალები ვართ, ცხოვრებით დავტკბეთო.

სასტუმროს ნომერში გვიან დავბრუნდით, უჩვეულო შთაბეჭდილებებით გაბრუებულებს დიდხანს არ დაგვეძინა. „აქაურები თითქოს ჩვეულებრივები არიან და თავისუფლებას ანსახიერებენ, ადამიანური ურთიერთობები, განურჩევლად სქესისა, სექსუალურობამდე დაუყვანიათ და, სინამდვილეში, ჭეშმარიტი სიყვარულის ფასი არ იციან... თავაშვებულობა და მორალი ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიათ!..“ სინანულით ჩავილაპარაკე, მომეჩვენა, თითქოს მოვხუცდი და შიშმა ამიტანა, ვიგრძენი, ჩემი მოძველებული აზროვნებით ამ ქვეყნისთვის უცხო ვიყავი — წუხილით ამოვიოხრე და კედლისკენ გადავბრუნდი.

ხათუნას ხმა არ გაუღია, მისი მშვიდი და უშფოთველი ფშვინვა დიდხანს მესმოდა.

დღე და ღამე ერთმანეთს ტყუპისცალივით ჰგავდა, რომ არ მოგეწყინა, ამსტერდამული ცხოვრების ფერხულში უნდა ჩაბმულიყავი.

მალე ყველაფერი მომბეზრდა და სამშობლოში დაბრუნებაზე დავიწყე ფიქრი; თბილისში დავრეკე და დედაჩემს ველაპარაკე, შესანიშნავად ვგრძნობ თავს-მეთქი, მოჩვენებითი კმაყოფილებით დავამშვიდე.

— ევროპაში ხომ არ გააგრძელებდი სწავლას?! — მკითხა ნასიამოვნებმა.

— არ ვიცი, ჩამოვალ და მაგაზე მერე ვილაპარაკოთ! — იმედი აღარ გავუცრუე.

— ჩამოსვლაც არ დაგჭირდება, ყველაფერს აქედან მოგიგვარებ, ბერლინში გაემგზავრები და...

— კარგი რა, დედა... — მობეზრებით შევაწყვეტინე და ბიძაჩემის ამბავი ვკითხე.

— ყველანი კარგად ვართ, შვილო!.. — მიხვდა, სხვა რამეზე უნდა ელაპარაკა, — ბათუმელმა კალემ დაგირეკა, ევროპაში მივემგზავრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ლელას დავუკავშირდებიო, შენი კოორდინატები მთხოვა... — დამნაშავესავით დასძინა და ჩემს პასუხს დაელოდა.

ნევრები მომეშალა, მაგრამ თავი შევიკავე, არაფერი ვუთხარი, ოჯახის მეგობრები მოვიკითხე და ინეზასთან ხუმრობით დავაბარე, აფსუს, ჩემ გვერდით რომ არ არის, თორემ ჰოლანდიელ კაცს დავაჯახებდი-მეთქი, ბოლოს ამსტერდამული, საკუთარი თვალით დანახული ფაქტებიც მივაყოლე და ცოტათი გავამხიარულე.

ჩვენს სასტუმროში ერთი თბილისელი გოგონა ცხოვრობდა, თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობო, ამაყად გვითხრა — მეგობრული და კეთილი ჩანდა, ასმათი ერქვა, ცნობილი რეჟისორის ფილმში შეყვარებულის როლის თამაშზე ოცნებობდა; იმ დილით კარზე მოგვიკაკუნა, ნომერში შემოცქრიალდა, აღტაცებას ვერ ფარავდა, სულმოუთქმელად გვახარა: „ამსტერდამში ერთი თბილისელი ახალგაზრდა მოღვაწეობს, გადასარევი ბიჭია, უკვე რამდენიმე ფილმში გადაიღეს და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ“, ბოლოს დასძინა: „ძლივს დავუკავშირდი, გაუხარდა, ჩემთვის დრო გამონახა, საღამოსთვის შეხვედრა დამითქვა და გადავწყვიტე, თქვენც წაგიყვანოთ“; მხრები ავიჩეჩეთ, ერთმანეთს გადავხედეთ, ისე დავიფასეთ თავი, თითქოს ძუძუმწოვარა ბავშვები გვყავდა მოსავლელი; ასმათიმ თავისი მაინც გაიტანა და შეხვედრაზე წასასვლელად შეგვაფუცხუნა.

ჩვეულებრივ კაფეში ვისხედით; თბილისელ მსახიობს მერაბი ერქვა, ხოლო მის ჰოლანდიელ მეგობარს — ფრედი; ქართველი ვაჟი თვალშისაცემ გარეგნობასთან ერთად დახვეწილი მანერებითა და ძალდაუტანებელი მეტყველებით გამოირჩეოდა — ერთი შეხედვითაც შეატყობდით, არსად დაიკარგებოდა; ფრედს ყმაწვილბიჭურად ეჭირა თავი — ცისფერ თვალებს ისე ნაბავდა, ნარკოტიკით გაბრუებული გეგონებოდა; გრძელი, ქერა თმა შუაზე გაეყო და ერთმანეთში გადაწნული ბოლოები ფერადი ბაბთით შეეკრა; უინტერესოდ გვიყურებდა, თითქოს ვერც გვამჩნევდა, და არც ჩვენ არ ვგრძნობდით იმ ქალურ უხერხულობას, მამაკაცის წინაშე რომ დაგეუფლება; კარგად დავაკვირდი და ჰოლანდიელის გარეგნობაში მდედრისთვის დამახასიათებელი თვისებები აღმოვაჩინე, დედაკაცივით ლმობიერი და დამყოლი ჩანდა; ამ დროს ასმათი გადმოიხარა და ჩემს ორჭოფობას ბოლო მოუღო: „გაგას ბოი-ფრენდია, ეს ამბავი თბილისშიც იციან!“ მიჩურჩულა და ფრედს თანაგრძნობით გაუღიმა; არაფერი შევიმჩნიე, ბარმენთან მისულ მერაბს უკმაყოფილოდ გავხედე; მობრუნებულმა თვალი შემასწრო, თითქოს რაღაც იგუმანა, შემწყნარებლურად გამიღიმა და მაგიდას მოუახლოვდა; ფრედი თვალს არ აშორებდა, უჩვეულო მზრუნველობით უცქერდა; როცა მერაბი გვერდით მიუჯდა და მხარზე ხელი მოხვია, თვალებში საოცარი სითბო ჩაუდგა და ტუჩებზე ნეტარი ღიმილი გაუკრთა; „ფრედი ჩემი მეგობარია, ძალიან მდიდარია და სამსახიობო სამყაროშიც დიდი გავლენა აქვს!“ თითქოს თავი იმართლა მერაბმა და ჰოლანდიელის ხელს თბილად დასწვდა; ფრედს თვალები აევლვრა, დაბნეულად გაგვიღიმა, „მეგობარს“ ვნებიანად მიაჩერდა და ჰოლანდიურ ენაზე რაღაც უთხრა.

გულისრევის შეგრძნება დამეუფლა, ყველაფერი შემზიზღდა, შერისხულივით ავდექი, „უნდა დამირეკონ“, ზერელედ მოვიბოდიშე და იქაურობას გავეცალე; სასტუმროს ჰოლი სწრაფად გავიარე და ვიდრე ლიფტის ღილაკს თითს დავაჭერდი, უკნიდან შვეიცარის ხმამ შემაყოვნა, „მადამ!“ და ტელეფონისკენ მიმითითა.

— კალე ვარ, მადრიდიდან გირეკავ, ხვალ ამსტერდამში ვიქნები!.. — ისე მომესმა, თითქოს თბილისში ვიყავი და ვიღაც გვერდითა კორპუსიდან მირეკავდა.

— სადაც გენებოს იქ იყავი, მე თავი დამანებე! — მობეზრებით მივუგე, ყურმილი დავკიდე და ისე გამოვბრუნდი, გაოცებული შვეიცარისთვის მადლობაც არ მითქვამს.

თავში მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა, დაუყოვნებლივ თბილისში უნდა დავბრუნებულიყავი: თითქოს საშიშროება მემუქრებოდა, ბოროტება სიყვარულში მეცილებოდა, ლევანი უნდა გადამერჩინა, დედამიწაზე გაბატონებული უზნეობისგან მეხსნა, როგორმე უნდა მიმესწრო — მეჩვენებოდა, თითქოს ბიბლიური ევა ვიყავი და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი ცოდვის გამოსყიდვას თავგამოდებით ვესწრაფოდი.

ბარგი რამდენიმე წუთში ჩავალაგე, ტაქსი გამოვიძახე, ხათუნას ბარათი დავუტოვე, მოვუბოდიშე, დანარჩენს მერე აგიხსნი-მეთქი, დავუბარე და, აეროპორტში გავქანდი; ვიდრე ხათუნა მაგიდიდან წერილს აიღებდა, წაიკითხავდა და გაოცებისგან პირს დააღებდა, მე უკვე ჰაერში ვიქნებოდი და მალე ქართულ მიწაზე ფეხს დავადგამდი; თვითმფრინავის სალონი მგზავრებით გავსებულიყო, მათ სახეებს გადავხედე და იგივე გრძნობა დამეუფლა, რისთვისაც ამსტერდამიდან გამოვიქეცი, თითქოს არაფერი შეცვლილიყო — უხამსობა და გარყვნილება თვითმფრინავის საშუალებით ერთი ქვეყნიდან მეორეში შეუფერხებლად გადადიოდა და, ბოი-ფრენდები და კიკინებიანი ალფონსოები მალე ჩემს ქალაქშიც მომრავლდებოდნენ... „სიყვარული გადაარჩინე!“ იდუმალი ხმა ჩამძახოდა და ისევ ღმერთთან სიახლოვეს ვგრძნობდი, ყველაფრისთვის პატიებას ვთხოვდი, მარცვლისოდენა დედამიწას გონების თვალით დავცქეროდი და მხოლოდ ლევანს ვხედავდი: მოუთმენლად მელოდებოდა და მთელი არსებით ვუყვარდი!..

გაგრძელება იქნება

ანი მესხიშვილი

ცოლ-ქმრული მისტერია

შენშემოვლებული ჩემი გალავანი...
ჩემშემოვლებული შენი დილეგი...
ცრემლებჯვარედინზე ხილვა დანაბანი,
გულგამონამზერი შენკენ მიმდრეკი.
შენ ლოცვადქცეული მტერი ვარ შენივე,
მომკლავ და სიცოცხლეს
შენგანვე მოველი.
შენ სისხლში ამოსვრილ
ჭრილობებს შემიხვევ,
მკოცნი და არ ვიცი, ვის გვიყვარს რომელი.
შენ მხრებშემორტყმული
ახლაც მძევალი ვარ
შენ თანანადებთა თავდები,
ზოგჯერ მამძიმებ და მაღლა ვერ ავდივარ,
ხანაც სიმაღლიდან ვვარდები.
ცრემლებგასაყართან ჩვენი ორეული
თუმცა გადარჩენის გზებს იგნებს,
მაინც ტუსაღი ვარ შენში მომწყვდეული
და ვერც შენ ელევი ჩემს დილეგს.

დროის გრადაცია

გატიტვლდა ტყე და მზად არი,
მოაცვას ტოტებს ზამთარი.
ანამქერდა ნიავქარი,
შეიბაფთა იანვარი.
გამთოშე, არ შეგებრალო,
საპატარძლო თებერვალო.
ზვავს დამსხლტარი, დაზაფრული
თვალს გიცრემლებს გაზაფხული.
სარკმლის ფიფქთა ჩანახატი
დადნა, დადნა... დადგა მარტი.
მზეო, გიმზერ დაღვრილი,
შენ შემიშრე აპრილი.
მოენძელეს ხალისით
დამსკდარ კვირტთა მაისი.
ამიდუღე ზღაპრული
სისხლო, ძარღვში ზაფხული.
გახსოვს აღთქმა... ივნისი...
ანგელოზი ყინწვისის?
მერე ისევ თბილისი...
გულხმურვალე ივლისი.
ღვთისმშობლა აგვისტომ,
ტაძარს ვკოცნეთ მაგიტომ.
ხეივანზე შემოდგომა...
დამტევნილი შემოდგომა.
ხმობდა უფლის შემქებებს
ბეთანია სექტემბერს.
ახლა ისევ ოქროსფერს
ვუბრუნდები ოქტომბერს.
რა იციან ნოემბრებმა
ნისლიანი მოგებება.
ისევ სევდის მაგვარი
ფერფლისფერი ზამთარი.
შენც არ გინდა მომეფერო,
შენც დამტოვე, დეკემბერო.
...გადის კიდევ წელიწადი.
ერთ დროს მე შენ შემიყვარდი.

შვილი შვილში

(დედას)

დედა, თავს ვერ ვერევი,
ამიყვანე ხელში,
ისე მტკივა სხეული,
მომეფერე შენ შვილს.
წაქცეული გეძახი,
ისევ მინდა შენში,
ფეხის ადგმა არ ღირდა,
კლდიდან გადავეშვი.
პირველ სიტყვად მოსული
ბოლო კვნესად შემრჩი.
რატომ არ გაგიმართლე,
ნეტა, არაფერში?
როგორ მრთავდი ლამაზად
ათასნაირ ფერში,
მე კი გადავიღებე
და ჩავკალი ეშხი.
გავექეცი სიხარულს
ამ ცხოვრების მტვერში.
ვმდგარიყავი კუთხეში,
ნეტა, არ გაგეშვი.

ამდენ მტანჯველ ნაფეხურს
გონებიდან ვერ ვშლი,
გაიხლართა ფიქრები
ჩემს აბურდულ თმებში.
ველარაფერს გიყვები,
რაღაც მიჭერს ყელში,
ვიცი, ჩემი ტირილით
შენ ასმაგად შეგშლი.
ვერა, ვერ გავუფრთხილდი
და გიბრუნებ შენს შვილს.
ის პატარა ბავშვი ვარ,
ამიყვანე ხელში.

დაბრუნება ედემში

მიყვარს შენში უფლის შემობრძანება,
კვლავ ედემის გაცოცხლება ფერებით,
ქერა ნერგთა ლერწმისფერი მწვანე და
თიხის ჭურჭლით ღმერთს რომ შევეგებებით.
ამ ბაღიდან განდევნილი წყეულის
გვემით გულის გამოჭედვა თავიდან.
ოქროს ტახტად დაგებული სხეული
ცოდვის გამო მამისგან რომ წავიდა.
მიყვარს, როცა განშორებას ვერ უძლებ,
ეტირები და ეძახი ლოცვებით.
როცა შესთხოვ, მაპატიე მე უძღებს,
დამნაშავე ჯვარცმასთან რომ მორცხვდები.
მომწონს შენი ნალურსმნებზე ამბორი.
ხილვა, მადლით როგორ შეიმოსები.
დაღლილ მხრებზე მოხვეული ფრთა ორი
და თეთრ მტრედთან თეთრი ანგელოზები.
მსურს, დავემხო ატირებულ მდინარედ,
ჩვენს შესართავს ცისკენ გზა გავუკვალო.
თუ ნასისხლარ ფერხთსაბანად მიკმარე,
თუ მიმიღე, მასთან ერთად, უფალო.
შეინირე შენი წყვილის ვედრება,
ჩვენ ერთმანეთს სიყვარული აღვუთქვით.
დასაღუპად, ვიცი, არ გემეტება
შენხელთქმნილი, შენი ამონასუნთქი.
ისევ მინდა, სილამაზე ვიხილო,
ერთგულების გავიწოდო ხელები.
გადავწვდები სამოთხისფერ ღიღილოს
და უმწიკვლოს გრძნობით მივეკედლები.
მიყვარს შენში უფლის შემობრძანება,
ჩემი თიხის შევსებული გრაალი,
ნეტარ ნერგთა ლერწმისფერი მწვანე და
ღვთის წყალობა ზეცით გარდმომავალი.
მიყვარს შენში სიმშვიდე და სიწმინდე,
და ედემის ღვთაებრივი ბუნება,
ცდუნებების ცრემლი,
ღმერთო, მოგვწმინდე,
ერთად გვინდა, ერთად კვლავ დაბრუნება.

აბორტი

სუნთქვა და ფეთქვა შემაგრძნობინე,
სული მოგანდე, დედიკო, შვილის,
შენ კი რას ირჩევ, იმაზე ფიქრობ,
გამომფხიკონ თუ მიკეთებ „მინის“.

სულ ნაწილ-ნაწილ უნდა ამკუწონ,
და ახლა მხოლოდ ტკივილი მივლის,
როგორ მეგონა, მიფრთხილდებოდი,
არ მოველოდი მე შენგან სიკვდილს.

ჩემი კივილი არ გესმის, ნეტა?
ნახე, იესო ცრემლით დამტირის.
როგორ ვიყვირო — მიშველეთ, დედა!
როცა დედა მჭრის თავად რაპირით?!

მეგონა, მგრძნობდი, როგორ ვკრთებოდი
და შენთან ერთად როგორ ვხარობდი.
მე ახლაც შენი სისხლით ვიცლები...
აღარ ვარსებობ, მორჩა აბორტი.

ჩემზე ჯვარდაწერილს

ჩემი ოცნებები, ჯერ კიდევ საქალწულე
ოქროს თევზებივით შენს სისხლში გავაცურე.
ორი კალაპოტი, ჩვენი ორი ტანი
წყაროს თოლიების ერთად მოიტანენ,
ზოგჯერ ჯებირებთან მომსკდარ
ცრემლებს ვუვლი,
ასე ღვთის ნაკურთხი ჩვენი საუნჯე ვშვი.
გულის გალიაში ბარტყი მომწყვდეული
შენთან გავაფრინე სულის სილურჯეში.
ახლაც შენს ტოტებზე ფეხებგაყინული,
შენზე მობუზული ზამთრის ბეღურაა.
წლებნაამბორალი ჩემი სიყვარული
ამ ერთგულებისთვის უფალს ემუდარა.
შენთან მოვიტანე ყველა სილამაზე,
შენში მოვაქციე ჩემი სიმახინჯეც,
მერე ავიცრუე გული ყველა კაცზე
და ტყვიების ასხმა შენს მკერდს მივაკინძე.
მერე ჩამოშლილი, იქვე, ჩემი ბუდე
ისე მომენატრა, ისე დამენანა,
თავი დაგადე და თმაში ავიბურდე
ძველი ნაძენძების ბადე სიფრიფანა.
ასჯერ დაღამდა და ასჯერ დაგვათენდა,
მეათიათასედ უნდა გაგეპარო.
იქნებ აღმივლინო ლოცვა
მაღალ ღმერთთან
და ჯვრად აიტანო უჩემო სამყარო —
ვიდრე თოლიები წყურვილს მოიკლავენ,
ვიდრე ოქროს თევზებს სისხლი დაამძიმებს,
ვიდრე ანგელოზის
ფრთებით გაშლი მკლავებს,
ვიდრე სულს მოძებნი შენზე ნაქორწინებს.

ჯიში – საჯალმახე

(ისტორიული მოთხრობა)

"გადმომატარეს ასი მთა,
მინდორი ცხრა ამდენია"
დ. გურამიშვილი

თავი მეორე

გრილოდა ყარაბაღის მთიანეთში. ლურჯ—მწვანედ დაფერილ სასახლის კედლებს სიმყუდროვე არ აკლდა. კედლებს მიღმა ხოხბების ყივილი ისმოდა, გურგური და მიეთ—მოეთი. შუადღის სიცხეს ჯერაც ვერ ეძალა. ცაზე მონანავე, გრძელფრთიან, უცხო ფრინველებს გაოცებით შესცქეროდა ტყვე ჭაბუკი. (როგორც გადამწერი და ენების მცოდნე, ბრძანებელმა თან იახლა) ასეთი ფრინველები არასდროს ენახა, თითქოს საგანგებოდ, მის შესაღვიძებლად თუ შესაფხიზლებად გამოეგზავნა განგებას. მთებიდან მოფრენილიყვნენ... იმ მთების იქით მისი სამშობლო იყო.! (მაცდუნებელი ჩანდა ეს შეხსენება!) მშობლიური მიწისკენ გაქროლება ენადა. უცხო ფრინველივით ეფრინა სურდა...

დასასრული. დასაწყისი N1

თუმცა, ღამით ერთობ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა... მბრძანებლის საძინებელში, მისივე მსახურნი შეიპარნენ მალულად და...

წინასწარ იხილა ყოველივე... (ჯერ კიდევ ადრე, თეირანში, შაჰის სასახლეში ყოფნისას!) სიზმარში ნახა... სისხლის გუბე. დატბორილი ხალიჩა. შემართული ბებუთი. ყელგამოღადრული მბრძანებელი. ცხენის ჭიხვინიც ჩაესმა. თქარა—თქური. ტირილის ხმა. ვის ჰკლავდენ ან ჩეხავდენ, ვერ გაარკვია. მხოლოდ გვიან მიხვდა... როცა ზმანება სინამდვილედ ექცა...

შუშის ხანის სასახლეში სიჩუმე იყო. ყრუ ხმები ისმოდა, მცველები მიმოდიოდნენ.. არ დაეძინა. კართან მივიდა და ჭუჭრუტანაში გაიჭვრიტა. ვიღაც ზურგით იდგა. ხეირიანად ვერ გაარჩია, ვინ იყო. მცველი?! სავსე სხეულით ფარავდა კარებს. ზედვე მოყრდნობოდა. მიხვდა, თავადაც შეთქმულების მონაწილე იყო. როცა გუმანით აკვლევ სინამდვილეს, სდუმხარ და არ ამხელ, დანაშაულის ტოლფასი ხდება. დუმილი ხომ სანახევრო თანხმობაა. როცა მკვლელის სახეს იხილავ, შენს გვერდითაა, ამავე სასახლეში. ყოველ დღე ხვდები მას... იცი, რას აპირებს, შენც იგივე ხარ.! დანაშაულის მონაწილე... შეიძლება, ხანჯალი არ გიჭირავს ხელში, მაგრამ ხომ ხვდები, საცაა შემართავენ მას!.

... თაროზე მოზარნიშებული თიხის ჭურჭელი— აზარფეშები, ჯამები, ყელყარყარა სურები, თუნგები, შანდლები ეწყო.. ყარაბაღელი ხანის შენაძენი და ნასათუთები. ყველაფერი ძირს ეყარა... დამსხვრეულ—დალეწილი... ვიღაც ზლუქუნებდა. უმძიმესი წუთები იდგა... სახეებიც გაარჩია. უპირველესად, ხუდადა ფარეშის ნაყვავილარი სახე იცნო. ლეკი საფარას უნდო მზერა, სისხლიანი ხანჯალი ეჭირა ხელში... თითქოს ცხვრისთვის წაეჭრას თავი... მესამე ვერ დაინახა... სადიღა—ანდრია ქართველი, მცხეთელი ტყვე... (მგონი თვითონ იყო!)

მძინარე შაჰს ღამით ყელი გამოსჭრეს...

მკვლელები არ უპოვიათ, არც არავის უძებნია. მათთვის არ ეცალათ.

...უპირველესად სადიყ—ხანი შევარდა შაჰის საძინებელში, მოკლულს თითებიდან ბეჭდები წააძრო, სამეფო სკიპტრა. კეთილშობილი ქვებით მოოჭვილი გვირგვინიც მან დაისაკუთრა. მერე თანამებრძოლები აიყოლია და თავრიზისკენ გაქუსლა. შაჰის სიკვდილმა თავზარი დასცა სასახლეს. უაზრო შიშმა მოიცვა ყველა. წარჩინებული ბეგები სასახლეში შეიჭრნენ და ძარცვა—გლეჯვას შეუდგნენ. ჯარი მძარცველთა და მარადიორთა ბრბოდ იქცა. სადღა იყო შაჰის დიდებული ლაშქარი.

შუშის ხანმა, იბრეიმ—ხანის ძმისწულმა, გრძელკისერა, თვალებაცეცებულმა კაცმა მამად—ბეგმა, ხანის საძინებლიდან მოკვეთილი თავი გამოიტანა (უჩალმო, მელოტი, სახედაჭმუჭნული) და ტომარაში ჩააგდო. ბელაქანში თავშეფარებულ ბიძას ფეშქეშად მიართვა. მან კიდევ, ზიზღით და სიძულვილით შეპყრობილმა, მიწაზე ათრია, ფეხით გათელა...

კაცი, რომელიც მსოფლიო ცაზე ზარებს არისხებდა, დიდ მბრძანებლად მიაჩნდა თავი, ამქვეყნიდან უკანასკნელ გლახაკივით, პატივაყრილი წავიდა. წუთისოფელმა დასცინა, ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმა ადამიანებმა თავი მოკვეთეს. საფლავიც არ აღირსეს, მხოლოდ ჭარელმა ლეკებმა დაინდეს, მოჭრილი თავი ჭარში წაიღეს და ზაქათალას მეჩეთში დაფლეს.

ბედისწერას ვერსად გაექცევა კაცი...

* * *

გაქრა, აორთქლდა ვაჟი.

საერთო ხმაურსა და არეულობაში მიიმალა. მწირის სამოსით შეიმოსა. შინდის ჯოხი იმარჯვა. მცირე საგზალი ირგო და ღამის სიბნელეში ლანდივით გასხლტდა. მისთვის არავის ეცალა.! არც არავინ დადევნებია. ტანზე ძონძი ემოსა, უაზროს ჰგავდა. წვერ—ულვაშ მოძალებული, მხრებში მოხრილი, ნახევრადმშიერი. სასახლის კარიდან თავის დახსნა არ იყო ადვილი. (ტყვეობიდან თავის დაღწევას ნიშნავდა!). ყოველ გზასა და მოსახვევში, ყოველ შემხვედრს მისი დაჭერა და ფეხქვეშ გაგდება შეეძლო. ტყვე იყო. სხვა ქვეყნის შვილი. დროულად უნდა გაცლოდა აქაურობას.

მთვარიანი ღამე იყო. მკრთალი შუქით განათებული. უცნობ ბილიკს მისდევდა. ცდილობდა კვალი არ დაეტოვებინა. საიდანაც ქარი უბერავდა, იქეთკენ გარბოდა. ძაღლებს სუნი რომ არ აეღოთ. დარწმუნებულია, როცა იქნება, გამოედევნებიან. როგორც ირმებს იჭერდნენ მის სიყმაწვილეში, არაგვის ხეობაში, ასე დაიჭერენ მასაც. ანთებული ჩირაღდნებით გზა—კვალს უბნევდნენ ცხოველს. დარეტიანებული ირემი უგზოუკვლოდ გარბოდა. რქებით ხეებს ეჯახებოდა. შემოსეულ ძაღლებს უაზროდ შესცქეროდა. ახლაც ახსოვს ქორბუდა ირმის დამფრთხალი მზერა, მუქათ მბზინავი, სველი, გადაქლესილი ბალანი. სიბნელეში თავშეფარებულს, ჩქარი სუნთქვისგან მუცელი გამობერვოდა. ვეება რქებს უმწეოდ არხევდა... თითქოს მათი მოცილება სურდა, ეტყობა რქების ზიდვა უჭირდა... ირგვლივ ძაღლები შემოსეოდნენ, ხახადაღებულები, გაავებით უყეფდნენ. ირმის სიახლოვეს გაეგიჟებინა ისინი, ჭკუიდან გადასულებს ჰგავდნენ. უცებ ირემი წელში გაიმართა და ყველაზე წინ მდგომი, ნაცრისფერი, მედუმე ძაღლი წვეტიან რქებზე წამოიგო. აიყვანა და მიწაზე დაანარცხა. მუცელგაფატრული, შიგნეულგადმოყრილი ძაღლი მიწაზე თათებს ურტყამდა. ნელ—ნელა, უმწეოდ. სანამ არ ჩამთავრდა.

გაქრა ირმის მოლანდება.

დღისით ეძინა, ღამით გარბოდა. სურდა დროულად მიმალულიყო, უხილავი გამხდარიყო... როგორც წყალში თევზის ნაკვალევი.

ვინც დაინახა, თვალი დაატანა, ვერ იცნეს. მწირი იყო თუ დერვიში ვერ გაარჩიეს. ფეხშიშველა გარბოდა, (რა ხანია მსუბუქი ქოში გაუცვდა,) დაგლეჯილი მოსასხამით, უქუდოთ, გრძელი თმით... შეშლილს ჰგავდა, (თითქოს ალაჰი შეხებოდა!) თავად მოსწონდა დერვიშის როლი. უცხო ადამიანები სიბრალულით ეკიდებოდნენ. ლუკმას აწოდებდნენ. არც არაფერს ეკითხებოდნენ, მუნჯი იყო, რა უნდა ეპასუხა! რა ხანია გაცდა ქალაქს, თათრულ სახლებს, ოთხო—მოთხო შენობებს. უფერულ ქუჩებს, გზაწვრილებს. ქალაქის ბოლოს, ფიცრულთან შეჩერდა. მგონი საყასბო იყო. ჩაქცეულ ხევს სისხლიანი ჩქერი გასდევდა. ცხვრის გატყავებული ბეწვი ჯაგნარზე გაეფინათ. ოდნავ გამომშრალს, სისხლის სუნი ჯერაც არ გასცლოდა. ტყაპუჭად ირგო.

წინ დიდი გზა ედო...

სოფელში შევიდა. ჩეულებრივ თათრულ სოფელში. ნახევრად მიწურებში, ისლის ქოხებში ცხოვრობდნენ. თითო—ოროლა ქვითკირის სახლიც მოჩანდა. ალიზით, წივით(საქონლის ნაკელით) შეელესათ კედლები. პირუტყვის ზმუილი ისმოდა, ფეხდაფეხ ადევნებული ძაღლები შეფარვით ეპარებოდნენ... ჯოხით იგერიებდა მათ.. უცხო იყო, სუნიც უცხო ჰქონდა და სისხლიც...

ფერდობზე შეფენილ ხილს სიმწიფისგან კანი დასკდომოდა. ტკბობის თუ ლპობის სურნელი იდგა. გარგარი, ატამი, ყურძენი... ტოტი მოიწია. ეგემრიელა ნაყოფი.

გამოქცევისას, სადღაც ჩაილეწა. ღია ჭრილობა სტანჯავდა. შენადედი სისხლი, ლეკერტი მიხმობოდა ტანზე. მკლავები დაჩხოტოდა. ადამიანთა სამდურავს ვერ იტყოდა, უხმოდ აწვდიდნენ ლუკმას. თათრულად ნამზად კერძს. შემწვარს თუ მოტაფულს, ცხიმში მოშუშულს. ხმიადიც გამოქონდათ, ჯამით წყალს ასმევდნენ. მწყემსების მიტოვებულ ქოხში მოუწია ღამის გათევა. დაღლილ—დაშაშრულს სიარული უჭირდა. კარგა ხანს დარჩებოდა, რომ არ მოეკითხათ. ვინაობა ჰკითხეს. რა უნდა ეპასუხა, თითი ტუჩზე მიიდო და მუნჯი ვარო ანიშნა. შეეშვნენ. ბორჩალოელი თათრები აღმოჩნდნენ, ცხვრის ფარა გამოერეკათ. მგლისმსგავსი ძაღლები ახლდათ. კომბლებით იყვნენ შეიარაღებულნი. გარს შემოერტყნენ მუნჯს. მასთან გასაყოფი არაფერი ჰქონდათ, პირიქით, ცხვრის ყველი და მუჭით ქიშმიში უწილადეს. სისხამ დილით აიშალნენ და წავიდნენ. ფარა გაირეკეს.

ბარდოსთან ახლოს, შიშველ ტაფობზე საპოვნელი იპოვა. ერთბაშად წაადგა თავზე... ფერი ეცნო, სუნიც იყნოსა. იქამდე სულის მიტანება სურდა და მიატანა კიდეც. მდინარე, რომლისკენაც ასე გამეტებით მოიწევდა, მტკვარი იყო. მშობლიური და ახლობელი. არაგვის ტალღებით გაჯერებული ბალახ—ბულახით გაჟიებული. თუმცა, ჯერაც არ იცოდა რა მდინარე იყო. "მტკვარდალეულებს, მტკვარი ენატრებათო", ნათქვამია... სამოსი შეიძრო და მდინარეში შეცურდა. ეამა თბილი დინება. გუბეში ჩაწვა. ძეძვნარს იქეთ, სიღრმეში თევზები დაცურავდნენ. მხოლოდ ერთი განცალკავებულიყო. ვერცხლისფერი, გრძელი თევზი. წითლად დაწინწკლოდა ტანი. ლაზათიანი ჩანდა. სხვები თუ დაღმა მიჰყვებოდნენ ჩქერს, იგი აღმა შეჰყოლოდა.

მას ჰგავდა.

წელზე თოკი შეიხსნა. სიცხისგან დაშაშრული ფეხისგულები წყალმა დაუამა.' თევზის თვალთვალი განაგრძო. კამკამა ჩქერში იწვა, ხახას აბჩენდა. სქელი კანი ლორწოს წვენით დაფაროდა. მისი დაჭერა ძნელი იყო. კუდსაც ძნელად წაავლებდა ხელს, უმალ გაუსხლტებოდა... ლაყუჩებიდან სისხლი სდიოდა თევზს, ქვებთან ნაომარს ჰგავდა. კლდის ხავსიან სიბნელეში მიმალვას ცდილობდა... მოეჩვენა რომ თავად იყო თევზი, კალმახი, გელაქნური, ქვებზე ნახეთქები, დაშაშრული. თავადაც აღმა შეჰყოლოდა მდინარეს. ფეხშიშველა, დასისხლიანებ-

ული. რაც მთავარია, თევზივით მუნჯი, უენო. მსგავსებამ გაამხნევა...

ღამით გრილოდა. გამჭვირვალე წყვდიადში უთვალავი ვარსკვლავი ციმციმებდა. შუქი ძნელად აღწევდა მიწამდე... იგი მარტო იყო საკუთარ თავთან, სამყაროსთან და რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, სიმარტოვე ნაკლებად აშფოთებდა... პირიქით სიამოვნებდა.

* * *

რა ხანია უკან მოიტოვა ქანდა... განჯა... მდინარე მტკვარი, ქვემო ყარაია... ხორველას შიში აედევნა გზადაგზა... მუსრავდა ხალხს. არც მას დაინდობდა., აჩქარებით გარბოდა. შავი ჭირის შიში ფეხდაფეხ ასდევნებოდა. ნაწრეტი წყალი, დაბინძურებული გარემო, გადაბუგული მთა—ველი, დამსკდარ—დაშაშრული მიწა. ყველაფერი ხელს უწყობდა... დაავადება ჯერ არ მოძალებოდა, თუმცა, მისეულ ნიშნებს აშკარად გრძნობდა... აურჟოლებდა. წყურვილი და ყელის სიმშრალე აწუხებდა. სხეული ოფლით დანამული...

ზევით და ზევით შეჰყვა მდინარეს. ხრიოკი ფერდობები, ქარისგან გამოხრული ფლატეები... ტყეს მიაღწია, ხშირფოთლოვანი მცენარეები გამოჩდა: ცაცხვი, წაბლი., მუხა. წყლიანი ხევი შამბნარს ამოევსო, სვლა გაუძნელდა. ნაჯახდარტყმული ხეების კვნესაც ესმოდა. ამინდმა პირი იცვალა. აცივდა და ჩამობნელდა. " ეს მთები უნდა გადაიარო და საქართველო გამოჩდება..." ასე მიასწავლეს მწყემსებმა, მისმა მასპინძლებმა.

შეყოვნება დაღუპვას ნიშნავდა. დათოვლილ ბილიკზე სვლა გაძნელდებოდა. ჯოხს იშველიებდა, იბჯენდა, ისე მიიწევდა წინ... "ქრისტე ღმერთი რომ შენი მეკვლე იყოს, კვალი არ გაგიმრუდდება, უეჭველად მიაღწევ საწადელს". ტყეში შესვლამდე, უცხო სოფელში, უცნობმა ადამიანებმა კიდევ ერთხელ გაუყვეს ლუკმა, თონიდან ამოყრილი ცხელი ლავაში უწილადეს, მუჭით მარილი, ხახვთან და ნიორთან ერთად. სხვა რაღა უნდოდა, ღმერთის წყალობად მიიჩნია...

ტყის სიღრმეში შევიდა. უცნაური განცდა მოეძალა, თითქოს ადამიანის სახე დაჰკარგა... (საღად აზროვნება უჭირდა!). როგორც კი დაბნელდა, მუხის ფუღუროში ჭიაღუასავით შეძვრა, ნახევრად შეიმალა. გამხმარ ბალახში, სადღაც ზღარბი ფაჩუნობდა, ხის ქერქში მღრნელი იბრძოდა. ნეშომპალა, სოკოები, დამათრობელ სურნელს აფრქვევდნენ. მშრალი ფოთლები მოჩხრიკა, საწოლად ირგო. მუხლის გამართვაც შეძლო, ქარისგან ჩამოცვენილი ფოთლები ნაბდად იფარა. გული მშვიდად უცემდა... (არც შიში უგვრძვნია.) ჩაეძინა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც გამოიქცა, ასე მშვიდათ არ უძინია. ყოველი ჩქამი, ხეების კვნესა—ჭრიალი, ცხოველთა ფაჩუნი დამამშვიდებლად მოქმედებდა. შეეძლო ორი დღე გადაბმულად სძინებოდა. თითქოს დათვი იყო და ფუღუროში გამოზამთრებას აპირებდა. ტკბილად ეძინა. გუნებიერად. არ გაუგია, რა დრო გავიდა, თუ გამოეღვიძა— ისიც იმიტომ, რომ თოვლის ფიფქების უთავბოლო ცვენამ შეაწუხა. ურჟოლამ აიტანა, ციოდა. ერთიანად მოკუნტულს ხერხემალი სტკიოდა. ტუჩები გაფიცხებოდა... საამოდ ცვიოდა ფიფქი, სახეზე ეფინებოდა. უნდა ეჩქარა! ამ მთების იქით... მისი ქვეყანა იწყებოდა. როგორც კი ფეხს დაადგამს, პირველსავე ეკლესიაში ილოცებს, სანთლებს დაანთებს... ყველაზე მეტად ეს ეწადა.

ერთბაშად გამოეღვიძა. ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა. იგრძნო მარტო არ იყო, რაღაც ძალა თავისკენ ეწეოდა, მხეცის სიახლოვე იგრძნო.... მისი სუნი... სუნთქვა. "მგელს რომ ძაღლსავით სუნის ცნობა შეეძლოს, ქვეყანას ამოაგდებდაო-"ნათქვამია. თუმცა, აშკარად ჩანდა ყნოსვით მოეგნო მტაცებელს... მოყინულ ბორცვზე აღრენილი იდგა. არ იძროდა. პირდაპირ მას შესცქეროდა. იარაღი არ ჰქონდა. თავის დაცვის არავითარი საშუალება არ გააჩნდა. მხოლოდ შინდის ჯოხი ჰქონდა, პატრონივით გამხმარი. ხეზე ასვლას ვერ მოასწრებდა, ვერც გაქცევას...

წვრილ—წვრილად თოვდა.

ცხოველის ყმუილი გარკვევით ესმოდა.

ჯერაც ვერ მიმხვდარიყო, როგორ მოქცეულიყო... ჯობდა ცეცხლი გაეჩაღებინა და ნაკვერჩხლები აეგუზგუზებინა... მგელი ცეცხლთან მოახლოებას ვერ გაბედავდა. მწირის სამოსი, ოფლისა და სისხლის სუნი იზიდავდა მას. ამიტომ გაშეშებოდა კისერი, ნახტომისთვის შემზადებული ჩანდა. ძვლებიანად შთნთქმას უპირებს ალბათ... გააზრიალა.

უკიდეგანო ეჩვენა სამყარო. მცხეთა... ტყეობა. შაჰის სასახლე, მეჩეთი თუ მინარეთი... შუშაში მომხდარი ტრაგედია, შაჰის მოკვეთილი თავი... (წამით დაეწანა იგი, მარტოსულობისთვის, ღალატისთვის, მარადიული სიძულვილისთვის...) უკან არ მოუხედავს. მშრალი ფოთლები, ფიჩხი ერთად მოაქუჩა. კვესი და აბედი მოიძია, მწყემსთაგან ერთ-ერთმა მისცა. გაჰკრა. აანთო. ხის ტოტები მიაძალა კოცონს. ააბრიალა. მაინც ვერ დაწყნარდა, ვერ დაშოშმინდა.

კვლავ უძრავად იდგა მგელი. ცეცხლის პირას ჩაცუცქულ მწირს უნდოდ შესცქეროდა, თითქოს ადამიანი კი არა, უცაბედად გამოხეტებული ბატკანი ყოფილიყოს. ყელის გამოღადვრის ჟინს შეეპყრო. დუჟმორეული და აძაგრული შესჩერებოდა. მტაცებლის ცხელი სუნთქვა სულ ახლოს მოჰქონდა ნიავს. ნაცრისფერი ბეწვი ლურჯად აშლოდა. ვიწროდ მოჭუტულ, ელვარე თვალებს არ აცილებდა. საცა იყო დააცხრებოდა! ძნელად შესაგუები წუთები იდგა. მიხვდა, ეს ბედისწერა მოსდევდა ლურჯი მგლის სახით, უნდო და ულმობელი, ფეხდაფეხ ადევნებული. თითქოს ვიღაცის სული აედევნა... ვისი?!

ერთბაშად დააცხრა ცხოველი...

შეეცადა გაშმაგებული მტაცებელი მოეცილებინა. კისერში თითები წაუჭირა. მოგუდვა დაუპირა... ძნელი დასამორჩილებელი აღმოჩნდა. მასზე ღონიერიც იყო. უცებ, მოიფიქრა და ღია ხახაში შინდის ჯოხი ჩათხარა, გამხმარი როკი. მგლის ბასრმა კბილებმა უმალ დაღრნეს ხე. ეტყობა ეტკინა... ფართოდ მოეღო პირი. მგლის მყრალი ნერწყვი კისერსა და მკლავებზე დადინდა. ხელებიდან თქრიალით სდიოდა სისხლი. ტკივილს ვერ გრძნობდა. წამიერად ცეცხლისკენ დაიხარა, მოგუზგუზე ნაკვერჩხლებიდან ყველაზე დიდ მუგუზალს დასტაცა ხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ღია ხახაში ჩათხარა. ახროტინდა ცხოველი. მუგუზლის გაცილებას შეეცადა, სამტროდ უკრთოდა ანთებული თვალები... სისხლიანი ლაშები უჩანდა. დაუნდობელი ჩანდა. ის იყო ბრჭყალებით სახე უნდა ჩამოეღადრა მწირისთვის, რომ... კვლავ იმარჯვა, მომცრო მუგუზალი თვალებში ჩასცხო..

მგლის ყმუილმა ტყე შეაზანზარა.

დაბრმავებულმა და უილაჯომ ნელ-ნელა უკან დაიხია, ბარბაცით შეჰყვა აღმართს... ძუნძულით, ლასლასით მიიწევდა. დროდადრო საბრალოდ ყმუოდა, ვიღაცას უხმობდა...საიდან გამოედევნა, ვისი სული იყო?! ვერ მიხვდა, ვერც იაზრა. მტაცებლისთვის ეროვნება არ არსებობს, არც სამეზობლო ღობე, სამყარო მისთვის მთლიანია... არც მოკვლა ითვლება ცოდვათ... მას კი საბრალოს, დამალვის ნაცვლად, ადამიანებისკენ აეღო გეზი. (მწყურვალი ჩანდა, ალბათ მდინარისკენ მიიწევდა!)

სოფელთან მიახლოებისას მოჰკლეს იგი...

თავი მესამე

ქართული სოფელი გამოჩნდა. ოდა—სახლებით, ბაღ—ვენახებით, ტყრუშული ღობეებით შემორაგული, ჩახატულ—ჩაჩუქურთმებული ეზო—კარი. მწვანე მოლით, ყვავილნარით. უმალ იცნო. იერით, ხიბლით, ხმებით და ძახილით. ლამის გული ამოვარდნოდა ბუდიდან. პირველსავე შემხვედრს, გზა—შარაზე შემთხვევით გამოხეტებულს ბერიკაცს კინაღამ ფეხებში ჩაუვარდა, მოუბოდიშა. ვერაფერი გაიგო მოხუცმა. ცუხცუხი განაგრძო გზა. უხმოდ გაეცალა...

რამდენი იწვალა, რომ აქამდე მოეღწია. თუმცა ნახევარი სოფელი ისე გაიარა, არავინ გამოგებებია. მისთვის არავის ეცალა. ყველას სოფლის ბოლოს, ორი მდინარის თავშესაყარისკენ გაქცეოდათ მზერა. რა ხდებოდა იქ, რას მოასწავებდა მათი მღელვარება, ვერ გაეგო. სოფელი აშლილიყო. დიდი და პატარა გარბოდა. გრძელ კაბიანი ქალები, (უმეტესობას ჩითის კაბები ეცვათ), ახალუხიანი მამაკაცები, გოგო—ბიჭები.

რაღაც ხდებოდა...თავადაც გაჰყვა, გაედევნა.

სოფლის ბოლოს, ორი მდინარის შესაყარზე, ცხენოსნებს წამოეწივნენ. შავი ჩოხები ეცვათ. ბოხოხები ეხურათ. ოცამდე იქნებოდნენ, შეიძლება მეტიც. ტაიჭ-მათრახით, უნაგირით შემოსილი, ფაფარაშლილი ცხენები ერთმანეთს ეხლებოდნენ. წიხლავდნენ, ყალყზე დგებოდნენ. ხელის ოდნავ შეხებაზე კრთებოდნენ. გვერდზე გასახტომად და გასაქროლებლად იყვნენ მზად.

მათი ხმები ჩაესმა,შეძახილი, ყალყზე დგომა.ქართველები იყვნენ!.

ერთმანეთში შეხლა—შემოხლა ჰქონდათ. მიეთ—მოეთი, არ ინდობდნენ, არც პატიებდნენ. ავად შესცქეროდნენ ურთიერთს, დიდგულობდნენ. რაღაცაზე დაობდნენ. გასაყოფს ვერ იყოფდნენ, მიწას, წყალს... თუ ქალს. ქართველური ხასიათი ჩანდა, ძნელად დამთმობი და შემსმენი. ორ მათგანს ხანჯლისკენ წაეღო ხელი. კუშტი, დაძაბული სახეები უჩანდათ. ყველანი შეიარაღებულნი იყვნენ... გორდათი, ლეკურით, დავითფერულით. ვისაც რა ეპოვა! იფიქრებდი მტრები შეყრილანო. თუმცა, მთლად ასეც არ იყო... რომ ეგონა, ახლა წაესევიან ერთმანეთს, დასჩეხენ და დაასახიჩრებენო... მთის დამრეც ფერდობს ორნი ჩამოყვნენ, შინდისფერჩოხიანი ახალგაზრდები, ქურანა ცხენებით. ახლად შებუმბლული წვერ-ულვაშით. სახეზე ალმური ასდიოდა. ცხენები ეჭენებინათ, შუბლი და კისერი გაოფლიანებოდათ. თეთრჩოხიან, ჭაღარა, ტანბრგე მამაკაცს რიდით მიუახლოვდნენ, (ბატონკაცური იერით განზე რომ გამდგარიყო.) ჩხუბსა და დავიდარაბაში ნაკლებად ერეოდა. გამშველებელზე მეტად, დავის გამრიგე ჩანდა... მოახსენეს... უნაგირზე შეირხა ჭაღარა, შეტორტმანდა. მერე აღვირი მოქაჩა და ცხენი ყალყზე შეაყენა..

სიახლე დამთურგვნელი აღმოჩდა... საჩხუბრად და სადავიდარაბოდ შეკრებილი მხედართა ჯგუფი უმალ დაშოშმინდა. ფლოქვების ცემა და ერთმანეთში შეხეთქებაც შენელდა...

—მეფე ერეკლე გარდაიცვალა!— ჩაესმათ ხმა.

ერთბაშად დაღლილობა იგრძნო მწირმა, მოეჩვენა რომ მთელი ეს გზა ტყუილუბრალოდ გამოიარა... რაღაც დამთავრდა... უსასრულო და მარადიული. ირგვლივ მყოფ ადამიანებივით, წყენაზე მეტად გულისწყვეტამ შეიპყრო...

გრილი ნიავი ქროდა. ქრისტეშობის სევდიანი შუქი გაუმჭვირვალე ქსოვილად ეფინა მინდვრებს, ჭალებს, ტყეს. ცხენოსანთა ჩლიქებით გადათელილ მიწას. ცხენების მხურვალე სხეულების, მათი ბალნის წებოვანი სისველე მოქონდა ნიავს...

ღამის თევა, ჭერის ძიება არ უფიქრია, გზა გააგრძელა.

ნაჩბადინი, გულთაფა და ჩალამბუ, ბოსტან—ქალაქი რუსთავი... გასავლელი ჰქონდა!.

თავი მეოთხე

სიმწვანემ იმატა, ბაღ—ვენახებმა, ნარგავ—ნათესმა, წყალი მოჩქეფთა. ბოლოკი, წიწაკა, სატაცური, ნორჩი ხახვი. წვრილ ვაშლსაც მრავლად ესხა... მაჟალოს. უბე შეივსო.

ლოჭინი, ნავთლუღი, ღომელაური.

დედაქალაქთან მიუახლოება გაუძნელდა... შავი ჭირი მძვინვარებდა. ნაომარ, ნაჭირნახულებ ქალაქში კვლავაც ტირილი და მოთქმა ისმოდა. ყრუ სამძიმარით ზუზუნებდა ქალაქი. მგლოვიარე, შაოსანი ადამიანები ლანდებივით დარაცრაცებდნენ, მიმოდიოდნენ, მიცვალებულებს მიწას აბარებდნენ. ქალაქის შესასვლელში ხერგილები დაედგათ. მისვლა—მოსვლა აეკრძალათ. არც მოხეტიალე მწირი შეუშვეს."მკვდარი ადგა, აღარ დადგაო", ასე იყო მისი საქმეც. მართლაც მკვდარს ჰგავდა, საავბედოთ ახეტებულს. ვერა ჰკითხეს, მუნჯი იყო, რა უნდა ეპასუხა."ქალაქში არ შეხვიდეო"—ხელით ანიშნეს. მახათას მთისკენ მიუთითეს, "იქეთ წადიო". ნაბიჯის გადადგმა გაუჭირდა... ხორველიანს ჰგავდა, ეგებ იყო კიდეც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჩერება არ შეეძლო. ჯერაც ვერ მიმხვდარიყო მართლა შეეყარა ხორველა თუ გამოღლილსა და გამოფიტულს, ძალაგამოცლილს, ნაშიმშილებს ფეხზე დგომა უჭირდა. ცოტაც და... მოწყვეტით დაასკდებოდა მიწას. არავინ გამოდევნებია, ყველას თავისი თავი გასჭირვებოდა. სახედაძმარებული კაცის ხილვა არავის ეწადა.

ჩაუხვია, ღობე—ყორეს გაჰყვა, ბოლომდე გასდია.

ხევში წყალი ჩქეფდა.

ბანიანი სახლები ჭარბობდა ირგვლივ. ტფილისური შუშაბანდები. ღობის იქით, წითელი აგურით ნაშენი, ჩაჩუმებულ—ჩაქვესკნელებული სახლი მოჩანდა. კაცის ჭაჭანება არ იყო, არც ბავშვების ჟრიამული ისმოდა. ყველაფერი ჩამკვდარიყო.

რა ხანია ჩავიდა მზე.... მოეჩვენა, რომ საერთოდ არ ანათებდა, სამყაროს წყვდიადი დასწოლოდა.(ეს წამიერი მოჩვენება იყო.) გაძლება ჭირდა. ღობეს მიჰყვებოდა, ეკალსა და ქაცვს ებღაუჭებოდა. ეზოში გადაიხედა. ხელძარი, კალათა, გოდორი... ქერის მარცვლით აევსოთ. კაკალი დაემტვრიათ, ნაჭუჭი იქვე ეყარა. გზის ბოლოს პირუტყვის ქედი გამოჩნდა, წითელ ძროხას მოერეკებოდნენ. მაძღარი და ჯიქანსავსე ჩანდა პირუტყვი. მოაბღავლა და მოაბღავლა... მისმა ხმამ დააფრთხო ვაჟი, ძალა გამოაცალა, შეტორტმანდა, თავის შეკავება ვერ მოასწრო, პირდაპირ მოწანწკარე რუში ჩაემხო. ჩახვავდა.

ტკივილი არ უგვრძვნია, არც შფოთვა. დაცარიელებულ ჭურჭელს ჰგავდა...

* * *

დაბნელდა. ნისლი ჩაწვა ხევში.

მახათას მთა შეხსენებასავით გადმოდგომოდა ქალაქს.

ბილიკს შაოსანი ქალი ჩამოჰყვა. მაღალი, გამხდარი. გახუნებული თავსაფრით წაეკრა შუბლი. მხოლოდ თვალები უჩანდა... თოკით ძროხა მოჰყავდა. წკნელის გადაკვრით, წინ წაგდებით მოდენიდა... წყლის ვიწრო კალაპოტში ჩახერგილი უცხო მგზავრი ვერ დაინახა, უხმოდ ჩაუარა და წავიდა. განაწყენებული ჩანდა.

— იქეთ რამ წაგიყვანა, იმ დასაკარგავში... არასდროს წასულხარ. მოვკვდი ქალი, დავიღალე შენი ძებნით... ეგებ ვინმემ წაგიყვანა... ძალისძალად გაგრეკა. არ დამორჩილდი?! გამოექეცი?! შე საბრალო... თუ მწვანე ბალახს დახარბდი.?!.. მერე ბოჩოლა ვის დაუტოვე?! —საყვედურობდა ქალი.

პირუტყვიც შეზმუოდა, თავს უხმოდ უქნევდა...

ის იყო ჭიშკარი შეაღო, ადამიანის კვნესა ჩაესმა.. იქვე ახლოს, ღობესთან... ვიღაცას უჭირდა. დიდათ ყური არ ათხოვა ქალმა, თითქოს არ გაეგონოს... ძროხა ეზოში ჩადენა. აზმუვლებული ბოჩოლა ერთბაშად მიასკდა დედის ჯიქანს. ბღლარძუნი, რძის სურნელი და... ხელახლა ჩაესმა კვნესა... ახლა კი დაფაცურდა ქალი, ჭრაქის ლამფა მოიძია, აანთო. ხევის პირს ჩაჰყვა. იქვე იპოვა. წყალში ჩამხობილი. ახალგაზრდა მამაკაცი აღმოჩდა. მკლავში წვდა, წამოყენება დაუპირა. ვერ შეძლო. წელზე მოხვია ხელი. იძალა. ერთბაშად ახვეტა წყლიან ჭინჭრობიდან. ფეხზე დაყენება დაუპირა, მაგრამ ვერ შეძლო. მუხლებში გადახერხილივით ჩაიკეცა ვაჟი. კვლავ დაწვდა, შეშის გუდურასავით აიტაცა. მყიფე და უძალო ჩანდა. ერთიანად ლაფში იყო გასვრილი. სუნთქვა უჭირდა. სიტყვა არ წაცდენია ქალს, მხოლოდ გაიფიქრა: "მკვდარი სახლიდან გარეთ გაჰყავთ, მე კი..."

გრძელ ტახტზე დაწვინა. საგებელი დაუგო.

ლაფით გასვრილი სისხლიანი სამოსი შეაძრო. ერთად შეჯორჯა და ღობის ძირას დაწვა. (ხორველიანი ეგონა!) თავთან სანთელი დაუდგა. სუფთა ნაჭრით ჭრილობა მოწმინდა, ჩირქიც ადინა. დაწყლულებული ფეხები ნაცრისძალით დაბანა, ღვინიანი წყალიც ასვა. ყელი შაქარყინულით დაუტკბო. სხვა რაღა ექნა, უფალს თავად უნდა განესაჯა, ეცოცხლა თუ მომკვდარიყო...

მესამე დღეს მოვიდა გონს... ჯერაც ვერ გაერკვია სად იყო, ვინ შეიფარა. სიცხეს დაეწვა და დაეხრუკა ვაჟი. ილაჯგაწყვეტილი ჩანდა, ამქვეყნიურ სამყოფელს გარიდებული, თითქოს იყო და არც იყო... მძიმედ სუნთქავდა, თვალები უგიზგიზებდა. შორ გზას, ცუდ კვებას დაეუძლურებინა იგი. გამომშრალი ტუჩები დახეთქოდა. ცივი ოფლი ასხამდა...

ძილის წინ, ქალი სანთლებს ანთებდა. ლოცულობდა, ქმარსა და შვილებს ახსენებდა, შინმოუსვლელებს, ბრძოლებში ჩახოცილებს. უფალს შენდობას თხოვდა. შემწეობასაც. ავადმყოფის გადარჩენა, საამქვეყნოდ მისი მობრუნება ეწადა. ცრემლგამშრალს ჰგავდა ქვრივი.. ვერ გაურკვევია, ვინ იყო უცნობი, საიდან მოვიდა... ნათრევსა და ნასიმწარევს ჰგავდა. ყელზე ხის ჯვარი ეკიდა.(ეს იყო მთავარი!)

გრძელ ტახტზე იწვა ვაჟი. (ზვარაკად შეწირულს ჰგავდა!). ამგვარ ტახტზე, წინათ მთელი ოჯახი ისვენებდა. პაპა და შვილიშვილები. სტუმარიც... ყველანი ერთად თავსდებოდნენ. ახლა ხის გრძელ ტახტზე, ერთ მხარეს ვაჟი გაშოლტილიყო, ხოლო მეორე მხარეს— იოანე ბატონიშვილის მოწინავე რაზმის მებრძოლების, (კრწანისთან დახოცილი მამა-შვილის), ქვრივის ქმარ-შვილის საომარი აღჭურვილობა ეწყო— ჯაჭვის პერანგი, მუზარადი, ფარი და მახვილი, ხმალ-ქარქაში... სამოსელიც იქვე ეწყო—ჩოხა-ახალუხი, ქულაჯა, წუღა-მესტი.

მარადი გოდებისთვის გაეფინა მასპინძელს...

თუმცა, ბოლო ჟამს ნაკლებად ტიროდა ქალი.

ავადმყოფს უვლიდა, მის გადარჩენას და გონზე მოყვანას ლამობდა...

* * *

ნაბიჯების ხმა, პირუტყვის ბღავილი... ყველაფერი ეს ესმოდა და არც ესმოდა. ყოველდღიურობაში აბრუნებდა ვაჟს. თანდათან გონზე მოდიოდა. შორი გზისგან გამოღლილს, სიცხისგან თუ დაავადებისგან ძალაგამოცლილს, ამდენხანს თუ ძველი ფათერაკები აგონდებოდა (შაჰის მკვლელობა, მტაცებლის გაალმასებული მზერა)... თანდათან დაუწყნარდა სხეული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონებაც დაუმშვიდდა. თვალები გაახილა. მიმოიხედა. მიხვდა, იქ არ იყო, სადაც უნდა ყოფილიყო... თუმცა, ნაკლებად ეუცხოვა სახლი, ოთახი, ნივთები... ყველაფერი ახლობელი ეჩვენა, თითქოს ოდესღაც ეცხოვრა აქ. სუნიც ნაცნობი ტრიალებდა... ქალსაც ნაცნობი სახე ჰქონდა, მშობლიური... დიდი ხნის უნახავ მშობელს მიამსგავსა .(ღამის დავიწყებულს!) ნაბიჯებით, ხმით, მიმოხვრით.

გაცოცხლებას იწყებდა.

თავისთვის, გულში, სანამ ლოცვებს წამოიწყებდა, ღმერთს შენდობას სთხოვდა... უცებ გონებაში სახელები აუტივტივდა... სოფლის სახელები. თავდაპირველად ვერ მიხვდა, რომელმა წუთმა მოიტანა ისინი. რატომ?! რა მიზეზით?! არადა გაუნათდა გონება. ჩამოთვლა იწყო... ძეგვი, არმაზი, თელათ-გორი, იდლეთი. მღვიმე კიდმანი, ღართი, ზედაზენი, ბელტის ციხე, წიწამური, განკორდა, დაუმაგრდი, ციხე დიდი... კავთა, საკურთხისი...(სულის მოთქმა გაუჭირდა!) მცხეთის შემოგარენი... საქართველოს გული და სული. მიხვდა, გამოფხიზლებას და გონზე მოსვლას იწყებდა... სოფლის სახელების ჩამოთვლა უპირველესი ნიშანი იყო... მამაო ენუქისთან ერთად ხშირად სტუმრობდა მათ. ბავშვებს ნათლავდნენ, მიცვალებულს წესს აუგებდნენ, აკურთხებდნენ... რა ხანი გავიდა მას შემდეგ. თითქოს ყველანი ეძახდნენ— ადამიანები... სოფლები.

ფეხზე წამოდგომის სურვილი მოეძალა... ტახტზე უმოძრაოდ გდება აღარ შეეძლო, მოძრაობა სურდა, მისვლა-მოსვლა, ფეხზე დგომა, სინამდვილესთან დაბრუნება... ქალაქის მისასვლელთან ჩაქუფრვამ გზის გაგრძელების საშუალება არ მისცა. ბოლო მიზნამდე მიაღწევა გაუძნელდა...

არადა, გრძნობდა სუნთქვა გაადვილებოდა. სახლი, ჭერი, სივრცე უცნაურ სინათლეს აევსო. ვერ გაარკვია საიდან მოდიოდა მთრთოლვარე ნათება. ფანჯრებს გახედა. თოვდა... ფანტელები ცვიოდა. ყოველი წუთი საამო ეჩვენა... ყველაზე მეტად მასპინძელთან გაჰყრა დაენანა... (თუმცა, სხვა გზა არ ჰქონდა). ქალმა წერა—კითხვა არ იცოდა, (რამდენიმე სიტყვა წაუჩხაპნა ქაღალდზე, მაგრამ ვერ ამოიკითხა, მღვდელთან უნდა წაეღო ქალაქში) ორთა შორის მხოლოდ დუმილი ხმიანობდა. იგი ამხელდა სათქმელს, ფიქრს, სურვილს. ახლა წასვლას აპირებდა... დამშვიდობება უჭირდა, მადლობის თქმაც. (მასპინძლის არც სახელი იცოდა და არც გვარი).

არადა, ზარების შორეული გუგუნი გარკვევით ისმოდა.

მიხვდა, მწუხარების ორმოცი დღე გასულიყო, დიდ მეფეს საბოლოო განსასვენებელში მიაბრძანებდნენ...

დრო იხელთა. მარჩენალ პირუტყვს გასდევნებოდა ქალი... შინ არ იყო. თონიდან ამოყრილი პურებიდან ყველაზე დამწვარი ირჩია. თავად ჩაკეტა ჭიშკარი. გზას გახედა, შეეცადა პირისპირ არ შეყროდა მასპინძელს, ძაძით მოსილ შაოსან ქალს. მასპინძლის სახე, ხმა თითქოს დავიწყნოდა, გონებას წაეშალა იგი. ასე უფრო ადვილი ეჩვენა მზრუნველ ადამიანთან გაყრა-გაცილება. მადლობის უთქმელობა...

მსუყედ და ხვავიანად თოვდა.

მახათას მთიდან გადმოხედა ქალაქს. შავ ჭირს ებრძოდა ტფილისი... თავადაც შეებრძოლა, მასპინძელიც. თუმცა მადლობა არ უთქვამს, რიდით თავი არ დაუხრია... გამოეპარა. რატომ?! (ამ ბოლო ჟამს ბევრი რამის მიხვედრა უჭირს) მაღალი სიცხე, უმადობა, ოფლიანობა, სისუსტე დაავადების ნიშნად ჩათვალა მან... თავი არ დაუზოგავს. შეიფარა, გოგირდი უკმია, ნატისუსალით დაბანა, ღია ჭრილობები ბალახბულახით დაუშუშა. სიმყუდროვეში ჩამალა და ჩაკარგა...თბილ ლუკმას ძალისძალად უდებდა პირში. მოგვიანებით მიხვდა, მისი მოვლა—პატრონობით, ტკივილის დაყუჩებით, ჭრილობის მოშუშებით, მათი შეხვევით, ქალი საკუთარ უმწეობას ებრძოდა. თითქოს ბრძოლაში ჩახოცილ საკუთარ ქმარსა და შვილს უვლიდა. მათ ადებდა სალბუნს. მალამოს ცხებდა... ფიქრით და აზრით მათთან იყო...

ძნელად შესაცნობი წუთები იდგა.

არადა, რეკნენ ზარები... გლოვის, წყენის, ტკივილის ხმებით გაჯერებულნი. სიონის, ანჩისხატის, ქვაშუეთის, დიდუბის ეკლესიის ვერცხლის ზარები.

— „ერეკლე მეფეს ასაფლავებენ!.”— გაუელვა წამით.

* * *

...„მტერო მომწყინდა მტერობა, სიკვდილო, მგლოვიარობაო”, ანანურს გადახვეწილი მეფე უკანვე მობრუნდა. დაფერფლილ—დანგრეული თბილისის აღდგენა ეწადა. აღა-მაჰმად—ხანის სიკვდილი (თავის წაჰკვეთა) რომ გაიგო, არ ეამა. უსახურ სიკვდილისთვის დაენანა იგი... ყველაზე უცნაური ის იყო, მტრის უეცარმა სიკვდილმა, მისმა უიღბლობამ თითქოს დააძაბუნა მეფე... ბოლო დღეებში თავს ცუდათ გრძნობდა. თელავის სასახლეში იმყოფებოდა. (იქედან მართავდა ქვეყანას.) წყალმანკმა შეუტია. ფეხები დაუსივდა. უძილობა აწუხებდა...შეშუპებულ წვივებში ნეშტარს არჭობდა მკურნალი, სისხლიან სითხეს ადენდა...

სიახლეც იყო. ირანის ტახტი, ხანის ძმისწულმა, ბაბა—ხანმა დაიკავა. ახალგაზრდა შაჰმა, რუსეთის ახალ იმპერატორთან, პავლე პირველთან დაახლოება მოახერხა და რუსულ—სპარსული დიპლომატიის აღზევება შეძლო. რის წყალობითაც, ქართლ—კახეთს ირანელები აღარ შეაწუხებდნენ...

ბოლო დროს ცოტა გამოკეთდა მეფე, საყვარელ „ლურჯაზე” ამხედრება მოინადინა. ერთხანს ეფერა ცხოველს, მერე უზანგში ფეხი რომ გაუყარა და ცხენზე შეჯდომა დააპირა. სხეულის აზიდვა გაუძნელდა... ვერ შეძლო. მიხვდა, დათვლილი დღეები ედგა. უხმოდ შემობრუნდა...

11 იანვარს, 78 წლის ასაკში გარდაიცვალა.

... უთვალავი ცხენოსანი, მეომარი, აზნაური თუ გლეხი მიაწყდა თელავის სასახლეს. მოჩარდახებული ურმებით მოდიოდნენ, ჯალაბობით აყრილიყვნენ. ამერ—იმერნი, თუშები და ხევსურები. თეთრნაბადიანი ლეკი ნაიბები, ოქროს სამხრეებიანი რუსი ოფიცრები... მეფის უსაყვარლესი ცხენები გამოეყვანათ, „თაფლა” და

„ლურჯა" მიწაზე გართხმულ მეჯინიბე ბიჭებს ხელში აღვირებით ეჭირათ, ძლივს აკავებდნენ, შფოთავდნენ, მიწას ფლოქვებს სცემდნენ, ფაფარაშლილნი ადამიანების გადაქელვას და შორს გაჭრას ლამობდნენ. პატრონის გარდაცვალებას მგონი გრძნობდნენ...

მთავარ პალატში ესვენა მეფე. შინდისფერი ხავერდის გადასაფარებელი ეფინა. მაგიდაზე მოსავადებული ხმლები ეწყო. ერთ მათგანს წარწერა ჰქონდა: „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა". თოფები, ხანჯლები, ჯაჭვის პერანგები, მუზარადები... ფარი და შუბი. მეფის საბრძოლო აღჭურვილობა. სკიპტრა და გვირგვინიც მოეტანათ. საჩუქრებიც მრავლად ეწყო. პოტიომკინის ნაჩუქარი დიდი საათი... აზატ-ხანისათვის წართმეული მსხვილი ალმასიც იქ იყო... (მისი ხელში ჩაგდება აგრერიგად რომ ეწადა აღა—მაჰმად-ხანს. ამჟამად არავინ იცის მისი ადგილმდებარეობა, პეტერბურგის ლაბირინთებში ჩაიკარგა ალბათ! ლ. მ.)).

მეფის საყვარელი მსხვილმუცლიანი ყანწებიც ეწყო, ხარის რქისგან დამზადებული, წარწერებით. ლხინისთვის, სალაღობოდ შექმნილი. ვერცხლით მოჭედილი ჯიხვის რქები... დედოფლის სამკაულებიც გამოეფინათ. ოქროს ყელსაბამები, სამაჯურები, საყურეები. ძვირფასი ქვებით დამშვენებულნი: მარგალიტი, ბრილიანტი, ფირუზი, გიშერი... სიმდიდრის დემოსტრირება სურდათ მოეხდინათ... თუმცა განაწყენებული ჩანდა დარეჯან—დედოფალი, (მოგვიანებით გაირკვა, რუსეთის „იმპერატრიცასავით", მასაც ქვეყნის მართვა ნდომებოდა!) სურვილი ერთი იყო და აღსრულება მეორე... კაცია დადიანის ასული (ერეკლეს მესამე ცოლი) ჩიხტი—კოპით, ლეჩაქით, თავსაკრავით, მარგალიტის მძივებით დამშვენებული გაკერპებული სახით იჯდა უფლისწულთა შორის.. („ცრემლი არ გადმოვარდნიაო,"— დამსწრენი იგონებდნენ).

არადა, ერთობ უბეხვავიანი გამოდგა დედოფალი (კალთახვავიანი არ გეგონოს მკითხველო!) ცხრამეტი შვილი გაუჩინა მეფეს! უფლისწულთა სიმრავლე ნამდვილად იგრძნობოდა სასახლეში... გასაყოფი მამულები, ციხეები, კოშკები. ერთმანეთში ქიშპი, კინკლავი... დაიღალა მეფე... ვერც შემოსეულ მტერს გაუმკლავდა და ვეღარც დედოფალ-უფლისწულთა მოთხოვნების აღსრულება შეძლო... სიკვდილამდე, მცირე ხნით ადრე, რუსი სოვდაგრისაგან ორი ათასი ოქრო ისესხა. ატლას-აბრეშუმ-ქათიბი მოსურვებოდა სახლეულთ... ხშირად არ ეძინა მეფეს, სასახლის აივანზე ბოლთას სცემდა...

ახლა გლოვის ზარი იდგა სასახლეში, ქვეყნის ყოველი მხრიდან მოსულიყვნენ— თავადები, აზნაურები, გლეხები... სამღვდელოება შეკრებულიყო.

—ჰოი, იგლოვეთ, ნათესავნო ქართლოსიანნო. იგლოვე სახლო სადავითოვ! ვიდრემდი ცოცხლობდა, ადიდა სახლი ჩვენი და აღვიდა ანგელოსთა ღვთისა თანა... დღეს კი მარტოდმარტო ილაშქრებს ციურ მნათობთა წინააღმდეგ."— მხურვალედ მოსთქვამდა მეფის მსაჯული სოლომონ ლიონიძე.

ორმოცი დღის გლოვის შემდეგ, მცხეთისკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

დილაადრიან დატოვეს თელავის სასახლე.

თოვდა, ნამქერში ეფლობოდათ ფეხი. ტახტრევანზე კუბო ესვენათ. მუხის ორმაგი კუბო. ოქრომკედით ნაქარგი ხავერდი ეფინა ზედ, კელაპტრებიც ენთო. წინ სამღვდელოება მიუძღოდა. საკმეველს აკმევდნენ.. საცეცხლურს ანთებდნენ... მდაბიონი ფეხით მოდიოდნენ, გლეხები, უბრალო ხალხი. ტვირთის მზიდველნი. გამოღლილი ჩანდნენ. ნაბიჯი დამძიმებოდათ. ნესტიანი წუღა-მესტი ეცვათ. მოკლე ჩოხებზე ტყაპუჭი ემოსათ. თავზე თუშური ქუდები ეხურათ, ხელში ჯოხები ჩაებღუჯათ, გზას მიხარავდნენ, ასუფთავებდნენ.

თოვლის მსუბუქი ფიფქი თეთრ სამოსელში ხვევდა ადამიანებს, ცხენებს, ურმებს, ტახტრევანს... დილაადრიან გამოსულები გზაში მცირედათ შეყოვნდნენ. შეისვენეს. კვლავ გააგრძელეს გზა. სოფლებიდან მოსახლეობა გამოდიოდა, მოტირალი ადამიანები. ჭიშკრებს აღებდნენ, თოვლს წმენდნენ, გზას ასუფთავებდნენ. თან მოჰყვებოდნენ. პატივით მიაცილებდნენ მეფეს.

უჯარმა და ხაშმი გაიარეს. სართიჭალა, ყარაბულაღი... კვლავ შეისვენეს. თანმხლებ პირთა უმრავლესობა მამაკაცები იყვნენ. ხანშიშესულები, მრავლისმომსწრენი... მეფის ერთგულნი, ჭირსა და ლხინში მასთან ნამყოფნი. ახლა საიმქვეყნიო გზაზე მიაცილებდნენ თავიანთ მეფეს... ძვირფასუნაგირიანი, ტაიჭ-სამოსელიანი უფლისწულები, გვარ-სახელიანი თავადები,(ამილახვრები, ანდრონიკაშვილები, ჩოლოყაშვილები.) შორიახლო მოჰყვებოდნენ პროცესიას. არც უსწრებდნენ, არც ჩამორჩებოდნენ.

ბინდი იკიდებდა ფეხს.

უკან უნდა მიბრუნებულიყვნენ, გამოვლილი გზა ხელახლა გაევლოთ.

თბილისში შესვლა ვერ გაბედეს, შავი ჭირი მძვინვარებდა.

მახათას მთიდან გადახედეს ქალაქს.

* * *

აქ შეერია პროცესიას... მუხის ხის ძირას, გზაჯვარედინზე დაელოდა. ვაჟის გამოჩენა არავის გაჰკვირვებია, არც ფეხდაფეხ ადევნება. რამდენი ასეთი გულშემატკივარი თუ ჭირისუფალი მოჰყვებოდათ პროცესიას. უხმო სვლით, ქუდის მოხდით, დაჩოქებით, ხელების მაღლა აპყრობით, პირჯვრის გადაწერით, მობოდიშებით მოიწევდნენ ისინი. ფეხით მოსიარულეთაგან, ზოგიერთმა, ურმის სახელურს წაავლო ხელი. ვაჟიც მიწვდა სახელურს... თან გაჰყვა, გაედევნა. ფეხშეწყობილად მიაბიჯებდნენ. ჯიშიან, რქებგადაწყობილ ხარებთან ერთად, ალაგ-ალაგ, თითქოს მასაც შეუძახებდნენ: "ჰამო, მიდი! გაადგი ფეხი!"

წამით მოეჩვენა, მთელი ცხოვრება ამ გზას მოჰყვებოდა... ტყვეობიდან თავდახსნილმა ის უმძიმესი გზა იმიტომ გამოიარა, რომ აქამდე მოეღწია... მათთან ერთად ევლო... მწირი ნაკლებად ერქვა, მეომრის სამოსი ემოსა... დილით, სასთუმალთან ახლოს, სკამზე, საკუთარი შვილის ტანსაცმელი დაუწყო ქალმა. თითქოს უხმოდ და უენოდ ანიშნა, წამოდგომის და წასვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო მოვიდაო...

დაღლილობას ვერ გრძნობდა, ფეხები თავისთავად მიაბიჯებდნენ თოვლში. ურმიდან ვიღაც ჯეელმა ღვინიანი ფიალა გადმოაწოდა, "მეფის სულის შესანდობარი დალიეო"—უთხრა. შესვა. ეამა.

გზადაგზა საკმეველიც აკმიეს. ნაკურთხი წყალიც ასხურეს.

ძალის მომატება იგრძნო.

ჯვარი გამოჩდა. არაგვს შეჰყვნენ. ადიდებული ჩანდა მდინარე. თხელი ნაპირი უნდა ეპოვნათ, რომ გადასვლა მოეხერხებინათ. ღამდებოდა. სიბნელეში გაძნელდებოდა მდინარეზე გადასვლა. ტახტრევანიდან კუბო გადმოიღეს. ამაღლებულ ბორცვზე დაასვენეს. დაიჩოქნენ, ილოცეს, ჩირაღდნები აანთეს. ალი აბრიალდა, იქაურობა გაანათა. (ხიდი არ იყო, მომხვდურს დაეწვა, ახლის აგება ვერ მოესწროთ.)

გაღმა ნაპირზე სვეტიცხოვლის დიდებული ტაძარი მოჩანდა.

გუმბათით თითქოს ცას შეყრდნობოდა...

ზარები რეკდნენ. ხმიანობდნენ. უჩვეულო წუთები იდგა...

უფლისწულები, დიდებულები, მათი თანმხლები პირები უკვე ჩქარობდნენ. ამოდენა გზა უკანვე უნდა გაევლოთ... ერთხელ კიდევ ემთხვივნენ კუბოს... მეფეს პატიება სთხოვეს. უკან—უკან დაიხიეს და ცხენებზე შესხდნენ...

სვეტიცხოვლის გუმბათებს გასცქეროდა მეფის მოძღვარი (ქრისტეფორე ბადრიძე). მაღალი, აღნაგი კაცი. მკერდზე დაკიდებულ ჯვარს მალიმალ ემთხვეოდა, უფალს ძალას და გამძლეობას თხოვდა... დანაპირების ასრულება, დიდი მეფის საბოლო განსასვენებლამდე მიბრძანება, პარაკლისის გადახდა, კურთხევა ეწადა... ყოველივე ეს თავად დაივალა. დანაპირები უნდა აღესრულებინა, სხვაგვარად არ სჩვეოდა. ამაზე მისი გამოხედვა მეტყველებდა... ჩაცვენილი თვალის უპეებიც, ნამარხულევი და ნაშიმშილევი ჩანდა.

ილოცეს, სანთლები აანთეს, კუბო მხარზე აიდეს.

აღარ თოვდა. უცხო ნათელი დაფენოდა მიწას.

არაგვს მიადგნენ... წყლის თხელი ფონიც იპოვეს, გადასასვლელი შეარჩიეს. იმედითა და რწმენით დაიძრნენ. ლოდიდან—ლოდზე, კლდიდან—კლდეზე უნდა გადაეტანათ კუბო. საკუთარი ბეჭებით, მხრებით, მოთმინებით და მონდომებით გადაევლოთ მდინარე. არადა მატყუარა ჩანდა იგი, არავინ იცოდა სად დაგიგებდა მახეს. ფრთხილად უნდა ევლოთ, ლოდზე ფეხი უცურდათ...

მძიმე იყო კუბო. ორმაგი. მჭიდროდ შეკრული. სრესდა მზიდველთ.

მდინარის სიღრმეში შევიდნენ. წყალმა გაამსუბუქა მათი ნაბიჯები, კუბოც აამჩატა. ეგებ გაეტაცა კიდეც, თან წაეღო... მეტი მონდომებით ჩაეჭიდნენ, წელამდე წყალში ჩაყურყუმალავებულნი, კვლავ ზევით იწევდნენ. ვაჟიც მათ შორის იდგა. მწირის სამოსის ნაცვლად მეომრის ჯუბა ეცვა. წვერ—ულვაშ მოშვებული, სახეგაფერმკთალებული ახალგაზრდა კაცი სიკვდილთან ნაჭიდავებს ჰგავდა. მეფის მოძღვრის გვერდით იდგა. წუთით არ მოსცილებია მას, არც წყალში შესვლისას (კუბოს მხარი რომ შეაშველა,) და არც შემდგომ, ნაპირს რომ მიაღწიეს... თავბრუსხვევას გრძნობდა. ტვირთის სიმძიმისაგან კი არა, გადამეტებული დაძაბულობისგან., უთავბოლო თახთახისაგან... თუმცა, არ შეყოვნებულა, არც უკან დაუხევია. არც დამხმარე უძებნია. არ დაუნახავს როდის ამოუდგა მოძღვარი გვერდით, მხარი წააშველა. სადაც სუსტი ეჩვენა რგოლი, იქ მივიდა...(რომ არ გაწყვეტილიყო.!)

უცებ, სასწაული მოხდა! იქაურობა თითქოს განათდა. არაგვის მეორე მხარეს მცხეთელები მოადგნენ. ერთბაშად მოაწყდნენ. ლამფებით, მაშხალებით, ანთებული კვარებით, წყლის ჩელტებით, კაუჭიანი ჯოხებით. ერთი—მეორეზე გადმოეშვნენ მდინარეში. მათი ხმები ისმოდა:„დიდება უფალს!" „დიდება მეფეს!" „მოვდივართ!" „გამაგრდით!" არაგვთან ნაბრძოლებს ჰგვანდნენ, არაფერი უკვირდათ, არც აოცებდათ. ჩანს მეფის მობრძანებას ელოდნენ. ორმოცდღიანი მარხულობის შემდეგ, დატირების, ცრემლის, გამოთხოვების და დამშვიდობების შემდეგ, საბოლოო განსასვენებელში, მისი პატივით ჩასვენება ეწადათ. ახლომახლო სოფლებიდან მოსულიყვნენ: ქალები და კაცები, დიდები და პატარები, ახალგაზრდები. ყველანი ნაპირს შესეოდნენ...

უჩვეულო წუთები იდგა... ყოველივე ამას სანახაობა ნაკლებად ეთქმოდა, უფრო თავგანწირვას ჰგავდა... აქაფებულ მდინარეში თითქოს ერთმანეთს შეეჯახა ორი მხარე. მწკრივში ჩადგნენ. მხრები შეაშველესთავადაც გამაგრდნენ და სხვებიც გაამაგრეს.. ხელიდან—ხელში, მხრიდან—მხარზე გადადიოდა მეფის სასახლე. არც შეძახილი ისმოდა, არც გამხნევება. მდუმარებით მიიწევდნენ. მოთმინებით.

უკვე გაღწეულები იყვნენ... გაჩირაღდნებული ტაძარი, მგალობელთა გუნდი, მღვდლები, ბერები, უთვალავი მლოცველი. კუბო მაღლა ასწიეს. ტაძარში შეაბრძანეს. ყოველივე ამის მნახველი აღმოჩდა ჭაბუკი. თავჩახრილი და ცრემლმდინარე., ლოცვა—კურთხევით გაჯერებული, მთელი გზის მანძილზე, (წყალში თუ ხმელეთზე) დიდი მეფის სულს პატიებას თხოვდა...

შეუმჩნეველი არაფერია ამქვეყანაზე, მახვილი თვალი ყველაფერს წვდება. უცხო ყმის თავგამოდება ყველაზე ადრე მეფის მოძღვარმა შეამჩნია, ცრემლზე მეტად, მისმა სიჩუმემ შეაწუხა... მიხვდა, მუნჯი იყო. ამიტომ იყო ბოლომდე ადევნა თვალყური, თავადვე შეიფარა, ლუკმა უწილადა, მოსასვენებელი მისცა...

„უფალო, შეიცოდე მონა—ღვთისა!"

2010 წ.
აგვისტო.
მუხათწყარო.

მარინა ნიბერიძე

წიგნიდან: „ადამის წიგნი“

მზეს არწევს ქარი

ნინოს

ღია სარკმელში მიიკარგა
    სიშორეთა განზიდულება —
უსაზღვროებით გალეშილი
აემგზავრა
ღამეებს
ღამე...

სიცოცხლის აზრი
და დასაბამი
მრავალფეროვნებით აღტაცებამ
        გადამალა
და დღემდე განუსჯელად თანაუგრძნობ
პარადოქსულ მთლიანობას
საგნის და ცნების...
და როცა,
მთელი ჩემი არსება
შენი სიყვარულით ხილულ იქნა

და როცა,
ყველა უმცირესი უდიადესით გაჯერდა
და როცა,
ყველა უმცირესი დადუმდა
და
უდიადესში აღესრულა
და როცა,
ჩემი შენდამი სწრაფვა
შლეგის სურვილებს გაუტოლდა...

კუპრი დაანთო ჯოჯოხეთმა
        სურვილთა ალზე...

და როცა,
ეს უმძაფრესი რეალობა —
ჩვენი ურთიერთ სიყვარული —
ყოვლისმშთანთქმელი დუმილისკენ
        მიედინება...
იკუმშება სივრცე ტკივილით —
ჩემ გულში ღამე...

დაისი

ბინდდება —
თვალებს აღარ ყოფნის
        სინამდვილე...
მშვენიერი —
რაც ვპოვე შენში —

რეალობის განმეყო ჟამი...
ყოველი —
გარსით მოსაზღვრული —
ცნება საგანში გადამალული —
ღვთაებრივ ნებას იმეორებს
და
გულიც
საკუთარ ტკივილზე ჰყვავის...

ხსოვნის
დამცხრალი პარამეტრებით
იდუმალ ძახილს მინდობილი —
უმისამართოდ გასროლილ ქვასაც,
თავი ღრუბლის ფთილა მგონია...
თვალების ფსკერზე ფეთქდებიან
ცეცხლის მჭვირვალი ათინათები
და მებრალება შემოდგომის
        ნაადრევი შემოღამება...

განდობის ჟამი

დაგმანულ სივრცეს
        სული
    ურცხვაად ეჯაჯგურება...

საკუთარი წიაღიდან თავის დაღწევა
ამ ერთხელ კიდევ
        უნდა ვცადო
რადგან ქმნადობა შეუძლებლის
ქმნადობაა უდიადესი...

იმოსება მარტი კივილით...

ხმა გაფოთლილი კვირტების სკდომის
ექოდ გადარბის ნაზამთრალზე

დაბზარულ ბჭეებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სანამ გული შეიგრძნობდა
და გამთქვამდა მამრის ბუნება
და სანამ შობდა
    სიტყვა ჩემი
     მშვენიერებას
და ხელთუქმნელი გაზაფხულის
                  მაგიურობა
შემიპყრობდა უილაჯობით...

ლოდინის სიგრძემ
    მოლოდინის დასცა ნაპირი...

გადავავიწყდი გაზაფხულებს —
გონების თვალი ძლივსღა სწვდება
დაუძლეველი სიყვარულით
                ტკივილის სიღრმეს...

დაღწევა

იქნებ
არც ღირდეს,
  გულისთქმა მივადევნო,
განცდილ გრძნებათა მისტერიას...

წარსულში —
  დამქრალ სახეებში,
     მიკარგული —
დრო,
იმოსება ახალი ცეცხლით...

და აღარ ვცდილობ
            დავითმინო
და მსხვერპლი ვწირო ნებისყოფას —
უნიჭობის კერპს,
          თან კამათელს...

ნაყოფის ტკბილი ბაგეებით
აღარ მთხოვდა გამოსარჩლებას —
მახსოვს,
    სისავსით აღტაცებული
უცებ დაქალდა ალუბლის ბაღი...

და როცა გამთქვა
და მამხელს სიტყვა —
ჩემ მოკვდაურ ჟინს და სიყვარულს
რომ ვეღარ ვიტევ,
შენდამი ტრფობით შეპყრობილ გულში,
დედდება
          სისხლი
                  გამთენიისას...

განთიადი

წვიმს...

ალმასების მქრალი სინათლე
აციაგდა და სადაცაა
მალე ინათებს...

შორს
ფრთას მიითრევს
    ზღვაზე ღრუბელი...

წვიმს —
ნაკადებად მიედინება —
სარკმელზე ამსხვრევს მელოდიურ
          ციურ არტახებს...

წვიმს...

დილა ღვთაებრივ სიტყვით დაღლილი,
ელავს შორეულ
    ცეცხლის ამბორით —
სული
ცდუნებით ცბის...

ვეთამამები წარმავლობას —
მენატრები
და შენგან სიშორით
ძლივს ვაკონწიწებ მიზეზთ-მიზეზებს...

წვიმს, საყვარელო...

წვიმს...

აღსარება

(ე...ს)

შევეხე ამ დღეს —
    შეგეხე,
    და უკუვიქეცი...

დიდხანს ვსვამდი ღამეების
  ფრთათეთრ სიმლაშეს...

ჩემი ამაყი უსაზღვროებით
შენ სიშორეში
  მიმქრალ მთვარესთან
დიდხანს
დიდხანს დავსეირნობდი...

ამ უწადინო მისტერიის ავანსცენაზე —
ფერთა მელოდიურ ნირვანაში,
მარტოობამ
ცოფიანი მარტის მზე
          ამოიყეფა...

ქვეცნობიერ გალერეაში
განცდილ ვნებათაღელვის
ფრაგმენტები
ფრენენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდასული დროის საზღაური —
განზოგადების ლაბირინთზე მიინანქრა
დრო...
მღლის
მოკვდაური სურვილების
დაუოკებელი მდინარება —
მიზიდულობის მაგიურობა
სასოწარკვეთილებამდე ამძაფრებს
უკმარისობის ნაკადს...

ჩემ გულისთქმაში —
დასაბამს იქით —
მარადიულად ანთია —
იწვის,
შენი ღიმილის მიღმიერ სხივს
შეფარებული,
წარმავლობის
ხიბლით ნაგები სასახლეები...

გაელვებიდან
სინათლის ნაცარი —
სიბნელე ბოლავს...

თვალები
ნამსხვრევებად არეკლილი
რეალობით ივსება...

დადუმდა ეს დღეც —
სწრაფწარმავალი,
წუთისოფლის გაელვებამდე...

შემო-დგომა ავანსცენაზე

გარდასახვის ნიღბებით გაუჩინარდა
განდობილების მისტერია

უშენოდ,
ფოთოლცვენამ,
ნელთაღრიცხვა დაკარგულ კიდეებს
მიჰკიდა
უმთვარო ღამეების
სიგრძე...

დაუოკებელ წამთა,
ბნელით განბანილ სინათლეში
დადუმდა,
ინდივიდუალიზმით დაღდასმული
ამოძახილი...

ვერ შევძელი შეგუება,
შენგან,
განწყობათა ცვალებადობით
დროში გაწელილ ფარსს
და
ხბოს აღტაცებით,
ნიანგის ცრემლებს შევალიე,
მამრის მრისხანებადქცეული
დღესასწაული...

და ეხლა,
ეჭვის ულოგიკო სევდით
წამომღვრეულ ნაკადებში,
ალბათობის ანარეკლი ლივლივებს
და მოუთმენლობით შებოჭილი
გარს მოჯარულ სურვილთა
ალაყაფის ტყვეობაში,
გადამალვას ვცდილობ...

და როცა,
წარმავალობა,
ილუზიური მრავალფეროვნებით
აშიშვლებს
ღვთაებრივ მისწრაფებებს,

მეხთატეხაა,
ხილვებით გაჯერებულ ცნობიერებაში,
დაუსრულებლად რაც მძვინვარებს...

* * *

დაჰყეფ უფსკრულებს,
მრისხანე ფრთები
სიმაღლის შიშით გაფითრებულ
ცას შელევია...

და იღვენთება
მზე,
მზის ნამცეცით,
გაძარცვულია ჟამი
ჟამიდან...

ნუგეშის ფარდა
სიყვარულით დაგაწყნარებდა? —
გაშმაგებული მიწადქცეულ
ცრემლზე ზრუნავდი...

მოვერცხლილია სიყვარული
გესლის ხავერდით...

წვიმს,
ნათლის სვეტზე
წვალობსა და წრიალებს ღამე...



ო' ჰენრი

ჰუიბჰეივსის ოჰეიოობა

მობილის მკვიდრმა, მაიორმა პენდლეტონ ტალბოტმა და მისმა ქალიშვილმა, მის ლიდიამ ვაშინგტონში გადასახლების შემდეგ საცხოვრებლად კერძო პანსიონი აირჩიეს. პანსიონის აგურით ნაგები ძველმოდური შენობა ერთი ყველაზე წყნარი ავენიუს უკან, ორმოცდაათი იარდის მოშორებით მდებარეობდა. მას ამშვენებდა მაღალ თეთრ კოლონებს დაყრდნობილი ღია გალერეა. პანსიონის ეზო უმშვენიერეს აკაციებსა და თელებს დაეჩრდილათ, კატალპას ხე კი ყვავილობის ჟამს თეთრვარდისფრად ათოვდა მოლს. ბზის ბუჩქების მწკრივი მესერსა და ბილიკებს მიუყვებოდა. იქაურობის გამორჩეული სამხრეთული სტილი და ელფერი ტალბოტების თვალს ახარებდა.

ამ შესანიშნავ პანსიონში მამა-შვილმა ოთახები იქირავეს. ერთი მათგანი სამუშაო კაბინეტად დაიგულა პატივცემულმა ბატონმა ტალბოტმა, რომელიც იმხანად თავისი წიგნის ბოლო თავებს ასრულებდა. წიგნი ავტორს ასე დაესათაურებინა: „თავშესაქცევი ამბები და მოგონებანი ალაბამას არმიას, სასამართლოსა და ადვოკატურაზე".

ბატონი ტალბოტი ძირძველი სამხრეთელი გახლდათ. აწმყოს მის თვალში არავითარი ხიბლი და სიკეთე არ გააჩნდა. მაიორს გონებაში ღრმად აღბეჭდვოდა სამოქალაქო ომამდელი ეპოქა. ფიქრებით ჯერ კიდევ იმ ხანაში ცხოვრობდა, როცა ტალბოტები ათასობით აკრ საუცხოო ბამბის პლანტაციას ფლობდნენ და იქ სამუშაოდ მონებიც ჰყავდათ; როცა სანაქებო სტუმართმოყვარეობით განთქმული მათი გვარი სახლის კარს ფართოდ უღებდა და მასპინძლობდა სამხრეთელ არისტოკრატებს. გარდასული დროიდან მაიორს გამოჰყოლოდა ძველებური სიამაყე, კეთილშობილება და სიდარბაისლე, უკვე მივიწყებული, არაჩვეულებრივი თავაზიანობა და, წარმოიდგინეთ, ჩაცმულობაც.

იმ ყაიდის ტანსაცმელი, ბატონი ტალბოტი რომ ატარებდა, ორმოცდაათი წლის წინ თუ იკერებოდა. მაიორი ტანმაღალი კაცი იყო, მაგრამ როცა ვინმეს მისალმების ნიშნად ძველებური ჩვეულებისამებრ მოიხრებოდა და მდაბლად დაუკრავდა ხოლმე თავს, რასაც თაყვანისცემას ეძახდა, მისი სერთუკის კალთის ბოლოები იატაკს ხვეტდნენ. ასეთი სამოსი ვაშინგტონსაც კი გააკვირვებდა, რომელმაც დიდი ხნის წინათ სამხრეთელ კონგრესმენებს სერთუკებსა და ფართოფარფლიან ქუდებში გამოწყობა აუკრძალა. ერთ-ერთმა პანსიონერმა სერთუკი მართებულად მონათლა „Ather Hubbard" -ად, — მას ხომ მაღალი წელი და განიერი კალთები ამშვენებდა.

ასე უცნაურად შემოსილი მაიორი, თავისი პერანგის ფართო ნაკეცებიანი გულისპირითა და პატარა შავი ზონრის ყელსაბამით, ცალ მხარეს მუდამ ბაფთად რომ ჰქონდა განასკვული, მისის ვერდემენის რჩეულ პანსიონში მოსწონდათ კიდეც და ჩუმ-ჩუმად მსუბუქად დასცინოდნენ კიდეც. ახალგაზრდა კლერკებიდან ზოგიერთნი ხშირად „ააგდებდნენ" ხოლმე მას და აალაპარაკებდნენ მისთვის ძვირფას თემებზე — საყვარელი სამხრეთის წეს-ჩვეულებებსა და ისტორიაზე. საღერღელაშლილი მაიორი თხრობისას დაუფარავად ციტირებდა ადგილებს თავისი „თავშესაქცევი ამბები და მოგონებანიდან...". მსმენელნი კი მეტად ფრთხილობდნენ, რომ ტალბოტი არ მიმხვდარიყო მათ ჩანაფიქრს, თორემ სამოცდარვა წლის ასაკის მიუხედავად შეეძლო უმამაცესი ახალგაზრდაც კი საშინელ უხერხულობაში ჩაეგდო თავისი გამჭოლი ნაცრისფერი თვალების მედგარი მზერით.

მის ლიდია ოცდათხუთმეტი წლის ტანდაბალი, ჩასუქებული შინაბერა იყო. თანაბრად დავარცხნილი, წვრილად დაწნული თმა მას ოდნავ აბერებდა. ქალიშვილიც ძველმოდურად გამოიყურებოდა, თუმცა მაიორივით სამოქალაქო ომამდელი დიდებულების ნიშანი არ აჩნდა. ტალბოტის ასულს ყაირათიანობა სჩვეოდა, ოჯახის ფინანსებს გონივრულად განკარგავდა და გადასახადების ამკრეფთაც თავად უხვდებოდა. მაიორი კვებისა და თეთრეულის გადასახადებს ისე უცქერდა, როგორც რაღაც დიდ ცხოვრებისეულ უსიამოვნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც რა დაჟინებით და რა ხშირად ითხოვდ ნენ მათ გადახდას! ვერაფრით გაეგო, რატომ არ შეეძლოთ, მოეცადათ და მთლიანი თანხა გამოერთმიათ ოდესმე, მისთვის უფრო ხელ საყრელ დროს, – ვთქვათ, როცა გამოქვეყნდე ბოდა მისი „თავშესაქცევი ამბები და მოგონე ბანი...” და ჰონორარს მიიღებდა. მის ლიდია კი ამ ყველაფერს აინუნში არ აგდებდა, კერვას მშვიდად აგრძელებდა და ამბობდა: „ვიხადოთ, სანამ ფული გაგვწვდება, მერე კი, ალბათ, დაგვაცდიან და ყველაფრისთვის ერთად გამოგვართმევენ”.

მისის ვერდემენის პანსიონის მობინადრე თა უმრავლესობას სახელმწიფო მოხელეები და ბიზნესმენები შეადგენდნენ, ამიტომაც თითქ მის მთელი დღე გარეთ იყვნენ ხოლმე; მაგრამ იქვე სახლობდა ერთი ყმაწვილკაცი, რომელიც დღის უმეტეს ნაწილს შინ ატარებდა. ეს იყო ჰენრი ჰოპკინს ჰარგრეივსი, — მას ყველა სრული სახელით მიმართავდა, — ერთ-ერთი პოპულარული ვოდევილის თეატრის მსახიო ბი.ბოლოხანს ვოდევილი დიდად ფასობდა და საპატიო თეატრალურ ჟანრად ითვლებოდა. მისტერ ჰარგრეივსიც ისეთი წესიერი და დახ ვეწილი ჭაბუკი გახლდათ, რომ მისის ვერდე მენს არავითარი საფუძველი არ გააჩნდა პან სიონის მობინადრეთა სიაში არ ჩაერიცხა.

თეატრში ჰარგრეივსი ცნობილი იყო კომიკოს მსახიობად, რომელსაც რაგინდარა დიალექტი არ შეესწავლა. მას გერმანული, ირლანდიური, შვედური და შავკანიანთა მე ტყველების მიბაძვის ნიჭი და ფართო რეპერ ტუარი გააჩნდა. თუმცა მისტერ ჰარგრეივსი პატივმოყვარე კაცი გახლდათ, მიღწეულს არ სჯერდებოდა და ხშირად ამბობდა, რომ ოც ნებად გადაქცეოდა დიდ სცენაზე, „ჭეშმარიტ” კომედიაში თამაშით მიეღწია წარმატებისთვის.

ჭაბუკი, ჩანდა, ძლიერ მოეხიბლა მაიორ ტალბოტს. როგორც კი ეს მოხუცი ჯენტლმენი თავის სამხრეთულ ისტორიებს წამოიწყებდა ან საყვარელ სახალისო ამბებს, ვინ იცის, უკვე მერამდენედ ჰყვებოდა, ჰარგრეივსი უმალ მას თან გაჩნდებოდა და გამორჩეული გულისყ ურით ისმენდა მის მონათხრობს.

თავდაპირველად მაიორს თვალში დიდად არ მოსდიოდა „ბალაგანის მსახიობი”, როგორც ზურგსუკან უწოდებდა ხოლმე მას, მაგრამ სულ მალე ახალგაზრდა კაცის სასიამოვნო ქცევამ, მოხუცი ჯენტლმენის ნაამბობით მისმა ასერიგად გატაცებამ და ძველი ისტორიების მისეულმა მაღალმა შეფასებამ მაიორის გული მოინადირა.

ისინი დიდი ხნის ნაცნობ მეგობრებს დაე მსგავსნენ. შუადღისას მოხუცი ჯენტლმენი განმარტოვდებოდა და ჭაბუკს თავისი წიგნის ხელნაწერს უკითხავდა. თავშესაქცევი ამბების ყურისგდებისას ჰარგრეივსი სწორედ საჭირო დროს გაიცინებდა ხოლმე. ამგვარად მან ბა ტონი ტალბოტის კეთილგანწყობა მოიპოვა. ერთხელაც მაიორმა მის ლიდიას განუცხადა, რომ ახალგაზრდა ჰარგრეივსს აღქმის შესან იშნავი უნარი ჰქონდა, გულისხმიერებითა და პატივისცემით ეკიდებოდა ძველ რეჟიმს, და რომ ყოველთვის, როცა კი მაიორი ტალბოტი იმ დაუვიწყარ ხანას დიდი სიყვარულით იხ სენებდა, მისტერ ჰარგრეივსი მოსასმენად სტ უმრობდა ხოლმე.

იმ მოხუცთა მსგავსად, გამუდმებით წარ სულზე რომ საუბრობენ, მაიორსაც თხრობისას დეტალებზე შეჩერება სჩვეოდა. ძველი პლან ტატორების დიდებული, ლამის მეფური დღეე ბის აღწერისას, ის ერთხანს ყოვნდებოდა, სანამ არ გაიხსენებდა იმ ზანგის სახელს, მის ცხენს რომ აკავებდა ან რაიმე უმნიშვნელო მოვლენის ზუსტ თარიღს ან კიდევ იმწლევანდელი ბამბის მოსავლის ოდენობას; მაგრამ ჰარგრეივსი ასეთ წუთებში არც სულსწრაფობას იჩენდა და არც ყურისგდების ინტერესს კარგავდა. პირიქით, თავად ჩაეძიებოდა ხოლმე ძირისძირამდე იმ დროინდელი ყოფის ამბებში და მზა პასუხიც არ აყოვნებდა.

მელიებზე ნადირობა, ვახშმობა და ლხინი, ჰოუდაუნი და დღეობები ზანგთა კვარტლებში, პლანტაციის სახლის დარბაზში გამართული ბანკეტები და ორმოცდაათი მილის რადიუსი დან მოწვეული სტუმრები, შუღლი მეზობელ დიდგვაროვნებთან, ხანდახან რომ იჩენდა ხოლმე თავს, მაიორის დუელი რაზბონ კულბ ერტსონთან საყვარელი კიტის, სწორედ იმ კიტი ჩალმერსის გამო, მოგვიანებით სამხრეთ კარო ლინელ ზვაიტს რომ გაჰყვა ცოლად, კერძო იახტების რბოლა მობილის ყურეში ზღაპრუ ლი თანხისთვის, ძველმოდური ცრურწმენები, ყავლგასული ადათ-წესები და ძველი მონების ერთგულების გამოხატულებანი და მაგალითე ბი – აი, რა მოგონებებით ირთობდნენ თავს ამ დროს საათობით მაიორი და ჰარგრეივსი.

ზოგჯერ ღამით, როცა თეატრიდან დაბ რუნებული ახალგაზდა კაცი კიბით თავისი ოთახისკენ მიეშურებოდა, მაიორი კაბინეტის კართან უხვდებოდა და ეშმაკურად იტყუებდა თავისთან. მის ოთახში ჰარგრეივსს პატარა მაგიდა ხვდებოდა, რომელზეც გრაფინი, სავსე საშაქრე, ხილი და ქორფა მწვანე პიტნის დიდი კონა ეწყო ხოლმე.

„რატომღაც ვიფიქრე, ასეთი რამ შემო მეთავაზებინა, მისტერ ჰარგრეივს”, — იწყებ და მაიორი, — ის ყოველთვის ცერემონიული იყო, — „იქნებ თქვენი მძიმე შრომის შემდეგ დაღლილ-დაქანცულს სურვილი გაგიჩნდეთ დააგემოვნოთ ერთი ჩვენი სამხრეთული ჯუ ლეპი, სწორედ ის, რასაც გულისხმობდა პოეტი სიტყვებში: „tired Nature's sweet restorer” .

ჰარგრეივსი დიდი სიამოვნებით ადევნებ და თვალს, როგორ ამზადებდა ტალბოტი სა სმელს. მაიორს ისე არტისტულად ეჭირა თავი, მსახიობებს შეშურდებოდათ. უნდა გენახათ, რა ფაქიზად ნაყავდა პიტნას, რა ნატიფად არჩევ და ინგრედიენტებს, რა გულდასმით და სი ფრთხილით ამატებდა ნაყენს ალისფერი ხილის ნაყოფს, განსაკუთრებულად რომ ბრწყინავდა ფოჩებიანი მუქი მწვანე სუფრის ფონზე! და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს, რა მოხდენილად და გულითადობით სთავაზობდაჭაბუკს ჭიქა მოლივლივე კოქტეილს, საგანგებოდ შერჩეული შვრიის საწრუპი წკირით რომ დაემშვენებინა!

დაახლოებით ოთხი თვე იყო გასული მამაშვილის ვაშინგტონში გადასახლებიდან, როცა ერთ დილას მის ლიდიამ აღმოაჩინა, რომ თითქმის უფულოდ დარჩენილიყვნენ. მართალია, „თავშესაქცევი ამბები და მოგონებანი...” უკვე დაესრულებინა მაიორს, მაგრამ გამომცემლები დიდად არ აღტაცებულიყვნენ ალაბამური ნაკვესების ამ კრებულით. პატარა სახლის რენტა, მობილში ამ დრომდე რომ ეკუთვნოდათ ტალბოტებს, ორი თვეა, იგვიანებდა. პანსიონის ქირა კი სამ დღეში უნდა გადაეხადათ. მის ლიდიამ რჩევისათვის მამას უხმო.

„როგორ თუ უფულოდ?” – იკითხა მან გაკვირვებული სახით. „რა შეგვაწუხეს ამ პატარ-პატარა თანხების ასე წამდაუწუმ მოთხოვნით. ასე არაა, მე ...“

მაიორმა ჯიბეები მოიქექა. იქ მან მხოლოდ ორდოლარიანი იპოვა, რომელიც ჟილეტის ჯიბეშივე ჩააბრუნა.

„სასწრაფოდ რამე უნდა ვიღონოთ, ლიდია”, თქვა მან. “გეთაყვა, მომაწოდე ჩემი ქოლგა, დაუყოვნებლივ ქალაქის ცენტრისკენ უნდა გავწიო. გენერალი ფულგუმი, აი, ის, ჩვენებური კონგრესმენი, ამ ცოტა ხნის წინ მარწმუნებდა, რომ თავის გავლენას გამოიყენებდა და ჩემს წიგნს, რაც შეიძლება, მალე დააბეჭდვინებდა. ახლავე სასტუმროში ვეწვევი და გავიგებ, რა შედეგი გამოიღო მისმა გარჯამ”.

მის ლიდია ნაღვლიანი, ოდნავ გაღიმებული სახით უყურებდა, როგორ ემზადებოდა მამამისი წასასვლელად. მან შეიკრა თავისი „ather Hubbard", კართან შეჩერდა, დამშვიდობების ნიშნად ქალიშვილს ჩვეულებისამებრ თავი დაუკრა და გაემგზავრა.

მაიორი საღამოს ბინდბუნდში დაბრუნდა. გაირკვა, რომ კონგრესმენ ფულგუმს მართლაც ენახულა გამომცემელი, ვისაც მაიორის ხელნაწერი ჰქონდა გადაცემული წასაკითხად. მას კი გამოეცხადებინა, რომ თუ „თავშესაქცევ ამბებს...” ერთიორად შეკვეცავდა და მოაშორებდა პირად თუ კლასობრივ მიკერძოებებსა და მოსაზრებებს, თავიდან ბოლომდე რომ გასდევდა წიგნს, აი, მაშინ კიდევ შეიძლებოდა ეფიქრა მისი გამოცემა.

მაიორი სიბრაზისაგან გადაფითრებულიყო, თუმცა როგორც კი ქალიშვილთან წარსდგა, მისეული ქცევის კოდექსის შესაბამისად მაინც სიმშვიდე დაიბრუნა.

„ვიშოვით ფულს”, განაცხადა მის ლიდიამ და შუბლი ოდნავ შეეჭმუხნა. „მომეცით ის ორდოლარიანი, ამ საღამოსვე ვუდეპეშებ ბიძია რალფს და ვთხოვ, დაგვეხმაროს”.

მაიორმა ჟილეტის ზედა ჯიბიდან პატარა კონვერტი ამოაძვრინა და მაგიდაზე ისროლა.

„შეიძლება, ეს უგნურებაა“, წარმოსთქვა მან მშვიდად, "მაგრამ თანხა იმდენად მცირე იყო, გადავწყვიტე, თეატრის ბილეთები შემეძინა საღამოს სპექტაკლზე. ახალი სამხედრო დრამა გადის, ლიდია. ვიფიქრე, სიამოვნებით დაესწრებოდი მის პრემიერას ვაშინგტონში. მითხრეს, პიესაში სამხრეთი შთამბეჭდავადაა გაცოცხლებულიო. გამოგიტყდები, მე თავად მინდა სპექტაკლის ნახვა”.

სასონარკვეთილმა მის ლიდიამ უჩუმრად ჩამოუშვა ხელები.

რაღა გაეწყობოდა! ბილეთები ხელთ ჰქონდათ და უნდა ესარგებლათ. იმ საღამოს, როცა თეატრის დარბაზში მსხდომნი კეთილხმოვანი უვერტიურით სმენას იტკბობდნენ, მის ლიდიამაც საწუხარი ცოტა ხნით, ერთი საათით მაინც გადაივიწყა. მაიორი უზადო პერანგით, თავისი იშვიათი სერთუკით, რომლის მხოლოდ კარგად შებნეული ადგილები მოჩანდა, და თანაბრად გადავარცხნილი თეთრი თმით პენიანად, ყველასგან გამორჩეულად გამოიყურებოდა. ფარდა აიხადა და „მაგნოლიის ყვავილის” პირველი მოქმედება დაიწყო. სცენა გამოსახავდა სამხრეთულ პლანტაციას. მაიორი ტალბოტი სულგანაბული შეაცქერდა წარმოდგენას.

„ოჰ, შეხედეთ”,- წამოიძახა მის ლიდიამ, მამას იდაყვი გაჰკრა და პროგრამაზე მიანიშნა, ხელში რომ ეჭირა.

მაიორმა სათვალე გაიკეთა და თვალი გააყოლა იმ სტრიქონს, რომელზეც ლიდია უთითებდა.

„პოლკოვნიკი ვებსტერ კალჰოუნი... მისტერ ჰოპკინს ჰარგრეივსი”.

„ეს ხომ ჩვენი მისტერ ჰარგრეივსია” — თქვა მის ლიდიამ. „როგორც ჩანს, პირველად თამაშობს „ჭეშმარიტ” სცენაზე, როგორც თვითონ უწოდებს ხოლმე. რა სასიხარულოა”.

მეორე მოქმედებამდე პოლკოვნიკ ვებსტერ კალჰოუნისთვის თვალი არ მოუკრავთ. მოგვიანებით, როცა ის სცენაზე გამოჩნდა, მაიორმა ერთი ხმამაღლა ჩაიბუზღუნა, გაფაციცებით მიაჩერდა მას და თითქოს გახევდა. მის ლიდიამ რაღაც წაიჩურჩულა, ორაზროვნად დაიკვნესა და პროგრამა ხელში ჩაკუჭა. პოლკოვნიკი კალჰოუნი ტყუპისცალივით ჰგავდა მაიორ ტალბოტს. გრძელი, ბოლოებთან შეხუჭუჭებული შეთხელებული თეთრი თმა, არისტოკრატიული კეხიანი ცხვირი, პერანგის ფართო ნაკეცებიანი გულისპირი, ზონრის ყელსაბამი, ცალ ყურთან ბაფთად განასკვული — ყველაფერი თითქმის ზუსტად გაემეორებინათ. მსგავსების დაგვირგვინება იყო მაიორის საოცარი სერთუკის ასლი, კალჰოუნისთვის რომ ჩაეცმიათ. მაღალყელიანი, ტომარასავით სამოსი, ვიწრო წელითა და მდიდრული ქვედატანის გრძელი წინა კალთით, შეუძლებელია რამე სხვა ნიმუშის მიხედვით შეეკერათ. ამ სანახაობით მოჯადოებული მაიორი და მის ლიდია, დაზაფრულნი ისხდნენ და შესცქეროდნენ ქედმაღალი ტალბოტის თაღლითურ განსახიერებას, მის გასვრას „უზნეო სცენის წუმპეში”, როგორც შემდეგ თავად გამოხატა მაიორმა.

მისტერ ჰარგრეივსს თავისი შესაძლებლობანი კარგად გამოეყენებინა. პროფესიული

მიზნით საუცხოოდ გაეთავისებინა მაიორის მეტყველების კილო, აქცენტი, ინტონაცია, მისი მაღალფარდოვანი თავაზიანობა და როლის სრულყოფისათვის გაეზვიადებინა კიდეც. იმ დროს კი, როცა მან ისევე განსაცვიფრებლად დახარა თავი, როგორც ეს მაიორს სჩვეოდა და რაც მას გულუბრყვილოდ მიაჩნდა მისალმების მწვერვალად, მაყურებელს აღტაცების მხურვალე შეძახილები აღმოხდა.

მის ლიდია გაქვავებულიყო, მამისკენ გახედვას ვერ ბედავდა. რამდენჯერმე მისი მხრიდან ხელი ლოყასთან მიიტანა — ცდილობდა დაეფარა ღიმილი, რომელსაც, მიუხედავად უკმაყოფილებისა, ვერ იკავებდა.

ამ უტიფრობამ — ტალბოტისათვის კალჰაუნის მიმსგავსებამ — კულმინაციას მიაღწია მესამე მოქმედებაში, რომელშიც პოლკოვნიკი კალჰოუნი მეზობელ პლანტატორებს მასპინძლობდა თავის „ბუნაგში".

ის მეგობრების გუნდით გარშემორტყმული სცენის შუაგულში, მაგიდასთან იდგა და წარმოთქვამდა „მაგნოლიის ყვავილის" მეტად ცნობილ, განუმეორებელ, დახლართულ სახასიათო მონოლოგს. იმავდროულად წვეულებისთვის დიდი ხელოვნებით ამზადებდა ჯულეპს.

მაიორი ტალბოტი მდუმარედ იჯდა, მაგრამ სანახაობით სულშეძრული მთლად გაფითრებულიყო. სცენიდან ისმენდა საკუთარსავე მოთხრობებს, გავრცობილ და გადამუშავებულ მის საყვარელ თეორიებსა და „თავშესაქცევი ამბები და მოგონებანი..."-დან ამოღებულ, თუმცა გაზვიადებულ და გაყალბებულ ისტორიებს. ისიც კი არ დაევიწყებინათ, მისთვის ასერიგად საყვარელი ამბავი – დუელი რაზბონ კულბერტსონთან, რომელიც უფრო მეტი ცეცხლით, თავდაჯერებითა და გზნებით გადმოსცეს, ვიდრე ამას თავად მაიორი აკეთებდა.

მონოლოგი მთავრდებოდა შესანიშნავი, მჭევრმეტყველური მოკლე ლექციით ჯულეპის მომზადების ხელოვნებაზე, რაც სიტყვიერ აღწერასთან ერთად თავადვე უჩვენა პერსონაჟმა. მაიორის მიერ დახვეწილად გადმოცემული ამ საქმის სრულყოფილი ცოდნა და ოსტატობა ზედმიწევნით ზუსტად წარმოედგინათ – დაწყებული სურნელოვანი ბალახის ხელში სათუთად ჭერიდან, როცა წარმოთქვამდა – „ჯენტლმენებო, მეათასედი ნაწილი მარცვლისა კარგად უნდა გაისრისოს და ამ ღვთიური მცენარისაგან არომატის ნაცვლად სიმწარეს მიიღებთ", – შვრიის საწრუპი წკირების გულმოდგინე არჩევით დამთავრებული.

სცენის დამთავრებისთანავე მაყურებელი ფეხზე წამოიჭრა მქუხარე ტაშით და აპლოდისმენტებით. ტიპის დასურათხატება იმდენად ზუსტი, დამაჯერებელი და სრულყოფილი იყო, რომ მან პიესის სხვა წამყვანი ხასიათები დაჩრდილა. ჰარგრეივსი მეორედ იხმეს. ის ფარდის წინ გამოვიდა და მაყურებელს თავი დაუკრა, ჭაბუკური სახე წარმატების შეგნებით გაბრწყინებოდა და აწითლებოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ლიდიამ გაბედა, მამისკენ შეტრიალდა და მაიორს შეხედა. ტალბოტს წვრილი ნესტოები თევზის ლაყუჩებივით უფეთქავდა. მან მოცახცახე ხელები სავარძლის სახელურებს დააყრდნო და წამოდგომა სცადა.

„წავიდეთ, ლიდია". — თქვა მან სუნთქვაშეკრულმა. — „აღმაშფოთებელია, ამაზრზენია ეს ყველაფერი".

სანამ წამოდგომას შეძლებდა, ქალიშვილმა უკანვე უბიძგა მოხუცს და კვლავ ადგილზე დასვა.

„სჯობს ბოლომდე დავრჩეთ". განუცხადა მან მამას. „თქვენ რა, გინდათ ორიგინალური სერთუკის ჩვენებით მის ასლს რეკლამა გაუკეთოთ"? არგუმენტმა გაჭრა. ისინი სპექტაკლის დასრულებამდე დარჩნენ დარბაზში.

წარმატებისგან თავბრუდახვეულ ჰარგრეივსს, იმ ღამეს, როგორც ჩანს, გვიან დაეძინა. ამიტომაც არც საუზმესა და არც სადილზე არ გამოჩენილა.

შუადღისას, დაახლოებით სამი საათი იქნებოდა, მაიორ ტალბოტის კაბინეტის კარზე მან ნელა დააკაკუნა. მაიორმა კარი გააღო და ჰაგრეივსმა ოთახში შეაბიჯა. ხელში დილის გაზეთების დასტა ეჭირა – საკუთარი ტრიუმფით ისე იყო აღფრთოვანებული, რომ მაიორის ქცევაში უჩვეულო ვერაფერი შენიშნა.

„დიდი შთაბეჭდილება მოვახდინე გუშინ საღამოს, მაიორო". დაიწყო მან საზეიმოდ. „ბედს ვცდიდი და, ვფიქრობ, გავიმარჯვე. აი, ნახეთ, რას წერს „პოსტი":

„მსახიობის მიერ გააზრებული და განსახიერებული ძველი დროის სამხრეთელი პოლკოვნიკი თავისი ღიმისმომგვრელი მაღალფარდოვნებითა და უცნაური ჩაცმულობით, მისეული ძველებური საუცხოო იდიომები და გამოთქმები, ყავლგასული გვაროვნული სიამაყე, და მისი ჭეშმარიტად კეთილი გული, გაფაქიზებული ღირსების გრძნობა და მომხიბვლელი უბრალოება სახასიათო როლის საუკეთესო შესრულებაა თანამედროვე სცენაზე. სერთუკი, პოლკოვნიკი კალჰოუნი რომ ატარებს, სხვა არაფერია, თუ არა გენიალობის გამოვლენა. მისტერ ჰარგრეივსმა დაიპყრო მაყურებელი".

„როგორ ჟღერს ახალბედა მსახიობის კვალობაზე, ა, მაიორო?"

„გუშინღამ მქონდა ბედნიერება" — მაიორის ხმა მრისხანებითა და სიცივით იყო აღსავსე —„თქვენს ღირსშესანიშნავ წარმოდგენას დავსწრებოდი, სერ".

ჰარგრეივსმა შეცბუნებულმა შეხედა.

„იქ იყავით? არ ვიცოდი, ოდესმე... არ მეგონა, თეატრი თუ გიყვარდათ. ოჰ, უნდა გითხრათ, მაიორო ტალბოტ", წამოიძახა მან გულღიად, „თქვენი წყენა არც მიფიქრია. ბევრ რამეს კი დაგესესხეთ, რაც არაჩვეულებრივად დამეხმარა როლის გათავისებაში, მაგრამ მინდა იცოდეთ, მე განვასახიერე ტიპი, და არა — რომელიმე პიროვნება. ამიტომაც მიიღო ის მაყურებელმა. იმ თეატრის მესვეურთა უმრავლესობა სამხრეთელია და მათ შეიცნეს პერსონაჟი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მისტერ ჰარგრეივს", - მაიორი კვლავ ფეხზე იდგა. „თქვენ ენითუთქმელი შეურაცხყოფა მომაყენეთ, გამამასხარავეთ, ჩემი ნდობა, გულითადობა და მასპინძლობა ბოროტად გამოიყენეთ. დარწმუნებული რომ ვიყო, რომ ჯენტლმენობის ნასახი ან იმის გაგება მაინც გაგაჩნიათ, რას ნიშნავს ეს, მიუხედავად ხანდაზმულობისა, დუელში გამოგიწვევდით. ახლა კი გთხოვთ, დასტოვოთ ჩემი ოთახი".

მსახიობი თითქოს ჩიხში მოემწყვდა. როგორც ჩანს, მოხუცი ჯენტლმენის სიტყვები მისთვის ძნელი გასაგები აღმოჩნდა.

„გულწრფელად ვწუხვარ, რომ გაგანაწყენეთ". თქვა მან მონანიედ. „ჩვენ აქ სხვა თვალით ვუყურებთ მოვლენებს. რამდენ ადამიანს ვიცნობ, რომლებიც არაფერს დაიშურებენ, ოღონდ თავი სცენაზე ისე უჩვენონ ხალხს, რომ მაყურებელმა შეიცნოს ისინი".

„ისინი ალაბამადან არ არიან, სერ", წარმოსთქვა მაიორმა თავდაჯერებით.

„ალბათ, არა. მე საუკეთესო მეხსიერება მაქვს, მაიორო. ნება მომეცით, თქვენი წიგნიდან რამდენიმე სტრიქონი გაგახსენოთ, ბანკეტზე სადღეგრძელოს პასუხად -- თუ არ ვცდები, მილედჯევილეში რომ წარმოთქვით. როგორც ვიცი, აპირებთ კიდეც ამ სიტყვების დაბეჭდვას:

„ჩრდილოელი კაცი ამაღლებული გრძნობებისა და სითბოსაგან დაცლილია. გამონაკლისი მხოლოდ ის შემთხვევებია, როცა განცდები შეიძლება მის კომერციასა თუ მოგებას წაადგეს. ის ითმენს წყენას, საკუთარი ან საყვარელი ადამიანების ღირსების შელახვას, თუკი ეს მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე არ აისახება. მოწყალების დროს კი ხელგაშლილია მხოლოდ მაშინ, როცა ამის აფიშირება და რეკლამირება ხდება".

„განა ხასიათის ეს თქვენეული აღწერა უფრო სახიერი არაა, ვიდრე იმ პოლკოვნიკ კალჰოუნისა, გუშინღამ რომ იხილეთ სცენაზე"?

„ამ დახასიათებას თავისი საფუძველი აქვს". — თქვა შუბლშეჭმუხნულმა მაიორმა. „ზოგჯერ გაზვიადება დასაშვებია სახალხო მეტყველებაში".

„და სახალხო წარმოდგენაში". — მიუგო ჰარგრეივსმა.

„ამას არა აქვს მნიშვნელობა". - არ ცხრებოდა მრისხანე მაიორი. "ეს პიროვნული კარიკატურა იყო. მისი შემხედვარე, მერწმუნეთ, მორალურად დავეცი, სერ."

„მაიორო ტალბოტ", ჰარგრეივსმა მომხიბვლელად გაიღიმა. "მინდა, გამიგოთ. მსურს, იცოდეთ, რომ თქვენი შეურაცხყოფა გულშიაც არ გამივლია. პროფესიული თვალსაზრისით მთელი სამყარო მე მეკუთვნის. ცხოვრებისგან ვიღებ ყველაფერს, რაც მსურს და შემიძლია და მას რამპით განათებული ფიცარნაგიდან უკანვე ვუბრუნებ. მაგრამ დავანებოთ ამას თავი. კიდევ ერთი საქმე მაქვს თქვენთან. რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ გულითადი მეგობრები ვიყავით. მაშ, გავრისკავ, ერთხელაც გაგაბრაზოთ. ვიცი, რომ ფული გჭირდებათ – ნუ შეწუხდებით იმაზე ფიქრით, საიდან შევიტყე ეს, — პანსიონში ამგვარი საიდუმლოებანი არ იმალება. თავადაც ხშირად ჩავვარდნილვარ ასეთ დღეში. ნება მომეცით გულუხვად დაგეხმაროთ. მთელი სეზონის ხელფასიდან დიდი ნაწილი გადავდე და რაღაც თანხა დავაგროვე. შემიძლია უშურველად შემოგთავაზოთ რამდენიმე ასეული – ან მეტიც, სანამ..."

„კმარა, შეჩერდით!" უბრძანა მაიორმა და ხელები გაასავსავა. „როგორც ჩანს, ჩემი წიგნი არ სტყუის. თქვენ ფიქრობთ, ფულადი დახმარება შემიმსუბუქებს ღირსების შელახვით მოყენებულ გულისტკივილს?! ვერანაირი მატერიალური მდგომარეობა ვერ მაიძულებს სესხი ავიღო თავმსუბუქი ნაცნობისაგან, ესე იგი, თქვენგან, სერ. მირჩევნია, შიმშილით მოვკვდე, ვიდრე ფინანსური დახმარების თქვენეული შეურაცხმყოფელი შეთავაზება მივიღო იმ მდგომარეობაშიც კი, რომელშიც აღმოვჩნდით. კვლავ გიმეორებთ ჩემს თხოვნას, დატოვეთ აქაურობა".

ჰარგრეივსი უსიტყვოდ გაეცალა. იმავე დღეს მან პანსიონიც დატოვა და, როგორც მისის ვერდემენმა ვახშმობისას განმარტა, ქალაქის ცენტრში, იმ თეატრის სიახლოვეს გადავიდა, რომლის მაგნოლიის ყვავილის" ერთი კვირის წარმოდგენებზე ბილეთები უკვე წინასწარ გაყიდულიყო.

მაიორ ტალბოტის და მის ლიდიას მდგომარეობა კრიტიკული იყო. ვაშინგტონში ისეთი არავინ ეგულებოდათ, ვისაც ეს ამაყი მაიორი სესხისთვის მიმართავდა. მის ლიდიამ ბიძია რალფს კი მისწერა წერილი, მაგრამ, ეჭვსგარეშეა, ნათესავს საკუთარი აწეწილი საქმეები არ აძლევდა საშუალებას ხელი გაემართა მამაშვილისთვის. მაიორი იძულებული გახდა მისის ვერდემენისთვის კრძალვით მოებოდიშებინა ქირის დაყოვნების გამო და „გადაუხდელი რენტა" და „დაყოვნებული ფულადი გზავნილები" მოემიზეზებინა.

ხსნა სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა.

ერთ შუადღეს ტალბოტებთან პანსიონის მეკარე შევიდა და აუწყა, რომ ვიღაც შავკანიან მოხუცს მაიორ ტალბოტის ნახვა სურდა. მაიორმა სთხოვა მას, სტუმარი კაბინეტში ამოეშვა. მალე კარში ზანგი ბერიკაცი გამოჩნდა. ხელში ქუდი ეჭირა, წელში მოხრილი ტლანქად მოაბიჯებდა. საკმაოდ კარგად იყო შემოსილი. შავი ფერის ტომარასებრი პიჯაკი ეცვა, ვეება, უხეში ფეხსაცმელი ლითონის ბზინვარებით უბრწყინავდა, გეგონებოდათ, გაკრიალებული ბუხარიაო. თავზე ბუჩქივით ედო ნაცრისფერი თმა, - უფრო თეთრი ეთქმოდა. ასე, შუახანს გადაცილებული იქნებოდა, გაგიჭირდებოდათ ზუსტი ასაკის გამოცნობა. სავარაუდოდ, მაიორის თანატოლი უნდა ყოფილიყო.

„თავს დავდებ, ვერ მიცანით, ბატტონო პენდლეტონ" - დაიწყო მან. ლაპარაკში თავისებურად უქცევდა.

მაიორი წამოდგა. მას მისალმების ჩვეული

სტილი ეცნო და სტუმრისკენ გაემართა. ახ ალმოსული, უეჭველია, პლანტაციის ერთი ძველი შავკანიან მონათაგანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისინი იმდენი ხნის წინ მიიფანტ-მოი ფანტნენ, რომ ვეღარ იხსენებდა ვერც ხმასა და ვეღარც სახეს.

„ნამდვილად ვერა", უპასუხა მან თავა ზიანად. — "იქნებ თავი გამახსენოთ".

„არ გაგონდებათ სინდის მოსსე, ბატტონო პენდლეტონ, ომის დამთავრებისთანავე რომ გადასახლდა სამხრეთიდან"?

„ერთ წუთს მადროვეთ", მაიორმა თითის წვერებით შუბლი მოისრისა. მას უყვარდა ყველაფერ იმის გახსენება, კეთილად მოსაგო ნარ დღეებს რაც უკავშირდებოდა. "სინდის მოსე", დაფიქრდა ის. "მგონი, ცხენები გებარათ, არა? -- კვიცებს ხედნიდით. დიახ, აი, ახლა მო მაგონდით. დათხოვნისთანავე რაღაც თიკუნი დაირქვით -- ნუ, ნუ მიკარნახებთ, -- მიტჩელი, ხომ? და დასავლეთისკენ გაემგზავრეთ – ნე ბრასკაში".

"დიახ, სსერ, დიახ, სსერ, – კმაყოფილ ბერი კაცს სახე ღიმილმა გაუწელა – "ესს მე ვარ, ისიც ისს არის, ნიუბრასკა. ესს მე ვარ -- მოსსე მიტჩელი. ბებერი ბიძია მოსსე მიტჩელი, რო გორც ეხლა მეძახიან. უფროსმა პენდლეტონ მა, თქვენმა მამილომ, განშორებისას ჯორები გამომატანა, რომ ჩემთვის ხელი მოემართა. გახსოვთ ისს ჯორები, ბატტონო პენდლეტონ"?

"არა, ჯორებს ვერ ვიხსენებ". - უპასუხა მაიორმა - "ხომ იცით, ომის დაწყების პირველ სავე წელს დავქორწინდი და ძველ ფოლინსბიში ვცხოვრობდი. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? დაბრძანდით, დაბრძანდით, ბიძია მოსე. მოხარული ვარ თქვენი ნახვით. ვიმედოვნებ, ყველაფერი რიგზე გაქვთ".

ბიძია მოსე სკამზე ჩამოჯდა და თავისი ქუდი გვერდით იატაკზე ფრთხილად დადო.

"დიახ, სსერ, საქმე კარგად წამივიდა. როცა პირველად ნიუბრასკაში ჩავედი, ხალხი დამეს ია ჯორების სანახავად. ასსეთები იქ არ ენახათ. ჯორები მათ სამას დოლარად მივყიდე. დიახ, სსერ, სამას დოლარად".

"შემდეგ სამჭედლო გავხსენი, ცოტა ფული ვიშოვე და მიწის ნაკვეთიც შევიძინე. მე და ჩემ მა დედაკაცმა შვიდი შვილი გავზარდეთ. ღვთის შეწევნით, ყველანი კარგად გვყავს, გარდა ორისა, რომლებიც დაგვეხოცა. ერთი წლის წინ ჩემი ნაკვეთის სიახლოვეს რკინიგზა გაიყვანეს, მის პირდაპირ კი ქალაქის მშენებლობა წამოი წყეს, ბატტონო პენდლეტონ, და ბიძია მოსსეს თავისი მიწის სანაცვლოდ ათასი დოლარი, ქონება და მიწა აჩუქეს".

"მახარებს ამის გაგონება", თქვა მაიორმა მთელი გულით. "ძალიან მახარებს".

"თქვენი პატარა შვილიკო როგორღა არის, ბატტონო პენდლეტონ – აი, ისს, მისს ლიდდი რომ დაარქვით, – დარწმუნებული ვარ, იმხელა გაიზარდა, ვეღარც კი ვიცნობ".

მაიორი კართან მივიდა და ქალიშვილს გასძახა: "ლიდია, ძვირფასო, ხომ არ შემოხვალ ჩვენთან"?

მის ლიდია, მართლაც საკმაოდ გაზრდილი, ოდნავ შეწუხებული სახით თავისი ოთახიდან შემოვიდა.

"ძვირფასო! აბა, რა გითხრა, ვიცოდი, რომ ისს პაწია ასსე გაიზრდებოდი. შვილო, არ გახსოვს ბიძია მოსსე"?

"ეს მამიდა სინდის მოსეა, ლიდია" განუმარ ტა მაიორმა "შენ ორი წლის იყავი, როცა მან სანიმიდი დატოვა და დასავლეთისკენ გაემგზა ვრა".

„ძალიან კარგი". მიუგო მის ლიდიამ. "ასე პატარას როგორ დამამახსოვრდებოდით, ბიძია მოსე. ეს ხომ კაი ხნის წინ იყო. როგორც თა ვად თქვით, ეხლა უკვე საკმაოდ დიდი ვარ. არ მახსოვხართ, მაგრამ მაინც მიხარია თქვენი ნახვა".

მართლაც უხაროდა. უხაროდა მაიორსაც. უჩვეულო სიხალისემ და სინათლემ ბედნიერ, კარგად მოსაგონარ წარსულ დროებაში გა დაისროლა ისინი. ისხდნენ სამნი და გარდასულ დღეებზე საუბრობდნენ, მაიორი და ბიძია მოსე პლანტაციის სურათებს და ეპიზოდებს იხ სენებდნენ, ერთმანეთს უსწორებდნენ და კარ ნახობდნენ იმდროინდელ ამბებს.

მაიორი ჩაეკითხა მოხუცს, სახლიდან ასე მოშორებით რას აკეთებდა.

„ბიძია მოსსე დელიკატი არისს", აუხსნა მან "დელიკატი. ბაპტისტთა მნიშვნელოვან ყრი ლობაზე გამომგზავნეს, ამ დიდ ქალაქში რომ ტარდება. მართალია, არასოდეს მიქადაგია, მაგრამ, როგორც უხუცესი ამ ეკლესიაში, მე შემარჩიეს, თანაც სხვებისგან განსხვავებით ჩემი შემოსავლით საკუთარი ხარჯების დაფარ ვა შემეძლო".

"ის როგორღა შეიტყეთ, ვაშინგტონში რომ ვიყავით?" შეეკითხა მის ლიდია.

"სასტუმროში, სადაც გავჩერდი, ერთი ჩვენებური კაცი მუშაობს, მობილიდანაა. აი, სწორედ იმან მითხრა, რომ დაინახა, როგორ გამოდიოდა ბატტონი პენდლეტონი ერთი ქა ლის კერძო პანსიონიდან".

"თანამემამულეების ნახვა ხომ მინდოდა და მინდოდა", განაგრძო ბიძია მოსემ და ჯიბეს მისწვდა, "და აი, კიდევ რისთვის გავისარჯე – "– ბატტონ პენდლეტონს ვალი უნდა დავუბრუ ნო".

"დიახ, სსერ, – სამასი დოლარი ვალი". მან მაიორს ფულის შეკვრა გაუწოდა. "როცა დასავლეთისკენ გავემგზავრე, უფროსმა პენდლეტონმა მითხრა: "წაიყვანე ეს ჯორები, მოსსე, მოიხმარე და როცა შეგეძლება, მაშინ გადამიხადე ამათი საფასური". დიახ, სსერ, სწორედ ასსე მითხრა. ომმა მოხუციც ცუდ დღეში ჩააგდო. ის, დიდი ხანია, მკვდარია, მისი ვალი კი შვილზე გადადის. სამასი დოლარის დაბრუნება ბიძია მოსსეს ახლა თავისუფლად შეუძლია. როცა რკინიგზამ ჩემი მიწა შეისყიდა, იმ ჯორების საფასურის გადადება შევძელი. დაითვალეთ ფული, ბატტონო პენდლეტონ. ეს ისს თანხაა, ჯორების გაყიდვით რომ ავიღე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ასსეა, სსერ."

მაიორს თვალები აუცრემლდა. ცალი ხელით მან ბიძია მოსეს ხელი დაუჭირა, მეორე მხარზე დაადო.

„ძვირფასო, ერთგულო, მოხუცო მსახურო", მაიორს ხმა უთრთოდა, „არ დაგიმალავ, შენმა ბატონმა პენდლეტონმა უკანასკნელი დოლარი დახარჯა გასულ კვირას. ჩვენ ავიღებთ ამ ფულს, ბიძია მოსე, მას ძველი რეჟიმის წყალობად და ძღვნად ვიგულებთ. ლიდია, ჩემო ძვირფასო, გამოართვი ფული. შენ ჩემზე უკეთ დახარჯავ მას".

„აიღე, საყვარელო". უთხრა ბიძია მოსემ. „ისს თქვენ გეკუთვნით, ტალბოტების ფულია".

ბიძია მოსე წავიდა. მის ლიდია სიხარულით ტიროდა. მაიორმა სახე კუთხისკენ მიატრიალა და თავისი თიხის ჩიბუხი ვულკანივით გააბოლა.

ტალბოტებს ბედნიერი დღეები დაუდგათ, სიმშვიდე და სილაღე აღიდგინეს. მის ლიდიას სახიდან მწუხარე გამომეტყველება გაქრა. მაიორი ახალ სერთუკში გამოეწყო, რომელშიც ის ცვილის ფიგურას მოჰგავდა და ოქროს ხანის ხსოვნას განასახიერებდა. ამჯერად უკვე სხვა გამომცემელმა, რომელმაც "თავშესაქცევი ამბები და მოგონებანის..." ხელნაწერი წაიკითხა, მცირე შესწორებებისა და ხასიათების გადასხვაფერების შემდეგ შესაძლებლად ჩათვალა, ისეთ წიგნად გამოეცა ის, მართლაც სარფიანად რომ გაიყიდებოდა. ტალბოტების მდგომარეობა მთლიანობაში სახარბიელო და იმედისმომცემი იყო, იმედი კი ხშირად უფრო ტკბილია, ვიდრე მიღწეული კეთილდღეობა.

იმ იღბლიანი დღიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, მოსამსახურემ მის ლიდიას ოთახში წერილი შეუტანა. საფოსტო მარკის მიხედვით ის ნიუ-იორკიდან უნდა ყოფილიყო გამოგზავნილი. ნიუ-იორკში ლიდია არავის იცნობდა. ქალი გაოცდა, ოდნავ აღელვებული თავის მაგიდას მიუჯდა და მაკრატლით კონვერტი გაჭრა. აი, რა ამოიკითხა მან ბარათში:

ძვირფასო მის ტალბოტ:

ვფიქრობ, გაგეხარდებათ იმის გაგება, როგორ გამიღიმა ფორტუნამ. ნიო-იორკის ერთმა მუდმივმოქმედმა თეატრალურმა დასმა მიმიწვია "მაგნოლიის ყვავილში" პოლკოვნიკ კალჰუნის როლის სათამაშოდ, რისთვისაც კვირაში ორასი დოლარის გადახდას დამპირდნენ.

კიდევ ერთი რამ მინდა იცოდეთ. დარწმუნებული ვარ, არაფერს ეტყვით ამის შესახებ მაიორ ტალბოტს. მთელი გულით მსურდა, გამომეხატა მადლიერება იმ დიდი დახმარებისათვის, რაც მან როლის შესწავლაში გამიწია და ის შავი იუმორიც გამომესყიდა, ამ ამბავში რომ გაერია და მამათქვენს გული ატკინა. ღიად ამის ნებას მაიორი არ დამრთავდა. ამიტომაც სხვა გზით მოვახერხე. სამასი დოლარის გადახდა ადვილად შევძელი.

თქვენი პატივისმცემელი,

ჰ. ჰოპკინს ჰარგრეივსი.

P.S. რას იტყვით, როგორ შევასრულე ბიძია მოსეს როლი?

მაიორმა ტალბოტმა, რომელიც ამ დროს დერეფანში სეირნობდა, მის ლიდიას კარი ღია ნახა და შედგა.

„ლიდია, ძვირფასო, ფოსტა მივიღეთ ამ დილას?

მის ლიდიამ წერილი კაბის ნაკეცებში შემალა.

„მობილის ქრონიკა" მოვიდა, უპასუხა მან იმწამს, „ის თქვენს კაბინეტშია, მაგიდაზე".

01.11.2010

ინგლისურიდან თარგმნა
მაია ცერცვაძემ

---

ather Hubbard - Mother Hubbard – ის ანალოგიით. ოტჰერ უბბარდ დრესს ერქვა გრძელ და ფართო, გულდახურულ მაღალყელიან კაბას ფართო და გრძელივე სახელოებით. შემოიღეს მისიონერებმა პოლინეზიაში, რათა ცივილიზაცია შეეტანათ სამხრეთის ზღვების კუნძულების ნახევრად შიშველ ველურებთან. ეცვათ ჰავაის, ტაიტის, ახალი კალედონიის კუნძულებზე. შემდეგ გავრცელდა ყველგან მსოფლიოში, მას დღესაც ატარებენ წყნაროკეანელი ქალები. მათ ის აქციეს უფრო მხიარულ და მსუბუქ ტანსაცმელად, რომელიც ბამბის ქსოვილისაგან იკერება და ღია ფერის ყვავილიანი ორნამენტებითაა მოჩითული.

ჰოედაუნი (ინგ. ოე-დოწნ) — ამერიკული ფოლკლორული ცეკვა, მუსიკა ასეთი ცეკვისათვის.

ჯულეპი – ალკოჰოლური სასმელი, კოქტეილი, რომელიც მზადდება ვისკის ან კონიაკის, წყლის, შაქრის, ყინულისა და პიტნისაგან. შემოიღეს ამერიკის სამხრეთი შტატების კულინარიაში.

'tired Nature'ს სწეეტ რესტორერ' – "დაშრეტილი სასიცოცხლო ძალების ტკბილი აღმდგენელი". ციტატა ინგლისელი პოეტის ედუარდ იუნგის (1683 -1765) რელიგიურ-დიდაქტიკური პოემიდან "ღამის ფიქრები" (ინგლისური სრული სახელწოდებაა The Complaint, or Night Thoughts on Life, Death, and Immortality).

ეთერ ეკ ალანდია

თუჰაქელი დლიუჰი

III-IV ნაწილი

ეს მხარე ჩვენთვის ძალიან შორეული იყო, ოღონდ მანძილი არ გვაშორებდა, ჯარისკაცის მიერ ჩაკეტილი საზღვარი გვყოფდა. მაგრამ ეს შორეული კუთხე და უცნობი ხალხი ყველაზე ახლობლად გვეგულებოდა. თუმცა მათი ხმამაღლა ხსენება, მოკითხვა და ტკბილი სიტყვის მიწოდება აკრძალული იყო. მაგრამ მაინც, ყველაფრის მიუხედავად, თითქოს გენეტიკურად გადადიოდა თაობიდან თაობაში მონატრება, გაცნობის სურვილი, მათი ამბის გაგების წადილი.

ძველ, გაფერმკრთალებულ ფოტოებში შევყურებდით ბანასა და ოშკს, არტანუჯსა და ზარზმას, რუკაზე ვეძებდით ტაოსა და კლარჯეთს, ხანძთასა და შატბერდს, „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობდით ოლთისისა და ბასიანის ბრძოლის ამბებს, მაგრამ ვერ ვნახულობდით, ვერ ვკითხულობდით ტაძართა კედლებზე შენახულ წარწერებს, არ გვესმოდა განშორებული ძმების ხმა და ჩვენსას ვერ ვაგებინებდით. ხშირად ამკვიატებია ფიქრი: გადარჩა რამე იმ ნაგებობებიდან, რაც ჩვენს წინაპრებს შეუქმნიათ და წიგნებშია აღწერილი, ახსოვთ იქაურებს, რომ ჩვენებურები არიან, რომ ერთნი ვართ, ანდა იციან რამე ჩვენზე?

დიდი იმპერიის დანგრევის შემდეგ ბევრს მიეცა საშუალება ენახა ეს მხარე, ამბავიც ჩამოეტანა, გადაღებულიც ეჩვენებინა, მაგრამ ასჯერ გაგონილს ხომ ერთხელ ნანახი სჯობია და ჩვენც დაუოკებელი სურვილი გვქონდა, ან კი რომელ ქართველს არა აქვს, საკუთარი თვალით გვეხილა საქართველოს დიდების ნაშთი, გაგვეცნო სამშობლოდან გადახვეწილი ჩვენებურები, ოდესღაც ერთ ენაზე რომ ვლაპარაკობდით, ერთ ღმერთს ვფიცულობდით და ერთ სახელმწიფოს ვაშენებდით.

ერთი ჭოროხის შვილები

„როგორც საქართველოში ქართველია, ჩვენ ასე ქართველები ვართ“. აქ ერთი გამოთქმა იციან — „იქაური ქართველები და აქაური ქართველები ერთი ჭოროხის შვილები ვართო“.

ექსპედიციაში ოთხნი ვართ: მე, გიორგი კალანდია, ისტორიკოსი და გადაცემა „ჩვენებურების“ ავტორი, ბუბა კუდავა — ისტორიკოსი, ბესო გაფრინდაშვილი — ისტორიკოსი და ოპერატორი, აზიზ ბაირამ თოზაქი (ბექა ნებიერიძე) ბალხელი ახალგაზრდა, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი და მძღოლი გიორგი კოშაძე. მოგზაურობა მოეწყო 2006 წლის აგვისტოში.

ეს ტაოა, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, მდინარე ჭოროხის აუზი. ეს ადგილი ადრევე მოხვდა ისტორიულ წყაროებში. ტაოს გულისხმობენ ძველი წელთაღრიცხვის 1112 წლის ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის წარწერაში „დაიაენად“ მოხსენიებულ ტოპონიმში. ურარტულ წარწერებში უკვე „დიაუხის“ სახელით გვხვდება. ბერძენი მხედართმთავარი ქსენოფონტი ამ მხარის მოსახლეობას „ტაოხებს“ უწოდებს და აღნიშნავს — მეომარი, მამაცი, ძლიერი და თავისუფლებისმოყვარე ხალხიაო. ფარნავაზის დროს ტაო ქართლის ორგანული ნაწილი გახდა. I საუკუნის დასაწყისში სომხეთის სამეფო დაეუფლა. შემდეგ დიდხანს იყო სადავო ტერიტორია. VII საუკუნეში ტაოში დიოფიზიტობა გავრცელდა და ქართული ეკლესიის მძლავრი დასაყრდენი გახდა, ქართველი მოსახლეობაც დაუბრუნდა თავის სამკვიდროს. არაბთა სარდალმა მურვანმა სასტიკად მოაოხრა ეს მხარე. VIII-X საუკუნეებში, როდესაც ქართლი სარკინოზებს ეპყრათ, ამ კუთხის აღორძინება აშოტ კურაპალატმა დაიწყო. მას გვერდით სამღვდელოება ამოუდგა და აქ ბანა, ხახული, ოშკი, პარხალი, ოთხთა ეკლესია აიგო. ტაომ, კლარჯეთთან ერთად, ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის აღდგენის მისია იკისრა. აქ მოღვაწეობდნენ აშოტ I დიდი კურაპალატი, დავით III კურაპალატი, თორნიკე ერისთავი, იოანე მთაწმინდელი, ექვთიმე მთაწმინდელი. XII-XIII საუკუნეების გაერთიანებული საქართველოს დიდ აღმშენებლობაში ტაოც მონაწილეობდა და განაპირა საერისთავო იყო. XVI საუკუნის 50-იანი წლებიდან ოსმალებმა დაიპყრეს. ამით მთლიანად მოსწყდა საქართველოს, მოსახლეობაც თანდათან გამაჰმადიანდა. XIX საუკუნეში, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის შემადგენლობაში შევიდა, იმპერიამ სამხრეთის საზღვრები გააფართოვა, ე.წ. თურქეთის საქართველო თითქმის მთლიანად დაიპყრო და 1878 წელს ბერლინის ხელშეკრულებით დაიმტკიცა კიდეც. 40 წელი გაგრძელდა საქართველოსთან ერთ სახელმწიფოში ყოფნა, 1918 წელს ეს კავშირი გაწყდა.

ტაოს მდინარე ჭოროხი ასაზრდოებს. აქაუ-

რები ჩორუჰს ეძახიან. 438 კილომეტრიანი მდინარე საქართველოში მხოლოდ 26 კილომეტრზე მიედინება ბათუმის სამხრეთით და შავ ზღვას ერთვის. შენაკადებიც აქვს — აჭარისწყალი, მაჭახლისწყალი, ოლთისი. მის ნაპირებზეა ქალაქები ბაიბურთი, ართვინი.

ამ მხარის მეცნიერულად შესწავლის საშუალება პირველად ექვთიმე თაყაიშვილს მიეცა. 1902-17 წლებში მან სამი ექსპედიცია მოაწყო თურქეთის საქართველოში და უმნიშვნელოვანესი მასალა ჩამოიტანა. 1935 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირმა ოსმალეთთან საზღვარი მტკიცედ ჩაკეტა, ეს კუთხე სრულიად მოსწყდა საქართველოს და მხოლოდ თითო-ოროლა მეცნიერი ახერხებდა მცირე ხნით ჩასვლას და მუშაობას.

1993 წელს თურქეთსა და საქართველოს შორის დაიდო მეგობრობის, ურთიერთთანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულება, ხოლო მომდევნო წელს შეთანხმება ტურიზმის შესახებ. ამის შემდეგ თურქეთის მონახულება გაადვილდა და დღეს უკვე ყველაზე ახლობელი და გულგახსნილი მეზობელი გახდა.

ბანა

აქ ყველაფერი განსხვავებული და საუცხოოა. უჩვეულო ელფერს საზღვრის გადაკვეთისთანავე ვამჩნევთ. ამიტომ თითქმის ყოველ წუთს ვჩერდებით და სანახაობით ვტკბებით. მოლოდინი უფრო დიდია, გზას ხომ უძველესი ქართული პროვინციის, ტაოსკენ მივყავართ.

უკვე საღამო იყო, ფანაკს რომ მივუახლოვდით. ძნელია, ზუსტად გადმოსცე ის გრძნობა, სოფლიდან მოშორებით მდგარი ბანას ტაძრის ხილვისას რომ დაგვეუფლა.

„კონსტანტინოპოლის სოფიის შემდეგ ბანა არქიტექტურის ყველაზე მშვენიერი ნიმუშია, რომელიც მე აღმოსავლეთში ვნახე“ — უთქვამს ტაძრის გრანდიოზულობით გაოცებულ გერმანელ მოგზაურს, კარლ კოხს XIX საუკუნეში.

ბანას ირგვლივ პეიზაჟიც მისტიკურია და იდუმალი. ტაძარი ისე ერწყმის ბუნებას, რომ მათ შორის ზღვარის გავლება თითქმის შეუძლებელია. ყვავილოვან ველზე ამოზრდილა ბანა, აღნაგობით ბუმბერაზი და მთასავით აზიდული, აგვირგვინებს ამ დიდებულ ლანდშაფტს. VII საუკუნეში აშენებული დიდი ტაძარი ქართველთა მეფემ ადარნასე მეორემ (881-923) კვირიკე ბანელს გადააკეთებინა, ბანას პირველი ეპისკოპოსიც კვირიკე გახდა. (სუმბატ დავითის ძე, „ცხორებაი და უწყებაი ბაგრატონიანთა“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ. თბ. 1990. გვ. 48)

IX-X საუკუნეთა მიჯნაზე ბანა ქართველ მეფეთა საზაფხულო სამყოფად და განსასვენებლად იქცა. აქ მოღვაწე ზაქარია ბანელის თაოსნობით ბევრი ძვირფასი ხელნაწერი შეიქმნა.

ამ კედლებს დიდი ზეიმიც ახსოვთ. XI საუკუნეში ერთიანი საქართველოს ახალგაზრდა მეფემ ბაგრატ მეოთხემ აქ დაიწერა ჯვარი ბიზანტიის იმპერატორის რომან არგირის და ელენეზე. ამ ნანგრევებს ქვეშ დღემდე განისვენებს ლამაზი დედოფალი, ფანასკერტელის ასული სითი ხათუნი და მისი მეუღლე ვახტანგ IV. (ე. თაყაიშვილი, „ემიგრანტული ნაშრომები“. თბ. 1991. გვ. 317) „კუალად ამასვე წელსა მოკუდა დედოფალი სითი-ხათუნ და დაფლა მეფემან ბანას. გარნა მეფობდა კეთილად გამგებითა ქუეყანისათა, მერმე გარდაიცვალა და დაფლეს ბანასვე ცოლისა თვისისა თანა“. (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 283).

ბანამ, ისევე როგორც მთელმა ტაომ, მრავალი განსაცდელი გადაიტანა. ყირიმის ომისას (1853-56) ბანა ციხედ უქცევიათ, მისი ლამაზი კედლები ზარბაზნებსა და ხანძარს საგრძნობლად შეუბღალავს. სულ ბოლოს, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1877-78) ეკლესიის გარშემო რუსული ჯარი მდგარა, აქ ბანაკი ჰქონიათ ოსმალებსაც. „ადგილობრივ გადმომცეს, — იგონებს ექვთიმე თაყაიშვილი — რუს-თათართა ომის დროს 1877-1878 წელს რუსის „ოტრიადი“ იდგა ეკლესიის გარშემო და ერთმა ღენერალმა წაიღო ნარნერიანი ქვა ეკლესიიდანო.“ (ე.თაყაიშვილი, ემიგრანტული ნაშრომები. თბ. 1991. გვ. 317)

1902 წელს, პირველი ექსპედიციის დროს, ექვთიმე თაყაიშვილს გუმბათჩამოქცეული ტაძარი დახვდა, თუმცა ჯერ კიდევ მტკიცედ იდგა საკურთხევლის კედლები და სვეტები. დღეს იმავეს ბანაში ვეღარ იხილავ. უზარმაზარი საკურთხევლისგან მხოლოდ ფრაგმენტებილა გადარჩა. ბანა თვალსა და ხელს შუა ინგრევა. ინგრევა ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლი, მრგვალი ტაძარი. თერთმეტი საუკუნის შემდეგ ბანას კომპიუტერული რეკონსტრუქცია ვცადეთ. გაცოცხლებული ტაძარი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

ვრცელ ველზე ბუმბერაზივით ამოზრდილი ტაძარი, განუმეორებელი ფორმისა და მასშტაბისაა. ჯვარგუმბათოვანი მასიური შენობა მრგვალ და დახურულ გალერეას ეყრდნობა.

ეკლესია მედიდურია შიგნითაც: დიდი კოლონები და იონური კაპიტელები, მოხატული კედლები და ფართო სარკმლები, გუმბათქვეშა ბოძები და ცამდე აზიდული გუმბათი.

მზის ჩასვლისას ფერი იცვალა ბანამ, თითქოს დასევდიანდა. მიუხედავად გვიანი ჟამისა, ტაძართან განშორება ყველას გვიჭირდა და თავი დამნაშავედ მიგვაჩნდა, რომ ნახევრადდანგრეულ ეკლესიას მარტო, სიბნელეში ვტოვებდით. თუმცა წამოსვლისას ცაზე ვარსკლავი შევნიშნეთ, სხივოსანი მნათობი მფარველივით დაადგა ათასწლოვანი ტაძრის მრუმე და ჩამოქცეულ კედლებს.

ოლთისი

„მერმე ის იყო, ჩვენ დავმარცხდით, უკუვიქეცით და ოლთისი გადავწვით გზაში. ქალაქიდანაც არ ვიყავით გასული, მოახსენეს მეფეს, უფლის სახლი იწვისო, გიორგიმ გადახედა ცეცხლშემოგზნებულ ეკლესიას, ზვიადს უბრძანა, ჩააქრობინეო. მერმე ცხენს დეზი ჰკრა, ცეცხლში გახვეულ საყდარს გულგრილად მიჰხედა უკანასკნელად.“ — „დიდოსტატის მარჯვენის“ ეს სიტყვები გახსენდება ოლთისის ციხის დანახვისას.

დიდი კურაპალატის, დავით მესამის სამეფო რეზიდენცია მუდმივი ქიშპისა და ცილობის მიზეზი იყო. გიორგი I-ის მსგავსად დავით აღმაშენებელმაც გადაწვა თურქ-სელჩუკების ბუდედ ქცეული ოლთისი, მაგრამ საბოლოოდ მაინც საქართველოს დაუბრუნდა. მას ხან ლალა ფაშა და ციხისჯვარელები, ხან თეიმურაზ I (1589-1663) და ათაბაგები ედავებოდენ ერთმანეთს.

ქალაქის ცენტრში, ამაღლებულ კლდოვან გორაზე, მდინარე ჭოროხის შენაკადის, ოლთისის წყლის ნაპირას დგას ციხე. მისი მაღალი კედლები მომრგვალებული კოშკებითურთ კლდის რელიეფს მიჰყვება.

მოგზაურ კარლ კოხს ამ ციხეში უნახავს უკვე შებღალული ძველი ქართული წარწერები და ბარელიეფები, მისი ყურადღება მიუქცევია მეფეთა ფრესკებსაც. ოლთისის ციხის ეკლესიიდან ვინმე დათიკო ქუთათელაძემ ექვთიმე თაყაიშვილს გაუგზავნა მოწითალო ბრტყელი ქვა შემდეგი წარწერით: „უფალო ღმერთო ძლიერო, ქრისტე, შეიწყალე გაბრიელ, რომელმან ადიდა წმიდაი გიორგი და აღმართა წმიდაი გიორგის საკურთხეველი.“ მეორე მხარეს კი ეწერა: „ქ. დავითმან შექმნა ხელთაგან. ქრისტე, შეიწყალე გაბრიელ.“ (ე. თაყაიშვილი, „დაბრუნება“, ტ 1. თბ. 1991. გვ. 347-348)

„ჭოროხის აღმოსავლეთის კიდეზედ არს ოლთისი, ქალაქი კარგი და კეთილ-ჰაეროვანი. აქ არს ციხე მაგარი და დიდშენი. არს მეორე საჯდომი ათაბაგისა. ფანასკერტი-ოლთისი არს ხილიანი და ვენახიანი.“ (ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. გვ. 683). ასე მოიხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი ოდესღაც დიდებულ ქალაქს. თუმცა ოლთისი არა მხოლოდ კეთილი ჰავითა და ვენახებით იყო ცნობილი. აქ მოიპოვება საუკეთესო გიშერი. ოლთისური გიშერი იმდენად მშვენიერი და უცხოა, რომ თურქულ ტერმინოლოგიაში ამ ნახევრადძვირფასი ქვის სახელწოდება ქალაქის სახელს შეერწყა. თურქები გიშერს ოლთუთაშს ანუ ოლთისში მოპოვებულ ქვას უწოდებენ.

ეს ვერსია ოქრომჭედელმა მუჰამედ ოქთაი სოზერმაც დაგვიდასტურა: „დიახ, ეს ტერმინი, შეიძლება ითქვას, ნახევრად ქართულია, ოლთისი ხომ ძველი იბერიული სახელწოდებაა. ოლთუში მოპოვებული ქვა ყოველთვის საუცხოო და მშვენიერი იყო. ამ ქალაქში ქართველი ოსტატები მას საუკეთესოდ ამუშავებდნენ. შემდეგ კი ეს უნიკალური ტრადიცია ოსმალებმა შეითვისეს.“

ოლთისური გიშერი ნახევრადძვირფასი, მაგრამ ნახევრად ცოცხალიაო — ამბობენ აქაურები. ვინ იცის, იქნებ ოლთისურ გიშერს ადარებს რუსთაველი თინათინისა და ნესტანის თმასა და წამწამს.

ოლთისის ციხის შესახებ საინტერესო ცნობაა დაცული ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში. ამბავი თეიმურაზ I-ის მეუღლეს, დედოფალ ხორეშანს ეხება:

ხორეშან დედოფლის სიზმრის ნახვა და იმავე დღეს ახდენა ერთი იყო. რომელ ციხეშიც დედოფალი ბრძანებულა, იმას ქვეშ ბაღი ყოფილა. ვარდის ყვავილობის დროს მხლებლებითურთ ბაღში ჩასულა. იმ ღამით სიზმარი უნახავს, თურმე ბაღი გველებით აივსო: — ჩემსკენ საკბენად მოიზიდებოდნენ, მე ციხისაკენ წავედი და გველებიც უკან ამედევნენ, მაგრამ ციხეში შევასწარი. უცებ ჰაერიდან ორბნი მოფრინდნენ და გველები დაიტაცესო. — მერე კი მხლებლებს უთხრა: — ადექით, აქ ნუღარ დგახართ, ციხეში ავიდეთო.

შუაღამე გადასული იყო, ციხის კარს რომ მიადგნენ. მეციხოვნეებმა ჯერ კარი არ გაუღეს. გათენებისას გაიგეს, ბაღს ყიზილბაშთა ღაშქარი დასხმოდა. მეციხოვნეებმა დედოფალი ოლთისის ციხეში შეიყვანეს და მტერს ზემოდან თოფი და ზარბაზანი დაუშინეს. კონსტანტინოპოლს მიმავალ ბატონ თეიმურაზს ზარბაზნის ხმა გაეგონა. თანამგზავრებს უბრძანა: ვისაც ცხენი გყავთ, დაიძარითო. ციხესთან ახლოს რომ მივიდნენ, ყიზილბაშებს შეუტიეს. თავგამეტებით იბრძოლეს, მაგრამ ყიზილბაშნი ამოწყდნენ და ბატონმა თეიმურაზმა გაიმარჯვა. დედოფლის სიზმარი ასე მალე ახდა. („ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია“, ს. კაკაბაძის გამოცემა. ჟურნ: „საისტორიო მოამბე“, წიგნი II. ტფ. 1925. გვ. 23)

კავკასიძეების ციხე თეკალე

კიდევ ერთი ციხე ტაოში. მართალია, ოლთისზე პატარაა, მაგრამ მასზე უფრო პირქუშია და მიუდგომელი. მთელ პროვინციაში ასეთი მიუვალი ციხის პოვნა გაგიჭირდებათ. ამ ციხეზე ასვლას ექვთიმე თაყაიშვილიც ოცნებობდა, თუმცა დიდმა მეცნიერმა ეს ვერ მოახერხა. ციხეზე ვერ ავიდა ვერც დიმიტრი ბაქრაძე, ვერც აკადემიკოსი პავლინოვი და ვერც მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე. იმ დროს თეკალეზე მისასვლელი ერთადერთი ჩრდილოეთის გზა უკვე ჩამორეცხილი იყო.

ექვთიმე თაყაიშვილი წიგნში „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“ ამ ციხეს ოთხთა ეკლესიის ციხედ იხსენიებს და ტაბულებში დართული აქვს ფოტო წარწერით: „ციხე მდინარე ოთხთა ეკლესიისწყლის მარცხენა ნაპირზე“. ოთხთა ეკლესია რამდენიმე ნაგებობას აერთიანებდა, მათ შორის იგულისხმა მეცნიერმა ეს ციხე და მისი მომცრო ბაზილიკაც. თუმცა შემდეგ უკვე კავკასიძეების ციხეს უწოდებს, თეკალე კი თურქული სახელია.

ამავე წიგნშია დამოწმებული ამ ციხის ერთადერთი წარწერა, სადაც საყდრის აღმშენებელი და ციხის მფლობელი მურვან კავკასიძეა მოხსენიებული. ამ ისტორიული ძეგლზე სხვა თითქმის არაფერია ცნობილი. აი, რას მოგვითხრობს კავკასიძეების ციხის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი:

„ოთხთა ეკლესიის ციხე სოფლიდან 1,5 კილომეტრის მანძილზე დგას, იმავე სახელწოდების მდინარის მარცხენა, კლდოვან ნაპირზე. კარი ჩრდილოეთიდან ჰქონია, მაგრამ იგი სავსებით ჩამორეცხილია და ამის გამო ციხეში ეხლა თითქმის არ შეისვლება. მელოს „ოკრუგის“ უფროსმა, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცმა, ა. მატიასევიჩმა, რომელმაც თავაზიანად დამითმო მე ციხის ფოტო-სურათი, მიამბო, რომ მან ყოველი ღონე იხმარა, რათა ციხეში შესულიყო, მაგრამ ვერას გახდა. როდესაც შევატყობინე, რომ ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა ეს შეძლო და იქიდან ეკლესიის წარწერების ასლიც კი ჩამოიტანა-მეთქი, მატიასევიჩი განცვიფრდა. თვით ოთხთა ეკლესიის ბაზილიკა მატიასევიჩს არ ენახა, რადგან მისი არსებობა არა სცოდნოდა და გლეხებს კი ამის შესახებ მისთვის არაფერი ეთქვათ. ციხე ამჟამად დანგრეულია. შიგ საცხოვრებელი შენობები აღარ შემონახულა, მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ზედ ფლატის თავზე დგას პატარა ეკლესია, ზედმიწევნით წესიერად თლილი ქვით ნაგები. ამ ეკლესიას კარი დასავლეთით აქვს, სარკმლები აღმოსავლეთითა და სამხრეთით. მისი სიგრძე 5, 52 მეტრს, ხოლო სიგანე 3, 7 მეტრს უდრის. თაღები მთელია, მაგრამ სახურავი აღარსად არის. პერანგი აღმოსავლეთსა და ჩრდილო კედლებსღა შერჩენიათ. საძირკველი ორსაფეხურიანია. შიგნით ეკლესია მთლად მოხატული ყოფილა და ფრესკები ნაწილობრივ შენახუ-

ლია კიდევაც. დასავლეთ მხარეზე, მარჯვნივ გამოხატული ყოფილა ნათლისღება, მარცხნივ — ხარება. სამხრეთ კედელზე შემონახულა ორი ცალკე ფიგურა. საკურთხეველში ორი ზემოთკენ შევიწროვებული უბეა და მათში ანგელოზთა ფიგურები ხატია. ჩრდილო კედელზე, ზედა სართულში, 12 მოციქულია წარმოდგენილი, ხოლო ქვემოთ — კტიტორთა ფიგურები: მარჯვნივ კაცია, რომელსაც წითელი ქართული სამოსი აცვია, მარცხნივ — ქალი, რომელსაც თეთრი, გრძელსახელოებიანი კაბა აცვია, ხოლო შუაში — ყმაწვილი. სამივე აღმოსავლეთით, ეტყობა ქრისტესაკენ, იცქირებიან, მაგრამ თვით ქრისტეს ფიგურა არ შემორჩენილა. მხოლოდ ყმაწვილს შერჩენია მთელი სახე, დანარჩენებისა დაზიანებულია. ფიგურებს ზემოთ ხუთპწკრიანი ასომთავრული წარწერაა. უკანასკნელი პწკრის ერთი სიტყვაღა დარჩენილა. წარწერა ხელითაა გადმოღებული. იგი ასე იკითხება:

„სახელითა ღმრთისაითა მამისა, ძისა და სულისა წმიდისაითა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისათა მე, მურვან კავკასიძემან, აღვაშენე ეკლესიაი ესე მე(ო)რედ განსრულებით, სალოცველად სულისა...“

კავკასიძეები პარხლის მფლობელნი იყვნენ და, როგორც ჩანს, ოთხთა ეკლესიაც მათი კუთვნილება იყო. მათგან უძველესი, პეტრიკ კავკასიძე იხსენიება შემოქმედის (გურია) XI საუკუნის წარწერაში, ბაგრატ IV-ის პირველ მეუღლესთან, მარიამთან ანუ ელენესთან ერთად. ჩვენი მურვან კავკასიძე კი ალბათ სწორედ ის არის, რომელსაც იხსენიებს ურბნისის სახარების მინაწერი ზუბა კავკასიძესთან და მის მეუღლესთან, თინათინთან ერთად. არ ვიცით, როდის ცხოვრობდნენ ისინი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ არა უადრეს XV საუკუნისა.

გამოთქმა „მეორედ აღშენება“ ქართულ ეპიგრაფიკაში ეკლესიის აღდგენას, რესტავრაციას გულისხმობს.“ (ე. თაყაიშვილი, „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“. თბ. 1960. გვ 80-81)

ციხე შორიდან შევათვალიერეთ და გადავწყვიტეთ, თეკკალეზე აუცილებლად ავსულიყავით. თუმცა მივხვდით, რომ ამას მხოლოდ ჩვენ ვერ მოვახერხებდით, ალპინისტის დახმარება და თურქეთის ხელისუფლების ოფიციალური ნებართვა გვჭირდებოდა.

იმავე დღეს ქალაქ იუსუფელის გამგეობას ვესტუმრეთ. გამგეობის წარმომადგენელმა ზაფერ იაზიჯმა ჩვენი განზრახვა საკმაოდ სახიფათოდ მიიჩნია, თუმცა ყოველგვარი დახმარება აღგვითქვა, ნებართვაც მოგვცა და ციხეზე ასასვლელად რეგიონის საუკეთესო ალპინისტი ოსმან ქილიჩიოღლუ დაგვახმარა.

მეორე დღეს, დილაადრიან თეკკალეში ვიყავით. ცაში გამოკიდებული ციხე მზეს ეფიცხებოდა და თითქოს ჩვენთან შესახვედრადაც ემზადებოდა. ახლოდან დათვალიერების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ციხეზე ასვლა უფრო რთულია, ვიდრე წარმოგვედგინა. ასასვლელი მხარე შევარჩიეთ და ალპინისტმა ოსმან ბეიმ თავისი საქმე დაიწყო. ჩვენც ჩვენსას ვცდილობდით, ოპერატორს ძალიან ვიწრო ადგილზე კამერის დასადგმელი მოედანი უნდა ეპოვა.

თავიდანვე ცხადი გახდა ერთი სირთულე. მზის სხივების სიმხურვალისაგან კლდე იმდენად გაფხვიერებულა, რომ მასზე მოსაკიდებელი სოლის დარჭობა უფრო და უფრო ძნელდებოდა, ქვა ძალიან სწრაფად იშლებოდა. ოსმან ბეის კლდეზე მოკიდება თანდათან უჭირდა, ამიტომ საქმეში ჩვენ შორის ყველაზე „გამოცდილი ალპინისტი“ ბუბა კუდავა ჩაერთო... ბუბა მალე დაწინაურდა, თეკკალეს კლდის შუა ნაწილამდე ავიდა და მიუდგომელ ნაპრალშიც მარტო შევიდა. ერთსაათიანი წვალების შემდეგ წინააღმდეგობა გადავლახეთ, საუკუნის შემდეგ ბუბა კუდავა პირველი ქართველია, ვინც თეკკალე დაიპყრო.

ჩემი ჯერიც დადგა. ასვლისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რა რთული მიზანი დავისახეთ, მაგრამ ეს განცდა მას შემდეგ უფრო გაგვიმძაფრდა, როცა ოპერატორი ბესო გაფრინდაშვილი მოულოდნელად ჩამოწყდა. მადლობა ღმერთს, უვნებლად გადარჩა.

ციხეზე ასულებს თეკკალეს ერთნავიანი ბაზილიკა მართლაც მშვენიერი დაგვხვდა. დროის უკუღმართობით შელახული პატარა ტაძრის კედლებს ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტები ამშვენებს. გამოსახული ყოფილა ნათლისღებისა და ხარების სცენები, მოციქულთა სახეები. როგორც ექვთიმე თაყაიშვილმა აღწერა, ჩრდილოეთ კედელზე იყო ქტიტორთა ფიგურები, მარჯვნივ წითელ სამოსში გამოწყობილი მამაკაცისა, მარჯვნივ თეთრკაბიანი მანდილოსნისა. თეკკალეს კედლებზე უამრავი ქართული ასომთავრული წარწერა დაგვხვდა:

ქრისტე, შეუწყალე ამშენებელს კირიონს.

ქრისტე, შეიწყალე.

ხატო, შეუწყალე ფრიად ცოდვილ ნინო აღმშენებელსა. ქრისტე, შეუნყალე კურთხეულსა, დიდებულსა გიორგისა.

უფალო, შეიწყალე მლოცველი გრიგოლი.

წმინდაო ღმერთო, შეიწყალე მართალნი.

წმინდაო ღმერთო, შეიწყალე რისხვისაგან მურვან კავკასიძე. ამინ!

ყველა წარწერას აქ ვერ ვაქვეყნებთ, მათი ამოკითხვისას არც შეცდომისგან ვართ დაზღვეულნი. თუმცა, ერთი რამ ცხადია, ეს წარწერები ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია, ისინი ქართული ისტორიოგრაფიისთვის დღემდე უცნობი იყო. უცნობი იყო ფრესკები, მათი მხატვრული ღირებულება და შესრულების მანერა. დღეს უკვე თეკკალეს საუკუნოვანი საიდუმლო ხელმისაწვდომია და ქართველი მეცნიერის კვლევას ელის.

ილიასხევი

თეკკალეს შემდეგ ძველი ტაოს სოფლებისაკენ გზა მაღლა მთებს მიუყვება.

„ბებერი ტაო“ — ძალაუნებურად გახსენდება ეს სიტყვები, ლანდშაფტი ხომ სწორედ ასეთია, დაღარული კლდეები, დანაოჭებული მთები. ყველაფერს მედიდურობის ელფერი ადევს.

პირველი სოფელი, სადაც შევჩერდით, ილიასხევია. ძველი ქართული სახელი დღემდე შერჩენია. საქართველოდან ილიასხევში ტელეკამერით არავინ ჩასულა, შეუსწავლელია ეთნოგრაფია და ფოლკლორი. არადა, უნიკალური სოფლებია, აქ ხომ ქართულის ერთ-ერთი კილოკავი, ე.წ ტაოური დიალექტია შემორჩენილი. სწორედ ილიასხევი იყო სოფელი, სადაც პირველად მოვისმინეთ, თუ როგორი ქართულით საუბრობენ ტაოში.

პირველად ჰუსეინ მოლაოღლუს, იგივე მოლაშვილს გამოველაპარაკეთ. მასზე არა მხოლოდ გაიფიქრებ, ქართლელ გლეხს ჰგავსო, გონებას დაძაბავ, ამ ადამიანს ხომ ვიცნობ და ნეტავ სად მინახავსო? ძალიან მინდოდა, მისი ქართული მომესმინა, ამიტომ ყველაზე მარტივი

და გულუბრყვილო რამ ვკითხე:

— აქაურობას რა ჰქვია?

— აქაურობას ელიასევი, ბიჩაქჩილარ ქოის ელიასხევის მაყალე (უბანი).

— შენ საიდან ხარ?

— მეც აქეური ვარ და ჩემი სახელი ჰუსეინაი.

— ჰუსეინ, გურჯული ხვარატი (ლაპარაკი) იცი?

— ვიცი, მარა ჩვენი ქართული და თქვენი ქართული ერთმანეთს არ იჭირავს. თელ ვერ გიგვიგნია, ვერ მივმხვდარვართ, დაცვლილა მთლათ.

თუმცა, საუკუნეთა განმავლობაში ჩვენი ქართული დაცვლილა ანუ შეცვლილა, 70 წლის მოხუცის ნათქვამის გაგება არ გაგვჭირვებია.

თურქეთის სხვა ქართული რეგიონებისაგან განსხვავებით, ტაოს ამ სოფლებში დღემდე ხარობს ვაზი. ტაოელებმა ეს მცენარე ვერ დაივიწყეს. მინდა ჰუსეინი დიდხანს ვალაპარაკო, ამიტომ ხელს ვაზისკენ ვიშვერ და ეს რა ხეა მეთქი, ვეკითხები.

— ვაზი ხეა, ზედაზე ყურძენს მეისხამს. ყურძენს შევჭამთ, ზოგან ბეთმეზს (თათარა) ვიჯებით.

ჰუსეინი სოფლის ცენტრისკენ გაგვიძღვა. ხალხი მდინარის პირას შეკრებილიყო და მუსაიფობდა. მათთან სტუმრობა საკმაოდ საინტერესო გამოდგა, ილიასხეველები ძველ და ახალ ამბებს მონდომებით გვიყვებოდნენ. ცოტა ყურადღება დავძაბეთ და მათ მეტყველებას მალე ავუღეთ ალღო.

აქ ერთ გარემოებას თითქმის ყველა განსაკუთრებული ტკივილით აღნიშნავს, ტაოს სულ უფრო მეტი და მეტი მოსახლე ტოვებს, ძველი ქართული სოფლები თანდათან იცლება. მამედ ქიტოღლუმ (ქიტოშვილმა) შეშფოთება არ დამალა:

— უწინ კაი იყო, ახლა კაი აღარ არი. ახლა ბოილათ (ყველა) წევიდნენ, ბურსას წევიდნენ, ისტამბულს წევიდნენ. აქ არავინ არ დარჩა.

ხევეკი

ილიასხეველებს გამოვემშვიდობეთ და გზა უფრო ზემოთ, სოფელ ხევეკისაკენ განვაგრძეთ. ხევეკი ართვინის დაბა იუსუფელიდან 30 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1300 მეტრზე თითქმის მიუდგომელ, მაგრამ წარმტაც ხეობაში მდებარეობს.

მოსახლეობა მთლიანად ქართულია. ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ ექვს უბანს ქართული სახელები შემორჩენია: დევთისა, ილიასხევი, კონობანი, ფიშნახევი, დევსაგარა და იეთი. სოფელს შუაში მდინარე ჩაუდის. აქვეა ტურისტისთვის საინტერესო კრატერული ტბები: დიდიტბა, ჭრელტბა, ქარის ტბა, აკვნის ტბა. მთებში ჯიხვებზე ნადირობენ, მდინარეებში კი კალმახს იჭერენ. დღეობებსა და ქორწილებში დილამდე გუდასტვირზე უკრავენ, ქალები და მამაკაცები ერთად ცეკვავენ. ქალს დიდ პატივს სცემენ. ბავშვები სკოლაში შესვლამდე ქართულად ლაპარაკობენ. ამ სოფლიდანაც ბევრი მიდის, ძირითადად ბურსაში გადადიან.

სოფელში შესვლისთანავე თვალში გეცემა ბუნების სილამაზე და არქიტექტურა, ასეთ სახლებს სხვაგან ვერსად ნახავთ. ტაოელები მათ ქოხებს ეძახიან და დღემდე მამაპაპური წესით აშენებენ. როგორც გვითხრეს, ჯერ ქვის ყალიბს აგებენ, შემდეგ კი გარშემო ფიჩხებით ანუ ხით ამშვენებენ. სახლები ლაზურისა და ძველი მესხურის თავისებური ნაზავია, ფართო აივნებითა და პატარა ფანჯრებით დამშვენებული.

აქ კოლხებს დღემდე ძველი ქართული სახელით იხსენიებენ, ლაზებსა და მეგრელებს მხოლოდ აქ ეძახიან ჭანებს. დურსუნ ამიროღლიმ (ამირიძემ) შემომხედა და მითხრა:

— აქ ერთი ჭანი მოიდა და შენ ჭანი მიგამგვანე.

— ჭანები როგორები არიან?

— ჭანები შენათ კაები არიან.

— ჭანებში აქედან გზა გადადის?

— გადადის, აქედან ბევრი შორია.

80 წლს მიტანებული დურსუნი ხევეკის ძველი გვარის, ამირიძეების შთამომავალია. ისინი აქ ოდითდგან სახლობდნენ და სოფელში ყველაზე მიღებულ ხალხი ყოფილა. ვცდილობ, მოხუცი ხვარატში ავიყოლიო და კილოთი და ლექსიკით დავუახლოვდე. თუმცა ორდღიანი პრაქტიკა არ მშველის, ტაოური ჯერ კარგად ვერ ავითვისე.

— ჰადედან მოდიხართ?

— ჩვენ ტიფლისიდან მოვდივართ. აქაური გურჯები უნდა გამავნიოთ (გადავიღოთ). იქაურ გურჯებს ვაჩვენოთ, რომ იცნობილონ ერთმანეთი.

— არ ეწყობა. ჩვენ ნელა-ნელა ვხვარატობთ, თქვენ კი ცქვიტად ხვარატობთ.

ტელეკამერით მისულებს ხევეკელები თანდათან გაგვიშინაურდნენ, აივანზე ქალებიც გამოვიდნენ. ტაოს მაღალმთიან სოფლებში უცხო სტუმართან ასე არ იქცევიან. ამ შემთხვევაში მთავარი ის იყო, რომ ჩვენ საქართველოდან ვიყავით, ამიტომ ყველა თავისას გვეუბნებოდა.

— გადავრეულვართ ემელა. დაგვივწყებია ქართველობა. მიხდვი?

მემედ ქურექჩი უბნების სახელებს გვითვლის:

— ჭედლენკარი, კლეეკარი, ნოღლეკარი, დოლეკარი, ვაჩეკარი, ამფეკარი, აზლენკარი, ობლეკარი, დოზლეკარი, ბასლეკარი, დოლეჯენკარი, ხუჩრეკარი, წითლეკარი. ბითავე (მთლიანად) კარი-კარი მივა ასე. უკანე ჭიშკრები ყოფილა, კარ-კარი სახლები ისე მუუვლიან.

სოფლის ცენტრში ჯამესთან ვჩერდებით. აქ პატარები თამაშობენ, ნელ-ნელა მოდის თითქმის ყველა, რადგან ყველას სურს, ქართულად გაგვესაუბროს.

ადნან ბალთაჩი ყანაში მიდიოდა, მოსარწყავად. ჯერ იუარა, ვერ დაგელაპარაკებით, ქართული არ ვიციო, მაგრამ ჩვენიც გაიგო და თავისიც გაგვაგებინა.

უფროსების შემყურე პატარებმაც სიმორცხვე თანდათან დაივიწყეს და ჩვენი ტელეკამერის წინ ის სიმღერაც გაიხსენეს, რომელსაც სოფელში ხშირად მღერიან:

ფოტოროი ჩივარე, წითელ კამიონითაო.

ჰაიდე, წევდეთ რუს უკან, რა შეხვდება ჩემს უკანო?

თაროზე ყველი მაქვან, შემპალია, შემპალივო.

ხის ქვეშ სამი პატარა ბიჭი ჩამომჯდარა. სახელს ვეკითხები.

— საბელი? — კითხვა დამიბრუნა.

ძველი ქართული ანბანის ბგერა ბ-არს დღეს ჩვენთან თითქმის აღარავინ წარმოთქვამს, იქ კი ისევ დარჩენილა.

ერთს აიდინი ჰქვია, მეორეს იაშარი. ჩვენი თხოვნით ერთმანეთთან ლაპარაკი გააბეს.

— ჰად მიხვალ?

— სახლ.

— ქი?

— ვისკითკე ვიიმუშაო? წახვიდე ზემოთ?

— ჰოუ.

— რა ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვისაცა არა!
— მეცა. იქ დაგინახებენ? ბურთ ვითამაშოთ.
— წამო.

მხოლოდ ცალკეული სიტყვები მესმის, მაგრამ მაინც ვაგრძელებ, ასაკს ვეკითხები. ქართულად ვერ მპასუხობენ, ხელით მანიშნებენ, ერთი ათი წლისაა, მეორე თორმეტის. საქმეს ვიიოლებ, თურქულ სიტყვებს ვურთავ:

— მექთებში (სკოლაში) დადიხარ?

თანხმობის ნიშნად თავს მიქნევენ.

— იაშარ, მღერა ვინ გასწავლა?
— ჩვენა ბოლოშთა ყველაფერი ვიცით.
— რა იცით?
— კიეი. აქ დევიბადეით, ონან სორა (მას შემდეგ) ვიცით.
— ეს ბიჭი შენი ვინ არის?
— ბიბოლლია (ბიძაშვილი).
— მთელი დღე რას აკეთებ, აქ რომ ხარ?

ვერ გაიგო.

— კიდე ერთ თქვია.

მეც ვუმარცვლავ, ნელა ვეკითხები.

— ვთიბავთ. ონან სარა თივას ვზიდავთ, ონან სორა ბურთს ვთამაშობთ. ზე სე-სე (ზემო-ზემო) ვიარებით. შტავნასარა ვწვებით.

იაშარსაც და აიდინსაც თეთრი პირისახე და ცოცხალი თვალები აქვთ. აქაური ბავშვების შემხედვარეს მახსენდება რუსი პორუჩიკის ნ. მ. შუგუროვის ჩანაწერები, რომელიც ამ მხარის ქართველების გარეგნობით მოიხიბლა: „ფრონტზე ყოფნის სამი წლის განმავლობაში მე კარგად დავაკვირდი ნამდვილ თურქებს, მაგრამ ხახულის თურქების სახეებში, ნამეტნავად ახალგაზრდებში, აშკარად შევნიშნე ნამდვილი ქართული იერი. ისინი მეტად თავისებურნი არიან, დიდრონი შავი თვალებითა და ანაგებით ტუჩისა... ეს ხალხი რაინდულად პატიოსანია, სიმართლით გამსჭვალული და ფრიად სტუმართმოყვარე. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ომით გაუბედურებულნი იყვნენ, სალდათთა მიერ მრავალჯერ შეურაცხყოფილნი, მათ მაინც კეთილი განწყობილება დაიცვეს ჩვენდა მომართ, ნამეტნავად ოფიცერთა მომართ. მე არ ვიცი შემთხვევა, რომ მათ ბოროტისათვის ბოროტით მიეზღოთ.“ (ე. თაყაიშვილი, „დაბრუნება“ ტ I. თბ. 1991. გვ. 225)

საუკუნის წინ ნათქვამი ეს სიტყვები თანდათან ცოცხლდება. პატარები მომხიბვლელი სახეებითა და დიდრონი ნუშისმაგვარი თვალებით შემოგვცქერიან.

ხევეკში თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვჩერდებით, ყველასთან გასაუბრებას ვცდილობთ. ბუილთიყ ყარაყუშმა გვიმღერა კიდეც, რაღაც საოხუნჯოსააშიკო:

სახლის უკან სათ არი,
ერთი გოგო რათ არი.
სახლის უკან საქათმე,
ერთი გოგო ჩავქათმე.

ქალები სახეზე ხელს იფარებენ და ქოქოლას აყრიან მომღერალს.

ხევეკი შუადღისას დავტოვეთ, აქაურები გულითადად დაგვემშვიდობნენ, მათ შორის პატარები, იაშარი გზის ბოლომდე ველოსიპედით გამოგვყვა და პატივისცემის ნიშნად წაიღიღინა სიმღერა, რომელსაც ასე ლამაზად მხოლოდ ტაოში ასრულებენ. ეს სიმღერა ჩვენთანაც კარგად ნაცნობი „ელია, გოგო, ელიაა“.

სოფელ ხევეკის ყველაზე მაღალ უბანს მასლეათ-კარსაც ვესტუმრეთ. პირველი სახლი ყაჭიშვილებს ეკუთვნით. ძმები ზღურბლთან შეგვხვდნენ, ტაოური სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს. ეზოში შესულებს აქაური სასმელით მოგვეგებნენ.

— ფუტკარი იცი, ფუტკარი? იმისი თაფლი გახსენი წყალში და ის არის.

თაფლიან წყალს ზაფხულში აბა ვინ დაიწუნებს და ჩვენც სიამოვნებით დავლიეთ.

ყაჭიშვილებმა კარგად იციან, ვისი გორისანი არიან. ტაოელთა შთამომავალნი თავიანთი წინაპრებით ამაყობენ.

— გურჯები 1000 წელიწადი, 1500 წელიწადი აქ არიან, ძველი გურჯები, აქანე ნამყოფი გურჯები. ტარიჰი (ისტორია) არ ვიცი, არც ვინმემ არ იცის, ჩვენ აქ ვყოფილვართ, არსაიდამ მოვსულვართ და არსამ წავსულვართ. — გვიხსნის ზულხიფ ყაჭიშვილი. საკმაოდ სწრაფად ლაპარაკობს, თავისი აზრის დასამტკიცებლად ხელებსაც იშველიებს და ერთსა და იმავეს სხვადასხვა სიტყვით იმეორებს.

მისი ძმა რეჯეფ ყაჭიშვილი უფრო დინჯია, ასაკითაც ცოტა უფროსია. ისიც იმავეს ამბობს:

— ჩვენ ნმინდა გურჯები ვართ.

როგორც მთელ ტაოში, აქაც ცოცხალია სახელოვანი ქართველი მეფის თამარის სახელი. მასლეათელი გურჯები გვირგვინოსანს განსაკუთრებული თაყვანისცემით იხსენიებენ.

— თამარა გურჯებ დიდი ყოფილა, ქართველი ბაშკანი (მეთაური), აქ ყოფილა, ბევრ ხან აქ ყოფილა. თოვლი ჩამოსულა და აქაურობა დუუგდია, წასულა, აქ მჯდარა. ერთი კაი ადგილია, თამარა მაყალეა (უბანი), იქ მჯდარა. ერთ დღე შუუხედია მთებ, თეთრი რამ დუუნახია, რა არი, გადით, ჩიმიიტანეთო. ჩუმუუტანიათ თოვლი. აქ აღარ დიიდგომებაო, ჰაიდე, წევიდეთო. ისიც წასულა ჩვენ დავმჩალვართ. — სიცილით გვეუბნება და თან უმატებს: — არ ვიცი, მართალია თუ არა.

— თამარას ერთი რუ მუუყვანია. ქომო ძველი ადგილია, სავრიეთ ეტყვიან, იქ ერთი რუ მუუყვანია თამარასა, იმ ხან ბევრი ფული წასულა. საჩპაღები (სამკაული) გამაყიდინა ამ რუმაო — თამარა უთქვია. ერთსაც ქილისე (ეკლესია) უქნია და პარხალ ქილისა არი. მივდივართ, ვხედავთ, იშხან ქილისეც უშენებია.

— კაი ყოფილა თამარა?

— კაი. აქებენ, ფინთობა არამაი (არავინ) იცის, თამარამა ცუდი გვიყო, არამა იცის. თამარას რუ უშენებია, ქილისე უშენებია, გზევნები უშენებია. დედეები ახსოვან და ესე იტყვიან.

ზულხიფ ყაჭიშვილმა ჭიბონზე მეფის სადიდებელი ჰიმნიც შეგვისრულა. მას თურმე ყველა განსაკუთრებულ ზეიმზე უკრავენ.

ხეობა დავტოვეთ, შორი მთებიდან დედოფლის სადიდებელი ჰანგები გვეხმიანებოდა. ტაოელები ისეთივე გრძნობით უკრავენ, როგორც 800 წლის წინათ, თამარის მეფობის ბრწყინვალე ხანაში.

გაგრძელება იქნება



გოდერძი ჩოხელი შემოქმედება საზღვრების გარეშე

„ჩვენი დროის მოვლენა" (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II), „დიდებული სიმფონია" (პროფესორი გიორგი წიბახაშვილი), „მაგიური მთიული" (მწერალი რევაზ ინანიშვილი), „ფაქიზი მთიელი, რომელშიც ნამდვილი მწერალი იმალებოდა" (რეჟისორი ლანა ღოღობერიძე), „ნაღვლიანი საქართველო" (პოეტი თემურ ჩალაბაშვილი), „აზროვნების გენიოსი" (მსახიობი ზურაბ ქაფიანიძე), „ადამიანთა ცოდვაზე დაფიქრებული გუდამაყრელი" (პროფესორი ვახტანგ გურული), „პატარა ვაჟა-ფშაველა" (მსახიობი ნინო ჩხეიძე), „ქართულ კინოში შემობრძანებული ვაჟა-ფშაველა" (მსახიობი დოდო ჭიჭინაძე), „ქართული კინოს სურნელი და საკმაზი" (მსახიობი და რეჟისორი სოსო ჯაჭვლიანი) – ეს სიტყვები დიდი ქართველი შემოქმედის, ხელოვანის ბატონი გოდერძი ჩოხელის მისამართით გამოთქვეს შესანიშნავმა ქართველმა მოღვაწეებმა...

26 ნოემბერს სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული შემოქმედების შესახებ შექმნილი ახალი წიგნის „გოდერძი ჩოხელი – შემოქმედება საზღვრების გარეშე" პრეზენტაცია გაიმართა. პირველი წიგნი „გოდერძი ჩოხელი – ერისა და მთის შვილი" 2006 წელს, მწერლის სიცოცხლეში გამოვიდა და უფრო ზოგად, გაცნობით ხასიათს ატარებდა.

სანამ კონკრეტულად წიგნსა და ბატონ გოდერძიზე ვისაუბრებდეთ, მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო სამებაში გამართულ საღამოს, სადაც გოდერძი ჩოხელის შემოქმედების თაყვანისმცემლებს კიდევ ერთხელ მიეცათ ერთად შეკრებისა და მისი გახსენების საშუალება. პრეზენტაცია სწორედ ისეთი სისადავით წარიმართა, როგორიც ამ შესანიშნავ ხელოვანს ეკადრებოდა და ამაში ნამდვილად დიდი იყო სამების ახალგაზრდული ცენტრის თანამშრომლების, ტექნიკური უნივერსიტეტის კაპელასა და საღამოს წამყვანის – მშვენიერი ანი გელაშვილის დამსახურება.

უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის პრეზენტაციაზე მობრძანებული საზოგადოების თითოეული წევრის აზრი წიგნის შესახებ და ყველას დიდ მადლობას მოვახსენებთ მათი დადებითი დამოკიდებულებისათვის ჩვენი ნაშრომის მიმართ. არ შეიძლება მადლიერებით არ აღვნიშნოთ მეტად სიღრმისეული და პირუთვნელი შეფასება სიტყვის ისეთი ოსტატებისა, როგორებიც ბრძანდებიან – ბატონი ვაჟა ოთარაშვილი, ბატონი ტარიელ ხარხელაური, ბატონი ერეკლე საღლიანი, ქალბატონი ნანა კუცია, ქალბატონი თამარ შაიშმელაშვილი... დიდი ინტერესი გამოიწვია მამა გიორგის (წეროძე) მიერ წარმოდგენილმა ანალიზმა და ორიგინალურმა ხედვამ. თითოეული მათი სიტყვა, მოსაზრება თუ შენიშვნა ჩვენთვის უაღრესად ფასეულია. ეს დადებითი დამოკიდებულება, ისევე როგორც მთელი საღამოს დადებითი მუხტი, რა თქმა უნდა, დიდწილად განპირობებული იყო თვითონ ბატონი გოდერძის პიროვნებით და მინდა კიდევ ერთხელ დავაფიქსირო ჩემი ღრმა პატივისცემაც მის მიმართ.

გოდერძი ჩოხელზე წერა ძალიან საპატიოცარის და ძალიან საპასუხისმგებლოც. მისი შემოქმედება მთელი ზღვაა, რომელიც უმდიდრეს მასალას იძლევა კვლევისათვის. თითოეული ნაწარმოების ყოველი ახალი წაკითხვისას კი ჩნდება აზრი, რომ თემა უბრალოდ ამოუწურავია...

ჩვენს ახალ წიგნში „გოდერძი ჩოხელი – შემოქმედება საზღვრების გარეშე" გამოკვეთილია რამდენიმე დიდი და ფრიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც გ. ჩოხელის მსოფლმხედველობის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ეს არის — სატირა, მგელი და ზოგადად მგლობის ფენომენი და ადამიანის ყოფნა-არყოფნისა და რწმენის პრობლემა. მიგვაჩნია, რომ ეს სწორედ ის თემებია, რომლებიც განსაკუთრებული სიძლიერით წარმოაჩენენ გ. ჩოხელის გენიას და რომლებსაც განსაკუთრებული სიღრმისეულობით უდგებოდა თვითონ მწერალი. ამ მნიშვნელოვანი პრობლემების ფონზე კი წარმოჩენილია გ. ჩოხელის შემოქმედების ესთეტიკა, ისეთი გრძნობები, როგორიცაა ქვეყნისა და მოყვასის სიყვარული, თავისუფლებისაკენ სწრაფვა, რწმენა და ზნეობრიობა, რაც ზოგადად გოდერძი ჩოხელის პიროვნებისა და შემოქმედების ძირითადი მახასიათებელია. მწერლის „შინაგანი ღირსება ისაა, თუ რა მოვლენანი გაუხდია თავის მწერლობის საგნად და რა ღირებულებისაა ეს მოვლენანი, რამდენად დამოკიდებულია ამ მოვლენებზე ბედი და უბედურობა, სიავე და სიკეთე ადამიანთა სიცოცხლისა, ცხოვრებისა და რამდენად ცხოვლად, ნათლად და მკაფიოდ, ძლიერად გვიხატავს ამ მოვლენათ, რამდენად გვიტაცებს, გვიმორჩილებს მისი ნაწარმოები; ჩვენზე რამდენად ძლიერად მოქმედობს. ყოველივე ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ მწერალი რამდენად ღრმადაა ჩახედული ცხოვრებაში, რამდენად ესმის საჭირბოროტო კითხვები ამ ცხოვრებისა და რამდენად ძლიერად იგრძნო მათი მავნებლობა, თუ სარგებლობა" — ბრძანებდა ვაჟა-ფშაველა.

ზემოხსენებულ თემებთან მიმართებაში უნდა აღვნიშნოთ შემდეგი — გ. ჩოხელის სატირა ძალიან მწვავე და ორიგინალურია; მგლისა და მგლობის პრობლემა მთლიანად დაფუძნებულია ქართულ მითოსზე და მითოლოგიის, ადამიანის მგლური ბუნებისა და ქვეყანაში უსამართლო და უღვთო მმართველობის კრიტიკის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს; რაც შეეხება ყოფნა-არყოფნისა და რწმენის საკითხს, აქ გ. ჩოხელი შორს სცდება მთისა და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და აზროვნებისა და მსჯელობის მასშტაბურობით ღირსეულად იკავებს ადგილს ვაჟა-ფშაველას, დოსტოევსკის, ტოლსტოის, ლონდონისა და სხვა კორიფეების გვერდით. განსხვავება — მათში რწმენის შეუვალობასა და სიძლიერის გამოხატულებაშია.

გოდერძი ჩოხელი, დოსტოევსკისა და ტოლსტოისგან განსხვავებით, გაიზარდა ისეთი რწმენით, რომლის მიმართაც გამორიცხული იყო ყოველგვარი ყოყმანი და ეჭვიანობა. ეს იყო ქრისტიანობა, ოღონდაც არა ორთოდოქსალური, არამედ საკმაოდ გაჯერებული წარმართობიდან შემორჩენილი ადათ-წესებით, რომლებიც მთის ქრისტიანებმა ახალი რწმენის სამსახურში ჩააყენეს; ისე მოარგეს ახალ რიტუალებს, რომ დღეს ძველისა და ახლის გარჩევა-განცალკევება უკვე შეუძლებელია. ასე იყო გუდამაყარშიც, სადაც ღრმად იყო ფესვგადგმული წარმართობა, რაც ასე ცხადად იგრძნობა დღემდე შემორჩენილ ტრადიციებსა და ადათ-წესებში. ამასთან ერთად, გ. ჩოხელის პიროვნულ ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშეს მისმა მშობლებმა, განსაკუთრებით დედამ — ქალბატონმა ლელა წიკლაურმა-ბუბუნაურმა, რომელიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მართლმადიდებლობის მადლსა და სიკეთეს ასწავლიდა შვილს. გოდერძი ჩოხელის „ლუკას სახარება" სწორედ ამ დამოკიდებულების დადასტურებაა. გ. ჩოხელმა მიიღო და გაითავისა ქრისტეს სჯული ისე და იმ სახით, როგორც იყო აღიარებული და დამკვიდრებული მის გარემოში. იგი სავსე იყო ამ რწმენით, ხოლო, როგორც ლ. ტოლსტოი ბრძანებდა — ყოველთვის იმარჯვებს ის, ვინც პირველ რიგში სულიერებაზე, ადამიანთა სულით ძლიერებაზე ზრუნავს.

ვლადიმირ როზანოვი (1856-1919, რუსი მწერალი, მოაზროვნე) ასეთ განმარტებას იძლევა: „წარმართობა — დილაა, ქრისტიანობა — საღამო". ეს მოსაზრება ძალზე საინტერესოდ მოგვეჩვენა, რადგანაც სრულიად განსხვავებული ორი რელიგია ერთი უზარმაზარი მთლიანობის შემადგენელ ნაწილებად არის წარმოდგენილი: ერთი დასაწყისია, მეორე კი — დასასრული. გ. ჩოხელის პიროვნებაში რწმენის ორივე მიმართულების არსებობაც სწორედ ასე შეგვიძლია აღვიქვათ. იქნებ სიცოცხლისადმი, ბუნების მიერ ნაბოძები სულით და სხეულით საღი არსებობისადმი ლტოლვის ინსტინქტი ზის ყველა მთიელში? გ. ჩოხელიც ხომ მთიელი იყო მთელი თავისი არსებით.

რწმენის ადგილი და როლი ადამიანის ყოფნა-არყოფნის პრობლემაში ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი თემაა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში. სიკვდილ-სიცოცხლის არსში ჩაწვდომის სურვილი, შეიძლება ითქვას, ლეიტმოტივია მისი პოეზიისა, რომანებისა და მოთხრობების დიდი ნაწილისა. ეს საკითხი, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება ინტერესის საგანი ყველა იმ მკვლევარისთვის, ვინც გოდერძი ჩოხელის შემოქმედებითი მემკვიდრეობით დაინტერესდება და, ვფიქრობთ, ბევრ ახალსაც აღმოაჩენენ მომავალში, რადგანაც გ. ჩოხელის შემოქმედება — ლიტერატურულიც და საკინოხელოვნებოც — ძალიან ღრმა, მდიდარი და მრავალფეროვანია.

ყოფნა-არყოფნის საკითხი გაბნეულია და სხვადასხვაგვარი სიღრმითაა წარმოდგენილი მის შემოქმედებით პალიტრაში. ასეთი გაბნევა გამოწვეულია არა მხოლოდ საკითხის მნიშვნელობით ან მწერლის ინტერესით, როგორც უკვე აღვნიშნეთ; აქ საქმე გვაქვს, აგრეთვე, გოდერძი ჩოხელის პიროვნულ ზრდასთან, რამეთუ ასაკი, გამოცდილება და ცოდნა საგრძნობლად ცვლის და უფრო მყარად აყალიბებს მის შეხედულებებს.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში პირველივე ნაწარმოებებიდან გამოიკვეთა მისი ინ-

ტერესი ადამიანის ამ ქვეყნად არსებობისა და დანიშნულების მიმართ და ეს ინტერესი სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია მწერალს. ყველაზე მნიშვნელოვანი მიგნება არის ის, რომ მან, ფაქტობრივად, ზღვარი წაშალა სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის, ერთ მთლიანობად აქცია ეს ორი იპოსტასი. მის შემოქმედებაში ჩაღრმავებისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ სიკვდილი ჩვენი ცნობიერების მიღმა აღარ რჩება, რომ იგი სავსებით გასაგები, სიცოცხლის თანმდევი საჭირო ფენომენია, რომლის გარეშეც თვითონ სიცოცხლე ვერ იარსებებს. შიშსა და ძრწოლას კი მხოლოდ მისი შემთხვევითობა იწვევს, რომელსაც ვერავითარი კანონზომიერება ვერ გამორიცხავს.

გოდერძი ჩოხელთან მიმართებაში ქართულ საზოგადოებაში გარკვეული სტერეოტიპი ჩამოყალიბდა — იგი აღიქმება, როგორც მთის მწერალი და რეჟისორი, რომელიც ძალიან ახლოს იდგა საკუთარ ხალხთან, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა ქართული მთა (მთიულეთი, გუდამაყარი), რომლის შემოქმედებაც მთლიანად ეფუძნებოდა ქართულ მითოსსა და ხალხურ სიტყვიერებას და, რომელიც პიროვნულად იყო უაღრესად პატიოსანი და მოკრძალებული. ეს თავისთავად ძალიან სასიამოვნო ფაქტია და დიდწილად განსაზღვრავს კიდეც მისდამი ხალხის დიდ სიყვარულსა და პატივისცემას, რასაც ჩვენც სიამოვნებით ვუერთდებით და კიდევ ერთხელ ვადასტურებთ.

და მიუხედავად ამისა, მაინც შევეცდებით, რაღაც წილად შევცვალოთ ზემოხსენებული დამოკიდებულება და გარკვეული კორექტივები შევიტანოთ უკვე დამკვიდრებულ სტერეოტიპში. მხედველობაში გვაქვს არსებული შეხედულებების უფრო გამდიდრება და გ. ჩოხელის ერთგვარი „ხალხურობის" ჩარჩოებიდან გამოყვანა. ჩვენ გვინდა წარმოვაჩინოთ გოდერძი ჩოხელის გონისა და ნიჭიერების რეალური სიდიდე, მისი შემოქმედების დიდი ძალა და ლიტერატურაში ის ადგილი დავუმკვიდროთ, რომელსაც იმსახურებს არა მხოლოდ „ერთი თემისა" და, თუნდაც, ერთი ქვეყნის, არამედ მსოფლიო დონის შემოქმედი. საერთაშორისო კინემატოგრაფის აღიარება მის ხელოვნებას უკვე აქვს; ჯერი ლიტერატურაზეა.

გოდერძი ჩოხელი არ უნდა დარჩეს „ერთი კუთხის მწერლად", რისი მცდელობაც ნამდვილად იყო და არის ახლაც. სწორედ ასეთი „ერთი თემის პოეტი''(როგორც ზოგიერთი მოშურნე უწოდებდა) იყო ვაჟა-ფშაველაც, რომელიც თავის შემოქმედებაში ასევე მშობლიურ კუთხეს — ფშავ-ხევსურეთს დასტრიალებდა და რომლის სიდიდე და ძლიერებაც, ალბათ, ჯერ კიდევ არ გვაქვს სრულად გაცნობიერებული. გოდერძი ჩოხელი ვაჟა-ფშაველასთვის შემთხვევით არ შეგვიდარებია. მათი იდეებისა და გამოხატვის საშუალებათა გარკვეულ თანხვედრაზე ჩვენ ბევრჯერ გვისაუბრია. ამ თვალსაზრისით მარტონი არ ვართ; არაერთი ლიტერატორი და კინოხელოვანი ავლებს პარალელებს გ. ჩოხელსა და ვაჟა-ფშაველას შორის.

დავუბრუნდეთ ისევ ბატონ გოდერძის; ის იყო შიშველი ნერვი, ნიჭი, რწმენა და გული. მისი პიროვნებაც და ცხოვრებაც კონტრასტების ერთი დიდი კასკადია: იგი მთაში დაიბადა და გაიზარდა. იქიდან გამოჰყვა მშვიდი ბუნება, სილამაზის არაჩვეულებრივი აღქმის უნარი, ტრადიციების სიყვარული და დიდი რწმენა; მაგრამ ცხოვრობდა და ქმნიდა დედაქალაქში. ნიჭმა თვითონ გაიკვლია გზა და, რა თქმა უნდა, მადლობა ყველას, ვინც ეს ნიჭი შენიშნა, შეაფასა, აღიარა, გვერდში დაუდგა და დააფასა. გული მშობლიურ გუდამაყარში დარჩა, გამუდმებით იქით ეწეოდა; ნიჭი კი ქალაქის მასშტაბებს ითხოვდა, ფართო სამოქმედო არეალს ეძებდა.

მისი შემოქმედება — ლიტერატურულიც და კინემატოგრაფიულიც — აღიარა და შეიყვარა ქართულმა საზოგადოებამ; მაგრამ ამ შემოქმედების არასაკმარისად გააზრებისა თუ დაფასების გრძნობა მთელი ცხოვრების მანძილზე მაინც თან სდევდა მას.

გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებები ითარგმნა რამდენიმე ენაზე და გამოიცა საქართველოშიც და საზღვარგარეთაც; მისი ფილმები ყოველთვის უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ჩვენს ქვეყანაში და ყველა საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც კი ნარუდგენიათ, საპატიო პრიზებს იმსახურებდა; მაგრამ შემოქმედი მაინც არარეალიზებული წავიდა ამქვეყნიდან; ვერ დაიხარჯა ისე, როგორც შეეძლო და როგორც სურდა. და, რაღა თქმა უნდა, რაც ვერ შექმნა, ის ჩვენ დაგვაკლდა.

გოდერძი ჩოხელის ცხოვრებაში იყო დიდი ბედნიერებაც, რაც პირველ რიგში ოჯახს, შემოქმედებით წარმატებებსა და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს უკავშირდებოდა და იყო უაღრესად ტრაგიკული მომენტებიც, რაც ასეთი ფაქიზი სულის ადამიანისთვის მეტად მძიმე გადასატანი გახდა.

უყვარდა ყველას, ვინც იცნობდა პირადად და ყველას, ვინც იცნობდა მხოლოდ როგორც შემოქმედს.მის გვერდით იყვნენ ადამიანები, რომლებმაც კარგად უწყოდნენ მისი ნიჭის ფასი; მაგრამ იგი მაინც მარტოსული დარჩა ბოლომდე, რაც დიდი პიროვნებების ხვედრია ხშირად.

გოდერძი ჩოხელი არ არის რიგითი მწერალი. იგი დიდი მოაზროვნეა. მისი ნაწარმოებები ღრმად ფილოსოფიურია, ხშირ შემთხვევაში ბრძნულიც და, ამავე დროს, ძალიან მარტივი და უბრალო. მისი მემკვიდრეობის სათანადო გააზრება და სიღრმისეული შესწავლა დიდ ძალისხმევას მოითხოვს, თუმცა, ერთი რამ უკვე ცხადია, გოდერძი ჩოხელის ლიტერატურა და კინოხელოვნება ან სრულად გესმით, ან საერთოდ ვერ წვდებით ავტორის ფილოსოფიურ წიაღსვლებს; შუალედური მიდგომა აქ არ არსებობს. „ადამიანთა სევდას", „ცოდვის შვილებს",

„მგელს" უბრალოდ, მორიგ წიგნებად ვერ წაიკითხავთ. ამ სამ ნაწარმოებში, რომელიც ყველა თვალსაზრისით ნამდვილ შედევრს წარმოადგენს, დიდი სიბრძნე და ტრაგედიაა ჩადებული; ქართული მითოსი, ყოფნა-არყოფნის ასწლეულობით გადაუჭრელი პრობლემა და ადამიანობისა და არაადამიანობის დიდი ტრაგედია ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, მაღალ ზნეობაზე და დიდ რწმენაზეა დაფუძნებული და შორს სცილდება ერთი კუთხისა და ერთი ქვეყნის საზღვრებს...

გოდერძი ჩოხელის ცხოვრების არსი ილიას სამი ღვთაებრივი საუნჯეა — მამული, ენა და სარწმუნოება. ჩვენ არაერთხელ აგვიღნიშნავს, რომ გ. ჩოხელი რწმენით დაბადებული კაცი იყო; შესანიშნავად იცოდა, რომ მისი „საკუთრება იყო მხოლოდ მისი ქართველობა და იცოდა ფასი და აზრი თავისი ჯიშისა, თავისი სისხლისა, თავისი მიწისა, თავისი ცისა, თავისი მზისა!" (გიორგი ათონელი). გოდერძი ჩოხელი ზედმიწევნით ასრულებდა გიორგი ათონელის შეგონებას: „ნუ მიიკუთვნებ შენთვის ნურაფერს, გამორჩეულად შენი „მესათვის", რამეთუ ჩვენ, ძენი ადამისანი, თვითონ დროის კუთვნილება ვართ, მსწრაფლმქროლი დროის რომელიღაც წერტილთა ზედა ჩამოკიდულნი და დროისავე უსასრულობაში ყოველ წამს დასანთქავად გამზადებულნი".

გ. ჩოხელს არასდროს არაფერი მიუსაკუთრებია თავისი „მესათვის"; პირიქით, გასცემდა ძალიან ბევრს — გასცემდა საკუთარ თავს, რამეთუ მისი ლიტერატურაც და კინოხელოვნებაც უდიდეს ძალისხმევას, ენერგიასა და შრომას მოითხოვდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ნიჭზე, გრძნობებსა და გონებაზე. გ. ჩოხელმა გულსა და სისხლში გამოატარა პოეტის სიტყვები:

„მიწაზე რჩება მხოლოდ სახელი,
ცა ჩემი სულის მისამართია"...
/ვაჟა ოთარაშვილი/

პიროვნულად, გოდერძი ჩოხელი, თავისი დიდი რწმენიდან გამომდინარე, იყო უკიდურესობების ადამიანი, რომელიც გამოკვეთილად აღიქვამდა კეთილსა და ბოროტს, თეთრსა და შავს და ყველაფერს ამ პრიზმაში განიხილავდა — ადამიანებსაც და მოვლენებსაც. იგი არ ცნობდა ნახევარტონებს. ადამიანი ან კარგი იყო ან ცუდი, ან კეთილი ან ბოროტი. ცოტა ცუდი და ცოტა კარგი კაცი მისთვის არ არსებობდა. თვითონ გ. ჩოხელი უაღრესად დადებითი პიროვნება იყო და კეთილსა და ბოროტს შორის უდავოდ კეთილს განეკუთვნებოდა. შემოქმედებაში ასეთი უკიდურესობები და აქედან გამომდინარე მაქსიმალიზმი გ. ჩოხელის მოღვაწეობის დასაწყისისთვის უფროა დამახასითებელი. მოგვიანებით, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, მასში ბევრი რამის გადაფასება იწყება. მის გონებაში აზრთა ჭიდილია, იგი ხდება შედარებით რბილი და ლმობიერი თავისი გმირების მიმართაც, თუმცა, შეხედულებებს ძირეულად მაინც არ იცვლის.

გვინდა გამოვთქვათ ჩვენი სუბიექტური აზრი გოდერძი ჩოხელის შეხედულებების ცვლილებებისა და მოვლენათა გადაფასების შესახებ. გ. ჩოხელმა, რომელიც გუდამაყარში, გარკვეულწილად, ჩაკეტილ გარემოში გაიზარდა, შეისისხლხორცა ის ტრადიციები, ის რწმენა და ის ურთიერთდამოკიდებულება ადამიანებს შორის, რასაც ხედავდა და გრძნობდა ბავშვობიდან. ეს ყველაფერი კი, უმეტესწილად, წარმართობასთან დაკავშირებული და ძალიან მკაცრი იყო. ქვეცნობიერად იგი ემორჩილებოდა ამ მსოფლმხედველობას და, შესაბამისად, მისი ადრეული ნაწერები ბევრად უფრო მკაცრი, კატეგორიული და მაქსიმალისტურია.

შემდგომ გ. ჩოხელმა ბავშვობიდან გასიგრძეგანებულ წარმართობას უკვე კარგად გაგებული, გაცნობიერებული და გულით მიღებული მართლმადიდებლობა ჩაანაცვლა. უფრო ლმობიერი გახდა; თუმცა მაქსიმალიზმისგან, ისევე, როგორც წარმართობისგან, ბოლომდე გათავისუფლება მაინც ვერ მოახერხა. განსაკუთრებით მკაცრი და მომთხოვნი იგი თავისი გმირების მიმართ დარჩა — ადამიანებს უფრო ადვილად იმეტებდა, ვიდრე ცხოველებს, ფრინველებს ან, თუნდაც, მწერებს, რამეთუ ადამიანს უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე ბუნების დანარჩენ შვილებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცხოვრებაში ასეთი კატეგორიული და მომთხოვნი გ. ჩოხელი, პირველ რიგში, საკუთარი თავის მიმართ იყო.

რომელი უფრო ძლიერია — გოდერძი ჩოხელი მწერალი თუ გოდერძი ჩოხელი რეჟისორი? თავდაპირველად მიგვაჩნდა, რომ მასში რეჟისორი უფრო ძლიერი იყო და ეს აზრი სულაც არ იყო განპირობებული იმით, რომ საერთაშორისო ფესტივალებზე წარდგენილი ყველა მისი ფილმი პრიზით ბრუნდებოდა სამშობლოში, თუმცა ესეც საკმაოდ ძლიერი არგუმენტია. ვფიქრობთ, რომ გ. ჩოხელს ჰქონდა თავისი განსაკუთრებული ხედვა. მისი ბევრი ნაწარმოები — მზა სცენარია, ფილმების გმირები კი ხშირ შემთხვევაში უსიტყვოდ მეტყველებენ. როდესაც მას ვაჟა-ფშაველას ვადარებთ, ყველაზე დიდ განსხვავებას მათში სწორედ ეს გარემოება ქმნის. ეს ორი შემოქმედი ორ სრულიად განსხვავებულ ეპოქაში მოღვაწეობდა. ვაჟა უფრო მძლავრი და ეპიკურია. მისი გამოხატვის ერთადერთი საშუალება სიტყვაა და იგი ამ სიტყვას უზადოდ, არაჩვეულებრივი სიძლიერით იყენებს. გოდერძი ჩოხელი გაცილებით ნაკლებად ეპიკურია, რაც, ერთი მხრივ, ეპოქის გამოძახილია, მეორე მხრივ კი, გამოხატვის საშუალებების მრავალფეროვნებისა და მეტი შესაძლებლობების შედეგი.

გოდერძი ჩოხელი ხედავდა, რასაც წერდა. თვითონ გადაჰქონდა საკუთარი ნააზრევი ეკრანზე და, ხშირ შემთხვევაში, სათქმელს გმირის თვალებით, გამოხედვით, გამომეტყველებით ამბობდა. ჩვენს მიზანს არ წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგენს ამ ორ შემოქმედს შორის არსებული განსხვავებებისა და მათი მიზეზების დადგენა. გვინდა აღვნიშნოთ სხვა რამ. რაც უფრო ჩავუღრმავდით გოდერძი ჩოხელის მემკვიდრეობას, მივედით ერთ დასკვნამდე: იგი თანაბრად ძლიერია, როგორც მწერალი, როგორც სცენარისტი და როგორც რეჟისორი. მასში ერთმანეთს ავსებს ეს სამი მიმართულება და ერთ ფრაზაში ერთიანდება — გოდერძი ჩოხელი არის მოაზროვნე შემოქმედი, ღვთით კურთხეული ხელოვანი თავისი საკუთარი ფილოსოფიური ხედვით სამყაროზე, ადამიანზე, ყოფნა-არყოფნაზე და საკუთარი ესთეტიკით, რომლის მთავარი პრობლემაც, ისევე, როგორც კლასიკური ესთეტიკისა, არის მშვენიერება. თვითონ შემოქმედება კი შეიძლება შევაფასოთ როგორც თვითმყოფადი, უშუალო და ინდივიდუალური.

გოდერძი ჩოხელის გმირების უმრავლესობა მაღალი ზნეობის, სიკეთით სავსე, ღვთისმოსავი ადამიანია, მაგრამ იძულებულია, თავისი სულიერება სადღაც მიმალოს, გააჩუმოს და რეალობას მოარგოს. საშინელია ასეთი გაორებული ცხოვრება — სახლში ჩუმად სანთლის ანთება, ხატის სალოცავთან ძველი ადათ-წესების მალულად აღსრულება, საქვეყნოდ კი ლენინ-სტალინის ძეგლების დაფიცება. ამიტომაც გოდერძი ჩოხელის გმირები ისეთი ბუმბერازები და შემართებით სავსენი ვერ არიან, როგორც ქართული მთის შვილებს შეეფერებათ და როგორებიც არიან, თუნდაც ვაჟა-ფშაველას გმირები. არც ნაწარმოებებს დაჰკრავს ის ეპიკურობის ელფერი, რაც ვაჟას ნაწარმოებებს ახასიათებს. ვფიქრობთ, ეს ეპოქათა გამოძახილია, როგორც ის, რომ ვაჟას არწივი ეჯდა მხარზე, გ. ჩოხელმა კი მგელი აირჩია. არწივი ყოველთვის არწივად რჩება, არ იცვლის ბუნებას და ერთი სახე აქვს. არწივმა ბრწყინვალედ წარადგინა ვაჟას შემოქმედება. გოდერძი ჩოხელმა კი მგელს მიმართა — მასში მგლურიც დაინახა და ადამიანურიც, ისევე, როგორც ადამიანში აღმოაჩინა მგლის ბევრი თვისება. მგელმა გ. ჩოხელის გმირებიც წარადგინა და მთელი ეპოქაც.

და მაინც, რა დაინახეს ვაჟამ არწივში და გ. ჩოხელმა მგელში?

ცხადია, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი. ვფიქრობთ, აქ გარკვეული როლი ითამაშა ეპოქამ სხვა ფაქტორებთან, თუნდაც პირად გემოვნებასთან ერთად. არწივი ძლიერი, ლამაზი და მთიელთა ხასიათთან მისადაგებული წარმომადგენელია ქართული ბუნებისა. ვაჟას შემოქმედების სიძლიერესა და ეპიკურობას სწორედ რომ არწივი შეეფერება გვირგვინად; ბოლოს და ბოლოს, იგი ფრინველთა მეფეა.

გოდერძი ჩოხელის მზერაც, ალბათ, იმავე მიზეზით შეჩერდა მგელზე. დრომ და გარემომ განსაზღვრა მისი არჩევანი. მგლის დადებით და უარყოფით თვისებებში მწერალმა ბევრი ადამიანური ამოიცნო. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ მგლობამ დაგვრია ხელი ადამიანებს... „არეული დრო იყო, ამაზე უფრო არეული. შავი და უჟმური საძირკველი ეყრებოდა შავ და უჟმურ სახელმწიფოს. ჰაერში შავი ყვავები უფრო ლამაზები ჩანდნენ, იმასთან შედარებით, რაც დედამიწაზე ხდებოდა". ასეთ დროში არწივებისა და ლომების ადგილი აღარ რჩება. „რა დრო დაგვიდგა, ვაჟკაცობას აღარავინ დაგიდევს, კურდღლებმა და მელიებმა ჩაიგდეს ძალაუფლება ხელში და ლომებზე და ვეფხვებზე ისინი ბატონობენ. მგლებზე აღარას ვამბობ, მგლებმა ხომ ქვეყანა ამოაგდეს" (რომანი „მგელი").

რა თქმა უნდა, ყველაფერ ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ქართული მითოლოგიაც, ზღაპრებიც, თვითონ გუდამაყრის ხეობაც, სადაც გოდერძი ჩოხელი გაიზარდა და სადაც მგლები სულ ახლოს ბინადრობდნენ ადამიანებთან; ამიტომაც არ გაუჭირდა მწერალს მათზე წერა. გ.ჩოხელს არც ფანტაზია აკლდა და ეს ფანტაზია ლამის რეალობამდე აჰყავდა საგნის ცოდნითა და თხრობის დამაჯერებლობით.

ორივე შემოქმედის არჩევანი აბსოლუტურად თავსებადია დროსთან და ზუსტად ახასიათებს ცხოვრებას, იმ რეალობას, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. ვაჟა-ფშაველას გმირები იყვნენ მისი წინაპრებიც და მისი თანამედროვეებიც, და ის ძლიერი სული, რაც მის მშობლიურ ფშავ-ხევსურეთს ახასიათებდა ოდითგანვე, მათში მკაფიოდ არის გამოკვეთილი. ვაჟას დროს სულით ძლიერი ფშავ-ხევსურეთი ისეთი დაკნინებული ნამდვილად არ ყოფილა, როგორც რიგითი ბრიგადირებისაგან დაჩაგრულ-დატანჯული გ. ჩოხელის თანამედროვე მთიულები. თუმცა სიდუხჭირე და გაჭირვება ორივე ეპოქაში ჭარბად გამოიარა ხალხმა; ვაჟას დროს გზირები, მამასახლისები და მოსამართლეები სწოვდნენ სისხლს გლეხებს, გ. ჩოხელის დროს კი — თავმჯდომარეები, ბრიგადირები და ისევ მოსამართლეები. დრომ და გარემოებებმა თავისი დაღი დაასვა ადამიანების სულიერ ცხოვრებას.

გოდერძი ჩოხელს არ დაუტოვებია პუბლიცისტური წერილები, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მის მოსაზრებებს გავცნობოდით ამა თუ იმ საკითხზე. მწერლის შეხედულებების შესახებ მსჯელობა შეგვიძლია მხოლოდ მისი ლიტერატურული ნაწარმოებებისა და ფილმების მიხედვით. ამ მხრივ იგი ძალიან ახლოსაა ფ. დოსტოევსკისთან, რომელიც ასევე ყოველ თავის ნაწარმოებში ცდილობს გადაწყვიტოს კაცობრიობისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები. იგი წყვეტს მათ არა თეორიულად, დისკუსიით, არამედ თავისი პერსონაჟების ცხოვრებითა და მოქმედებით. ორივე შემოქმედის შემთხვევაში ეს ცოტა არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი ყოველთვის ახერხებენ უპასუხონ დასმულ კითხვებს, ან მიანიშნონ მაინც მკითხველს, რა მიმართულებით მიჰყავთ საუბარი. გოდერძი ჩოხელთან შეიძლება ერთ მოთხრობაში წამოჭრილი პრობლემის გადაჭრის გზა მის სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოებში აღმოვაჩინოთ, თანაც არა ერთში. ან პირიქით, ერთ ნაწარმოებში იგი გვაძლევს რაიმე მოვლენის ახსნას, მეორეში კი ამ ახსნილ საკითხზე მთელ ისტორიას ქმნის (მაგალითად: „აღმართი" — „ადამიანთა სევდა").

სრულიად განსხვავებულია გოდერძი ჩოხელის წერის მანერაც. ერთი და იგივე ნაწარმოები შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული თვალსაზრისით... მაგალითად, რომანი „მგელი" შინაარსის მიხედვით, ერთი მხრივ, სახელმწიფო წყობილების მძაფრ კრიტიკად შეიძლება აღვიქვათ, მეორე მხრივ, კი ქართული მითოლოგიის თემაზე შექმნილ ნაწარმოებად. ორიგინალურია გადმოცემის ფორმაც – გ. ჩოხელი უბრალოდ არ ადარებს ერთმანეთს ადამიანსა და მგელს, რაც ლიტერატურაში არახალია. იგი მგელში ასახლებს ადამიანს, მგლების ხროვაში რიგით მგლად აცხოვრებს მას და შემდგომ ჩვეულებრივი ადამიანისა და მგლის თვალთახედვით აფასებს ერთსა და იმავე მოვლენას. ძალიან საინტერესო მიგნებაა! საინტერესოა ისიც, რომ ზნეობრივი თვალსაზრისით ადამიანისა და მგლის შეხედულება სრულ თანხვედრაში მოდის ერთმანეთთან. რაც შეეხება მათ შედარებას, ხშირ შემთხვევაში მგელი ბევრად უფრო დადებითად გამოიყურება, ვიდრე ადამიანი, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მგელი თავის ბუნებას არ ღალატობს, ის მგელია და ისეთია, როგორიც არის. ადამიანი კი ხშირად ირგებს სხვის ტყავს, განსაკუთრებით მგლისას და საკმაოდ ამაზრზენად გამოიყურება.

გოდერძი ჩოხელისთვის ზოგადად დამახასიათებელია პატარ-პატარა შემადგენელი ნაწილების ერთ დიდ პრობლემად გაერთიანება. ცალკეულ ადამიანთა დარდებიდან მან ადამიანთა დიდი სევდა შექმნა, მგლებისა და მგელკაცების ცალკეული უკეთურობები კი წითელი ეპოქის წითელ მგლობაში წარმოაჩინა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მისი ნაწარმოებები ერთმანეთს აგრძელებენ, ავსებენ, და ბოლოს ერთ მთლიანობას ქმნიან. მთელი შემოქმედება ერთი დიდი მოთხრობაა, რომელსაც თავისი ცხოვრების განმავლობაში წერდა, ხვეწდა და აყალიბებდა მწერალი. ალბათ, განსაკუთრებული ნიჭი და გონია საჭირო, რომ შექმნა ლიტერატურული ტილოები, სცენარები, ფილმები; იყო პოეტიც, მწერალიც, რეჟისორიც და მიაღწიო იმას, რომ მთელი ეს შემოქმედებითი მრავალფეროვნება ერთიან შედევრად აღიქმებოდეს და თანაც ტაძრისაკენ მიმავალ გზას გიჩვენებდეს.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედება კლასიკაა — ადვილად გასაგები, გულსა და ნერვში გამოტარებული, ყველა დროსა და საზოგადოებას მორგებული, ერთი კუთხისა თუ პატარა სოფლის მაგალითზე წამოჭრილი საყოველთაო პრობლემებით და მათი გადაჭრის გზების მინიშნებით. გოდერძი ჩოხელის თვითმყოფადი ხელოვნება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ მშობლიურ ნიადაგზე აღმოცენებული შემოქმედება თავისი სიბრძნით, მიმზიდველობითა და ინდივიდუალობით თანადროულად არის ძალიან ეროვნულიც და ძალიან ზოგადსაკაცობრიოც.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ გვინდა გამოვთქვათ ჩვენი სიხარული და კმაყოფილება გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული შემოქმედების კრიტიკის მეორე წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით; დიდი მადლობა გადავუხადოთ ორივე წიგნის რედაქტორს, პროფესორს, ბატონ გიორგი წიბახაშვილს; გ. ჩოხელის მეუღლეს ქალბატონ ნინო მელაშვილს; გ. ჩოხელის მეგობარს, ბატონ ზაქრო წიკლაურს – გამოცემის ფინანსური და ტექნიკური მხარის უზრუნველყოფისათვის; ქართველ ჟურნალისტებს — დაინტერესებისა და წიგნის წარმოჩენისათვის და ყველას, ვისი თანადგომითა და დახმარებითაც წიგნმა დღის სინათლე იხილა. გოდერძი ჩოხელის ბრწყინვალე შემოქმედება ნამდვილად იმსახურებს სათანადო შეფასებას და დაფასებას. რაც შეეხება მის პიროვნებას, ალბათ, თანდათან უფრო გავაცნობიერებთ, რომ ჩვენს გვერდით დადიოდა, იღწვოდა და იწვოდა ძალიან დიდი შემოქმედი, ძალიან დიდი ხელოვანი, რომელმაც ასე გაალამაზა და გაათბო ჩვენი ცხოვრება და ძალიან ვიამაყებთ ამით. წერილი კი გვინდა დავასრულოთ ბატონი გიორგი წიბახაშვილის პატარა ლექსით:

> მიწას ასულდგმულებს სითბო და სინათლე,
> თუმც, სამწუხაროდ, ეს ბევრმა არ იცის
> და ვერ გაუგიათ უბრალო სიმართლე —
> სითბო არ იქნება, თუ ვინმე არ იწვის.

მიხეილ ქურდიანი
(1954-2010)

ავთანდილ ადეიშვილი
1940-2007

ᲖᲝ ᲗᲔᲑᲔᲩᲕᲐᲚᲘ

ბუფონადა

მეორე მოქმედება

სურათი მესამე

სცენა წარმოადგენს კაბინეტს. შემოდის გიორგი, მას ეგებება ნოე II.

ნოე II: ბატონი გიორგი ბრძანდებით? გამარჯობათ. მე ნოე მეორე ვარ, შინაგან საქმეთა მინისტრი.

გიორგი: უკაცრავად, რატომ ნოე მეორე?

ნოე II: იმიტომ რომ არსებობს ნოე პირველი, ნოე მესამე, ნოე მეოთხე, ნოე მეხუთე, ნოე მეექვსე, ნოე მეშვიდე!

გიორგი: კი მაგრამ, თუ საიდუმლო არ არის, რატომ ხართ სამეფო დინასტიასავით დანომრილები, ეს მონარქიზმია?

ნოე II: პირიქით, ეს თანასწორობის უმაღლესი ფორმაა, როდესაც ერთი კაცის დემოკრატიულ იდეას, ჩვენ, მთავრობის წევრები უსიტყვოდ და უკლებლივ ვიზიარებთ, წარმოიშობა ერთი აზრი, ერთი მრწამსი და ამიტომაც ყველა ნოეები ვართ, მხოლოდ რიცხვითი სახელები გვაქვს სხვადასხვა.

გიორგი: მერე ეს ვინმეს სჭირდება?

ნოე II: სამშობლოსა და ხალხს!

გიორგი: არა ჯობია, ზოგი — შოთა, ზოგი — საბა, დავითი, ილია, ვაჟა, ნიკოლოზი იყოთ?!

ნოე II: არა, ბატონო, ხალხი დაიბნევა, რწმენა წაუხდება ჩვენს ხელისუფლებაძე: იფიქრებენ, სხვადასხვა სახელებს განსხვავებული აზროვნება და იდეა ექნებათო!

გიორგი: კი მაგრამ თქვენი იდეა რაშია?

ნოე II: ჩვენი იდეა იდეურობაშია!

გიორგი: იდეურობასაც აქვს იდეა?

ნოე II: დიახ თუ ვინმე სხვა იდეებს იზიარებს, ჩვენ მას ვებრძვით, როგოც უიდეოს.

გიორგი: ???

ნოე II: გეტყობათ, ჩვენ იდეას იაზრებთ!

გიორგი: რომელ იდეას?

ნოე II: როგორ? აქამდე ვერ მიხვდი?

გიორგი: მე სამშობლოს სიყვარულმა ჩამოიყვანა აქ.

ნოე II: ეგ გასაგებია, მომავალში რას აპირ-

გაგრძელება. დასაწყისი N1

ებთ?

გიორგი: ვემსახურო გათავისუფლებულ სამშობლოს!

ნოე II: რა შეგიძლიათ?

გიორგი: მე ვარ ფილოსოფიისა და მედიცინის დოქტორი, სამხედრო ხელოვნებისა და ნატიფ ხელოვნებათა მაგისტრი, დამთავრებული მაქვს იურიდიული და ეკონომიკური ფაკულტეტები... ვფლობ 50-მდე ენას...

ნოე II: თქვენი კომპლექსური განათლების შემოწმება ძალზე იოლია!

გიორგი: როგორ?

ნოე II: მე წაგიყვანდი ერთ გაჭიანურებულ პროცესზე, სადაც ამ წუთიდან ინიშნებით ნოე-V ადვოკატად! შეგიძლიათ შეითავსოთ ბარაბა ეძგვერაძის ადვოკატობაც.

სურათი მეოთხე

სასამართლო პროცესი, მოსამართლე და პროკურორი — თვითონ ნოე V. დარბაზი სავსეა ხალხით. საბრალდებო სკამზე სხედან: წარწერა ,,ნოე V" და ბარაბა ეძგვერაძე. სასამართლოს თავმჯდომარეობს ნოე V.

ნოე V: ქალბატონებო და ბატონებო! მეგობრებო, დღეს უკვე მესამედ ვიკრიბებით გადადებული სასამართლო პროცესის გასაგრძელებლად. იგი თავისი რიგით საიუბილეოა, მაგრამ რადგანაც ამ საიუბილეო კომიტეტის მიერ შემოტანილი წინადადება ბათილდება! გადავიდეთ საქმეზე, ვიწყებთ სასამართლოს... (ანაზდად იხსნება კაცი, პროცესზე შემოდიან ნოე II და გიორგი).

ნოე II: უკაცრავად, ერთი წუთით, შეჩერდით!

ბარაბა ეძგვერაძე (სიმღერით): ნოეები მოვიდნენ, ატყდა დავიდარაბა, რომელ პარტიას ეკუთვნის ეძგვერაძე ბარაბა?!

ნოე II: საზოგადების თავშეყრის ადგილზე ამ სიმღერის შესრულება ერთხელ უკვე აგიკრძალეთ! თუ ასე გაგრძელდა, მოგცემთ საშულაებას და ცალკე, მარტოდმარტომ რამდენიც გინდათ, იმღერეთ... საკანში!..

ბარაბა: მე ჩემთვის ვმღერი... თუ არ მოგწონთ, ნუ მომისმენთ!

ნოე II: ბატონებო, არის აზრი, რომ სასამართლო პროცესისი ადვოკატად დაინიშნოს ბატონი გიორგი.

პროკურორი (იგივე ნოე V): რომლის ადვოკატად?

ნოე II: ბატონ ნოე მეხუთის და შეთავსებით ბარბარა ეძგვერაძისა.

პროკურორი (იგივე ნოე V): ასეთი რამ იურისპრუდეციას არ ახსოვს, თამამი ექსპერიმენტია.

მოსამართლე (იგივე ნოე V): ბატონო ბარაბა, უკვე მესამედ გეკითხებით, ეს ბავშვი (ხელში აიყვანს ატირებულ ბავშვს) თქვენია?

ბარაბა: არა!

პროკურორი: (იგივე ნოე V): რით დაასაბუთებთ?

ბარაბა: ამის დედა... (ბავშვს ხელში აიყვანს) აღუ! ისე კი ჩემს ბავშვებს ძალიან ჰგავს, თუმცა უმეტესობა ბავშვებისა ერთმანეთს ჰგავს!

პროკურორი (იგივე ნოე V): თქვენ პასუხი არ დაგისრულებიათ!

ბარაბა: სად გავჩერდით?

პროკურორი (იგივე ნოე V): დედასთან!

ბარაბა: მე ამ ბავშვის დედასთან დიდხანს არ გავჩერებულვარ. ეს ბავშვი რომ ჩემი არ არის, დასტურება იქიდან, რომ ამ ბავშვის დედა ჩემი ცოლი არ არის, იგი მეუღლეა ნოე V-სი. ეს ბავშვი ნოე მეხუთეს ეკუთვნის!

ნოე V (მოსამართლის სკამიდან ადგება, მოიხდის პარიკს, მივა ბრალდებულის სკამთან): ეს სინამდვილეს არ შეეფერება. მე ამ ქალბატონს დიდი ხანია გავეყარე იდეური შეუთანხმებლობის გამო.

ქალი: გამეყარე დოკუმენტებით. მაგრამ სარეცელს ჩემსას იყოფდი! (სასამართლო დარბაზიდან შეძახილები: ,,ბავშვი ნოე V-ეს ჰგავს!", ,,არა ჰგავს!").

ქალი: ბავშვი ნოე მეხუთისგან მეყოლა!

ნოე V: სიცხრუეა! მე ალიბი მაქვს, მოწამეები მყავს, რომ მე ბავშვის შექმნის პერიოდში, აქედან შორს მეტროპოლის მინისტრი ვიყავი (თავის თავს, როგორც პროკურორს წარუდგენს ცნობას).

პროკურორი (ხმამაღლა კითხულობს): ეს ცნობა ეძლევა ნოე მეხუთეს მასზე, რომ ბავშვის ჩასახვის პერიოდში იმყოფებოდა მეტროპოლიაში მინისტრიეს თანამდებობაზე და ყოვლად შეუძლებელი იყო მას და ბავშვის დედას შორის რაიმე ინტიმს ადგილი ჰქონდა.

ქალი: მე კი ცნობა მაქვს, რომ ჩემს შვილს ნოე მეხუთის სისხლი აქვს. (ცნობას აწვდის პროკურორს).

ნოე V: მეც მაქვს ცნობა, რომ ბავშვს ეძგვერაძის სისხლი აქვს!

პროკურორი (იგივე ნოე V): ცნობას ერთი და იგივე ექიმი იძლევა. შემოიყვანეთ მოწმე ექიმი!

(ნოე V ჯდება მოსამართლის სკამზე. შემოდის თეთრხალათიანი მოწმე).

ექიმი (ყვირის): ვილაპრაკებ მხოლოდ სიმართლეს, სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს! (კოცნის წიგნს, რომელსაც აწერია ,,მართალი სამართალი").

მოსამართლე (იგივე ნოე V): რა საბუთის მოყვანა შეგიძლიათ, რომ ბავშVის მამა მოქალაქე ბარაბა ეძგვერაძეა?

ექიმი (ჯიბიდან იღებს ორ სინჯარას): შეხედეთ, ერთში არის ბავშვის სისხლი, მეორეში კი — ეძგვერაძისა! ორივე ცისფერია.

პროკურორი (იგივე ნოე V): თქვენ ასევე გაგიცნიათ ცნობა, რომ ბავშვი ნოე მეხუთეს ეკუთვნის. ამას როგორღა ასაბუთებთ?

ექიმი (უბის ჯიბიდან კვლავ ამოიღებს ორ სხვა სინჯარას, ორივეში წითელი სისხლი ასხია): აი, ნახეთ, ერთი და იგივეა?

დარბაზი: დიახ!

ექიმი: ჰოდა, ერთი ბავშვს ეკუთვნის, მეორე კი —ნოე მეხუთეს!

გიორგი: თქვენი თქმით გამოდის, რომ ბავშვი ერთდროულად ორი მამის სისხლს ატარებს, ასეთი რამ კი მედიცინას არ გაუგონია!

ექიმი: მედიცინაში არსებობს პარადოქსული სასწაულები. ამ ბავშვის ბიოფიზიოლოგიური თვისება უნიკალურია, ბავშვის სისხლის ანალიზი 30 წამს წითელ სისიხლს აჩვენებს და მომ-

დევნო 30 წამს ცისფერს.

გიორგი: გამოდის რომ ბავშვს ორი მამა ჰყავს?!

ქალი: და არც ერთი მასზე ზრუნვას არ ფიქრობს!

ექიმი: ასეთი რამ შეიძლება მხოლოდ ჩვენში მოხდეს, მაღალი კულტურის ერში! ჩვენ ყველაფრის პიონერები ვართ, გესმით, ბავშვს ორი მამა ჰყავს?!

გიორგი (ღიმილით): მაშ, ბავშვს ორი მამა ჰყავს და ორივე უარს ამბობს მასზე ზრუნვაზე?!

ნოე II: ჩვენ ამას არ დავუშვებთ, ბავშვს ფულადი დახმარება უნდა დაენიშნოს. თქვენ რას იტყვით, ბატონო გიორგი?

გიორგი (ირონიულად): თუკი მედიცინა ადასტურებს, რომ ბავშვს ორი მამა ჰყავს, ალიმენტიც ორივემ უნდა გადაუხადოს!

ნოე II: ვაშა!.. თქვენ ჭეშმარიტი იურისტი ხართ!

ბარაბა: მე ფული არ მაქვს, საიდან უნდა გადავუხადო?

ნოე II: წიგნად გამოვცეთ თქვენი ,,ნოეები მოვიდნენ"!

ბარაბა: ერთსტროფიანი წიგნი სად გაგონილა?

ნოე II: სტრიქონები დავტეხოთ და წიგნი გამოგივათ! გარდა ამისა, ვთარგმნოთ სხვადასხვა ენაზე და დიდი ტირაჟით გამოვცეთ. განაჩენს ნოე V გამოიტანს (ნოე II და გიორგი გადიან)...

გიორგი: ბატონო ნოე მეორევ, ერთ რამეში გამარკვიეთ: რანაირად შეიძლება სამართალს მიცემული კაცი იყოს თავისივე პროცესის პროკურორიც და მოსამართლეც?

ნოე II: ეს სამართლიანობის უმაღლესი ფორმაა! ქვეყანაში მაშინაა ყველაზე დიდი დემოკრატია და ჰუმანიზმი, როცა კაცი საკუთარ თავს იცავს და ასამართლებს! სინდისი ყველაფრის პირუთვნელი მსაჯულია. სამწუხაროდ, ასე გამახვილებული სამართლიანობის გრძნობა ჯერჯერობით მხოლოდ ჩვენი პარტიის წევრებს აქვთ და ეს ექსპერიმენტიც მხოლოდ მათზე ვრცელდება.

სურათი მეხუთე

კულტურისა და მიწათმოქმედების მინისტრიეს ნოე IV-ის კაბინეტი. სავრძლის უკან კიდია ნოე პირველის დიდი სურათი: ნოე პირველს ხელი ჩაუვლია გუთნის ტარისთვის და ხნულს ავლებს, ხოლო გუთანში ფრთიანი ცხენი — პეგასია შებმული. კედელზეა წარწერა: ,,კულტურა!!!" და დევიზი: ,,ვინც მღერის უჩვენოდ, მღერის უკანასკნელად!" ნოე მეოთხე დაბალი და შავი კაცია, ბოხი ხმა აქვს. კაბინეტში — გიორგი და ნოე IV.

ნოე IV: მე ხომ ვიცი, რომ თქვენ პარიზის სამხატვრო აკადემია გაქვთ დამთავრებული. მშვენიერია, მშვენიერია! არ დაიჯერებთ და ზუსტად თქვენ გეძებდით! რამდენჯერ დავავალე ჩემს მდივანს თქვენთან დაკავშირება!.. უკაცრავად, თქვენი სახელი?..

გიორგი: გიორგი.

ნოე IV: დიახ, ჩემო გიორგი, ვეუბნები მდივანს, 22 წლის ქალიშვილია, მაღალი, გამხდარი, ქერათმიანი, გვარი დამავიწყდა, დაურეკე ბატონ გიორგის, მეგობარია ჩემი, ამ მცირე სამსახურზე უარს არ გვეტყვის-მეთქი, ახლაც ალბათ ჩემმა მდივანმა მოგაწვდინათ ხმა ტელეფონით?

გიორგი: ტელეფონი არა მქვს. ჩემით მოვედი.

ნოე IV: რას ჰგავს ეს?! ოთხჯერ 30 მაისს, 15ივნისს დილის, ხოლო 28 ივლისის და 1 სექტმებრის საღამოს სხდომებზე დავაყენე პარლამენტში ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროს გახსნის საკითხი, მაგრამ მეტი არაა ჩემი მტერი, აქედან არაფერი გამოვიდეს!.. უკაცრავად, თქვენი სახელი?

გიორგი: გიორგი.

ნოე IV: ჩემო გიორგი, როგორ ფიქრობ, მე რომ თან ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრიც ვიყო, შენ ტელეფონი აქამდე არ გექნებოდა?!

გიორგი: თქვენ ბრძანებთ, გეძებდითო, მეც სწორედ ამიტომ დავბრუნდი სამშობლოში, იქნება რეტიმე გამოვადგე-მეთქი და ბატონი ბრძანდებით, მიმსახურეთ!

ნოე IV: ჩემო... უკაცრავად, თქვენი სახელი?

გიორგი: გიორგი.

ნოეIV:ჩემო გიორგი, ახლა ჩვენ კულტურული რევოლუციის გადამწყვეტ ეტაპს ვუხალოვდებით, ბატონი ნოე პირველი თავის საშობაო გამოსვლაში (გვერდი 5) ხაზგასმით ლაპარაკობდა კულტურის სფეროში რევოლუციური ძვრების შესახებ. რა დაგავიწყებთ მის სიტყვებს: ,,ჩვენ უძველესი მიწათმოქმედების კულტურის ქვეყანა ვართ" (გვერდი 9). უკაცრავად, თქვენ ჩემთან, როგორც რომელ მინისტრთან მობრძანდით?

გიორგი: როგორც კულტურის!

ნოე IV: ჰო, სულ დამავიწყდა, დღეს ხომ სამშაბათია. ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს მე კულტურის მინისტრი ვარ, ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს —მიწათმოქმედებისა. ახლა გაგაცნობთ ჩვენს ზოგიერთ მიღწევას კულტურული რევოლუციის ფრონტზე. მობრძანდით (მიჰყავს მბრუნავ დაფასთან). კლასიკური ნახატი 1. ადგილი — ,,თევზზაობა". მდინარე ფისზე ლანძროხის გიმნაზიაშია სწავლის წლებში პატივცემული და საყვარელი ბელადი აქ მოდიოდა ხოლმე და თევზების დაჭერასთან ერთად საზოგადოების განვითარების უზოგადესი კანონზომიერების დაჭერასაც ცდილობდა (გამოსახულია გვარდილეთა პატრულით დაცული მდინარის მესრით შემოღობილი ადგილი, რომელსაც ნორჩების ჯგუფი ათვალიერებს) ნახატი 2, კლდე — ,,ოლეჭკანდერი" ქალაქ ლანძროხში, სადაც რევოლუციის დიდი მარშალი ბავშვობისას ომობანას თამაშობდა და ოცნებობდა მჩაგვრელთა განადგურებაზე (აქაც იგივე სიტუაციაა). ნახატი3 კლდე ,,საციგაო" ბავშვობისას ყველა დროისა და ყველა ხალხის უდიდესი ბელადი ციგით ეშვებოდა ხოლმე კლდის ამ შვერილიდან (აქაც მესერი, გვარდიელები და ბავშვები). ნახატი4 ,,ფიჭვის ხე" ბავშვობისას ჩვენი ძვირფასი და გენიალური მამა აძვრებოდა ხოლმე ამ ხეზე, რათა ცისარტყელისათვის კუდში ეტაცა ხელში და თან დიდ ჩანაფიქრს ატარებდა გულით (აქაც მესერი, გვარდილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბავშვები). ნახატი5, ქვა — „სწავლის ძირი" ლანძროხის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის წლებში მშობლიური მეთაური ამ ქვაზე ჩამოჯდებოდა ხოლმე და ბეჯითად კითხულობდა როგორც სავალდებულო, ასევე აკრძალულ ლიტერატურეს (აქაც მესერი, გვარდიელები და ბავშვები). აი, რა გრანდიოზული ნაბიჯები გადადგა ჩვენში სახვითმა ხელოვნებამ. ალბათ იცანით, ვინ არის ამ შედევრების ავტორი, გვარი დამავიწყდა. გაიზიაროს მისი გამოცდილება — ე სარის ჩვენი ყველა ხელოვნების მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთი.

გიორგი: სხვა მხატვრებიც გეყოლებათ!

ნოე IV: სხვები არ გამაგონოთ, ყველა თაღლითია! აი, ერთი მათგანი, — გვარი დამავიწყდა, — უცხოეთშიც კი გავაგზავნეთ სასწავლებლად. მან კი მადლიერების ნაცვლად რითი გვიპასუხა? — თავისი ნახატები წინასწარ გაუგზავნია თავის პარიზელ მეგობართან, თავად კი ამასობაში, უკაცრავად პასუხია და, აი ეს დახატა (კარადის უკნიდან გამოაძვრინა შიშველი ნოეს პორტრეტი და მაშინვე უკან შეაცურა). წარმოგიდგენიათ? ჩვენ, ცხადია, მაშინვე ციხეში ჩავსვით (29 მაისი, კამერა 23) და იცით რა მოჰყვა ამ ამბავს? მთელი ევროპა ფეხზე დადგა. მაშინვე რეჟიმის მსხვერპლად მონათლეს ის თაღლითი და მთელს ევროპაში დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება მის გასათავისუფლებლად. მისი ნახატები მსოფლიო მუზეუმებმა დაიტაცეს (ნოე IV უცებ შეხტა, რადგან ხედავს, რომ მის მიერ კადრის უკან შეცურებული ნოე პირველის პორტრეტი ისევ გარეთ მოძვრება, ნოე IV ხელს მიაჭერს და სურათს ისევ თავის ადგილას დააბრუნებს). მე, მართალია, ხელოვნებასა და კულტურასი ახალი კაცი ვარ, მაგრამ (ამოიღებს ჯიბიდან ქაღალდს) პაოლო (პაუზა).

გიორგი: ვერონეზე?

ნოე IV: ალბათ აქ გვარი არ წერია და ტიციანის საყოვლეთაოდ აღიარებულ სახელებს მეც თაყვანს ვცემ და თქვენ წარმოდიგინეთ მათგან კი მუქარით აღსავსე ტელეგრამ მივიღე 6 ივნისს.

გიორგი: უკაცრავად ვისგან?

ნოე IV: და სხვებისაგან. ჩვენთვის ბევრს ნიშნავს ევროპის აზრი და ამიტომ იძულებული გავხდით დათმობაზე წავსულიყავით და მხატვარი პატიმრობიდან გაგვეთავისუფლებინა 10 ივნისს (ნოე IV ხედავს, რომ ნოე პირველის სურათი ისევ მოძვრება და ზურგით მიეყრდნობა კარადას, რომ შეარჩიოს). ცუდი მაგალითი გადამდებია და ამ მხატვარს ერთმა პოეტმაც, გვარი დამავიწყდა, მიბაძა და ჩვენს შესახებ პოლიტიკური ჰამლეტ დაწერა:

ერთი ნოე ნარდს თამაშობს, მეორე კი — კარტს,

ორვე დასაჭირავია, ატყვილებენ ხალხს!

იმედია, ტექსტი ჩვენ შორის დარჩება; მაგრამ ამ დროისათვის ჩვენ უკვე საკმაო გამოცდილება გვქონდა მიღებული და ამ ლექსისი ავტორი ციხეში კი აღარ ჩავსვით, არამედ საგიჟეში — პალატა 38! (ნოე IV იცინის და კარადას შორდება. კარადის უკნიდან გამოდის ნოე პირველის შიშველი პორტრეტი, რომლის კვალდაკვალ გამოძვრება ფსევდონოეს ცოლი).

ფსევდონოეს ცოლი: მე თქვენ გეკითხებით, რატომ არ უდგამთ ჩემს ქმარს ძეგლს?

ნოე IV (არ დაიბნევა): აი, ძეგლზე გამახსენდა. მოდიან ჩემთან ჩვენი პენ-კლუბის წარმომადგენლები და მეუბნებიან, ამა და ამ მწერალს, გვარი დამავიწყდა, ძეგლი დაუდგითო. მარტო ერთი თვის განმავლობაში თხუთმეტი განცხადება დამიწერეს: დიდი მწერალია მაგას ძეგლი სიცოცხლეში ეკუთვნის, მაგხელა მწერალი ახლა ევროპასაც არ ჰყავსო და ასე შემდეგ, ბოლოს ჩვენთან რომ სახელმწიფო კომისრად მუშაობს დიდი პოეტი, გვარი დამავიწყდა, იმანაც მომმართა თხოვნით 1 ოქტომბერს, არადა, ფინანსთა სამინისტროს ამა წლის 9 სექტემბერის 625 დადგენილებით, რომელიც იმავე წლის 16 ოქტომბერს დილის სხდომაზე დაამტკიცა პარლამენტმა 169 ხმით — 24 წინააღდეგ, აიკრძალა ცოცხალი ადამიანებისათვის ძეგლის დადგმა. სხვა რა გზა გვქონდა. ძეგლის დადგმა არ შეიძლებოდა, რაკი ცოცხალი იყო, მაგრამ თუ ცოცხალი იქნებოდა და უძეგლოდ, ხომ შეეძლო რამე დაეწერა ჩვენს წინააღმდეგ, ამიტომ ცხადია, ჯობდა, იგი გარდაცვლილი ყოფილიყო, მაშინ ძეგლიც ექნებოდა და ვერც პასკვილებს დაწერდა. მით უმეტეს მისი შესანიშნავი ბრინჯაოს ძეგლი (სპეციალისტების აზრია) უკვე ჩამოსხმული იყო ნოე პირველი ბიძაშვილის ქმრის, ცნობილი მოქანდაკეა, მიუნხენში ცხოვრობს ფრიდრიხშრასეზე, 37, გვარი დამავიწყდა. ამ შემთხვევაში ბედმა გაგვიღიმა ოქტომბრის 3 რიცხვში, საღამოს 6 საათსა და 13 წუთზე ბაკუნინის აღმართზე ველოსიპედით (ფირმა „რეინმეტალი") საათში 60 კილომეტრით მიმავალი 70 წლის მწერალი დაეჯახა ჩვენი ქალაქის ერთადერთ სატვირთო ავტომობილს (ფირმა „სტუდებეკერი" ნომერი კ—832), რომელსაც მართავდა მოქალაქე, გვარი დამავიწყდა და რომელიც იდგა გაჩერებული აღმართის ბოლოში. პოეტი ადგილზე გარდაიცვალა, მძღოლმა კი მიიღო შუბლის მსუბუქი დაზიანება. ავტომანქანის პარპლიზზე დარტყმის გამო. სამხედრო ჰოსპიტალის ცნობა 739, ექიმი, გვარი დამავიწყდა. ასე გაიხსნა 10 ოქტომბერს ჩვენს ქალაქში დიდი ეროვნული პოეტის ძეგლი. გვარი დამავიწყდა, ის პოეტი მკვდარი ჯობია ცოცხალს (მიუბრუნდება ფსევდონოეს ცოლს) თქვენ გაქვთ ცნობა თქვენი მეუღლის გარდაცვლების შესახებ?

ფსევდონოეს ცოლი (დაბნეული): იცით, ჩემი ქმარი არცთუ მთლად გარდაცვლილია.

ნოე IV (გაკვირვებით): რას ნიშნავს თქვენი განცხადება?

ფსევდონოეს ცოლი: ჩემი ქმარი ჰაერში ააგდეს და აღარ ჩამოვარდა!

ნოე IV: უგზოუკვლოდ გაფრენილებს ჩვენ ძეგლს არ ვუდგამთ! რა იცი, ვის ბანაკში დაფრინდა?!

ფსევდონოეს ცოლი: ჩემი ქმრის პატრიოტიზმი უეჭველია. იგი თქვენი თავისუფლების მსხვერპლია!

ნოე IV: ვწუხვარ მაგრამ ძეგლის საკითხში ვერაფრით დაგეხმარებით.

ფსევდონოეს ცოლი: მაშინ მის მშობლიურ სოფელს უწოდეთ მისი სახელი!

ნოე IV: დღეს სამშაბათია და მე კულტურის მინისტრყ ვარ. მობრძანდით ხვალ, ორი საათის

შემდეგ, და მაგ საკითხზე მაშინ მოვილაპრაკოთ. უკაცრავად მაგრამ ახლა დაკავებული ვარ და ნუ მაცდენთ.

ფსევდონოეს ცოლი: მე ფული მაქვს, ვალიუტა და მაშინ, როგორც კულტურის მინისტრმა, მომეცით უფლება, ჩემი სახსრებით დავაარსო ჩემი მეუღლის სახალობის სამშობლოს გათავისუფლების ისტორიის მუზეუმი!

ნოე IV: ეგ ადვილი სამსახურია. აი, თქვენ ფორმა 9, შეავსებინებთ ამას ტქვენს მეუღლეს, რომ იგი არ არის წინააღმდეგი მუზეუმისათვის მისი სახელის მიკუთვნებისა, დაამოწმებინებთ ნოტარიუსს და დედაქალაქში საუკეთესო შენობას მოგყიდით მაგ კეთილშობილურ მიზნისატვის, გაძლევთ მინისტრიეს სიტყვას.

ფსევდონოეს ცოლი: კი მაგრამ, ჩემი მეუღლე ხომ დაიკარგა, როგორღა მომცემს თანხმობას?!

ნოე IV: ეს უკვე თქვენი პირადი საზრუნავია ქალბატონო! ჩვენ როგორც ხედავთ, სიხარულით ვიღებთ ამ წინადადებას.

ფსევდონოეს ცოლი: — თანხმობის გარეშე არაფრით არ შეიძლება?

ნოე IV: პა-პა-პა-პა, არავითარ შემთხვევაში! ჩვენ უკვე გვქონდა ასეთი სკანდალური შემთხვევა. პირველი, როდესაც ერთი გამოჩნეილი მწერლის, გვარი დამავიწყდა, სახელი მივანიჭეთ ქალაქის გამოსაფხიზლებელს; მეორე, როდესაც დედაქალაქის ვენეროლოგიურ დისპანსერს ვუწოდეთ ცნობილი კომპოზიტორი ქალის სახელი, გვარი დამავიწყდა, და მესამე, როდესაცცენტრალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოს მხატვარ-აკადემიკოსის, გვარი დამავიწყდა, სახელი მივანიჭეთ. არ დაიჯერებთ და, პარლამეტში გვიჩივლეს. უკაცრავად, ტელეფონი რეკავს (უახლოვდება ტელეფონს). ფსევდონოეს ცოლი ტირის, გიორგი ხელს შეაშველებს და გამოდიან კაბინეტიდან. ნოე ტელეფონით ლაპარაკობს. ნოე! ნოე! ახლა მე მომისმინე, გავიგე, რომ მტერი გვაიხლოვდება, მაგრამ კულტურაზე ზრუნვა უპირველესი ამოცანაა, როგორმე უნდა გადავრჩინოთ ბრძოლის არენად ქცევას დიდი და ძველი მატერიალური კულტურის ცენტრები, როგორიცაა ორი დედაქალაქი აღმოსავლთში და სატახტო ქალაქი დასავლეთში. დაე, ჩვენი მოწინააღმდეგეთა არმიები ერთმანეთს შეებრძოლონ სადმე ქალაქის გარეუბანში ან უდაბურ ველზე და შემდეგ გამარჯვებული შემოვიდეს ქალაქში. გესმის? მთვარაი მაინც კულტურაა!

სურათი მეექვსე

განათლების მინისტრიეს სავარძლის საძურგესთან ჰკიდია ნოე პირველის ბავშვობისდროინდელინ სურათი წიგნით ხელში — ლოზუნგი ,,რაც მეტს წაიკითხავთ, მეტი გეცოდინებათ!"

კაბინეტში დგას დიდი გლობუსი.

შემოდიან განათლების მინისტრყ ნოე VII და გიორგი.

ნოე VII: მობრძანდით, მობრძანდით! უნდა გითხრათ, რომ ფრიად საყურადღებოა თქვენი წინადადება — პროექტი განათლების სისტემაში, თუმცა კი ვერ ეთანხმება ჩვენს საგანმანათლებლო, სასკოლო რევოლუციას. თქვენი მოწოდებით, ყიჟინით, ჩვენი მოსწავლეები ყველა დისციპლინას მშობლიურ ენაზე უნდა სწავლობდნენ, მაგრამ რა გამოვა, რევოლუციური სწავლების იდეა თავის ფუნქციას დაკარგავს.

გიორგი: კერძოდ?!

ნოე VII: კერძოდ, ჩვენ კერძო სწავლების წინააღმდეგი ვართ. თქვენ გვერდს უვლით ნოე I-ს მოწოდებას, რომ მშობლიური ბავშვი მსოფლიო სტანდარტებს უნდა შეესატყვისებოდეს! ამის შესაბამისად კი ჩვენ ვაპირებთ განვახორციელოთ სასკოლო-საგიმნაზიო ეროვნული სწავლების მეთოდიკის სრული განახლება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს (ოთახში ენერგიულად დადის): ჩვენ ეროვნულ გიმნაზიებში შემოვიღეთ ათწლიანი ენერგიული სავალდებულო სწავლება. ყველაფრის თავიდათავი დისციპლინაა. დისციპლინა კი ჩვენს პლანეტაზე ვის შეუძლია ასწავლოს? — მხოლოდ ინგლისელებს! ამიტომ პირველი კლასი ინგლისური იქნება. ჩვენ მოვიწვევთ ინგლისელ საუკეთესო პედაგოგებს. ინგლისი, ინგლისი (შეყოვნდება, მერე დასწვდება ტელეფონის ყურმილს) ალო, დედაქალაქის პირველი გიმნაზიაა? —კეთილი. ჩვენი სამშობლო დემოკრატიის დასაცავად — გადასარჩენად ინგლისის ჯარების შემოსვლათან დაკავშირებით, ვბრძანებ: ხვალ თქვენს თითით საჩვენებელ გერმანიაში ჩატარდეს ხატვის სრულიად ღია გაკვეთილი თემაზე: ინგლისელი და მშობლიური ხალხების ურღვევი თანამეგობრობა. ყველა ბავშვმა უნდა დახატოს შემდეგი სიუჟეტი: წყალში (მდინარე, ტბა, ზღვა) იხრჩობა შავთმიანი ბავშვი (ეს მშობლიური ბავშვია) მის გადასარჩენად ხტება ქერათმიანი ბავVში (ეს ინგლისელი ბავშვია), გაფრთხილებთ, გაუგებრობას ადგილი არ ჰქონდეს! აბა, ტქვენ იცით, გიმნაზისტებს მიეცით ფანტაზიის გამომჟღავნების საშუალება (დაკიდებს ყურმილს).

დისციპლინის შემდეგ ბავშვმა შრომისმოყვარეობა უნდა შეითვისოს, ამიტომ მეორე კლასი იქნება გერმანული, რისთვისაც პედაგოგებს, მოვიწვევთ გერმანიიდან!

მესამე წელს ბავშვის კომპლეხსური აღზრდის პროგრამა ყურადღებას გაამახვილებს მის ფიზიკურ გამძლეობაზე,, ამიტომ იაპონიიდან მოვიწვევთ სამურაებს, რომ ჰუმანურ პლანში შეასწავლონ ჯიუ-ჯიცუ და კარატე.

მეოთხე კლასი კი იტალიური იქნება, სადაც ნეაპოლიტანელი და მილანელი მუსიკოს-ვოკალიტს-თეორეტიკოსები ვოკალის სფეროში დააოსტატებენ ჩვენს მოსწავლეებს.

ისე როგორც დიდს, ბავშვსაც სჭირდება დემოკრატიის სიყვარული, ამიტომ გიმნაზიის მეხუთე კლასი ფრანგული იქნება!

ეკონომიკის საფუძვლებს კი ებრაელები ივრითის ენაზე შეასწავლიან ჩვენს მეექვსეკლასელებს.

მეშვიდე კლასი ესპანურენოვანი იქნება. ბავშვები მსოფლიო გეოგრაფიას შეისწავლიან. ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ქრისტეფორე კოლუმბის კომპანიასთან, რათა გამოცდილი გეოგრაფები გამოგვიგზავნონ!

მერვე კლასში ბავშვები ჩინური ხალხირი მედიცინის საფუძვლებს დაეუფლებიან ორიგინალის ენაზე!

ბოდიში, ერთი წუთით (იღებს ტელეფონის ყურმილს და კრეფს ნომერს)! გელაპარაკებათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების მინისტრი. ჩვენ ამჟამად ვატარებთ ათეიზმის ერთთვიურს და ტქვენმა სკოლამ მასში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს. ათეიზმის ღია გაკვეთილის ჩასატარებლად თქვენ წაიყვანთ უმცროსკლასელ ბავშვებს ხვალ 12 საათზე ღვთისმშობლის ეკლესიაში, რომელიც რემონტის გამო ამჟამად უმოქმედოა. შეიყვანთ ბავშვებს და ათეიზმის მასწავლეებლი მათ ჰკითხავს: ბავშვებო, აბა თქვით ღმერთი არსებობს? ბავშვები უპასუხებენ — დიახ. მასწავლებელი: აბა, მაშინ სთხოვეთ ღმერთს, თუ არსებობს, კამფეტი მოგცეთ. ბავშვები დაუწყებენ ღმერთს ხვეწნას — ღმერთო, მოგვეცი რა კამფეტი! ცხადია, ღმერთი მათ არაფერს მისცემს. მაშინ მასწავლებელმა უნდა უთხრას ბავშვებს: ბავშვებო, აბა ახლა ძია ნოე პირველს სთხოვეთ კამფეტი. ბავშვები დაიწყებენ თხოვნას — ძია ნოე, კამფეტი მოგვეცი რა, და აი, მაშინ ეკლესიის გუმბათიდან წამოვა კამფეტების წვიმა. ნუ ღელავთ, ქალაქი შოკოლადის ფაბრიკასთან ჩვენ უკვე დავდეთ ხელშეკრულება. ამ მაგალითზე ბავშვები თვალნათლივ რწმუნდებიან, რომ ღმერთი არ არსებობს, ბატონ ნოე პირველის არსებობა კი მათთვის სასარგებლო და სასურველია. გაფრთხილებთ, გაუგებრობას ადგილი არ ჰქონდეს. აბა, თქვენ იცით (კიდებს ყურმილს).

მოსწავლე გიმნაზისტი ასტრო-ფიზიკის გარეშე ბეცია, ამიტომ მეცხრე კლასი არაბულ-ასტროფიზიკური კლასი იქნება, ჩვენ არაბეთის ხალიფატიდან ჩამოვიყვანთ საუკეთესო ვარსკვლავთმრიცხველებს, ხოლო რაც შეეხება მეათე კლასს, იგი მთლიანად დაეთმობა დედაენას და კერძოდ ანბანის შემდეგ საკითხავ წიგნებს!

(განათლების მინისტრი უახლოვდება გლობუსს, თითს აჭერს „წყნარ ოკეანზე ამოწეულ კნოპს) აქ აბაზანა გვაქვს! (იღებაწყნარი ოკეანე და გამოდის ფსევდონოეს ცოლი, რომელსაც გულზე ქმრის სურათი ჰკიდია გიმნაზიელის ფორმაში. ზურგზე ჰკიდია წარწერა „ცოდნამ იგი ზეცამდე აამაღლა!“

ფსევდონოეს ცოლი: სანამ ჩემი ძებნით მთა და ბარს გადაატრიალებთ, აგერ ჩემი ფეხით მოვედი და მზად ვარ სრულიად უსასყიდლოდ ჩემი უსაყვარლესი მეუღლის ხსოვნის პატივსაცემად დაგითმოთ მისი უნიკალური ბიოგრაფია. ცხადია, მე მას არცთუ უმტკივნეულოდ ვიგლეჯ გულიდან, ერთადერთი, ვინს მისი სიყვარულს მეცილებოდა, მისი სამშობლო იყო. ინებეთ (შედის გლობუსში და იქიდან გამოაქვს მოქრდილი ჩემოდანი. ხსნის ჩემოდანს, ამოაქვს წიგნი — ზედნაწერი: დიდი პატრიოტის მოკლე ბიოგრაფია)!.

განათლების მინისტრი ნოე VII: გეთაყვათ, თუ შეიძლება რომ ჩავიხედოთ (აწევს ყდას), ბატონო გიორგი, მომეხმარეთ ყდის აწევაში (გიორგი ეხმარება), ოო, ხელნაწერი! მე მახსოვს ჩემს ბავშვობაში დიდ განძად ითვლებოდა, ეს მე პარლამენტის ტრიბუნიდან არაერთხელ თამამად განმიცხადებია ხელნაწერი წიგნის ფლობა. თუმცა მაშინ პოლიგრაფია საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო, მაგრამ ერის საამაყო წიგნები ხელით გადაიწერებოდა ხოლმე და ქალებს მზითევსი ატანდნენ. ერთი ასეთი წიგნი ბებიაჩემსაც მოჰყვა მზითევში.

კალიგრაფია მთელი სკოლები არსებობდა... ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, მოგეხსენებათ, მაშინ პაპირუსი იყო გამოყენებული საწერ ფურცლებად, შემდეგ, ალბათ თქვენ გეხსომებათ, ეტრატი შემოვიდა, და ვინ ფიქრობდა მაშინ მესაქონლეობის განვითარებაზე, უამარავი, მათ შორის რამდენი მავნე წიგნის გადაწერას უდანაშაულო ხბოების სიცოცხლე ეწირებოდა და აი, როგორც იქნა კაცობრიობიოს ისტორიაში მოხდა ერთ-ერთი დიდი სასაწაული, ჩინელებმა გამოიგონეს ქაღალდი. ერთ-ერთ ჩინელს მე პირადად ვიცნობდი. ჩემი განსწავლის ჟამს კლასიკური გიმნაზიის აღმოსავლეთის კედელთან მას ფეხსაცმლის საწმენდი ჯიხური ედგა, გაგაოცებდათ მისი დარბაისლური მასლაათი და ღრმა განსწავლულობა, კონფუს ილეთებისა და კონფუცის ფილოსოფიის ცოდნა. პირადად მე არაერთი გაკვეთილი მიმიღია მისგან ლობაჩევსკის გეომეტრიაში, ახლა მის მიერ გაწმენდილ ფეხსაცმელს არ იკითხავსთ, დიახ ფეხსაცმელს, ფეხსაცმელს. რამდენჯერ დავაყენე პარლამენტში საკითხი, რომ გაკვეთილზე შესულ მასწავლებელს ერთი ზომით დიდი ფეხსაცმელი ეცვას, რათა ფეხსაცმლის სივიწროვემ არ შეაწუხოს იგი და ამ მომენტმა მოსწავლის ცოდნის ობიექტურ შეფასებაში სუბიექტური მომენტი არ შეიტანოს, არადა, ქალბატონო, რა რთული პროგრამა აქვთ ჩვენს ბავშვებს, განსაკუთრებით გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიის შესწავლისას. მოგეხსენებათ, ჩვენ საბერძნეთის ინსტიტუტთან მჭიდრო კონტაქტებში შევიმუშავეთ ახალი პროგრამა, რომლსი მიხედვითაც, რაც უფრო უცნობია მასალის პერსონაჟის სიტორია, მით მეტია ინტერესი გაკვეთილისადმი. შეთანხმების საფუძველზე სასკოლო პროგრამიდან ამოიღეს შვიდი ბერძენი ბრძენის ცნობილი ბიოგრაფიები დამ ის მაგივრად შეიტანეს სამასი უცნობი სპარტელის ბიოგრაფიები, შესაბამისად ამოვიღეთ ჩვენი ერის სახელოვანი შვილების ბიოგრაფიები და შევიტანეთ სამსმი უსახელო გმირის ჩვენთვისაც კი უცნობი ბიოგრაფია.

თქვენი მეუღლე ცნობილი და სახელოვანი მოღვაწეების პლეადას ეკუთვნოდა და მისი ბიოგრაფია სასკოლო პროგრამის გარეშეც სავალდებულოა სამშობლოს ყველა მოქალქისათვის. პირადად მეც რამდენი რამე ვიცი ზეპირად თქვენი ქმრის ცხოვრებიდან. მაგალითად ძალიან გამეხარდა, როდესაც ამ წიგნში აღმოვაჩინე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომლის შესახებ ჯერ კიდევ ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლისას მიყვებოდნენ, რომ 1871 წლის 25 აგვისტოს და არა 26-ში, აქამდე რომ ეგონათ, თქვენმა მეუღლემ საკუთარი ქუსლიდან გამოაძრო ტრიფოლიატის ეკალი, რაც ჯერ კიდევ ანტიკურმა ხელოვნებამ ინინასწარმეტყველა ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში შექმნილ ქანდაკებაში, რომელიც ამჟამად ბრიტანეთის მუზეუმში ინახება.

მაგრამ მთავარი ნიშანსვეტი, ორიენტირი, რომელიც ჩვენს ერს უნდა გამოადგეს ძნეობრივი მაქსიმალიზმის გზაზე, არის მისი უღალატო სიყვარული და ქორწინება ისეთ ქალძე, რომელიც დაჯილდოებულია ყველა ადამიანური ღირსებით — კლეოპატრას ვნებითა და პენელ-

ობეს ერთგულებით.

მე იმედი მაქვს, რომ ამ ზნეობრივ თემას საკადრისი ადგილი ეთმობა (ხელს დაადებს წიგნს. ფსევდონოეს ცოლი, რომელიც აქამდე პირდაღებული უსმენდა, გამოერკვა და ბედნიერებით ლუღლუღებს).

ფსევდონოეს ცოლი: ჩვენი ქორწინების ისტორია მისი ბიოგრაფიის მე-2 ტომშია მოთხრობილი.

ნოე VII: როგორ, თქვენ, თქვენ ის არა გაქვთ დაწერილი?!

ფსევდონოეს ცოლი: როგორ არა, როგორ არა, ორივე ერთად ვერ დავძარაი, ახლავე იმასაც მოგართმევთ (ფსევდონოეს ცოლი შევარდება გლობუსში).

ნოე VIII კარს მიუკეტავს და ხელებგაშლილი აეკვრება.

სურათი მეშვიდე

სამხედრო სამინისტრო. სცენა წარმოადგენს სამხედრო მისნისტრის ცაბინეტს. მინისტრიეს სავარძელს უკან ჩამოკიდებულია სურათზე გამოსახული ცხენზე ამხედრებული ნოე I, რომლეის გარშემოც მტრის გვამების მთებია დამდგარი, მოპირაპირე კედელზე საფრანგეთის უზამრმაზარი რუკა, მასზე პატარა დროშებია დარჭობილი.

ნოე VI: მე თქვნი მესმის, მაგრამ ის არ მესმის, თუმცა მესმის... თქვენზე რომ არავის დაურეკავს!

გიორგი: მე კადრის ოფიცერი ვარ! და გთხოვთ, გამიშვათ ფრონტის იმ უბანზე, სადაც სამშობლოს, სადაც სამშობლოს განსაკუთრებით უჭირს!

ტელეფონი რეკავს, ნოე VI პასუხობს:

ნოე VI: მესმის, მესმის, ძალზე სასიამოვნოა, გილოცვათ 5კმ ჩრდილო-დასავლეთი ფრონტის გადაწევას (მერე მიდის რუკასთან და დროშებს გადაადგილებს).

გიორგი: უკაცრავად, მაგრამ ეს ხომ საფრანგეთის რუკაა?

ნოე VI: მე სამხედრო აცადემია საფრანგეთში მაქვს დამთავრებული, ქ.შარტაში და ბუნებრივია, საფრანგეთის რუკას უფრო შეჩვეული ვარ, ვიდრე სამშობლოსას.

გიორგი: მე იმას მოგახსენებდით, სადაც უფრო უჭირს სამშობლოს, მაგალითად სამხრეთის ფრონტზე...

ნოე VI: რატომ გინდათ სამხრეთის ფრონტზე წასვლა?!

გიორგი: რომ გავიმარჯვოთ.

ნოე VI: თუმცა თქვენს შესახებ არავის დაურეკავს (ჩაახველებს, საფრანგეთის რუკას მიაპყრობს ყურადღებას); მე მაინც მჯერა თქვენი შესაძლებლობებისა და ამიტომ ვერ გაგიშვებთ სამხრეთის ფრონტზე! ჩვენს სამხრეთის ფრონტზე დაგეგმილი გვაქვს დროებითი წარუმატებლობა, რაც ჩვენი გლობალური სტრატეგიის ტაქტიკური ნაწილია. თქვენი ჩასვლითა და თქვენი გეგმების განხორციელებით, სავსებით შესაძლებელია, რომ სერიოზულ წარმატებებს მიაღწიოთ, რაც ჩვენს და ჩვენს მოწინააღმდეგეს დაგეგმილი არა გვაქვს.

გიორგი: მაშ იქ გამომიყენეთ, სადაც წარმატება გაქვთ დაგეგმილი!

ნოე VI: ძალიან ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ამ ეტაპზე არც ერთ ფრონტზე არ გვაქვს დაგეგმილი წარმატება.

(რეკასვ ტელეფონი) მაშ თქვენ ამბობთ, რომ ჩვენმა სამხრეთ-დასავლეთის არმიამ გენერალ ბაღვაშის მეთაურობით გაანადგურა მოწინააღმდეგის რიცხობრივად ჭარბი არმია? ძალიან კარგი, ვბრძანებ: გენერალ ბაღვაშს გამოეცხადოს ზეპირი მადლობა და გათავისუფლებულ იქნეს სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის მთავარსარდლის თანამდებობიდან და ამ თანამდებობაზე დაინიშნოს გენერალი ოდიშარია! მასვე გადაეცეს მეფე დავითის ორდენი!

იღება კაბინეტის კარი და შემოდის წითელი მანტიით შემოსილი კარდინალი.

კარდინალი: გავიგე, ჩემმა ლოცვებმა ნაყოფი გამოიღო და კურთხეულმა ჩვენმა არმიამ გამარჯვებებს მიღწია. არსრულდა ოცნება ჩვენი! მტერი გავრეკეთ ჩვენი საქრისტიანოს საზღვრებიდან.

ნოე VI: კი მაგრამ, თქვენი უწმინდესობავ! ჩვენი არმიის გაამრჯვება საიდუმლო ხაზით შემატყობინეს, სულ ორმა კაცმა ვიცოდით, თქვენ საიდან გაიგეთ?

კარდინალი: შვილო ჩემო, თქვენ შტაბი, შტაბი გაწვდით საიდუმლოს, მე კი — თვით უფალი!

ნოე VI: ღმერთი ღმერთია! თუმცა საეჭვოა.. შეიძლება, სამხედრო საიდუმლოების გაჟონვას ჰქონდეს ადგილი!

კარდინალი: ახლა ადგილი... ქრისტესმიერო ძმაო და შვილო! ყველაფერს აქვს პატიოსნებისა და ღვთის შიშის გარდა! აკი წინა კვირას მოაგხსენებთ, კათოლიკური ეკლესიის მრევლი ისედაც მცირეა და ამ ომის პირობებში სულ დავკარგავთ სარგებელ-შემოსავალი. ეკლესიის სალარო იმდენად გაღარიბდა, რომ რომში ვერ ჩავსულვარ ჭმინდა პეტრეს საფლავის მოსალოცვად.

ნოე VI: თქვენო უწმინდესობავ, წინა კვირას აგიხსენით, რომ ამ ომში ღვთის ხელი არ ურევია და ფინანსთა სამინისტრო თქვენი ეკლესიის დაფინანსებაზე უარს აცხადებს.

კარდინალი: მაშ, ღვთის ხელი არ ურევია! ღვთის ხელი არ იყო, რომ საწვავის უქონლობის გამო პაპის ქვეყნიდან მაჰმადიანთა ქვეყნის გავლით შალითაში გახვეული 56 თვითმფრინავი ჯვარცმის მაკეტებად რომ გავასაღეთ და ისე ჩამოვიტანეთ?!

ნოე VI: თქვენი უწმინდესობავ, ღვთის ხელის ამაგს კი არ დაგიკარგავთ, მაგრამ რაღაც უნდა მოვიფიქროთ, რომ დაფინანსება სწორი გზით წავმართოთ (ბოლთას სცემს. რეკავს ტელეფონი). როგორ? მოწინააღმდეგეებს მაშველი ჯარი მოუვიდათ, ჩვენი არმია უკან იხევს? ვბრძანებ: გათავისუფლდეს გენერალი ოდიშარია დამ ის ადგილზე დაინიშნოს გენერალი ბაღვაში! (ჰკიდებს ყურმილს)! თქვენო უწმინდესობავ, თქვენი ეკლესია ვისი სახელობისაა?

კარდინალი: ვარდისუბნის წმინდა გიორგისა.

ნოე VI (ღილაკს აჭერს, შემოდის მდივანი): ბრძანება: დედაქალაქის ვარდისუბნის კათოლიკური ეკლესიის მფარველი წმინდა გიორგის მიენიჭოს სამშობლოს არმიის პოლკოვნიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინი და დაენიშნოს შესაბამისი ხელფასი!

კარდინალი: სულიწმინდის მადლმა, ჩვენი წმინდა გიორგი სწორედ რომ გენერლობას იმსახურებს.

ნოე VI: ეგ მომავლის საქმეა. აი, ღვთის ხელი ჯავშნოსან მანქანებსაც თუ ჩამოგვატანინებს, გენერლობაზე მერე ვილაპრაკოთ!

იღება კაბინეტის კარი და შემოდის ფსევდონოეს ცოლი, რომელსაც გულზე ჰკიდია ფსევდონოეს პორტრეტი, ზურგზე კი აწერია ლოზუნგი: „ავუგოთ ხელთუქმნელი ძეგლი სამშობლოს სიყვარულით ხელთქმნილ გმირებს!“.

კარდინალი: განვედ სატანა! (მიუბრუნდება გიორგის) აი,ამ ქალმა რომის პაპასთან სამჯერ მიჩივლა ჩემს ქმარს წმინდანად არ რაცხავსო!

ფსევდონოეს ცოლი: ვაი ერს, რომელსაც არ ძალუძს თავისი ღირსეული შვილის დაფასება. ჩემი ქმარი თექვსმეტწლიანი ემიგრაციის განმავლობაში თავისი გამორჩეული თვისებებითა და ნიჭიერებით ცდილობდა იქ — ჩემს ქვეყანაში არავის მოხვედროდა თვალში, რათა აქ ჩამოსულიყო და სამშობლოსათვის მოეხმარა თავისი ნიჭი, მის სამსახურში დაელია სული. ჩამოვიდა კიდეც და ის გახდა მსხვერპლი თქვენი თავისუფლებისა და რა მიიღო ამის სანაცვლოდ? ქალაქის მერმა უარი მითხრა რომელიმე მოედანზე ჩემი ქმრის ძეგლის დადგმაზე, მინათმოქმედების მინისტრმა ნოე მეოთხემ უარი მითხრა, ჩემი ქმრის მშობლიური სოფლისათვის მისი სახელი დაერქმიათ, განათლების მინისტრმა ნოე მეშვიდემ უარი მითხრა საშუალო სკოლის პროგრამაში შეეტანათ ჩემი ქმრის ბიოგრაფია! ხოლო ნოე მეოთხემ, ამჯერად როგორც კულტურის მინისტრმა, უარი მითხრა მისი სახელობის სამშობლოს გათავისუფლების მუზეუმის შექმნაზე...

ნოე VI: ოოო, ქალბატონო, თქვენ თავიდანვე ჩვენთან უნდა მოსულიყავით (რეკავს ტელეფონი). უკაცრავად! აა, სამშობლოს არმიამ გენერალ ბაღვაშის მთავარსარდლობით ალყაში მოაქცია და გაანადგურა მოწინააღმდეგის მაშველი ჯარიც? მშვენიერია, დაუჯერებელია! მაშინ ვბრძანებ: გენერალ ბაღვაშს გამოეცხადოს ზეპირი მადლობა და გათავისუფლებულ იქნეს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარსარდლის თანამდებობიდან და ამ თანამდებობაზე დაინისნოს გენერალი ოდიშარია! მასვე გადაეცეს მეფე ვახტანგის ორდენი!

ფსევდონოეს ცოლი: თუ ასე გაგრძელდა, იძულებული ვიქნები, ჩემი ქვეყნის მთავრობას მოვუთხრო ჩემი გასაჭირი და ვთხოვო დახმარება.

ნოე VI: უკაცრავად, ქალბატონო, თქვენ რომელი ქვეყნის ქვეშევრდომი ბრძანდებით/

ფსევდონოეს ცოლი: დედოფლის ერთა თანამეგობრობის!

გიორგი: ბაღვაში ჭეშმარიტად დაუმარცხებელი გენერალია!

ნოე VI: სამწუხაროდ ასეა.

გიორგი: რატომ სამწუხაროდ?

ნოე VI: იგი სხვა პარტიის წევრია და ჩვენ, მისთვის გამარჯვებული არმიის ნდობა არ შეგვიძლია!

ფსევდონოეს ცოლი: თქვენ ბრძანეთ, თავიდანვე ჩვენთან უნდა მოსულიყავიო, ბოლოს და ბოლოს ხომ მოვაღწიე თქვენამდე!

ნოე VI: დიახ, თქვენი მეუღლე ჭეშმარიტად დიდი პატრიოტი იყო და მის ღვაწლს სამშობლო არ დაივიწყებს! მაპატიეთ, მისი სახელი?

ფსევდონოეს ცოლი: ჯოზეფ შეწირული!

ნოე VI: ზეგ ჩვენ საზეიმოდ ჩავუშვებთ ზღვაში ახალ კრეისერს, რომელსაც მამულისათვის შეწირული ჯოზეფ შეწირულის სახელი მიენიჭა.

ფსევდონოეს ცოლი: ისე, კაცმა რომ თქვას, ჩემი ქმრის სახელის მინიჭება თვითმფირანვისათვის უფრო უპრიანი იქნებოდა, რაც არ უნდა იყოს, მაინც ჰაერში დაიკარგა.

ნოე VI: საზეიმო ცერემონიალზე თქვენ საპატიო სტუმრად იქნებით მოწვეული, თანამეგობრობის სამხედრო ატეშასთან ერთად!

ბედნიერებისგან ატირებული ფსევდონოეს ცოლი კაბინეტიდან გარბის.

კარდინალი: ბატონო მინისტრო, სამშობლოს წინაშე ჯოზეფ შეწირულს რა დამსახურება აქვს, რომ ამხელა პატივი დასდეთ?

ნოე VI: მისი სახელი პირველად გავიგე. მიუძღვის თუ არა დამსახურება განწირულს, ახლა ეს არ არის მთავარი, მთავარი დიდი სახელმწიფო წარმომადგენელთან ურთიერთობა არ გაგვემწვავებინა, ხოლო, რაც შეეხება კრეისერს, იგი პირველივე ბრძოლაში ჩაიძირება, ასეა გათვალისწინებული სტრატეგიული გეგმით! (რეკავს ტელეფონი, ყურმილს იღებს ნოე VI) რაა? ჩვენი მოწინააღმდეგის მოკავშირეებმა დესანტი გადმოსხეს სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე? ჩვენი ჯარები ტოვებენ დაკავებულ პოზიციებს? ვბრძანებ...

გიორგი ხელს ჩაიქნევს, ტოვებს ცაბინეტს.

გაგრძელება იქნება

ნელი ჩიღვარია

„ხვაჭი ხვაჭანტირაძის“ 70-იანი წლების ინტერპრეტაცია

გასული საუკუნის 70-იანი წლები და შემდგომი ოცწლიანი პერიოდი ქართული აუდიოვიზუალური ხელოვნების აყვავების ხანადაც შეიძლება მივიჩნიოთ. თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე ამ პერიოდს შემდეგნაირად ახასიათებს: „70-იანი წლები აგრძელებს მიღწეულს, აკრისტალებს ფორმებს, ეძებს ახალ საშუალებებს, ფართო სოციალურ-პოლიტიკურ პლატფორმას. მოდის ახალი ნაკადები მსახიობთა, რეჟისორთა, სცენოგრაფისტთა, დრამატურგთა. სრულიად ახლებურ წაკითხვას პოულობს კლასიკა, იწყება 70-იანი წლების დიდი თეატრალური ცხოვრება...”

70-იან წლებში დაწყებულ დიდ თეატრალურ ცხოვრებასთან ერთად ტელეხელოვნების განვითარებაც იწყება. ქართულ სატელევიზიო სივრცეშიც, კერძოდ სატელევიზიო ფილმების სტუდიასა და სატელევიზიო თეატრში ჩნდება უაღრესად მნიშვნელოვანი დადგმები, რომლებიც მკვეთრი მოქალაქეობრივი პოზიციითა და ახალი გამომსახველობითი საშუალებების ძიებით გამოირჩევა.

ამ პერიოდის აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში ავტორთა პოზიცია უპირატესად სათქმელის ალეგორიული ფორმით გადმოცემის, მეტაფორული აზროვნების და ნიშან-სიმბოლოთა ცვალებადობით გამოიხატება: 70-იანი წლების საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად წოდებული კოლონიაა, მოაზროვნე რეჟისორების უმთავრესი სატკივარიც და სათქმელიც კოლონიური რეჟიმისგან განთავისუფლება, მიზანი კი საზოგადოების გამოფხიზლებაა. თეატრისა და კინოს აუდიტორია იმჟამინდელი საზოგადოების დიდ ნაწილს წარმოადგენდა — განათლების კრიტერიუმად ისიც მოიაზრებოდა, თუ რამდენად იყო გათვითცნობიერებული პიროვნება თეატრალურ და კინოპროცესებში. აუდიტორია ისეთივე პრობლემებით ცხოვრობდა, როგორითაც საქართველოს ხელოვანები — დაპყრობილი ერის შვილების პრობლემებით. 70-იანი წლების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც კლასიკოსი მწერლის ნაწარმოების ინტერპრეტაციით ამართლებდნენ: დაზგურ ფერწერასა თუ გრაფიკულ ნამუშევრებში ასახული მხატვრის მსოფლმხედველობაც და სტილისტიკაც ყველასთვის თვალნათლივ იკითხებოდა. ცხადია, ეს გარემოება ზღუდავდა ცენზურის წნეხის ქვეშ მყოფ სახვითი ხელოვნების წარმომადგენლებს, რომელთაც ავალდებულებდნენ სოციალისტური რეალიზმის პრინციპებით ეხელმძღვანელათ თავიანთ შემოქმედებაში. საგამოფენო დარბაზებში ძირითადად სქელ ფეხებზე მყარად მდგარი კოლმეურნე ქალებისა და მუშების პორტრეტები იფინებოდა. პრიორიტეტი რეალისტურ მანერაში შესრულებულ ინდუსტრიულ პეიზაჟებსაც ენიჭებოდა. მხატვრები, რომელთა შემოქმედებაც სოციალისტური რეალიზმის ჩარჩოში ვერ თავსდებოდა, თავშესაფარს სცენოგრაფიაში პოულობდნენ. სასცენო სივრცის კოლოფი სცენოგრაფისთვის დიდი და მრავალპლასტიანი გარემო იყო, სადაც სხვადასხვა თანამედროვე მიმდინარეობის სტილში შექმნილი დეკორაციითაც კი შეიძლებოდა სამოქმედო არეალის წარმოსახვა. მხატვარს, ერთი მხრივ, თვითგამოხატვის საშუალება ეძლეოდა და, მეორე მხრივ, სპექტაკლის მაყურებელი მხატვრის შემოქმედების თანაზიარი ხდებოდა. ეს ვითარება იზიდავდა ნიჭიერ მხატვრებს თეატრში. მეორე მხრივ, სათეატრო ხელოვნებაც უცილობლად მდიდრდებოდა ნიჭიერი მხატვრების შემოქმედებით და თანამედროვე გამომსახველობითი საშუალებებით. თეატრალებისა და მხატვრების სინთეზში მარადიული ღირებულებების შემცველი კლასიკური ლიტერატურა მეოცე საუკუნის დასასრულის შესატყვის ინტერპრეტაციაში ახალ სიცოცხლეს იწყებდა და ზნეობრივი მუდმივების ფონზე მხატვრული ფორმის სიახლითაც იპყრობდა მაყურებელთა გულებს.

საბჭოთა კავშირში დიადი კომუნიზმისკენ

ლენინის იდეოლოგიით და ვადამდე შესრულებული ხუთწლედებით მიემართებოდნენ. საკავშირო აუდიოვიზუალური ხელოვნება იდეოლოგიის ნაწილი გახლდათ — იმ პერიოდის ხელმძღვანელობისთვის იდეალურ აუდიოვიზუალური ხელოვნების ნიმუშად კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრებისთვის დადგმული წარმოდგენა მოიაზრებოდა. ხელოვნების ნიმუშის იდეურ გამართულობას მთავლიტი — ოფიციალური ცენზორი კურირებდა.

70-იანი წლები და შემდგომი ოცდაათწლიანი პერიოდის ქართული სინამდვილე ტრაგიკულად უკავშირდება საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერის ოდიოზურ ფიგურას. მისი მოღვაწეობის ბოლო ათწლეული ქართული აუდიოვიზუალური ხელოვნების კრიზისს უკავშირდება — ზარბაზნების ქუხილის ქვეშ, ჩაბნელებულ ქვეყანაში მუზებიც დაადუმეს. თავის დროზე ედუარდ შევარდნაძის პარტიული კარიერის აღმასვლას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კინორეჟისორ რეზო ჩხეიძის მიერ საკავშირო კომუნისტურ ხელმძღვანელობასთან კულუარებში ნათქვამმა კომპლიმენტმა — „ჯარისკაცის მამის“ გადაღების დროს შევარდნაძე, კომუნისტური პარტიის ახალგაზრდა ფუნქციონერი, თბილისის ერთ-ერთ რაიონს ხელმძღვანელობდა. ამ რაიონში იყო განლაგებული კინოსტუდია „ქართული ფილმი“, სადაც „ჯარისკაცის მამა“ შეიქმნა. შევარდნაძე ყოველმხრივ უწყობდა ხელს დიდ სამამულო ომზე პატრიოტული ფილმის გადაღებას. ეს მის, როგორც ოფიციალური იდეოლოგიის მსახურის, მოვალეობაშიც შედიოდა. საბჭოთა კავშირში პატრიოტული ფილმებს ომის თემაზე მრავლად იღებდნენ, მაგრამ „ჯარისკაცის მამა“ არ იყო რიგითი ფილმი. ის ნამდვილი ხელოვნების ნიმუში აღმოჩნდა, რომელმაც დიდი აღიარება მოუტანა როგორც ქართულ, ასევე საკავშირო კინემატოგრაფს. ამ ფაქტმა შევარდნაძე დაარწმუნა ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუშის ძალაში და საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივნის პოსტზე ყოფნისას იგი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ყველაზე პოპულარული ხელოვნების — აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარებას. ავტორთა მოქალაქეობრივი პოზიცია, რომელიც სპექტაკლებსა თუ ფილმებში გამოსჭვიოდა, უპირატესად უკვე აღიარებული და მრავალგზის ცენზურაგავლილი კლასიკის იგავურ-მეტაფორული ფორმით დადგმაში ისახებოდა. ეს გარემოება, ერთი მხრივ, მთავლიტისა და სხვა ნომენკლატურის მიერ აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში ასახული პრობლემის „ვერშემჩნევას“, თანამედროვეობასთან კავშირის არქონად და სპექტაკლისა თუ ფილმის ავტორთა პოზიციის კლასიკოსი მწერლის პოზიციის „წაკითხვად“ საღდებოდა. ცენზურა, ხშირ შემთხვევაში, „ვერ ავლებდა“ პარალელებს უარყოფით კლასიკურ პერსონაჟებსა და თანადროულ ნომენკლატურას შორის. ამის შემჩნევა და შემდგომ გახმაურება უხერხულ მდგომარეობაშიც ჩააყენებდა ცენზორს. სირაქლემის პოზიციაში ყოფნა, ხშირ შემთხვევაში, მომგებიანიც იყო. ამ მიზეზთა გამოც 70-იან წლებში სათეატრო და კინოხელოვნების განვითარებისთვის ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა. საბჭოთა კავშირის თეატრებსა და კინემატოგრაფში აქტიურად იკრძალებოდა თავისუფალი აზრის გამოხატვის მცდელობები.

974 წელს თბილისის ორ აკადემიურ თეატრში ორი არქეტიპი ცოცხლდება.

22 თებერვალს რუსთაველის თეატრმა ახალი სპექტაკლი წარმოადგინა: რობერტ სტურუას დადგმული „ყვარყვარე“ — პოლიკარპე კაკაბაძის პიესის თავისუფალი ინტერპრეტაცია. ეს სპექტაკლი ახალი თეატრალური ესთეტიკის დამკვიდრების დასაწყისი იყო. საქართველოს თეატრალურ აზროვნებაში დამკვიდრებას იწყებს პოლიტიკური თეატრის მოდელი. სათეატრო აზროვნება საზოგადოების უმნიშვნელოვანესი პრობლემის პირობითი ფორმით გადმოცემის ახალ ნიშან-სისტემას სთავაზობს მაყურებელს. ქართული სცენა ახალი ფორმით იტვირთებს ტრიბუნის ფუნქციას.

2 ნოემბერს მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე პრემიერა გაიმართა: მიხეილ ჯავახიშვილი, „კვაჭი კვაჭანტირაძე“, პიესა სამ მოქმედებად, ინსცენირებული კოტე მახარაძის მიერ — გვამცნობდა თეატრის აფიშა. სპექტაკლი დადგა დიმიტრი ალექსიძემ — იგი ამ პერიოდისთვის აღიარებული რეჟისორი, საქართველოსა და უკრაინის სახალხო არტისტი გახლდათ. თანადამდგმელი რეჟისორი ნუგზარ გაჩავა იყო.

1974 წელს თბილისში, მტკვრის გაღმა-გამოღმა ყვარყვარე და კვაჭი სცენურ ცხოვრებას იწყებენ. პოლიტიკურ ასპარეზზე ორივე პერსონაჟის ცხოვრებისეული პრინციპების გამტარებელი ადეპტის კარიერაა დაწყებული. რა იყო ეს? დამთხვევა? თუ დიდი ხელოვანების სცენაზე განხორციელებული წინასწარმეტყველური გაფრთხილება?

მიხეილ ჯავახიშვილმა „კვაჭი კვაჭანტირაძე“, თავისი პირველი რომანი, 1924 წელს დაწერა. ამ რომანით ჯავახიშვილი თხუთმეტწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა მწერლობას. მთავარ გმირს, კვაჭის, რეალური პროტოტიპები ჰყავდა. ერთ-ერთ მათგანს, ვინმე მეგრელიშვილს, თავად მწერლის მოტყუება და მისი ფულის თაღლითურად მითვისებაც მოუხერხებია. რომანის მოქმედ პირებად გამოყვანილნი არიან საუკუნის დასაწყისის რეალური ისტორიული პირებიც. რომანის ერთ-ერთ ეპიზოდს საფუძვლად დაედო შემთხვევა თავად ჯავახიშვილის ბიოგრაფიიდან, როდესაც იგი, ჟანდარმერიის მიერ ურჩთა სიაში შეყვანილი, სხვისი პასპორტით გადადიოდა საზღვარზე . „კვაჭი კვაჭანტირაძე“ დიდი მოცულობის რომანია — 1960 წლის გამოცემაში 412 გვერდია. ავანტიურისტული რომანის ჟანრის ნაწარმოების ეპიზოდები უაღრესად ქმედითია. სიუჟეტი ძალზე სხარტად ვითარდება. რომანში მეტად საინტერესო პერსონაჟთა გალერეაა შექმნილი — ყველა ეს ნიშან-თვისებები რომანს აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში განსახორციელებელ შესანიშნავ ლიტერატურულ პირველწყაროდ აქცევს. დავით კასრაძესთან საუბარში მიხეილ ჯავახიშვილი თავის პერსონაჟზე აღნიშნავდა, „კვაჭი“ იმდენად პოპულარული გახდა, რომ „კვაჭობა“, „გაკვაჭება“ უკვე გაქნილი ადამიანის სახელად

გადაიქცა." თავად მიხეილ ჯავახიშვილის რომანის ბოლოს წინა თავში არის მცირე ეპიზოდი:

„იმ დედაბერმა კვაჭი კარგად გაშინჯა, გამოსცადა და ერთხელ უთხრა: — ქალაქში ძალიან ბევრი უშვილო ქალია. ქმრები ჰყავთ, მაგრამ... გესმით? ესმის კვაჭის, როგორ არ ესმის! კვაჭმა უნდა უშვილო ცოლ-ქმარს უშველოს განა! კეთილი და პატიოსანი, ფასი? — მოვრიგდებით. ოღონდ არასოდეს არ უნდა აჰხადოთ მუშტარს ნიღაბი. კეთილი, კვაჭი ამ პირობასაც მიიღებს. მიიღო და ასრულებს კიდევაც, პირნათლად ასრულებს და დღითი-დღე სცხოვრობს." ეს ეპიზოდი არასოდეს დაუდგამთ „კვაჭი კვაჭანტირაძის" მიხედვით შექმნილ არც ერთ სპექტაკლში. ასევე არც ერთ გასცენიურებულ ვერსიაში არ წარმოუდგენიათ რომანის ფინალური ეპიზოდი, კვაჭობის სრული დეგრადაცია, როდესაც კვაჭი ლიზა-ხანუმის ქმრის სტატუსით ცხოვრობს მის საროსკიპოში და, ფაქტობრივად, თავად ყიდის სხეულს. მაგრამ კოტე მახარაძის გასცენიურებული ვერსია, ისევე როგორც ყველა სხვა ვერსია, რომელთაც წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ, უცილობლად შეიცავს ჯავახიშვილის გამაფრთხილებელი, წინასწარმეტყველური პასაჟის კონცეფციას — კვაჭის შთამომავალი პატარა კვაჭების გამრავლებისა და კვაჭობის, როგორც მოვლენის, განმეორებადობის მოტივს. მიხეილ ჯავახიშვილის დროსაც და შემდგომაც საზოგადოება ცდილობს, არ მოახდინოს ამ პერსონაჟთან საკუთარი წევრების იდენტიფიკაცია. აი, რას წერდა მიხეილ ჯავახიშვილი უბის წიგნაკში: „მეუბნებიან, ჩვენ კვაჭები აღარ გვყავს. ეს მართალია, რადგან უდაბნოში კვაჭს რა უნდა! სამაგიეროდ თუმნიანი კვაჭიკო ათიათასობით მოიპოვება. დიდი კვაჭები სულ სხვა ბანაკში უნდა ვეძებოთ (პოლიტკვაჭები)."

მარჯანიშვილის თეატრის წარმოდგენა იმთავითვე გახდა როგორც მაყურებლის, ასევე კრიტიკოსების აღიარების ობიექტი. მაყურებელი დარბაზს წლების განმავლობაში ავსებდა, პრესაშიც მრავალი რეცენზია დაიბეჭდა. საგულისხმოა, რომ ზოგიერთ სტატიაში კვაჭობის მხილებას „მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის" სტატუსით განიხილავდნენ. „მავნე გადმონაშთებად" 70-იანი წლების პრესა რეპრესირებულ პიროვნებებს ნათლავდა. შესაძლოა, რომ მაშინდელ ავტორებს მართლაც სჯეროდათ „ნათელი კომუნისტური იდეალებისთვის". პოლიტკვაჭების განჭვრეტა და მხილება თანადროულ კრიტიკოსებს, ფაქტობრივად, არ ძალუძდათ.

ინსცენირების ავტორი მსახიობი კოტე მახარაძე გახლდათ. თეატრალები კოტე მახარაძეს იცნობდნენ როგორც უაღრესად განათლებულ, ინტელექტუალურ პიროვნებას. ის ყოველთვის მოიხსენიებოდა მცირერიცხოვან მოაზროვნე მსახიობთა შორის. კოტე მახარაძის გვიანდელი შემოქმედება „ერთი მსახიობის თეატრში", ლიტერატურული მასალის სასცენო ტექსტად ქცევა და მისი მაყურებლამდე მიტანა ყოველთვის მწერლის სამყაროში ღრმად ჩახედული შემოქმედის ნაღვაწი იყო. კოტე მახარაძის საავტორო თეატრის სათავეები მის შედარებით ადრეულ შემოქმედებაში, კერძოდ, მიხეილ ჯავახიშვილის რომანის გასცენურებაშიც უნდა ვეძებოთ.

მიხეილ ჯავახიშვილის ვრცელი რომანის სცენაზე სრულად გადატანა სამმოქმედებიან სპექტაკლში შეუძლებელი იყო. „რომანის ინსცენირება აუცილებლად იწვევს ნაწარმოებიდან რაღაცის ამოგდებას, ეპიზოდების კომბინირებული სახით წარმოდგენას, ეპოქისთვის დამახასიათებელი მოვლენების გასიმბოლოებას ან გამეტაფორებას, დროისა და სივრცის მინიმუმამდე შეკუმშვას და ამიტომ რომანი კი არ უნდა ვაჩვენოთ ან წავუკითხოთ მაყურებელს, არამედ ლიტერატურული ნაწარმოების განზოგადებული სახეები და განზოგადებული ყოფა უნდა დავუმორჩილოთ თეატრალური ყოფისა და თეატრალური პერსონაჟებისთვის დამახასიათებელ პირობითობას. რომანის ინსცენირება მოითხოვს მოქმედებისა და ტექსტის მონტაჟს, მაგრამ თეატრს თავისი სასცენო მეტყველების საშუალებებიც გააჩნია და ამ სამი ელემენტის ორგანულად შერწყმა უაღრესად მნიშვნელოვანია სპექტაკლის მაღალმხატვრულ ნაწარმოებად გადაქცევისათვის."

ასე აფასებდა კრიტიკოსი გივი მაღულარია მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლისადმი მიძღვნილ რეცენზიაში რომანის გასცენიურების სპეციფიკას. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა დადგმის მხატვრულ გაფორმებას. ძნელია არ დაეთანხმო კრიტიკოსს. ვრცელი რომანის ინტერპრეტაცია უცილობლად გამოიწვევდა ცვლილებებს. კოტე მახარაძის სასცენო ვერსიაში იკვეთებოდა ის გარემოე-

ბა, რომ ინსცენირებაში შერჩეული იყო აქტიორული სახის შექმნისთვის მომგებიანი ავანტიურისტული რომანის საკვანძო ეპიზოდები. სასცენო ვარიანტიდან ამოღებული იყო თავები, რომელთა განხორციელებაც შეუძლებელი იქნებოდა სცენათა მასობრიობის გამოც: ომი, რევოლუცია და ა.შ. შედეგად პერსონაჟთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. ხშირად რამდენიმე პერსონაჟი ერთ სახეში იყო გაერთიანებული. სპექტაკლის ეპიზოდები კვაჭის სამოქმედო ასპარეზს წარმოსახავდა და ინტრიგითა და მოულოდნელი სვლებით კვაჭის სახის შექმნისა და მისი მხილებისთვისაც მაქსიმალურ ინფორმაციას აწვდიდა მაყურებელს. ამავე დროს ინსცენირების ამოცანად, ფაქტობრივად, მხოლოდ კვაჭის მხილება იქცა და არა იმ დროის და ვითარებისა, რომელმაც კვაჭი შვა. დროისა და ვითარების ცვალებადობა კვაჭების მიერ სიტუაციის მორგებას იწვევს. ხშირ შემთხვევაში, თავად კვაჭები ქმნიან ვითარებას, რომელიც კონკრეტულ დროში ხდება განხორციელებადი.

მარჯანიშვილელთა სპექტაკლი საკმაოდ უცნაურად, მორგში იწყებოდა. საიდანაც ხდებოდა გარდაცვლილთა გამოხმობა. გორგოლაჭებიან საკაცეებზე ზეწარგადაფარებულნი იწვნენ კვაჭი და მისი მეგობრები. ეს უცნაური რეანიმაცია სათავგადასავლო რომანისთვის ატიპური უვერტიურით იმთავითვე ამჟღავნებდა ავტორთა სათქმელს: ეს პერსონაჟები, მათივე საქმეთა გამო, სიცოცხლეშივე იქცნენ გვამებად. ცოდვილი სულების გამოხმობით იწყებოდა მისტიკური ეპიზოდი. და მაინც, რომანის ჟანრის შესაბამისად, ჩახლართულ ინტრიგებში, ავანტიურისტული ეპიზოდების ფეიერვერკში იქმნებოდა უაღრესად ლაღი, მაღალი ტემპორიტმის ფეიერვერკული სანახაობა.

სპექტაკლის მხატვრული გაფორმების ავტორები — ოლეგ ქოჩაკიძე, იგორ ჩიკვაიძე და ალექსანდრე სლოვინსკი, ე.წ. "სამეული" განსხვავებული ხედვით სასცენო სივრცის მხატვრულ გადაწყვეტას რეჟისორულ ჩანაფიქრს უკავშირებდა. მხატვრების შექმნილი დეკორაცია მთლიანობაში სადა და კონკრეტული იყო, რომელიც იმავდროულად მთელი სპექტაკლის მანძილზე, მოქმედების ადგილის ცვალებადობის მრავალგვარობის მიუხედავად მუდმივად ინარჩუნებდა ეროვნულ ხასიათს. კონსტრუქცია მთლიანად ავსებდა სასცენო სივრცეს და მოქმედების მსვლელობის დროს უცვლელი იყო. მოქმედების მსვლელობის დროს ხდებოდა მნიშვნელოვანი საგნების გათამაშება. ეს საგნები ვითარების შესაბამისად სხვადასხვა დატვირთვას იძენდნენ.

ვინც თავად დიმიტრი ალექსიძეს იცნობდა, უცილობლად მიაკუთვნებდა მას ქართველ ხელოვანთა იმ მცირე რიცხვს, რომელნიც თავიანთ გარშემო საოცრად ლაღ და ფეიერვერკულ გარემოს უბრალო ყოფით სიტუაციაშიც კი ქმნიდნენ. მიხეილ ჯავახიშვილის მძაფრსიუჟეტიანი რომანი სწორედ ის მასალა აღმოჩნდა, რომელიც რეჟისორის ფანტაზიასა და მისი აზროვნების სტილს სრულად შეესაბამებოდა. ჯავახიშვილის პროზის შესატყვისი, რეჟისორების და მსახიობთა ერთობლივი, დინამიკური ქმედითი პარტიტურა სამეულის — ოლეგ ქოჩაკიძის, იგორ ჩიკვაიძისა და ალექსანდრე სლოვინსკის სცენოგრაფიაში უნდა გათამაშებულიყო.

ჯავახიშვილის რომანის ინტერპრეტაცია სცენაზე მხატვრებისგან უცილობლად ითხოვდა გარემოს, რომელიც უამრავ ეპიზოდს საერთო ვიზუალურ-კონცეპტუალური ნიშნით გაამთლიანებდა. ამგვარ ნიშნად მათთვის სპექტაკლში ფული იქცა — უამრავი ასიგნაცია, რომელნიც შპალერებად იყო გაკრული ქართული ტაძრის მრავალკუთხოვან შიდა კედლებზე. ჭეშმარიტად ამგვარ საზოგადოებაზე ითქმის: „კაცნი ცრუნი და ურწმუნონი, რომელნიცა ჰგმობენ ჭეშმარიტსა ღმერთსა და აქუთ თაყვანისსაცემელად და სალოცველად თვისად მამონაი, მთავრობად ერსა ჩვენსა ზედა მიტაცებად მართლმადიდებელთა ქართველთა." დეკორაციაში სპექტაკლის სათქმელი იკითხებოდა — ფულის კერპად ქცევა მამონას თაყვანისმცემლების სალოცავად აქცევდა მართლმადიდებლური ტაძრის შიდა სივრცეს.

მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე" უდიდესი იუმორითა და ავანტიურისტული რომანის ჟანრის ადეკვატური სტილისტიკით ხასიათდება. უაღრესად მსუბუქი თხრობის ფორმით მწერალს თანადროული საზოგადოების დიდი სატკივარი მოჰქონდა. სპექტაკლის ავტორთა ინტერპრეტაცია ერთდროულად მწერლის სათქმელის ერთგულებას, მის მაყურებლამდე მოტანასა და ამავდროულად მის მხატვრულ ტრანსფორმაციას აერთიანებდა. რეჟისორებისა და მხატვრების თანაშემოქმედებით შექმნილ სპექტაკლში ეს კონცეფცია ერთგვარად პლაკატური ფორმითაც მიეწოდებოდა მაყურებელს, რაც უფრო ნათლად ვლინდებოდა მოქმედი პირების, კოსტიუმებსა თუ გრიმში ასახულ უტრირებულ დეტალებში. ტულუზ-ლოტრეკის აფიშებზე დახატული ადამიანებივით, მათი ჭეშმარიტი არსი იკითხებოდა.

კვაჭი კვაჭანტირაძის კოსტიუმები ყოველ ეპიზოდში იცვლებოდა და პერსონაჟის სიტუაციის შესატყვისი დეტალებით იტვირთებოდა. გიმნაზისტის კეპი თეთრმა ჩოხა-ახალუხმა შეცვალა. ბანკის გაძარცვის ეპიზოდში განგსტერის შავ ტყავის კოსტიუმში, რუპორით ხელში, ფილმის გადაღების იმიტაციას გაითამაშებდა კოტე მახარაძის კვაჭი. მსახიობს საოცრად ელეგანტურად ჰქონდა მორგებული გრიმიც და კოსტიუმიც. წვრილი ულვაში და ორი ლოკონი შუბლზე, ყელზე ბაფთა... წარმატებული პროვინციელი ავანტიურისტის ხიბლი მსახიობის გრიმითა და კოსტიუმებითაც იქმნებოდა. კოტე მახარაძის კვაჭის მაღალ შეფასებას აძლევდნენ აღიარებული რუსი კრიტიკოსებიც — ცენტრის აზრს ხომ მაშინ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ნატალია საცი წერდა: „იგი ყველაფერში საინტერესოა — სიტყვებში, მოძრაობაში, პაუზებში. ძუნწია, მაგრამ გამომხატველია მახარაძის მიმიკა, იგი საოცრად პლასტიკურია. მაგრამ მისი უმთავრესი ძალაა თავისი გმირის მანერებით მოჯადოება და, ამავე დროს, დაუნდობელი გამოაშკარავება."

კვაჭის თანამოსაქმეებს ზურგებზე სახელები ეწერათ. ის კი არა და ჭიპის (შოთა გაბე-

ლაია) მკლავებზე ორი სიტყვაც ეწერა: დუდუკი და ქალები. ჭიპის ცხოვრებისეული კრედო ამ ორ სიტყვაში მჟღავნდებოდა. სპექტაკლში ჭიპი კვაჭის ამალის ყველაზე გაქნილ წევრად იქცა. წარმოდგენაში კვაჭის მეგობრები ერთგვარად შემცირებული მასშტაბის კვაჭებად მოიაზრებოდნენ. რომანში კვაჭის პავლოვი ძარცვავს, ინსცენირებაში კი ჭიპი ჭიპინტურაძე. ნიჭიერად შესრულებული შოთა გაბელაიას ჭიპი ჭიპინტურაძე სამეულის ინტერპრეტაციით შექმნილი კოსტიუმის წყალობითაც ყველაზე ნათლად გამოხატულ და პაროდირებულ კვაჭის მცირე ანალოგად იქცა. სწორედ თავის ანალოგს სპექტაკლში დაუნდობლად ახრჩობდა კარატეს ილეთებით აგონიაში მყოფი კვაჭი. კვაჭის მრავალეროვნული ბანდის წევრების სამოსში ეთნოგრაფიული ელემენტები აისახებოდა: ჯალილას (ვახტანგ თანდილაშვილი) ჭრელი ატლასის თავსაბურავი და ასეთივე ჭრელი ხალათი და პერანგი და სედრაქას (გივი ციცქიშვილი) სომხური სამოსელი. მხატვრები კოსტიუმების შექმნის პროცესში თბილისში მცხოვრები სხვადასხვა ერების წარმომადგენლების ეთნოგრაფიულ ელემენტებს იყენებდნენ და ამით სპექტაკლის კოლორიტსა და დინამიკას აძლიერებდნენ.

„სამეულის" მიერ შექმნილი სპექტაკლის კოსტიუმები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება განვიხილოთ — ისინი სხვადასხვაგვარი კონცეფციით იყო შექმნილი: ერთი მხრივ, კვაჭის ოჯახის წევრების ჩოხიანი სილიბისტროს (ტარიელ საყვარელიძე), ყაბალხიანი ხუხუს (დავით ქუთათელაძე) თავწაკრული პუპის (ნათელა მიქელაძე) და ა.შ. ეროვნული ტანსაცმელი იცვლებოდა XX საუკუნის დასაწყისის ევროპული მოდელებით სოფიოს, სოროკინისა თუ ვოლკოვას გარდერობში. ეს კოსტიუმები იმ ეპოქის მოდელებს ეხმიანებოდა და ამასთან ერთად პერსონაჟის ხასიათის აქცენტირებას ახდენდა. სპექტაკლის კოსტიუმების შექმნისას მხატვრები ერთგვარად ისტორიზმის პრინციპსაც იცავდნენ და მოქმედებიდან გამომდინარე სასცენო სივრცეში განლაგებულ დეკორაციული სისტემის ხაზოვან კონსტრუქციას და ფერადოვან გამას უქვემდებარებდნენ.

მარჯანიშვილის თეატრის მუზეუმში შემონახული ეპიზოდური როლებისთვის შექმნილი ესკიზები: ლურჯმუნდირიანი პოლიციის ინსპექტორი, ყელსახვევიანი სტუდენტი და ა.შ. ისევე საინტერესოა, როგორც მთავარი გმირების კოსტიუმები. ერთგვარად პაროდირებულად წარმოსახეს მხატვრებმა რებეკა იდელსონი. ღრმა დეკოლტე, ორი წყება მაქმანი, მრავლად ასხმული ჯაჭვები და გრძელი საყურეები: ეს დეტალები რებეკას ფრივოლური ცხოვრების გამოხატვის მხოლოდ დამატებაა. ძირითადი დეტალები კაბაზე მრავალგზის აღბეჭდილი ხელებია. თითქოს კაბას ყველა იმ მამაკაცის ანაბეჭდი შემორჩა, ვინც კი ოდესმე მასთან წოლილა. ინსცენირებაში რებეკასთან დაკავშირებულმა ეპიზოდებმა ტრანსფორმაცია განიცადეს: ოდესელ ებრაელ რებეკას (ლია პიტავა) კვაჭი ქუთაისში, ვოლკოვის ქვრივის ბინაში ხვდება. რებეკა ჩაანაცვლებს კვაჭის ულამაზეს ქართველ საყვარელს, ელენეს. სწორედ რებეკას გადაულოცავს სპექტაკლში კვაჭი გრიშკა რასპუტინს.

თენგიზ არჩვაძის რასპუტინი სპექტაკლის ერთ-ერთი გამორჩეული სახე იყო. რასპუტინის იერსახე უაღრესად მკვეთრი მონასმებით შეიქმნა: თმაგაბურძგნული, ანაფორით მოსილი ბერი სიბნელიდან ამოდიოდა და სამეულის შექმნილ კოსტიუმში უცნაურად ახოვანიც კი ჩანდა. რასპუტინი სპექტაკლში ეპიზოდური როლი იყო. ისტორიულად ცნობილი ოდიოზური პიროვნებაც რომ არ ყოფილიყო, მაინც ყველაზე მეტად სწორედ ეს სახე წაიკთხებოდა სპექტაკლში ფუნდამენტური ღირებულებების დევალვაციის სიმბოლოდ.

„სამეულის" მხატვრობაში ისახებოდა პერსონაჟების მიმართ დამოკიდებულების ვიზუალური ასპექტი. სცენოგრაფები პერსონაჟების ირონიზებასაც ახდენდნენ. კვაჭის ჰარამხანის ყველაზე საოცნებო და ძნელადმიღწეული ლედი ჰარვეის (მედეა ჯაფარიძე) უზარმაზარ ქუდს, რომელსაც გემის ფორმა ჰქონდა, კომიკური ელფერი შემოჰქონდა. ინსცენირებაში ლედი ჰარვეი რომანისეულ მადამ ლაპოშს ენაცვლებოდა. უზარმაზარი ყვავილების კალათა ლედი ჰარვეის ბუდუარად გადაიქცეოდა. მედეა ჯაფარიძეს ბრჭყვიალა კაბაზე სარტყელად ინგლისის დროშა ჰქონდა შემორტყმული... მედეა ჯაფარიძე პერსონაჟს ნაზი, რომანტიული შტრიხებით წარმოსახავდა. მხატვრების შექმნილ უტრირებულ, გროტესკულ დეტალებს ირონიზაციის გამოც გაუცხოების ეფექტი შემოჰქონდათ წარმოდგენაში. თუ მხატვრების მიერ შექმნილი დეკორაცია სადა და ადვილად აღსაქმელი იყო, თითოეული პერსონაჟის ჩაცმულობის მრავალრიცხოვანი ცვალებადობა მათ საშუალებას აძლევდა ყოველ ახალ ეპიზოდში მოქმედი პირის არსის გახსნა სახასიათო დეტალებით გაეძლიერებინათ.

მარჯანიშვილის თეატრის „კვაჭი კვაჭანტირაძე" მრავალმხრივ საინტერესო სპექტაკლი იყო: მოქალაქეობრივი პოზიციით, აქტიორული სახეებით, მუსიკალური გაფორმებით... თანადროული კრიტიკოსები სპექტაკლის ღირსებებთან ერთად კრიტიკულ შენიშვნებსაც გამოთქვამდნენ. მაგრამ ყველა რეცენზიაში მუსირებდა საერთო მოსაზრება: სპექტაკლი უდავოდ გამოირჩეოდა რეჟისორებისა და მხატვრების, თანაგაზრეობის იმ ხარისხით, რასაც შემოქმედებითი ტანდემიც შეიძლება ეწოდოს. სპექტაკლის მიზანსცენები "სამეულის" მიერ შექმნილი დეკორატიული საგნებით იქმნებოდა

ყოველი დეტალი, რომელნიც სასცენო სივრცეში იყო გამოყენებული, მრავალგზის იყო გათამაშებული სხვადასხვა ვითარებაში და ლიტერატურული ტექსტის ვიზუალური წაკითხვად და გათამაშებად გარდაიქმნებოდა.

დეკორაციის ძირითადი ქმედითი ნაწილი, რომელიც მრავალგვარ ტრანსფორმაციას განიცდიდა სპექტაკლის მსვლელობის დროს, გორგოლაჭებიანი საკაცეები იყო. სწორედ ამ საკაცეებიდან ხდებოდა კვაჭისა და მისი ამფსონების „მკვდრეთით აღდგომა". გრძელი საკაცეები რესტორნის მაგიდებად გადაიქცეოდა, სადაც კვაჭი თავაშვებულ ქეიფს აწყობდა.

იგივე საკაცეები ბანკის ჯიხურებად გარდაიქმნებოდა. საგორავებელზე იყო მოთავსებული სამფეხა შტატივზე დამაგრებული კინოკამერაც — ბანკის გაძარცვა კინოგადაღების იმიტირებით ხდებოდა. უაღრესად სხარტი და დინამიური სცენის ისედაც მაღალ ტემპორიტმს გორგოლაჭებიანი საგნების მოძრაობაც ამძაფრებდა. ერთ-ერთ ეპიზოდში ცისფერი ახალუხით მოსილი კვაჭის საკაციდან პორტალზე დათვის ტყავი ეშვებოდა. ამ დრაპირებით საკაცე ბუნაგის ნაწილად აღიქმებოდა და მისი პატრონის ქმედებების აქცენტირების ფუნქციასაც ითავსებდა.

სპექტაკლის ეპიზოდები გამომგონებლობით გამოირჩეოდა. ოღონდ ნამდვილად ჭირდა იმის გარჩევა, თუ ვისი შეთხზული იყო ესა თუ ის სცენა — მხატვრებისა თუ რეჟისორების. ავანსცენისკენ მიმართული უბრალო დასაკეცი კიბის თავი გემის ქიმის ასოციაციას იწვევდა. იმავე აღმართულ კიბეზე იერარქიის მიხედვით განლაგდებოდნენ ცილინდრიანი კვაჭი და ყელზე ბაფთაშებმული მონოკლიანი ბანდის წევრები. კიბე ამ ეპიზოდში კვაჭისა და ბანდის წევრების მიერ დაპყრობილი ეიფელის კოშკის სიმბოლოდ მოიაზრებოდა. უკიდურესი პირობითობით გათამაშებული ბუტაფორია მოქმედების გეოგრაფიულ არეალს წარმოსახავდა. ბუტაფორიული საგნები — მანეკენების ტორსები იქცნენ დიდგვაროვან კარისკაცებად ნიკოლოზ მეორის კარზე. შეპუდრულპარიკიანი ცერემონმაისტერი ასახელებდა სამეფო კარის წარჩინებულის ვინაობას და სცენაზე მუნდირით ან დიდგვაროვანი ქალის კაბით შემოსილი ტორსი შემოჰქონდათ. მუნდირებზე ორდენები და ბაფთიანი ჯვრები იყო მიმაგრებული. ისინი მუნდირის პატრონი მანეკენის დამსახურებებს აღნიშნავდნენ. უხელფეხო მანეკენების ფონზე მოსიარულე გვამებად აღიქმებოდნენ სიასამურის ბეწვის დარად მოხატული ქსოვილისგან შექმნილი მოსასხამებით შემოსილი მეფე-დედოფალი. უსიცოცხლო სამეფო კარი — ეს ეპიზოდი ამგვარად იკითხებოდა. მასთან საპირისპიროდ სცენაზე ლუვრის ექსპონატები გაცოცხლდნენ — მსახიობი ქალები ჩარჩოში მენატურეებსა და პორტრეტებს განასახიერებდნენ. ექსპონატები დამთვალიერებლებს — კვაჭისა და მის მეგობრებს უცინოდნენ, თითქოს ეპრანჭებოდნენ კიდეც. მუმიფიცირებული სამეფო კარის საპირისპიროდ ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუშები მარადიული სიცოცხლით დააჯილდოვეს სპექტაკლის ავტორებმა.

ყოველი მიზანსცენა, რომელსაც სპექტაკლში გაითამაშებდნენ, წარმოდგენის საერთო კონცეფციის ვიზუალურ წარმოსახვას ემსახურებოდა: კუბოში კვაჭის მორიგ მსხვერპლს ჩაასვენებდნენ. რომანისეული ვერა სიდოროვა ინსცენირებაში სოფიო შივაძით იყო შეცვლილი. მაღლა აწეული კუბოდან ასიგნაციები ცვიოდა. ერთი შეხედვით ფოკუსის ტიპის ეფექტზე გათვლილი სცენა ავტორთა სათქმელს გამოკვეთდა: მამონას მსახურები სიკვდილსაც ფულად აქცევდნენ.

უაღრესად ორიგინალურად იყო გადაწყვეტილი კვაჭის მიერ რუსულ „ტროიკაში" შებმული თანამეინახეების მხიარული ყიჟინით პეტერბურგში შეჭრა. „ტროიკა" სცენაზე მსახიობებით იქმნებოდა და თამაშდებოდა, მაგრამ სცენაზე აზრობრივად დატვირთული ვიზუალური კომპოზიცია თამაშდებოდა.

„ნაწარმოების აზრი მის სცენურ განსხეულებაში ზუსტად არის ამოტივტივებული და შინაგანად დასრულებული." ამგვარ შეფასებას აძლევდა მწერალი და კრიტიკოსი გიორგი ხუხაშვილი მარჯანიშვილელთა წარმოდგენას.

დიმიტრი ალექსიძის სპექტაკლში ერთმანეთში აღრეული იყო პაროდია, გროტესკი, ბუფონადა, საცირკო ელემენტებიც კი. და მაინც, მარჯანიშვილის თეატრის „კვაჭი კვაჭანტირაძე", მიხეილ ჯავახიშვილის დარად, ერის ჭირისუფლის დადგმული სპექტაკლი გახლდათ, სპექტაკლი, სადაც სატკივარი სხვადასხვა ჟანრის ელემენტებით შექმნილი მთლიანობით იკვრებოდა. სპექტაკლის ფინალში ბოლშევიკების შემოსვლით დაგრეხილ-დაშლილი კვაჭი და მისი ამხანაგები ისევ საკაცეებზე წვებოდნენ და ზეწრებს იფარებდნენ... მათი მორიგი რეანიმაცია დროის შესატყვისად იქნებოდა მოსალოდნელი.

მარჯანიშვილელთა წარმოდგენა ერთი რამითაც ჰგავდა რომანს — ის იმჟამინდელი საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მაყურებელი, რომელსაც შესაძლოა რომანი არც კი ჰქონდა წაკითხული, უკვე სპექტაკლის ხილვის შემდეგ ახდენდა კვაჭის ხელმეორედ გახალხურებას.

70-იან წლებში მარჯანიშვილის თეატრში დადგმული „კვაჭი კვაჭანტირაძე" პირველი წარმატებული სპექტაკლი იყო, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის პროზის მიხედვით შეიქმნა. კვაჭი კვაჭანტირაძის" ინტერპრეტაცია აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში რომანის დაწერიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ განხორციელდა... მარჯანიშვილის თეატრში რეჟისორებისა და მხატვრების მიერ ლიტერატურული ტექსტის ვიზუალური წაკითხვა და მსახიობთა თამაშსა და მუსიკალურ პარტიტურაშიც (კომპოზიტორი ვახტანგ კუხიანიძე) რომანის სასცენო აუდიოვიზუალურ ნაწარმოებად განსხეულება მოხდა. ეს სპექტაკლი ქართულ თეატრში პროზის ინტერპრეტაციის საუკეთესო ნიმუშთა შორისაა. XX საუკუნის დასასრულის თეატრში ჯავახიშვილის პროზის არაერთი ახლებური და სრულიად ორიგინალური ვერსია განხორციელდა. ჯავახიშვილის პროზის აუდიოვიზუალურ სასცენო ნაწარმოებად ქცევის ტენდენციას სწორედ მარჯანიშვილის თეატრის წარმოდგენამ ჩაუყარა საფუძველი.

ირაკლი გამრეკელი

სალომე ყიფიანი

ირაკლი გამრეკელი ექსპრესიონიზმიდან კონსტრუქტივიზმამდე

ირაკლი გამრეკელი ქართული საზოგადოებისთვის ცნობილია, როგორც თეატრის მხატვარი და ქართული სცენოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ვალერიან სიდამონ-ერისთავთან, დავით კაკაბაძესთან, პეტრე ოცხელთან, ელენე ახვლედიანთან, ლადო გუდიაშვილთან ერთად. მაგრამ ფართო საზოგადოებაში ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ დიდ მხატვარს პროფესიული განათლება არასდროს მიუღია. როგორ მოხდა, რომ ამ თვითნაბადმა, თვითნასწავლმა, ფაქტობრივად მოყვარულმა მხატვარმა მთელი ეპოქა შექმნა ქართულ სცენოგრაფიაში? თავისი ნოვაციებით აღსავსე შემოქმედებით, ი. გამრეკელმა ხელი შეუწყო ქართული თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობა ხელოვნების დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბებულიყო, ხოლო სცენოგრაფი თეატრალურ ხელოვნებაში ერთ-ერთ უნიშვნელოვანეს პროფესიად ექცია.

ირაკლი გამრეკელი ქართული ექსპრესიონიზმის და კუბო-ფუტურიზმის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო. იგი მკვეთრად გამოკვეთილი ინდივიდუალური ხელწერისა და მხატვრული სტილის მხატვარ-ილუსტრატორიც გახლდათ.

ი. გამრეკელის შემოქმედება ჟანრთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. იგი გატაცებული იყო მოდერნისტული მიმდინარეობებით და აქტიურად ხატავდა ექსპრესიონისტულ, კუბო-ფუტურისტულ მანერაში, იყო მხატვარ ილუსტრატორი ხატავდა პლაკატებს, ქმნიდა თემატურ, თუ პორტრეტულ ნახატებს. მოგვიანებით კი, მთელი თავისი შემოქმედებითი პოტენციალი თეატრის მხატვრობას დაუთმო.

ი. გამრეკელის შემოქმედება პირობითად რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს. მხატვრის შემოქმედების პირველ პერიოდზე რომელიც 1910-იანი წლების შუა ხანებზე მოდის თითქმის არაფერია ცნობილი გარდა იმისა, რომ ი. გამრეკელი გიგო გაბაშვილის შემოქმედებით და ქართული რეალისტური მხატვრობით იყო გატაცებული. 1918-1922 წლებში ი. გამრეკელი ექსპრესიონისტული მხატვრობით იყო გატაცებული..

საქართველოში მოდერნისტული მიმდინარეობები ძალზე პოპულარული იყო. უშუალოდ მოდერნიზმი, ექსპრესიონიზმი, კუბიზმი, ფუტურიზმი, კუბო-ფუტურიზმი, მკაფიოდ აისახა ახალგაზრდა ქართველ მხატვართა ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, შალვა ქიქოძისა და სხვათა შემოქმედებაში. გარდა ამისა საქართველო ამიერკავკასიის კულტურულ ცენტრსაც წარმოადგენდა. 1900-1910-იანი წლების თბილისის კულტურული ცხოვრება ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ევროპულ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს. იმ პერიოდში ჩატარებული მრავალრიცხოვანი გამოფენები, დაარსებული ლიტერატურული თუ მხატვრული გაერთიანებები, იმაზე მეტყველებენ, რომ თბილისში შემოქმედებითი ცხოვრება დუღდა.

განსაკუთრებული და თვითმყოფადია ი. გამრეკელის ექსპრესიომიზმი. მას ერთგვარი „ექსპრესიონისტული მანერიზმი" უფრო შეიძლება ეწოდოს, ვიდრე კლასიკური ექსპრესიონიზმის მხატვრობა. თითოეული ჟესტი, ფიგურის დაყენება, მისი პორტრეტული გადაწყვეტა, პერსონაჟის სახეში ჩადებული განცდა, ყველაფერი თეატრალურ ჟესტიკულაციას და უტრირებულ მიმიკას მოგვაგონებს. ამრიგად, ი. გამრეკელის დამოკიდებულება მის მიერ შექმნილი სახისადმი უფრო თეატრალიზებულ-დრამატულია, ვიფრე ფსიქოლოგიურ-დრამატული, თუმცა სწორედ ამ მანერისტული ხერხით მხატვარი ძალიან თავისებურად და გასაგებად ხსნის გმირის ფსიქოლოგიზმსაც და მისდამი თავის დამოკიდებულებასაც გვაჩვენებს.

დაზგურ ფერწერაში მხატვარი უხვად იყენებდა კონტურს. ხშირად სწორედ მისი კონტური ქმნიდა იმ განწყობას, რასაც ექსპრესია ჰქვია (წაგრძელებული ფორმები, ტეხილი კუთხოვანი ხაზები). მხატვარი გმირებს ისეთ პრიზმაში აღიქვამდა, სადაც მთლიანად დანგრეული და დაშლილი იყო რეალური სამყაროს სურათი. მის შემოქმედებაში არ იყო არც რეალური სურათი, არც პერსპექტივა. პეიზაჟი-ფონი ხშირად ზღაპრული და ფანტასმაგორიულიც კი იყო. განსაკუთრებით „მობანავე ფიგურებში" და „ფეერიულ ღამეში". ამას ემატება სრულიად განსხვავებული ფერთა შეხამება, რომელშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვითელი ფერის სიჭარბე სუბიექტური ემოციისა და სულიერი განცდის აღმნიშვნელია. ყვითელი, მზით გაჯერებული ფერი, ხან ცივი, ხან თბილი, ხან კი მოუსვენარი, უკიდურესი დაძაბულობის მომენტში, ალივით გადმოგვეცემა და უდიდეს განცდას აღძრავს.

ი. გამრეკელის ფერწერაში ძლიერი ექსპრესია ფორმისეული საწყისის რღვევა და აბსტრაგირება ადამიანის სულიერ განცდითაა გამოწვეული. ფორმის დარღვევა ექსპრესიის ძალას აზვიადებს. ირ. გამრეკელის მიერ შექმნილ სახეებში, ჩანს არა მხოლოდ სუბიექტური განცდა ან სამყაროს ემოციური აღქმა, არამედ ადამიანის შინაგანი ფსიქოლოგიური პროცესი, რომელიც უკიდურესადაა შემჭიდროვებული დროსა და სივრცეში და მარადიულობად ქცეულ წამშია გარინდული.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მის არც ერთ ნამუშევარს არც, „სევდას", არც „უიმედობას", არც „ეჭვიანობას" და არც რომელიმე სხვას „სახე" არ გააჩნია. ეს განცდის, ტკივილისა თუ სულიერი სასოწარკვეთის საერთო განზოგადებული კრებითი გამომსახველი ფორმაა. ადამიანის სულიერი სამყაროსი და მისი შინაგანი განცდების უკიდურესი ზღვარია. ყოველივე ამისთვის მხატვარი გამომსახველობით ხერხში ფერის ლაქებად დადებას, ხაზის ტეხილ ზიგზაგისებურ დინამიკას იყენებს, რომელშიც თითქოს იგრძნობა სევდისა თუ სასოწარკვეთის „გულისცემა". მხატვარი ხაზითა და კონტურით „აზროვნებს" და ფორმის მოდელირებას ემოციურ და პლასტიკურად მოქნილ ხაზს ანდობს. სწორედ ფორმის გროტესკულობასა და ჰიპერბოლიზმშია ჩაქსოვილი ი.გამრეკელის თვალით დანახული ადამიანის უნიკალური შინაგანი სამყარო.

ირაკლი გამრეკელის ტილოებში ფიგურებს მთელი არე აქვთ შევსებული. „სევდა", „უიმედობა", „დინამიკა", „კაენი და აბელი" ფორმისეული ანალიზით ძალიან გვანან ერთმანეთს. აქაც აქტიურია მსუყე კონტურული ხაზი, ტეხილი ფორმები, რეალური საგნების სუბიექტურად აღქმა და სხეულის დეფორმაცია. მაგრამ აქ მატერიალური ფორმის გარდა დროც დეფორმირებულია. ამიტომაც ამ ნამუშევრებში გმირება გამოკვეთილი სახის ნაკვთები არ გააჩნიათ. ისინი უბრალოდ ემოციაა... ტკივილით აღსავსე, ადამიანის სხეულის ფორმაში განკაცებული.

განსხვავებული პლასტიკური გადაწყვეტა აქვს მხატვარს კომპოზიციებში „სამი ფიგურა" (მობანავე ქალები) და „ფეერიული ღამე". ეს სრულიად სიზმრისეული აღქმით შექმნილი ნამუშევრები, წაგრძელებული, შედარებით რბილი ხაზებითაა აგებული. აქ კუთხოვანი ფორმები ნაკლებია, მაგრამ ამავე დროს ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ყველა ეს ფიგურა გაურკვეველი სუბსტანციის მქონე პლასტიკური მასისგანაა შექმნილი. ფონი, „სამ ფიგურაშიც" და „ფეერიულ ღამეშიც" იმდენად გაურკვეველია, რომ მთლიანად პირობითი და ფანტასმაგორიულია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ირაკლი გამრეკელის კუბო-ფუტურისტული ნამუშევრები, რომელიც ყველაზე თვალსაჩინოდ მის ავტოპორტრეტში და საერთო პორტრეტულ ტილოებშია წარმოდგენილი. უპირველეს ყოვლისა ეს არის „მე და ცირკი", „მხატვარი მედიცინაში" (იგივე „ლუეს") მხატვრის მეგობრის შალვა ალხაზაშვილის პორტრეტი და სხვა.

„მე და ცირკში" მხატვარს თავისი პორტრეტი რეალისტურ ჟანრში აქვს შესრულებული და იგი ჩაწერილია კუბისტურ გააზრებულ გარემოში. სურათში „მე და ცირკი" მხატვარი განსაკუთრებულად კარგად იყენებს, როგორც პროჟექტორების შუქის ნაკადს, ასევე თოკის კიბეებს, ცირკის არენის მრუდე ხაზს, მანეჟზე გაქროლებული ცხენის გამოსახულებას, რომელიც „პროჟექტორების" შუქის ნაკადში გარდატყდება და გეომეტრიულ ფიგურებად გარდაისახება. თითოეული ეს ფიგურა მოზაიკასავით ერთიან მხატვრულ კომპოზიციაში იკვრება, რომლის მთავარი ამოცანაა გვაჩვენოს ადამიანის რეალური სახე. მხატვარი ფორმათა საერთო პირობითობაში, მის რღვევაში და გეომეტრიულ ფორმებამდე დაყვანაში ახერხებს სამყარო ერთიან სურათში დაინახოს და განჭვრიტოს მომავალი. ირაკლი გამრეკელისთვის სამყარო ცირკის არენაა, სადაც ერთ წრეზე ტრიალებენ ადამიანური განცდები და ხშირად ამაოებით აღსავსე მათი ბედისწერა, რადგან ცირკის არენა იმ ჩაკეტილ წრედ და სივრცედ აღიქმება, რომლისგანაც ადამიანი თავის დაღწევას ვერ ახერხებს. გაქცეული ცხენის პარალელურად ცირკის გუმბათის ქვეშ აკრობატია დახატული. მხატვრის სახის ნახევარსაც ჯამბაზის ფიბურა ფარავს. სინამდვილეში კი, ეს ყველაფერი მხატვრის გონებაში დატრიალებული უზარმაზარი და ერთიან მოძრაობაში მოსული სამყაროს არსია გადმოცემული. როგორც ჭეშმარიტ ფუტურისტს და კუბო-ფუტურიზმის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელს ი. გამრეკელსაც ადამიანის რთული ბუნება რეალურსა და "ზაუმურ" წახნაგოვან კონცეფციაში ჰყავდა წარმოდგენილი. მხატვრის პორტრეტი ტილოს მარჯვენა კუთხეშია მოცემული. იგი თითქოს აკვირდება მის გარშემო არსებულ სამყაროს, რომელიც მის გონებაში იყრის თავს. ამიტომაა, რომ პორტრეტს კვეთს პროჟექტორების შუქის ნაკადი. ცირკის არენის მრუდე ხაზები და ა.შ.

სურათის საერთო ემოციური განწყობა მხატვრის სულიერი განცდა მიღწეულია რეალისტურ ხერხებთან მოდერნისტული და კუბო-ფურუტისტული ხერხების დაპირისპირებით.

აღსანიშმავია ი. გამრეკელის თანამშრომლობა ქართულ ფუტურისტულ ჟურნალ "H2SO4"-თან. მხატვარი ამ ჟურნალის ილუსტრატორი იყო. ამ ჟურნალის პირველ ნომერში, რომელიც 1924 წლეს გამოვიდა დაიბეჭდა ი. გამრეკელის „მე და ცირკი" და 1922 წელს შექმნილი „მხატვარი მედიცინაში". ამ ნამუშევრით მხატვარი ერთგვარად ეთხოვება ექიმის პროფესიას, რომელიც მან თავიდან აირჩია და 1918-1922 წლებში ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში ოთხი წელი ეუფლებოდა. მისი ნამუშევრების ანალიზით ჩანს, რომ მხატვრისთვის მედიცინაც და მხატვრობაც ადამიანთა გადასარჩენად არსებობს. ერთი პროფესია სხეულს მკურნალობს, მეორე, მხატვრობა, კი – სულს...

მაგრამ ორივეს მსახურება, თანაც ერთდროულად ირაკლი გამრეკელისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა.

სურათის ერთ მხარეს შიშველი ქალის ფიგურაა მოცემული, მეორე მხარეს კი ერთმანეთზე მიწყობილი მამაკაცების შიშველი ფიგურების მრუდე მოხაზულობაში ჩაწერილია ი. გამრეკელის პროფილი. სურათის აზრობრივ ცენტრს წარმოადგენს მხატვრის აწეული ხელი, რომლითაც ის ცდილობს გაარღვიოს მის გარშემო არსებული ავადმყოფური სისასტიკითა და მანკიერებით შეპყრობილი სამყარო. შავ ფონზე გამოსახულია მხატვრის კუბისტურ მანერაში შექმნილი პორტრეტი, ჩავარდნილი ლოყებით და ამოშავებული თვალებით. მხატვარი მსუყე, დამჯდარი ფერებით ხატავს. თბილი ყავისფერი და მუქი მწვანე ტონები მთლიანად აწონასწორებს გეომეტრიულ ფორმებად დაშლილ "სამყაროს". აქა-იქ წითელი ფერის ლაქები კოლორიტულად აცოცხლებს ნახატს და ამძაფრებს ემოციურ დატვირთვას. ირაკლი გამრეკელის ამ პერიოდის მხატვრობისთვის, თბილი, კოლორიტული გამაა დამახასიათებელი: ყავისფერი, წითელი, შავი, მწვანე, ცისფერი და ყვითელი ტონები. "მხატვარი მედიცინაში" მთლიანად კუბისტურ ჟანრშია გადაწყვეტილი. მას ასევე ახასიათებს ფუტურისტების გამომსახველობითი ელემენტებიც, ფორმათა რიტმული გამეორება აძლიერებს დინამიკას და აზრობრივ აქცენტებს აკეთებს.

მაგრამ მიუხედავად ირაკლი გამრეკელის ესოდენ დიდი გატაცებისა კუბო-ფუტურიზმით და ფორმისეული რღვევა-აბსტრაგირებით იგი მაინც არ წყდება ბოლომდე რეალისტური ხერხების გამოყენებას და ამ ფორმისეული დაპირისპირებით ახლა უკვე სრულიად სხვაგვარად, მაგრამ მაინც გადმოსცემს თავის შინაგან ექსპრესიას და მის სულიერ გამოძახილს, რომელსაც საზოგადოებას თავისი, სრულიად ინდივიდუალური ხედვით უჩვენებს. თავად ირაკლი გამრეკელი ნათლად ავლენს საკუთარ მსოფლმხედველობას მისსავე ილუსტრირებულ ჟურნალ "H2SO4"-ის ფურცლებზე. "...ყოველი წუთის მოულოდნელობა ნივთს უკარგავს ძველ ფორმას და მისი გაგება განყენებულად სხვა ნივთთან წარმოუდგენელია. იწყება დინამიურობა ახალი ნივთის ასაგებად. ინგრევა ყალბი ფორმა. გადადის სხვა ფორმაში. ერთი ფორმის ხაზი ამტვრევს მეორე ფორმის ხაზულობას. ხდება ფერების შერევა და ჩნდება ნივთი ახალი ფორმისა და ახალი ფერის...." საერთოდ XX საუკუნის სახვით ხელოვნებაში სამყაროს აღქმის ახალი და მრავალი ფორმისეული ხერხების არსებობდა და მასში განსაკუთრებული მნიშვნელობა კოლორიტს ენიჭებოდა. გასული საუკუნის დასაწყისი კატაკლიზმებით აღსავსე იყო. ყოველივე ამან ადამიანის სულიერი განცდები წინა პლანზე წამოწია. გარეთ გამოსულმა ემოციურმა შთაბეჭდილებებმა ექსპრესიონიზმი წარმოშვა. მას მოჰყვა სამყაროს სხვადასხვა წახნაგოვან ფორმაში აღქმა. ადამიანთა პირველყოფილ ხელოვნებაში არსებული სამყაროს გეომეტრიზებული სიმბოლოები ახალ პლასტიკურ ხელოვნებაში აგრძელებს არსებობას. ჩნდება ფორმათა დინამიზმი, რომელიც გამოწვეულია გასაოცარი ტემპით მიმდინარე ტექნიკური პროგრესით. გაჩნდა სრულიად ახალი განცდა მომავლის — ფუტურისტების "სამყაროს გადარჩენის" ილუზია, სურეალისტური ფანტასმაგორია სამყაროს ფორმათა აბსტრაგირება, რომელიც თავდაცვითი ინსტინქტითაა ნაკარნახევი. საქართველოში ხელოვნებასა და კულტურულ ცხოვრებაში ფუტურიზმის შემოსვლა კირილ და ილია ზდანევიჩების სახელებს უკავშირდება. ილია ზდანევიჩი პოეტი- ფურტურისტი გახლდათ. ხოლო კირილ ზდანევიჩი მხატვარი. ამ ორ მეტად საინტერესო შემოქმედს მთელი ფილოსოფია ჰქონდათ შემუშავებული ფუტურისტული მიმდინარეობის აუცილებლობასა და იდეოლოგიაზე. ისინი რუსული ფუტურიზმის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებმაც კარგად აუღეს ალღო ახალ სოციალისტურ-რევოლუციურ იდეოლოგიას და ცხოვრების განახლების იდეას.

ამის შემდეგ იწყება ძალიან საინტერესო პერიოდი, რომელიც 1922 წელს ირაკლი გამრეკელისა და კოტე მარჯანიშვილის ერთმა შეხვედრამ განსაზღვრა. ეს შეხვედრა საბედისწერო აღმოჩნდა ახალგაზრდა მხატვრისათვის, რომელმაც საკუთარი შემოქმედება მთლიანად თეატრალურ მხატვრობას დაუკავშირა. გარდა მოდერნისტული მიმდინარეობებით, კერძოდ კი კუბო-ფუტურიზმით გატაცებისა, ირაკლი გამრეკელი თეატრალურ გაერთიანება "დურუჯთანაც" იყო დაახლოებული. ეს სრულიად განსხვავებული კონცეფტუალურად შეუსაბამო ორი მხატვრული მიმართულება შეიძლება ითქვას სრულყოფილი სახით თანაარსებობდა მხატვრის ცხოვრებაში. უფრო მეტიც... ისინი თითქოს ავსებენ ირაკლი გამრეკელის შემოქმედებას, რომლის პოტენციალი სულ უფრო და უფრო ძლიერად თეატრალურ მხატვრობაში გამოვლინდა.

XX საუკუნის პირველი ნახევარში, სცენოგრაფია თანამედროვე ავანგარდისტული და მოდერნისტული მხატვრული მიმდინარეობების ძლიერი გავლენით ვითარდებოდა. ამან მხატვარ-სცენოგრაფებს საშუალება მისცა სცენაზე განსხვავებული და მრავალფეროვანი წარმოსახვითი სამყარო წარმოეჩინათ. ყველაფერი ეს პლასტიკური ხელოვნების კანონებით ხდებოდა.

კუბიზმმა სცენაზე მოქმედების ადგილის განზოგადოებული სახე შექმნა; დადაიზმმა სცენოგრაფიაში შემოიტანა რეალური საგნები და ნატურალისტური ელემენტები; ფუტურისტებმა სცენაზე მოიტანეს მოძრაობა. ექსპრესიონიზმმა სცენაზე გმირის შინაგანი სულიერი სამყაროს მატერიალიზებული სახე წარმოადგინა; აბსტრაქციონიზმმა სცენოგრაფია მეთოდოლოგიურად გაამდიდრა; კონსტრუქტივიზმმა თეატრში ფუნქციონალიზმი შემოიტანა. კონსტრუქტივიზმის ფუნქციონალობა ნიშნავდა თეატრის მხატვრისთვის ისეთი დეკორაციის შექმნის აუცილებლობას, რომელიც ფუნქციონალურად უნდა ჩართულიყო სპექტაკლის მოქმედებაში. კონსტრუქტივიზმმა დააკავშირა სცენოგრაფია სცენიურ მოქმედებასთან. მათი მთავარი ამოცანა იყო ქმედითი საშუალებებით გაფორმების დამორჩილება სპექტაკლის დრამატურგიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვანძის გახსნაზე. ამრიგად, კონსტრუქტივისტული ფუნქციონალურობა ყველაზე მიზანშეწონილი და აუცილებელი აღმოჩნდა სპექტაკლის მხატვრული სახის გადაწყვეტაში და ის ქმედით სცენოგრაფიას დაედო საფუძვლად.

თეატრალური კონსტრუქტივიზმის მთავარი ამოცანა იყო, ერთის მხრივ — მსახიობის ემოციურ-ფსიქოლოგიური აპარატის გააქტიურება და მეორე და ყველაზე მნიშვნელოვანი — ის იქცა იმ მხატვრულ ფორმად, რომელშიც სამყაროს ახალი ხედვის მატერიალიზაცია იყო შესაძლებელი. კონსტრუქტივიზმის დეკორაციები არქიტექტურული ხერხით აგებულ სამყაროს მოდელს წარმოადგენდნენ, ისინი საფუძველს უქმნიდნენ მხატვარს გრძნობად-პლასტიკური გარემოს შექმნაში. კოსტრუქტივიზმმა სცენოგრაფიაში სხვადასხვა სახვითი ფორმები გააერთიანა.

სცენოგრაფიამ ი.გამრეკელს შესაძლებლობა მისცა თავი პლასტიკურ ხელოვნებაში გამოევლინა. ისევე როგორც დაზგურ მხატვრობაში, მისთვის წამყვანი დარჩა ფერი და საგნის ფაქტურა, რომელშიც მხატვარი უკვე ძერწავს სცენის სივრცეში გაშლილ საგნობრივ სამყაროს. მისი დაზგური მხატვრობისთვის დამახასიათებელი დეკორატიულობა სცენოგრაფიაში საბოლოო და სრულყოფილ მხატვრულ ფორმას იძენს. ფორმას რომელიც არასდროს კონკრეტდება, წვრილმანდება. იგი თავადაა თხრობა, რომელიც სამოქმედოსაფუძველს უქმნის სპექტაკლს. ამრიგად მხატვრის უნივერსალურ და მრავალფეროვან ნიჭს სრულყოფილი გამოვლინების საშუალება სწორედ თეატრმა და სცენოგრაფიამ მისცა.

ი. გამრეკელის სცენოგრაფიაში აისახა ყველა ზემოთჩამოთვლილი მხატვრული მიმდინარეობა. "ფორმათა რითმმა, მდიდარმა დეკორატიულმა ფანტაზიამ, აზრის მოქნილმა სახიერებამ, რაც ი. გამრეკელის გრაფიკულსა და ფერწერულ ნამუშევრებში იყო გაბნეული, თავი მოიყარა მის სცენიურ ქმნილებებში".

1922 წელს ი. გამრეკელი თეატრში იწყებს მოღვაწეობას. 1920-იან წლებში დაიწყო ქართული პროფესიული თეატრის რეფორმირება და ჩამოყალიბება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ირაკლი გამრეკელი თეატრში თავად კოტე მარჯანიშვილმა მიიწვია, მას მერე, რაც მხატვრის მიერ გაფორმებული ოსკარ უაილდის რომანის "სალომეას" მიხედვით შექმნილი მისი ილუსტრაციები ნახა გამოფენაზე. აღსანიშნავია, რომ "სალომეას" დადგმა დიდ რეჟისორს უკვე ჩაფიქრებული ჰქონდა და იგი განხორციელდა კიდევაც სწორედ ი.გამრეკელის სცენოგრაფიით. 1922 წლისათვის ქართულ თეატრში, კერძოდ კი, შ. რუსთაველის სახელობის თეატრში კრიზისი შეინიშნებოდა. თეატრში თანდათანობით ძალას იკრებდა ექსპრესიონისტული ტენდენციები. ალ.ახმეტელის მიერ ს. შანშიაშვილის ექსპრესიონისტული პიესის "ბერდო ზმანიას" დადგმამ კიდევ უფრო გამოააშკარავა მომძლავრებული ახალი ტენდენციები. მართალია, ალ. ახმეტელის ამ "ექსპერიმენტს" დიდი ცვლილებები თეატრში არ მოჰყოლია, მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული თეატრის შემდგომი განვითარებისთვის. ნათელი გახდა, რომ თეატრს ახალი ძალები და ახალი შემოქმედებითი პოტენციალი ესაჭიროებიდა. "ქართულ თეატრში შემოჭრილ ექსპრესიონისტულ ტალღას ირაკლი გამრეკელის სახით საინტერესო და მდიდარი ფანტაზიის ოსტატი შეხვდა", წერს ი. გამრეკელის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი კუხიანიძე. მართლაც ექსპრესიონიზმი, მეტადრე მხატვრის ოდნავ მანერული თეატრალური ექსპრესიონიზმი, ზუსტად მოერგო ქართული ექსპრესიონისტული თეატრის სტილისტიკას, რომელიც საბოლოოდ მაინც სწორედ ი. გამრეკელის ინდივიდუალურმა მხატვრულმა ხელწერამ განაპირობა.

1922 წელს ი. გამრეკელის შემოქმედებაში სულ უფრო იკრებდა ძალებს კუბო-ფუტურისტული ტენდენციები. ამიტომაც კიდევ უფრო საინტერესო აღმოჩნდა მხატვრის მიერ ექსპრესიონიზმში მიბრუნება. ი. გამრეკელის სცენოგრაფიაში ექსპრესიონიზმი შეერწყა კუბისტურ-ფუტურისტულ და კონსტრუქტივისტულ ელემენტებს. მათი სინთეზით კი, ჩვენ სრულიად ახალი კონცეფტუალური ხელოვნება მივიღეთ.

ირაკლი გამრეკელის სცენოგრაფიაში შესაძლოა პირობითად, მაგრამ მაინც ერთგვარი პერიოდიზაცია დავსახოთ: პირველი პერიოდი — კოტე მარჯანიშვილთან მისი მოღვაწეობით უნდა განვსაზღვროთ, როცა დიდი მაესტროც და ახალბედა სცენოგრაფიც ერთნაირი ჟინითა და ძიებებით აღსავსენი ქმნიდნენ ახალ თეატრალურ ესთეტიკას.. "სალომეა", "მალშტრემი", "ლონდა", "სინათლე", "ჰამლეტი"... ეს ის პირველი ნაბიჯებია, რომლებმაც განსაზღვრეს ქართული სცენოგრაფიის სახე. მათ შორის პირველი "სალომეას" დადგმა გახლავთ. იგი "ახალ თეატრში" განხორციელდა 1922 წელს. "სალომეას" დეკორაციული ფორმა "სალომეას ლოცვამ" განსაზღვრა. სცენოგრაფიის ძუნწი, ლაკონურ და სუფთა ფორმებში, აბსტრაგირებული და გეომეტრიულობამდე დაყვანილი არქიტექტურული დეტალები და პლასტიკურ ფორმათა დაპირისპირება, ქმნიდა ფორმის იმ მძაფრ შინაგან ექსპრესიას, რომელიც ჩადებულია ო.უაილდის სახარების თემაზე შექმნილ რომანში.

1923-1924 წლებში ი. გამრეკელმა გააფორმა კოტე მარჯანიშვილის სპექტაკლები "ლონდა" და "მალშტრემი". "ლონდას" ესკიზში ი. გამრეკელი ერთდროულად აღწევს ფორმის აბსტრაგირებას და მის კუბისტურ-მოცულობიან გადაწყვეტას. ფორმათა მკვეთრი გეომეტრიულობა გამძაფრებულია ფერთა მონაცვლეობით, კუთხოვანი მონასმებითა და კოლორიტული კონტრასტით. პიესის მოქმედების ადგილი მთის მრავალწახნაგა ფერდობებზე, რთულ ლანდშაფტშია მოცემული. მხატვარი მკვეთრ ფერებს იყენებს. წითელი, ყვითელი, შავი, მწვანე... ეს გაუზავებელი პალიტრა ფორმის სკულპტურულობას ამჟღავნებს. "ლონდას" სცენოგრაფიაში კუბისტური კონსტრუქციები ექსპრესიონისტულ ფერში იყო გადაწყვეტილი და სტილთა ამგვარი შერწყმა მეტად ნოვატორული მიგნება აღმოჩნდა ახალ ქართულ თეატრალურ მხატვრობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრ. რობაქიძის "მალშტრემის" სცენოგრაფიაში მხატვარი ფორმათა დინამიკის მისაღწევად დეკორაციის პლასტიკურ ელემენტებს ირიბი დაყენებით აღწევს. "მალშტრემში" ესკიზში სჭარბობს ექსპრესიონისტული ტენდენციები, თუმცა ფორმის თვალსაზრისით დეკორაციები ძალიან ახლოსაა ფუტურისტულ მხატვრულ მანერასთან. ეს დეკორაცია ირაკლი გამრეკელის ნახატს "მე და ცირკი" მოგვაგონებს. ოღონდ "მალშტრემში" მოქმედება არა ცირკის არენაზე, არამედ ცხოვრების არენაზეა გადატანილი და მიუხედავად ფორმათა დახვავებისა, უფრო მონუმენტური და მასშტაბურია. კოსტიუმები ამ დადგმისთვის კირილ ზდანევიშს ეკუთვნის.

კ. ზდანევიჩი ქართველ ფუტურისთა თვალსაჩინო წარმომადგენელია. 1917 წლიდან იგი "ფუტურისტთა სინდიკატისა" და "41"-ის წევრია. ამ ფუტურისტულ გაერთიანებებში მოღვაწეობდა აგრეთვე კირილეს ძმა, ილია ზდანევიჩი. კირილ ზდანევიჩიც იმ მხატვართა რიგში აღმოჩნდა, რომელიც კოტე მარჯანიშვილმა მიიწვია თეატრში. მხატვრის პირველი სცენოგრაფიული ნამუშევარი ერნსტ ტოლერის პიესა "გაზი" იყო. შემდეგი ნამუშევრები კ. ზდანევიჩმა ი. გამრეკელთან ერთად შექმნა. ეს იყო ე. ტოლერის "ადამიანი-მასა" და გრ. რობაქიძის ნაწარმოების მიხედვით დადგმული პიესა "მალშტრემი".

შემდეგი ნამუშევარი, რომელიც სცენოგრაფიულად უფრო რთული გადასაწყვეტი აღმოჩნდა ფ. ვერფელის "კაცი სარკიდან" იყო. (რეჟისორი ს. ახმეტელი). "კაცი სარკიდან" ისეთივე კუბო-ფუტურისტულ სტილისტიკაშია შექმნილი, როგორც "ლონდა" და "მალშტრემი".

რეალური სამყარო და ცხოვრება პიესაში ფანტასტიკურ სამყაროდ ირეკლებოდა სარკეში. მოქმედების ადგილთა სიმრავლე და მრავალფეროვნება ერთიან მხატვრულ სტილისტიკაში ვერ მოექცეოდა, ამიტომ საჭირო იყო მისი ფორმისეულად შეჯგუფება და საერთო დრამატურგიული ფაბულის მეშვეობით ერთიან თხრობაში გადაწყვეტა. სპექტაკლის გაფორმებაში მნიშვნელოვანი ელემენტი იყო კიბე. ფორმისეულ მრავალფეროვნებას ავლენს სცენური სივრცე, რომელიც სხვადასხვა სიმაღლისა და კონფიგურაციის საფეხურებიან ფიცარნაგებით იყო მიღწეული. ცალკეულ სცენებში დამსხვრეული სარკის ნატეხები, თითქოს ზევიდან დაჰყურებენ ადამიანებს. კუბები, პრიზმები, სვეტები, სარკის ნამსხვრევები, სფეროები - ფორმათა გეომეტრიზაციით აღქმულ სამყაროს მოგვაგონებს. მსგავსი კუბო-ფუტურისტული ფორმები, ზოგადად პლასტიკურ ავანგარდში გადაწყვეტილი მხატვრობა, მხატვრის ინდივიდუალურ ხელწერასაც ავლენს და ამ ფორმისადმი მის ერთგულებაზეც მეტყველებს.

1925 წელს კ. მარჯანიშვილმა უ. შექსპირის "ჰამლეტი" დადგა. იგი საეტაპო სპექტაკლი აღმოჩნდა ქართული თეატრის ისტორიაში, რომელმაც სრულყოფილად გამოავლინა როგორც კ. მარჯანიშვილის რეჟისორული მეთოდი, ასევე რეჟისორული კონცეფციის მხატვრულ-პლასტიკურ ფორმაში გადაწყვეტის მნიშვნელობა. ეს უკანასკნელი კი, მთლიანად სცენოგრაფიის საშუალებით იყო შესაძლებელი. ამიტომაც "ჰამლეტმა" განამტკიცა ძირითადი დებულება, ქართულ თეატრში სპექტაკლის მთლიანი მხატვრული სახის შექმნაში რეჟისორისა და მხატვრის თანასწორუფლებიანი თანაავტორობა.

სპექტაკლს არაერთგვაროვანი შეფასებები ჰქონდა. საზოგადოების ერთი ნაწილისთვის დადგმა მიუღებელი აღმოჩნდა. სხვები მას შედევრად მიიჩნევდნენ. ი. გამრეკელის მიერ კ. მარჯანიშვილის "ჰამლეტის" მხატვრულ გაფორმებაში საფუძველი ჩაეყარა მონუმენტურ სტილს ქართულ სცენოგრაფიაში.

ი. გამრეკელის "ჰამლეტის" სცენოგრაფიაში კიბემ კვლავ სიმბოლური დატვირთვა მიიღო: აღმავლობისა და დაცემის სიმბოლო, მარადიული სწრაფვა ზეცისკენ, ცხოვრების გზის სიმბოლო... მეორეს მხრივ, კიბე მეტ სიმსუბუქეს და დინამიკურობას ანიჭებს სცენის პლასტიკურ გადაწყვეტას.

განყენებულ ლურჯ ფონზე, რომელიც დეკორაციებს მეტ სკულპტურულობას ანიჭებდა, ნათლად იკითხებოდა კლდის სტილიზებული რელიეფი, კუბისტურ მანერაში დაყოფილი სიბრტყეებით, რომლის მეორე მხარეს აღმართული იყო ელსინორის სასახლე. ეს ძირითადი დეკორაციული დაზგა-დანადგარი მბრუნავ წრეზე იყო დამონტაჟებული. სპექტაკლის მსვლელობისას დაზგა ტრიალდებოდა და მასზე ახალ-ახალი სათამაშო მოედნები ჩნდებოდა. "ჰამლეტში სხვა ადრეულ ნამუშევრებზე უფრო მეტად გამოვლინდა დეკორაციის ჩართულობა სპექტაკლის მიქმედებაში და დეკორაციული გარემოს ფუნქციონალური დატვირთვა. ეს კონსტრუქტივისტული ხერხი, რომელიც საფუძვლად დაედო XX საუკუნის დასაწყისში ქმედით სცენოგრაფიას კიდევ უფრო ნათლად გამოვლინდა ი. გამრეკელის მიერ გაფორმებულ სპექტაკლებში "ზაგმუკი" (ა. გლებოვი) და "რღვევა" (ბ. ლავრენიოვი), რომლებიც ალ.ახმეტელმა დადგა შ, რუსთაველის თეატრში. ხოლო ქართული თეატრალური კონსტრუქტივიზმის განვითარება და სრულყოფა ჩანს ი. გამრეკელისა და ალ. ახმეტელის ერთობლივ შემოქმედებაში სპექტაკლებში "ანზორი" (ს. შანშიაშვილი), "ლამარა" (გრ. რობაქიძი), "თეთნულდი" (შ. დადიანი), "ყაჩაღები" (ფ.შილერი). ყველა ეს სპექტაკლი ქართული თეატრალური კონსტრუქტივიზმის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენს.

სპექტაკლ "ზაგმუკით" (1926 წ.) პირველად განისაზღვრა შ. რუსთაველის თეატრის მხატვრული სტილი. მხატვარს მოქმედების ერთდროულად კონკრეტულიც და განზოგადოებული ადგილი უნდა შეექმნა. ეს რთული ამოცანა ი.გამრეკელმა კონსტრუქტივიზმის მხატვრული პრინციპებით გამოყენებით გადაჭრა. სასცენო სივრცის სხვადასხვა ფორმის სიბრტყობრივი დანაწილება, დეკორაციის ერთიანი დაზგის პრინციპზე აგება, რომელიც სპექტაკლის შიდა სამოქმედო სივრცეს ქმნიდა, რაც ცალკეულ სცენებში მსახიობთა დიდი მასის ერთდროულად სცენაზე ყოფნას უწყობდა ხელს. მათი რიტმული მოძრაობა მიზანსცენებში დეკოტაციის ფუნქციონალურობას ავლენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ.ლავრენიოვის "რღვევაში" ერთი ოჯახის ამბავი რევოლუციური მძლავრი ქარტეხილებით განპირობებულ ფასეულობათა რღვევის ფონზე ვითარდებოდა. ამიტომაც მხატვარს ისეთი გარემო უნდა შეექმნა, რომ სამყაროთა ნგრევა თვალსაჩინო ყოფილიყო. სპექტაკლის I და III მოქმედება ნეორეალიზმის სტილშია გადაწყვეტილი იდილიური ოჯახური გარემო იყო შექმნილი. ხოლო II-IV მოქმედება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე აგებული იყო. მხატვარმა სრულიად ახალი შემოქმედებითი მიდგომა გამოავლინა. ი. გამრეკელმა უზარმაზარი სტილიზებული ჯავშნოსანი კრეისერი დადგა სცენაზე. მხატვრულ სტილთა ამგვარი დაპირისპირებით მხატვარმა განსაკუთრებულ გამომსახველობას მიაღწია და სპექტაკლის საერთო იერსახე პიესის მთავარ იდეას დაუმორჩილა.

ქართული სცენოგრაფიისა და საერთოთ ქართული თეატრის განვითარებაში საეტაპო აღმოჩნდა ი.გამრეკელისა და ალ. ახმეტელის თანაავტორობით შექმნილი სპექტაკლები "ანზორი", "ლამარა", "თეთნულდი", "ყაჩაღები".

1920-30 - იან წლებში თეატრალურ სცენაზე მოქმედების განზოგადოებული ადგილის მიუხედავად ხშირი იყო ამა თუ იმ ქვეყნის სტილიზებული სახის შექმნა — ეთნოგრაფიული, არქიტექტურული, ყოფითი კულტურის, კაზმულობის ერთიანი კრებითი სახის წარმოჩენა. ასე იყო სპექტაკლებში "ანზორი" "ლამარა" და "თეთნულდი".

ვ. ივანოვის პიესა "ჯავშნოსანი 14-69" ს. ახმეტელის გადაწყვეტილებით ს. შანშიაშვილმა გადმოაქართულა და მოქმედების ადგილი შორეული ციმბირიდან დაღესტანში გადმოიტანა. პიესის რევოლუციურ-ჰეროიკული სულისკვეთება, ალ.ახმეტელმა ზუსტად მიუსადაგა მთის ხალხის სწრაფვას თავისუფლებისაკენ, მათ ტემპერამენტსა და საბრძოლო მრწამსს.

მოქმედების ადგილის ამგვარი დაკონკრეტება, გარკვეულ ჩარჩოებში სვამდა მხატვარს, მაგრამ ი. გამრეკელმა "ანზორის" სივრცობრივ- პლასტიკურ გადაწყვეტაში ფორმათა ისეთ განზოგადოებას მიაღწია, რომ კონკრეტული მთის სოფელი აული, პატარა რკინიგზის სადგური და ა.შ. მთელი სამყაროს კრებით სახედ იქცა.

ი. გამრეკელის კონსტრუქციები მათემატიკური სიზუსტით იყო აგებული. ფორმათა და ზომათა პროპორციების განგებ დარღვევა დეკორაციის აზრობრივ დატვირთვას ანიჭებდა. ეს, ერთი შეხედვით, სრულიად ხელოვნური გარემო ლაკონური და მრავლისმეტყველი იყო. ი. გამრეკელის "ანზორი"-ში შექმნილ მთის სტილიზებულ ფერდებობზე, რეჟისორმა შეძლო რთულ ქორეოგრაფიულ-პლასტიკურ ნახაზში გადაეწყვიტა მიზანსცენები, რაც მებრძოლი მთის ხალხის გმირულ ცეკვაში გამოისახა. მსახიობთა სინქრონული მოძრაობებით ამძაფრებდა დეკორაციის ხაზობრივ წყობას და პარალელურ ნახაზში ეწყობოდა. ამით კიდევ უფრო მძაფრდებოდა სპექტაკლის შიდა რიტმი და წარმოდგენის საერთო ტემპო-რიტმს ქმნიდა. ასეთი მუხტი მთლიანად გადაეცემოდა სპექტაკლის მთელ მოქმედებას. ეს პლასტიკური პათეტიკა შეუძლებელი იქნებოდა, დეკორაციის წყობას შიდა დინამიკა რომ არ ჰქონოდა.

"ანზორის" სცენოგრაფია მთლიანად კონსტუქტივიზმის პრინციპებზე იყო აგებული. იგი მხატვრისგან არქიტექტურისა და ინჟინერიის ცოდნას მოითხოვდა. ოთხივე აქტში ი. გამრეკელმა სხვადასხვა დეკორაცია შექმნა. არც ერთი მათგანი ერთმანეთს არ ჰგავდა. საერთო მათში მხოლოდ სცენის პლანშეტის რელიეფური წყობა იყო, რომელიც ერთგვარ საძირკველს წარმოადგენდა ყოველი ახალი დეკორაციულ-კონსტრუქციული სივრცის ასაგებად.

პირველ მოქმედებაში უზარმაზარი რკინის ხიდი ისე იყო გაკეთებული, რომ მისი კონსტრუქცია თითქოს სცენის მიღმაც გრძელდებოდა. ამით მხატვარმა მეტი სიღრმე მიანიჭა მთლიან სივრცეს. შემდეგი ორი მოქმედება მთის სოფლის სტილიზებული კონსტრუქციას წარმოადგენდა. შვიდსაფეხურიანი დანადგარი, რომელიც სცენის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე იყო გაკეთებული, ერთმანეთს პანდუსებითა და კიბეებით უკავშირდებოდა. ერთმანეთზე ახორხლილ დაღესტნელთა სახლების სახურავზე სათამაშო ბაქანი იყო გაკეთებული. ეს ერთიანი მთის სოფლის ლანდშაფტი პირქუშ რუხ-მიწისფერ ტონში იყო გადაწყვეტილი. სახლები ხაოიანი ფაქტურის გამო, ფიქალი კლდისგან ნაშენს ჰგავდნენ. მეტი რეალისტურობისთვის მხატვარმა ამ სახლებს შესასვლელი კარი და სარკმლებიც გაუკეთა.

"ანზორის" ვიზუალურ-პლასტიკურ გადაწყვეტას, სცენოგრაფიულად სრულყოფილი მთლიანი მხატვრული სახე ჰქონდა. ეს შესაძლებელი გახდა უმაღლეს ხარისხში აყვანილი მხატვრული განზოგადოებით, რომლიც წყალობითაც მხატვარმა ქვეყნის კრებითი სახეც შეიქმნა და სცენოგრაფია მაქსიმალურად ფუნქციონალურად დატვირთა...

შემდეგი სპექტაკლები "ლამარა" და თეთნულდი" ი.გამრეკელის მხატვრული სტილის სრულყოფილებაზე მეტყველებს.

"ლამარას" სცენოგრაფია ისევე, როგორც "ანზორის" მხატვრობა, მთლიანად კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე იყო აგებული. აქაც მხატვარმა შექმნა ქვეყნის სახის სცენიური კრებითი ფორმა. "ლამარას" მოქმედება ფაქტობრივად ერთ კონსტრუქცია-დანადგარის ფარგლებში ვითარდებოდა. გრ.რობაქიძისეული ზღაპრულ-სიმბოლური სამყარო, რომელსაც ალ.ახმეტელმა გმირულ-რომანტიკული სულისკვეთება დაუმატა, ი. გამრეკელმა ამაღლებულ ბაქანზე დამრეცი ფიცარნაგებებით და სტილიზებული მთის მწვერვალებით გამოძერწილ სამყაროს მოდელში ასახა. "ლამარას" სამოქმედო ადგილი თითქოს საზეიმო პედესტალზე იყო შემდგარი, და მიწასა და ცას შორის მითოსურ განზომილებაში ვითარდებოდა.

დეკორაციულ დაზგაზე სათამაშო მოედნების დიფერენციაცია, სტილიზებული კოშკებითა და სპირალურად ზევით მიმართული დამრეცი ფიცარნაგები ერთიან კონსტრუქციულ-პლასტიკურ ფორმაში იყო გადაწყვეტილი. პლასტიკური ფორმის სირბილე და მრუდე ხაზები მიესადაგება პიესის ერთგვარ ლირიკუ-

ლობას. ამავე დროს ხაზების ეს დენადი რიტმი რბილ გადასვლას აკეთებს ერთი ფორმისა მეორეში. შესაბამისად კოშკების კუთხოვანების სიხისტე ოდნავ შერბილებული იყო. დეკორაციის ერთი ფორმის მეორეში გადასვლა "ლამარას" თეატრალური სივრცის ხედვის უსასრულობას ავლენდა. დეკორაციის კოლორიტი და ფაქტურა კლდოვანი მთის ფერდობების ასოციაციას ქმნიდა.

შემთხვევითი არ არის, რომ "ლამარას" დეკორაცია კუბისტურ-კონსტრუქციულ სტილში იყი გადაწყვეტილი. გრ. რობაქიძე წერდა, რომ სპექტაკლის მხატვრობა იმგვარი უნდა იყოს, რომ "...მოვლენა მთლიანად უნდა აითვისებოდეს და არა ატომისტურად." (არა ნაწილობრივ-ხაზი ჩემია). იგი უნდა მიმდინარეობდეს გარკვეულ ხაზებში და ასევე ფერებში. უთუოდ ხედვითი შთაბეჭდილება უნდა იყვეს გამოძახილი ხმიერი ათვისების. ორი ხაზი უნდა ერთდებოდეს ერთ წერტილში, მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი მოვლენის მთლიანად ათვისება. ამიტომ პრინციპი მხატვრობის და არქიტექტურის თანამედროვე სცენაზე არ შეიძლება იყოს დეკორატიული.

"ლამარას" სცენოგრაფია რბილ ნახევარტონებში იყო გადაწყვეტილი. დეკორაციის მოჩითული ზედაპირი ბინდისფრად შეფერილ ფერდობებს წააგავდა დეკორაციის ერთმანეთში შეჭრილი ფორმებისა და სპექტაკლის განათების წყალობით ცხოველხატული ეფექტი იქმნებოდა.

"ლამარას" სცენოგრაფია მთლიანად ასახავდა ქმედითი სცენოგრაფიის პრინციპებს და მის ფუნქციონალურ მხარეს წარმოაჩენდა. დეკორაციები განკუთვნილი იყო სპექტაკლის რთული ქმედით-პლასტიკური გადაწყვეტისთვის. დეკორაციების საერთო მხატვრული იერსახე ავლენდა მათში კოდირებულ ისტორიულ, მითოლოგიურ, ეთნოგრაფიულ ფორმებს. მთის სერპანტინები და მიხვეულ-მოხვეული დაკლაკნილი ფორმები, ბუნების რთულ შინაგან აგებულებას, მის სიმბოლურ სახეს ატარებდა. ცალკეულ დეტალებში იკვეთება გველის სიმბოლო — სიბრძნე და ძალა, რომელიც გველისმჭამელი მინდიას "ტოტემისტურ" ალეგორიას წარმოადგენს. სპექტაკლის საერთო სულისკვეთება კი გმირულ-რომანტიკულია.

XX საუკუნის 30–იან წლებში ქართულ და საბჭოთა დრამატურგიაში ოპტიმისტური ტრაგედიის ჟანრი გაჩნდა. "ოპტიმისტური ტრაგედიის" გმირები ახალი ცხოვრების მაშენებლები, იღუპებოდნენ მორალურად გამარჯვებულები. სწორედ ასეთ ოპტიმისტურ ტრაგედიის ჟანრს განეკუთვნება შ. დადიანმა პიესა "თეთნულდი". მასში მოთხრობილია უძველესი სვანური სიწმინდის, ქალწულის სიწმინდესთან გაიგივებული თეთნულდის მწვერვალის ლეგენდა. ვერაგი და გასაოცარი სილამაზის დათოვლილი მთა ვერავის დაეპყრო. ახლა კი იგი ახლა საბჭოთა ეპოქის გმირებმა უნდა დაიპყრონ. ჩნდება კონფლიქტი თაობებს შორის. ერთი იცავენ ძველ ადათს, ახალგაზრდები კი ახალ ფასეულობებს ამკვიდრებენ საზოგადოებაში.

მხატვარმა სცენაზე კვლავ კუბისტურ-კონსტრუქტივისტული დეკორაციები შექმნა. სცენოგრაფია აქაც ფორმათა განზოგადოებითა და საერთო სტილიზაციით გამოირჩევა. მაგრამ ი. გამრეკელის სხვა სცენოგრაფიული ნამუშევრებისგან განსხვავებით "თეთნულდში" ჭარბობს ქართული ეთნოგრაფია. კერძოდ კი, სვანეთის ყოფა და ადათი. მხატვარს სცენაზე მართალია სრული სტილიზაციით, მაგრამ მაინც "ნამდვილი" სვანური კოშკები ჰქონდა აგებული. ეს კონსტრუქციული დანადგარი, რომელიც ერთმანეთზე შეჯგუფებულ შვიდ სტილიზებულ სვანურ კოშკი წარმოადგენდა, სინამდვილეში ერთმანეთზე აწყობილ უზარმაზარ პარალელეპიპედებს წარმოადგენდა. მეტი დაკონკრეტებისთვის პრიზმებს თავზე სათოფურები ჰქონდა გაკეთებული. სცენის პლანშეტი აქაც მრავალდონიანი კიბე-პანდუსებით იყო დანაწევრებული. კოშკები სპექტაკლის ბოლოს იხსნებოდა და სცენის სიღრმეში უკანა დეკორაციად თეთნულდი ჩნდებოდა. ექსპედიციის დაღუპვის ფინალურ სცენაში კოშკები სვანური ზარის რიტმში აქეთ-იქეთ რხევას იწყებდა. აქაც დეკორაცია სათამაშო-პლასტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ. მთლიანი დეკორაციის მსგავსად, თეთნულდის მთაც პირობითი, მკვეთრად კუბისტურ-ხაზობრივი იყო. მთის დეკორაცია ცალკე საგანგებოდ გაკეთებულ დანადგარზე იდგა. კოლორიტულად მთა მუქი ფერის იყო და ქვის ფაქტურას შეესატყვისებოდა. ფინალურ სცენაში მთა ალისფერ განათებით, ტრაგიკული განთიადის მომასწავებელი ხდებოდა. რაც შეეხება კოშკებს, ისინი ჟანგისფერ-მონაცრისფრო ტონში იყო გადაწყვეტილი. კოშკების ფაქტურა ისე იყო დამუშავებული, რომ ქვით ნაშენი უძველესი კოშკების ხაოიან ზედაპირს მოგვაგონებდნენ.

"თეთნულდის" დეკორაცია სამ დამოუკიდებელ დაზგაზე იყო აგებული. ი. გამრეკელმა დეკორაციები საგანგებოდ დააცილა ერთმანეთს, რადგან ისინი წინა სპექტაკლებისგან განსხვავებით მთლიანად ჩართული იყო მოქმედებაში. თუ "ლამარასა" და "ანზორში" სპექტაკლის მოქმედება დეკორაციაზე იშლებოდა და იგი განსაზღვრავდა სპექტაკლის საერთო პლასტიკურ გადაწყვეტას, "თეთნულდის" დეკორაციები, თითქოს "გაპერსონაჟულები" იყო. ამით უფრო თვალსაჩინო და ხელშესახები უნდა გამხდარიყო ძველი და ახალი სამყაროს ფასეულობათა ჭიდილი.

"თეთნულდის" სცენოგრაფიული გადაწყვეტა ავლენს მხატვრის ნოვატორულ მიგნებას. სპექტაკლის დროით-სივრცობრივ გადაწყვეტა ისე იყო გაკეთებული, რომ მოქმედების მსვლელობისას პირობითი სცენიური დრო და რეალური დრო ერთმანეთს ემთხვეოდა. სვანური კოშკების რიტმული მოძრაობა დროის ათვლის სიმბოლოდ აღიქმებოდა. ქართული სცენოგრაფიის განვითარების ამ ადრეულ პერიოდში ეს უდავოდ ი. გამრეკელის გენიალურ მიგნებად უნდა ჩაითვალოს.

სპექტაკლი "ყაჩაღები" (ფ. შილერი) ერთის მხრივ აგვირგვინებს კონსტრუქტივიზმის სტილის განვითარებას ქართულ სცენოგრაფიაში, მეორეს მხრივ კი, ი.გამრეკელის მიერ შექმნილ სპექტაკლის მხატვრულ სახეში ახალი ფორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ელემენტებს ავლენს. ისინი სცენოგრაფიის საერთო განვითარებაში ახალი ფორმების საჭირობაზე მეტყველებედნენ. ფ. შილერის ეს ტრაგედია იმ კლასიკურ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება, რომლებიც ზოგადსაკაცობრიო და მარადიულ თემას, ქრისტიანულ ფასეულობებსა და ბოროტისა და კეთილის დაპირისპირებაზე გვიამბობს. ამიტომ ამ თემის განზოგადოება და მისი კრებით-პლასტიკურ ფორმაში გადაწყვეტა, ერთი შეხედვით რთულ ამოცანას არ წარმაოდგენდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ი. გამრეკელმა უამრავი ესკიზი, მაკეტი და ჩანახატი შექმნა, რათა მიეღწია იმ სრულყოფილი ფორმისთვის, რომელშიც არის გადაწყვეტილი სპექტაკლის დეკორაციები. ისევე, როგორც ზემოთ-ჩამოთვლილ სპექტაკლებში ი. გამრეკელი აქაც დეკორაციის კრებითი შინაარსის ფორმას ქმნის. ერთიანი დეკორაციული კონსტრუქცია სათამაშო ბაქნებით იყო დანაწევრებული. სხვადასხვა სცენებში დეკორაცია მთლიანად იცვლებოდა შუა საუკუნეების პირქუში სასახლე-ციხესიმაგრე, სტილიზებული კიბეებით გაფორმებული ტავერნა, უზარმაზარი ხე, მძლავრი ფესვებითა და ზეაღტყორცნილი მსხვილი ტოტებით, არ არღვევდნენ სცენოგრაფიის საერთო მონუმენტალიზმს. პირიქით, თითოეული დეკორაციული დანადგარი (სასახლის მძლავრი პილონები, ხის ტოტები) გაჭედილი იყო სასცენო სივრცეში და დეკორაციის ზედა ნაწილს სცენის პორტალი კვეთდა. აქ ი. გამრეკელი თითქოს გამოდის კომპაქტური კლასიკური ფორმიდან და ფორმისეულ უსასრულობაში წყვეტს "ყაჩაღების" სიკეთისა და ბოროტების მარადიულ ჭიდილს. აქაც, ისევე როგორც, სხვა სპექტაკლებზე მუშაობისას ი. გამრეკელი უშუალოდ პიესიდან გამოდის და მიუხედავად იმისა, რომ მხატვარი არის სპექტაკლის რეჟისორული ჩანაფიქრის ერთგული შემსრულებელი, არ კარგავს თავის ინდივიდუალობას, თავის კონცეპტუალურობას და თანასწორუფლებიან ავტორად გვევლინება სპექტაკლის მთლიანი მხატვრული სახის შექმნაში.

"ყაჩაღების" სცენოგრაფიის კოლორიტულ გადაწყვეტაშიც ერთგვარი სიახლე შეიმჩნევა. მხატვარი ხაზგასმით ავლენს სპექტაკლის შიდა კოლორიტს, რომელიც სცენაზე არსებული საგნების თავდაპირველი ფერითა და ფაქტურით განისაზღვრება. სპექტაკლის ამგვარი კოლორიტული გადაწყვეტა ხელს უწყობდა მსახიობებს გაემდიდრებინათ სპექტაკლი ემოციური სულიერი ექსპრესიის კოლორიტით.

"ყაჩაღები" მხატვრის აზროვნებაში სრულიად ახალ პლასტებს ავლენს. ამიტომაც ის ერთის მხრივ არის სცენოგრაფიაში უდიდესი მნიშვნელობის მხატვრული მიმდინარეობის დასასრული და ქართულ სცენოგრაფიაში ახლის მომასწავებელი. თუმცა სცენოგრაფიის განვითარება სულ სხვაგვარად წარიმართა.

1930-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა ხელოვნებაში ე.წ. სოცრეალიზმი გახდა წამყვანი. მან ცხოვრების რეალისტური აღქმა და მისი დოკუმენტური სინამდვილის გამოსახვა დაამკვიდრა სახვით ხელოვნებაში და, რაღა თქმა უნდა, თეატრშიც. შესაბამისად შეიცვალა სპექტაკლების მხატვრული გაფორმების პრინციპები და იგი მშრალ ნატურალიზმამდე დავიდა. ყველა აქამდე არსებული მოდერნისტული მხატვრული ფორმები და პლასტიკური ავანგარდი ფორმალისტურ ხელოვნებად გამოცხადდა და იგი საბჭოთა იდეოლოგიისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

1933 წელს გარდაიცვალა კ. მარჯანიშვილი 1937 წელს დახვრიტეს ალ. ახმეტელი. ფაქტობრივად, ქართული თეატრი წინამძღოლების გარეშე დარჩა. რეჟისორთა შემდგომი თაობა, რომელიც შ. რუსთაველისა და კ. მარჯანიშვილის თეატრებს ჩაუდგა სათავეში, შეეცადა გაეგრძელებინა ის შემოქმედებითი გზა და სულისკვეთება, რაც განსაზღვრავდა ორივე თეატრის ესთეტიკას.

1936 წელს რუსთაველის თეატრში სპექტაკლი "არსენა" დაიდგა. (რეჟისორი ა. ვასაძე) ი. გამრეკელი "კვლავ იყენებს მრავლისმეტყველ მონუმენტურ ხეს, მთელი სპექტაკლი სუნთქავდა ქართული კოლორიტით". მაგრამ დეკორაცია უკვე აღარ ჰგავდა ი. გამრეკელის ადრეულ ნამუშევრებს, რადგან მოქმედების ადგილი უფრო კონკრეტული გახდა. უკანა დეკორაციამ ფერწერული ფონის სახე შეიძინა და სასცენო სივრცის მოცულობიანი ფორმა ხაზობრივ პერსპექტივაზე აგებულმა ფერწერულმა კომპოზიციამ შეცვალა.

ასეთივე პრინციპებზეა აგებული "ოტელოს", "გოირგი სააკაძის", "აბესალომ და ეთერის" და "საპატარძლო აფიშით" დეკორაციები. ქართულ სცენოგრაფიაში ამ პერიოდში თეატრის მხატვრობის დეკორაციული პრინციპები გაბატონდა, ი. გამრეკელი სულ უფრო ხშირად მოქმედების კონკრეტულ ადგილს ქმნიდა სცენაზე. ინტერიერი, ბუნების წიაღი, ნავსაყუდელი, პარკი... ყველა ეს დეკორაცია ნატურალისტური ხერხითაა შექმნილი, მაგრამ მათ დახვეწილი ფორმები, ეპოქების ღრმა ცოდნა, დახვეწილი პროპორციები, ფორმათა პლასტიკა, ბრწყინვალე კოლორიტი და სივრცის სწორი გადანაწილება გამოარჩევდა. მხატვარი აქაც ოსტატურად წყვეტდა ამოცანას და სცენაზე ახლა უკვე რეალურ სამყაროს მთელი თავისი პლასტიკურ-მოცულობიანი ფორმებით წარმოაჩენდა სცენაზე.

n66/6

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანსამბლი „ერისიონი“. ცეკვა „აჭარული“, სოლისტები: ეკა ჭკუასელი და ლევან კუბლაშვილი.

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
„ელვასერვისი“, იოსებიძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია”– ტელ: 95-51-70,
და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43
6 თვით 18ლ.

ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ შეგვეწიოთ!
„თიბისი ბანკი“ საბანკო კოდი - **TBCBGE**22
ანგარიშწორების ანგარიში - **GE78 TB74 6463 6080 1000 01**
ლიტერატურა და ხელოვნება

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ლექსო ოთარაშვილი
ოპერატორი
თამუნა ოთარაშვილი

რედაქციის მისამართი:
დიღმის მას.5კვ,14კორ,ბ.80
ტელ: (+995 32) 52 60 14; (+995 99) 25 60 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ ბასარიკაშვილი

ISSN 1512-3189

ფასი 3 ლარი